ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

6/ 92

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

ივნისი № 6

საქართველოს მწერალთა კავშირის
ლიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1857 წ.

თბილისი
1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

ქართული

საღვთისმეტყველო ჟურნალი

გამოიცემის ი. კერესელიძის მიერ.

იანვარი.

წელიწადი მეხუთე.

„თუ შეუვარო სმენად.—მოითვალე და
უკეთ მოუყარეკერი შენი. ესრეთ იქმნ »
(წიგ. ისო ზირ. თავი 6, მუხ. 33.)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1861

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
დათო მალრაძე

სარედაქციო საბჭო

ბალათერ არაბული, ბაადურ ბალარჯიშვილი, ირაკლი ბაზაძე, თეიდო ბეჟიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ეთერ თვარაძე, ზაურ კალანდია, ლევან მალაზონია, ელზა მეგრეველი, ზურაბ ნარმანია, ვაფა ჩორდელი (პასუხისმგებელი მდივანი), ნანა ჯაფარიძე.

სარედაქციო კოლეგია

ნოდარ გრიგალაშვილი, ბათუ დანელია, ვახტანგ რურუა, მამუკა სალუქვაძე, ზაალ სამადაშვილი, ზურაბ სამადაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გიგი სულაკაური, ვახტანგ ლლონტი, თემურ შავლაძე, ნუგზარ შატაიძე, მანანა ჩიტიშვილი, ედიშერ ფელიძე, კოტე ჯანდიერი, მაკა ჯოხაძე.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

5. **ნუგზარ შატაიძე** — ნოემბრის წვიმა. მოთხრობა
36. **ნინო ლოლდარიძე** — ლექსები
38. **ტრისტან ჩიხლაძე** — ლექსები
44. **ზაზა დვალიშვილი** — რკინის ქალამნები. რომანი. დასასრული
88. **ანა წაცვლიშვილი** — ლექსები
89. **ლანა შიუკაშვილი** — ლექსები
91. **ნინო კირთაძე** — ლექსები

წერილები

93. **გაიოზ იმედაშვილი** — ვეფხისტყაოსნისა და ქართული კულტურის საკითხები

ახალი თარგმანები

131. **ხოსე ორტეგა ი გასეტი** — ხელოვნების დეჰუმანიზაცია. ესპანურიდან თარგმა **ბაჩანა ბრეგვაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ შატაიძე



ნოემბრის წვიმა

მოთხრობა

„...ვითარცა იგი ნახსლევსა ვერ ხელეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით უკეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე არცა თქვენ, უკეთუ არა დაადგრეთ ჩემთანა... მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი... თვინიერ ჩემსა არა რა ძალ-გიძსთ ყოფად არცა ერთი. უკეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემთანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნახსლევი, და განჰხმეს, და შეჰკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან და დაიწვას".

იოანე (XV, 4, 5, 6)

— ბატონო, ბატონო? — ალექსანდრემ ყურზე ხელისგული შემოიდო, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და მესამე რიგში მჯდომ პარუნაშვილს ჩაწითლებული ქუთუთოების ხამხამით მიაჩერდა.

საკლასო ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

გარეთ ბნელოდა. ფანჯრის სველ მინებში საკლასო ოთახი ირეკლებოდა და იქაც, იმ ანარეკლშიც ზუსტად ისევე ყურზე ხელისგულშემოდებული იდგა მოხუცი ალექსანდრე, ზუსტად ისევე — ოდნავ თავგადახრილი მისჩერებოდა პარუნაშვილს და მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლის ხანგადასული მოსწავლეებიც სწორედ ისევე გაჩუმებულები და თავჩაღუნულები ისხდნენ მერხებზე.

— პარუნაშვილი, ადექი ახლავე და გაიმეორე, რაც თქვი!

— ნუ მიყვირით... — სახე მოეღრუბლა პარუნაშვილს.

— ადექი-მეთქი!

— კალსობრივ მტერს აქებთ, ბურჟუაზიულ პროპაგანდას ეწევით და კიდევ თქვენ ყვირით?!

— ვინ არის, ბიჭო, კლასობრივი მტერი?! — სახეზე შეცბუნებულმა ღიმილმა გადაურბინა მოხუცს.

— ვინ და მაგ ლექსის დამწერი.

ალექსანდრე გაფითრდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცარცით დასვრილი თითები გაიწმინდა, მერე პარუნაშვილს მიუახლოვდა, ყურში წასწვდა და თავი ღონივრად შეუქანჯალა.

საკლასო ოთახში სიოსავით გაირბინა ჩურჩულმა.

პარუნაშვილმა თავი უკან გასწია, მასწავლებელს ყურიდან ხელი გააშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინა, მაგრამ ალექსანდრემ მაინც იმარჯვა და ახლა მოკაკული შუა თითი ჩასცხო ოდნავ შემელოტებულ კინკრიხოში.

პარუნაშვილს გადატეტკილი ტუჩები ღიმილმა დაუბრიცა.

— მდაა... — გაგრძელებით წარმოთქვა მან.

ალექსანდრე გამობრუნდა, მაგიდასთან მივიდა, სკამი გამოსწია, დაჯდა და გამტკნარებულ კლასს მკაცრი მზერა მოავლო.

●

გარეთ წვიმდა.

ალექსანდრემ ქოლგა ვესტიბიულშივე გახსნა, გაშალა და მერე კარგა ხანს იწვალა, სანამ იმ გაშლილი ქოლგით კარში გაეტეოდა.

ნელი, ბებრული ნაბიჯით გაუყვა შინისაკენ. ტროტუარზე მოზრდილი გუბეები იდგა, მაგრამ რაკიღა კალოშები ეცვა, იმ გუბეებს მაინცდამაინც არ ერიდებოდა. ნოემბრის ცივი თქორით ჩამობურულ ბნელ ქუჩაში არავინ ჩანდა.

სკოლის შენობას რომ გასცდა, უკნიდან აჩქარებული ნაბიჯების ხმა შემოესმა. კოლია ფურცხვანიძე უნდა ყოფილიყო — სკოლის დირექტორი: შინისაკენ მიმავალს დაახლოებით აქ, ამ ადგილას წამოეწეოდა ხოლმე და მერე ერთად აგრძელებდნენ გზას.

გაჩერდა და უკან მიიხედა: კი, კოლია იყო — მაღალი, კალიასავით გამწლეული კაცი. იმ სიბნელეში, რა თქმა უნდა, მისი სახის გამომეტყველებას ვერ გაარჩევდა, მაგრამ ალექსანდრეს მაინც მოეჩვენა, რომ დირექტორი რაღაცას შეეწუხებინა, რადგან სხვანაირად მოადგამდა გრძელ ფეხებს.

მოახლოებისთანავე კოლიამ მიიხედ-მოიხედა, ცარიელი ქუჩა ფრთხილად დაზვერა და, იმის ნაცვლად, რომ ალექსანდრესთვის ჩვეულებისამებრ მკლავში ხელი გამოედო ან სახუმარო ეთქვა რამე, მკაცრი ხმით ჰკითხა:

— ეგ რა ჩაგიდენიათ, ბატონო ალექსანდრე, ა?..

— რა ჩამიდენია?!

— კი, მაგრამ, თქვენ იცით, ვინ არის პარუნაშვილი?

ალექსანდრე გაბრაზდა:

— შენ თუ იცი, რა გამიბედა?

— ვიცი, ბატონო, ყველაფერი ვიცი! მთელი სკოლა მაგაზე ლაპარაკობს.

— მერე?!

დირექტორმა ხელმეორედ მოათვალიერა ცარიელი ქუჩა, დაიხარა, მოხუცს ქოლგის ქვეშ შეუყო თავი და ჩურჩულით უთხრა:

— ჩეკისტია ეგ, ბატონო ალექსანდრე.

— ვინც უნდა იყოს!

კოლია შეკრთა, გასწორდა და ახლა ზემოდან ჩამოხედა მოხუცს. ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

წვიმდა. ქოლგას წურწურით ჩამოსდიოდა წვიმის წყალი.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვები ხომ არ არიან, როგორ შეიძლებოდა ეგრე, — თქვა ბოლოს კოლიამ.

— რა ვქნა ახლა, ბოდიში მოვუხადო? იქნებ შინ ვეახლო, დავუჩოქო და...

— არა, არა...

— აბა?

დირექტორი ჩაფიქრდა.

— ამაღამ სადმე სხვაგან რომ გაათენოთ?

— დავიმალო?

— და ჯერჯერობით ნურც სკოლაში მოხვალთ.

— კარგი, ერთი, თუ ხათრი გაქვს!

— ეგრე აჯობებს, ბატონო ალექსანდრე, დამიჯერეთ.

— მოიცა, მოიცა... შენ, მგონი, სამსახურიდან მითხოვ...

— ჯერჯერობით, ჯერჯერობით-მეთქი! — დირექტორი შებრუნდა და სველ ტროტუარს ჩქარი ნაბიჯით გაუყვა.

●

— გტკივა რამე, საშა?

ალექსანდრემ არ უპასუხა. ცოლის შეკითხვა არც გაუგია — მაღალზურგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან სავარძელში იჯდა, ხელები გამხმარ მუხლებზე დაეწყო და თვალებგაშტერებულს, შორეულ ფიქრებში წასულს, ოდნავ ურაცრაცებდა თავი.

უყვარდა ამ სავარძელში ჯდომა ალექსანდრეს. კაცმა რომ თქვას, არც წინათ იყო დიდი დაუდგრომელი ყმაწვილი, მაგრამ რაც პენსიაზე გავიდა და სამსახურს თავი დაანება, სულ შეიცვალა, ისე მოეშვა, გაზეთების საყიდლად აღარ გადიოდა ქუჩაში. ხეიბარივით მიეჯაჭვა იმ გაქუცულ სავარძელს, იჯდა და ან თვლემდა, ან კიდევ ფიქრობდა თავისთვის რაღაცას, — ათჯერ რომ გეკითხა, ერთ პასუხს არ გაგცემდა.

ელენე თავიდან ყურადღებას არ აქცევდა — რას იზამ, დაბერდა და გამოჩურჩუტდაო, — ფიქრობდა, მაგრამ როცა წვერის პარსვასაც მიანება თავი, მაშინ კი ძალიან შეშფოთდა, მიხვდა, რომ ალექსანდრემ ფარ-ხმალი დაყარა, სიბერეს ტყვედ დანებდა და ახლა მშვიდად, უდრტვინველად ელოდებოდა სიკვდილს.

ჯერ გაბრაზდა: ისე როგორ უნდა დალაჩრდეს ვაჟკაცი კაცი, რომ წინასწარ დაიკრიფოს გულზე ხელები და სამარეში ჩაწვეს, საკუთარი ნებით მოისპოს სიცოცხლეო, მაგრამ მერე შეეცოდა — ქმარი იყო მაინც, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეწეოდნენ ერთად ცხოვრების ჭაპანს და ამ ხნის მანძილზე, სიმწარესთან ერთად, სიტკბოც ბევრი ახსოვდა მისგან. ეზეც არ იყოს, ცოტათი საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა — შვილი რომ გვყოლოდა, ასე არ მოეშვებოდა, არ მოიმჩვარებოდა, შვილიშვილებს გადააყოლებდა გულს, იმათი სიყვარული გააძლებინებდა და გაუხალისებდა სიბერესო. ერთთავად იმის ფიქრში იყო, რა ვქნა, რით ვუშველო ამ კაცსო. ხან რას მოიგონებდა, ხან კიდევ რას: გადი, საშა, გარეთ, ნახე, რა ყაყაჩოსავით დღეაო! ე, ბიჭო, რამ მოგკლა, რა იპოვე ამ სახლში მაგისთანა, ადექი, გაისეირნე, თვალს წყალი დაალევინეო! ერთხელ თეატრის ბილეთები მოიტანა, ძალით გააპარსვინა წვერი, კოსტიუმი ჩააცვა, ჰალსტუხიც გააკეთებინა. წავიდნენ სპექტაკლზე, ხალხში გაერივნენ, თითო-ოროლა ნაცნობიც ნახეს. ალექსანდრე ცოტა გამოცოცხლდა, გამხიარულდა, მაგრამ მეორე დღეს ისევ ისე იჯდა თავის სავარძელში გაყუჩებული, გარინდებული, ფიქრებში წასული...

ბოლოს ელენე მიხვდა, რომ ალექსანდრეს არც ქუჩაში სეირნობა უშველიდა და არც სპექტაკლებზე სიარული — ამ კაცს უსაქმობა სპობდა. წინათ, სანამ სკოლაში მუშაობდა, საკუთარი თავი ქვეყნისთვის გამოსადეგ, საჭირო ადამიანად მიაჩნდა, ახლა კი ზედმეტ ბარგად ქცეულიყო და სწორედ ამიტომ იყო ასეთ დღეში. კაცი რომ უსაქმოდ დარჩება, რა ფასი აქვს იმის სიცოცხლეს.

ელენე მიდგა-მოდგა და თავისი ნამოწაფარი კოლია ფურცხვანიძე იპოვა. კარგად აუხსნა ყველაფერი, დაარიგა. ისიც მეორე დღესვე ეწვია შინ და იმდენი უჩიჩინა ალექსანდრეს, შენს იქით გზა არა მაქვსო, რომ დააჯერა კაცი!

ასე დაიწყო ალექსანდრემ საღამოს სკოლაში მასწავლებლობა. სულ რამდენიმე საათი ჰქონდა, კვირაში ორჯერ უწევდა მისვლა, მაგრამ ისე შეიცვალა, ისეთნაირად გადასხვაფერდა, ვერც კი იცნობდით — გამოცოცხლდა, გახალისდა, თითქოს გაახალგაზრდავდა კიდეც და ახლა ისევ ძველებურად გარინდებული და ფიქრში წასული რომ დაინახა, ელენემ იმიტომ ჰკითხა, ხომ არაფერი გტკივაო.

●

— გტკივა რამე, საშა?

ალექსანდრემ არ უპასუხა, ცოლის შეკითხვა არც კი გაუგია — გახევებულივით იჯდა, ხელები გამხმარ მუხლებზე დაელაგებინა და თვალებგაშტერებული ჩუმად ფიქრობდა.

ელენე მაგიდას მოსცილდა, წამოვიდა, ქმარს წინ დაუდგა და ნაღვლიანი ღიმილით მიაჩერდა.

ალექსანდრემ ახლაღა დაინახა ცოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰმ!.. ჰმ-ხ! — ჩაახველა მან.

— ადექი, ვივახშმოთ.

— ჰო, კაი, კაი. — მაგრამ ალექსანდრე ერთხანს კიდევ იჯდა და საწერ მაგიდასთან კედელზე მიმაგრებულ სურათებს მისჩერებოდა: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ილია ჭავჭავაძე. ქვემოთ, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული სიმამრის, პოლკოვნიკ გიორგი ჯანელიძის ფოტო...

— ადექი ახლა, ნუ გეზარება!

სავარძლის სახელურებს დაებჯინა, საიდანღაც შიგნიდან დაძრული კვნესა შეიკავა და წამოდგა, ძლივს აითრია წელი.

ელენეს ღარიბული სუფრა გაეშალა: ჩაი, პური, ყველი, ბლის მურაბა.

სკამი გამოსწია და დაჯდა.

— რაღაც ვერა ხარ გუნებაზე, — სასხვათაშორისოდ უთხრა ცოლმა.

ალექსანდრემ ჩაის მოურია და ქალს ისე მიაჩერდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო.

— ჰო! — წააქეზა იმან.

— დაებერდი, მგონი, ელიკო, — გაიღიმა ალექსანდრემ.

— უჰ, ახალი ამბავი! — ეჭვიანად შეათვალიერა ქალმა.

— ვინ გამახსენდა, თუ იცი? — მამაშენი... თვალწინ დამიდგა საწყალი — მხნე, მხიარული, ერთთავად მოცინარი.

ელენე ღიმილით მიაჩერდა ქმარს. ეტყობოდა, იმანაც წარმოიდგინა მარტოხელა, გადამდგარი პოლკოვნიკი — მაღალი, ჭაღარა, საყვარელი მოხუცი.

— გახსოვს, სახლი რომ ააშენა აღბულახში?

— ბაღი? მერე სად, მიუვალ კლდეზე!

— „პოლკოვნიკ დუანელიდზე სოშოლ სუმა, გდე ონ სტროიტ დომ?!“ — ვიღაცას გამოაჯავრა მოხუცმა.

ახლაც მახსოვს იმ ვაშლების სურნელი... ატამი? აჰ, რა ატმებს გვიგზავნიდა!

— პირველად რომ ვეწვიეთ, როგორი გრანდიოზული საღამო მოაწყო, ვინ არ დაპატიჟა... „მოია დოჩკა იზ პარიჟა!“ — ახლა სიმამრს გამოაჯავრა ალექსანდრემ. ეტყობოდა, კარგად გამოუვიდა, რადგან ელენემ ხმამაღლა გაიცინა.

— ძალიან გავბრაზდი, არ მომეწონა, ასე რომ წარმადგინა სტუმრებთან.

— ეჰ, უყვარდა საწყალს ტრაბახი...

— ცოლის შერთვა რომ მოინდომა? ოთხმოცი წლის ასაკში, წარმოგიდგენია?

— იცინე, ჰო, იცინე! ვერ გამოუჩნდა მშვენიერი საცოლე? თანაც ვინ — აბაშიძის ქალი!

— სულელი... ეგონა მოკვდება და მილიონებს დამიტოვებსო. რა იცოდა, ყელამდე რომ იყო ვალებში.

— მერე რა ახალგაზრდა, როგორი ლამაზი! რა დაგიმალო, ელიკო, და, ისეთ ქალზე მეც არ ვიტყოდი უარს!

— ჰო, შენც კარგი მუსუსი ხარ, ნუ გეშინია!

— ორი კვირით ადრე რომ არ მომკვდარიყო, ქე შეირთავდა და მეყოლებოდა ახლა ანგელოზივით სიდედრი!

ისხდნენ და იცინოდნენ. კუჭკუჭებდნენ ბებრულად. სულ დაავიწყდათ ჩაიც და ვახშამიც.

— მასე, შე კაცო, რომ ჩამოგეშვა ცხვირი და იჯექი... — სული ძლივს მოითქვა ბოლოს ელენემ.

— ეჰ, გიორგი, გიორგი... — ამოიოხრა ალექსანდრემ.

ელენემ ჩაი მოსვა და ქმარს შეცბუნებული ღიმილით მიაჩერდა:

— უყურე?! ეს ჩაი კი გაგვციებია და!..

●

ნავახშმევს ელენემ სუფრა აალაგა, ჭურჭელი გარეცხა, მერე ლოგინები გაშალა, ნავთის ლამპას ჩაუწია და დაწვა.

ალექსანდრემ ერთხანს კიდევ იბორიალა, სათვალე მოძებნა, დილანდელი გაზეთი გაშალა, გადაათვალიერა, მაგრამ როცა ცოლმა გამოსძახა — დაწექი, კაცო, დაისვენეო, — საწოლ ოთახში შევიდა, გაიხადა და ჩაწვა ლოგინში.

იცოდა, რომ არ დაეძინებოდა და, მართლაც, როგორ არ იწვალა, რამდენი არ იტრიალა, რული არ მიეკარა თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე. ელენეს მალე ჩაეძინა, ალექსანდრე კი იწვა და ისევ იმ შემთხვევაზე ფიქრობდა: თვალწინ ედგა პარუნაშვილის გაფითრებული სახე, მისი ავი გამოხედვა, აგონდებოდა კოლია ფურცხვანიძის სიტყვებიც — ჩეკისტია ეგრ, — და რაღაც ცივი, წებოვანი თხიერით ევსებოდა სული. იცოდა, რომ ამ გრძნობას გულში შემოპარული შიში იწვევდა და ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის — სულ ერთია, ვინც უნდა იყოს და სადაც უნდა მუშაობდესო, ფიქრობდა, მაგრამ იქვე მეორე ხმაც ჩაესმოდა, არა ხარ მართალი, სისულელე ჩაიდინე ნამდვილადო. რა ვქნა, აბა, მივიდე, მუხლებში ჩავუვარდე და პატიება ვთხოვოო? — საკუთარ თავზე ბრაზობდა ალექსანდრე, მაგრამ ის შინაგანი ხმაც ჩასაფრებულივით იქვე იყო: არ გიშველის ეგ, ჩემო ალექსანდრე, აღარაფერი გიშველის, ის პარუნაშვილია თუ ვიღაცა ოხერი, მართლა ენკავედეში თუ მუშაობს, არ გაპატიებს ყურების ჭყლეტასა და თავში კაკუნს, გათავებულია შენი საქმეო. კოლია ფურცხვანიძის ხმას ჰგავდა ეს ხმა. მეც კარგი ვინმე ვარო, ფიქრობდა გულში, მართლა და მართლა პატარები ხომ არ არიან, სიტყვიერად გამეკიცხა, გამეთათხა თუ გინდა, ეს ყურის აწევა და თავში რახუნი რაღამ მომაგონაო. შინაგნი ხმა კრინტს აღარ ძრავდა, მაგრამ ალექსანდრე მაინც გრძნობდა, რომ იქვე იყო, მისი ტვინის რომელიღაც კუნჭულში განაბულიყო და ჩუმად უთვალთვალებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა და ესიზმრა, ვითომ, საკლასო ოთახში მერხზე იჯდა, მერხებს შორის დინჯად მიმოდიოდა ზურგზე ხელებშემოწყობილი ევდოკიმ რომანოვიჩ კატუროვი — ჟღალწვერულვაშიანი, შავსერთუკიანი მასწავლებელი და წამღერებით ამბობდა:

— ოტ-ჩე ნა-ა-შ...

— ოჩე ნააშ! — გაჰკიოდნენ მოსწავლეები.

ზოგი მართლა „ოჩეს“ გაიძახოდა, ზოგიც „ოჩის“ და იდგა ერთი ყურთასმენის წამღები ღრიანცელი.

— ხორომ! — ბრძანებდა კატუროვი.

— ოჩე ნააშ, ხორომ! — იმეორებდნენ დაბნეული მოსწავლეები.

— ოტ-ჩე ნ-ა-ა-შ, ი-ჟე ე-სი ნა ნე-ბესააახ... ხორომ!

ამ შეძახილზე მთელი კლასი გუგუნებდა და ალექსანდრე ვითომ ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ სიტყვა ვერ დაეძრა, ხმა არ ამოსდიოდა ყელიდან, ამიტომ პირზე ხელებს იფარებდა, არ უნდოდა მასწავლებელს მისი ეს პასიურობა შეემჩნია, მაგრამ კატუროვი, რომელიც ახლაც რატომღაც პარუნაშვილად გადაქცეულიყო, მაინც მიუხვდა თვალთმაქცობას, გაბრაზებული მიეჭრა და „ვოტ, ტებე! ვოტ, ტებე“-ს ძახილით თავპირში წკეპლა დასცხო.

გამოეღვიძა შეშინებულს, ხელებაკანკალებულს.

ლამპა ჩამქრალიყო და ოთახში ნავთის სუნი იდგა. ბნელოდა.

გულაღმა იწვა და კოშმარული ზმანებიდან გამორკვევას ცდილობდა. ნელნელა მოდიოდა გონს. ბოლოს ცოლის მშვიდ სუნთქვას მიუგდო ყური, საბოლოოდ გამოფხიზლდა.

სიზმარმა ბავშვობა და მოწაფეობის ხანა გაახსენა: ყოველდღე, გაკვეთილების დაწყებამდე, მასწავლებელი ბავშვებს ერთ დიდ საკლასო ოთახში მოუყრიდა თავს და ყველანი ერთად ამბობდნენ „ოტჩე ნაშ“-სა და „პრებლაგაი გოსპოდის“, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი — „ბლოგოდარიმ ტია, სოზდატელიუს“. ეს ლოცვები მასწავლებელმა ბავშვებს პირველ სამ კვირაში გააზეპირებინა და მხოლოდ ამის შემდეგ დააწყებინა რუსული ანბანის შესწავლა. სწავლების მეთოდი მარტივი და, ამასთან, სრულიად გამოუსადეგარი იყო: მასწავლებელს ხელში ეჭირა წიგნი და დამარცვლით კითხულობდა ცალკეულ სიტყვებს, მოსწავლეები იმ სიტყვებს გუნდურად იმეორებდნენ და თან მერხზე გადაშლილი წიგნის ფურცელს მარჯვენა ხელის სალოკ თითს აყოლებდნენ. მასწავლებელი ზოგჯერ წყვეტდა კითხვას და ამოწმებდა, ყველა ბავშვს

ედო თუ არა თითი საჭირო სიტყვასთან. ვაი, მისი ბრალი, ვინც ცდებოდა. ასეთებისათვის კატუროვს მზად ჰქონდა მოქნილი წკეპლა, რომელსაც მუდამ ზურგს უკან მალავდა ხოლმე. ამ მეთოდით ანბანის შესწავლა ბავშვებს ძლიერ უჭირდათ და ამიტომ მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგღა ახერხებდნენ, ასე თუ ისე, თავისუფლად კითხვას. სამაგიეროდ, სკოლა ისე დაამთავრეს, რომ სრულიად არ იცოდნენ ქართული წერა-კითხვა. ქართული ენის სწავლება მხოლოდ ცხრაასხუთში შემოიღეს, როცა ალექსანდრე უკვე თვითონ იყო მასწავლებელი.

ერთხელ, როცა ალექსანდრე სასწავლებლის კურსს ამთავრებდა, მამამ —შეძლებულმა, მაგრამ უწიგნურმა გლეხმა, შინ ქართულად ნაწერი ქაღალდი მოიტანა და სადილის შემდეგ შვილს მისცა: — შენს გაზრდას, წამიკითხე ერთი, რა წერია შიგო, — თან მაგიდის გარშემო შემომწკრივებულ, მრავალრიცხოვან ჯალაბს ფარული სიამაყით მოავლო თვალი, აი, სად გამომადგა შვილის განსწავლულობა, ტყუილად როდი ვიხდი სკოლის ფულსო. ალექსანდრე ფურცელს ჩააშტერდა, მაგრამ რაკი ვერაფერი გაუგო, მამას დამნაშავესავით მიაჩერდა და წაილულლუღა, ქართული კითხვა არ ვიციო. როგორ, ამდენი ხანია სკოლაში დადიხარ და კითხვა არ იცი?! გაოცდა მამა, ეგ არის სწავლა? ფუი, მაგისთანა სკოლას და მაგისთანა მასწავლებელს! ხვალიდან აღარ გნახო იქ მისული, აიღე თოხი და გამომყევი ყანაშიო... საქმეში დედა ჩაერია: ნუ იცი, კაცო, მასე შენო, — უთხრა ქმარს, ქართულის სწავლას რად უნდა სკოლა, აგერ ნახავ, ერთ თვეზე თუ არ შევასწავლო ანბანიო.

მართლაც, მეორე დღესვე დედამ ალექსანდრეს წინ დაუდო გადაშლილი წიგნი და უთხრა: აი, ეს არის „ა“. აბა, ამისთანა სხვაგანაც მიპოვე! ალექსანდრემ მაშინვე უპოვა. ჰოდა, უთხრა დედამ, მაგას ჰქვია „ა“. აბა, კიდევ მიპოვე „ა“. ალექსანდრემ კიდევ იპოვა. რა ჰქვია, შვილო, მაგასა? „ა“ — უპასუხა ალექსანდრემ. ყოჩაღ! — შეაქო დედამ. აკოცა და თავზე ხელი გადაუსვა. ასე ასწავლა მთელი ანბანი. მერე წერაზე გადავიდნენ: იშოვეს ხარის დიდი ბეჭი, გაწმინდეს, გააპრიალეს, მოიმარაგეს თავმოწვარი ჩხირებიც. დედამ გაპრიალებულ ძვალზე ჩამოწერა ასოები და უთხრა: ეს არის „ანი“, ეს — „ბანი“, „განი“, „დონი“, „ენი“... აბა, გაიმეორე. ალექსანდრემ გაიმეორა. ახლა დამიწერე „ანი“. ალექსანდრემ ადვილად დაუწერა, რადგან ხელი უკვე კარგად ჰქონდა გაწაფული სკოლაში მეცადინეობით. ახლა დამიწერე „ბანი“ — უთხრა დედამ. ესეც დაუწერა და მერე მიაყოლა „განი“, „დონი“ და „ენი“. ასე და ამგვარად, ზუსტად ერთ თვეში ისწავლა ქართული წერა-კითხვა. დედას ჰქონდა მზითვში მოყოლილი წიგნები: „ვეფხისტყაოსანი“, „ალექსიანი“, „დავრიშიანი“, „ყარამანიანი“ და მალე ისე გაიწაფა მათ კითხვაში, რომ დედასაც კი სჯობნიდა.

ალექსანდრემ ამოიოხრა და საწოლში გვერდი იცვალა. საკვირველი იყო — დედა მუდამ ახალგაზრდა ახსოვდა, არადა, მამისაგან განსხვავებით, საწყალმა დიდხანს იცოცხლა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. ხშირად ცდილობდა, რომ მოხუცებული დედა გაეხსენებინა — ძველ ქართულ კაბაში გამოწყობილი, ჩიხტიკოპით თავდახურული, ფარდაგგადაფარებულ ტახტზე მჯდომარე, მაგრამ მუდამ უჭირდა ეს და ახლაც, როცა თავს ძალა დაატანა და ოთხმოც წელს გადაცილებული, სახედაღარული დედაბერი წარმოიდგინა, ვერაფრით დაუკავშირა იგი დედას — ახალგაზრდას, ლამაზად მოღიმარსა და ტკბილად მოუბარს.

მამა შედარებით ბუნდოვნად ახსოვდა. ზოგჯერ თვალწინ დაუდგებოდა მისი კუშტი სახე, ეჭვიანი გამოხედვა, დიდი, მძიმე ხელები, რომლებითაც სულ მუდამ რაღაცას აკეთებდა: ან სახრე ეჭირა და ხარებს მიერეკებოდა, ან თოხს უბაყუნებდა ყანაში, ან ცელს ლესავდა, მერე კი მუხლამდე აყვავებულ ბალახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგარი თიბავდა; შეშას ჭრიდა, ბარავდა, ქვევრს რეცხავდა, ურმის ფერსოს თლიდა, გოდორს წნავდა, ვენახიდან ამოსული, მუშაობით დაღლილი, ცივ ჭადს იფშვნიდა ლობიოს ჯამში...

ბოდაიბოს ოქროს საბადოებიდან დაბრუნებულს, მამა ცოცხალი აღარ დაუხვდა. მის ნაცვლად, სამების გორაზე, სოფლის კედელთან, მიწის ერთი პატარა ბორცვი აჩენილ, რომელზეც უკვე ამოსულიყო ბალახი. იმ ბორცვთან მთელი საღამოს განმავლობაში იჯდა ალექსანდრე, თამბაქოს ეწეოდა და ფიქრობდა თავის უიღბლო ცხოვრებაზე, სხვადასხვა ციხეებსა თუ ტაიგაში გატარებულ უაზრო წლებზე, მამაზე, რომელიც აქ, ამ ბორცვის ქვეშ იწვა გულხელდაკრეფილი, უზრუნველად იხრწნებოდა და მშვიდად უერთდებოდა იმ მიწას, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჩაჰბღუოდა მუშა ხარივით.

იმ უზრუნველობაში, იმ სიმშვიდეში ხედავდა მაშინ ალექსანდრე ცხოვრების აზრს. ციხეებსა და გადასახლებაში გაწამებული კაცისაგან ეს არც იყო გასაკვირი, მაგრამ იმ საღამოდან მოყოლებული, მერეც ყოველთვის სიმშვიდეს მიელტვოდა, მისკენ მიისწრაფვოდა, ერთხელ უნებურად ფეხგადაბრუნებული მუდამ ცდილობდა, ფრთხილად ევლო, რადგან ძალზე მწარედ ახსოვდა მაშინდელი მარცხი, მაშინდელი ტკივილი.

ახლაც, სიბერეშიც, ხშირად იგონებდა იმ საშინელ დამცირებასა და ტანჯვას, რაც ციხეებში ეგემა, მაგრამ იგონებდა თავისთვის, ფიქრში. ხმამაღლა ამის შესახებ არავისთვის, თვით ელენესთვისაც არასოდეს არაფერი უთქვამს.

დაჭერით კი დაიჭირეს, როგორც ახლა ფიქრობდა, სრულიად უაზროდ, საკუთარი გულუბრყვილობის, უფრო სწორად, სიბრიყვის გამო. ცრხაასექვსის სექტემბერის მიწურულში, როცა ალექსანდრე ზუგდიდის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა, მისივე კოლეგამ, სკოლის მეორე მასწავლებელმა, ფედერალისტთა ზუგდიდის საგანგებო კომიტეტის წევრმა ვასიკო ალშიბაიამ ალექსანდრე კომიტეტის სხდომაზე წაიყვანა. კაცმა რომ თქვას, ალექსანდრეს იქ წასვლა სულაც არ უნდოდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, პოლიტიკაში არ გარეულიყო, მაგრამ ვასიკოს ხათრი ვერ გაუტეხა და წაჰყვა სხდომაზე, სადაც თურმე ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ირჩეოდა: „ესფერებს“ (ასე ეძახდნენ სოციალ-ფედერალისტებს) უნდა გამოეტანათ გადაწყვეტილება მაზრის უფროსის ვასილი კეღაშოვისა და მისი ორი ბოქაულის — კვარაცხელიას და შენგელაიას მოკვლის შესახებ. კეღაშოვისთვის წინა სხდომაზევე გამოეტანათ განაჩენი, ხოლო ბოქაულების შესახებ კამათი კარგა ხანს გაგრძელებულა და მათი საქმე ღიად დარჩენილა. კომიტეტის იმდღევანდელ სხდომაზე, რომელსაც ალექსანდრეც დაესწრო, ვასიკო ალშიბაია ამტკიცებდა, რომ ბოქაულების დახოცვა სრულიად ზედმეტი იყო, რადგან ისინი კეღაშოვის ხელში მხოლოდ ბრმა იარაღს წარმოადგენდნენ. ალექსანდრეს ხმის უფლება მიანიჭეს და საკითხს კენჭი უყარეს. ალექსანდრე, ცხადია, ვასიკოს მიემხრო და ბოქაულებსაც სწორედ ამან შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ვასილი კეღაშოვისათვის სასიკვდილო განაჩენი წინა სხდომაზევე ჰქონდათ გამოტანილი და ამის შესახებ ალექსანდრესთვის, რა თქმა უნდა, არაფერი უკითხავთ. ისე კი ილაპარაკეს ქუთაისიდან ბომბის ჩამოტანაზე, იმაზე, რომ ეს საქმე უნდა დაევალებინათ ვინმე ჩხეიძისათვის, რომელიც ზუგდიდში ჩამოტანილ ბომბს ვანო ჭანტურიას აფთიაქში დააბინავებდა, მაგრამ კეღაშოვს ბედმა გაუღიმა — ბომბის ჩამოტანის მეორე თუ მესამე დღეს იგი შვებულებაში გავიდა და მთელი ერთი თვე ზუგდიდში აღარ გამოჩენილა. კომიტეტის ის სხდომა კი ვიღაცამ გასცა — ბოქაულმა შენგელაიამ ბომბი იპოვა და კომიტეტის ყველა წევრი ერთ ღამეში დააპატიმრა. სხვებთან ერთად, დაიჭირეს ალექსანდრეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის მაშინდელი კანონის მიხედვით, პოლიტპატიმრებისათვის სამი კატეგორიის დანაშაული იყო კლასიფიცირებული: სიტყვიერი გამოსვლა ხელმწიფისა და მთავრობის წინააღმდეგ, რაც ისჯებოდა სამ წლამდე პატიმრობით მოქალაქეობრივი უფლებების აყრის გარეშე. მეორე კატეგორიის დანაშაულად ითვლებოდა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების საწინააღმდეგო ფარული საზოგადოების თუნდაც პასიური წევრობა. ეს დანაშაული ოთხ წლამდე კატორღითა და მოქალაქეობრივ უფლებათა სრული აყრით ისჯებოდა. მესამე კატეგორიის დანაშაული იყო ფარული ორგანიზაციის წევრობა და, ამასთან, შეიარაღებული მოქმედება, რაც კატორღით ან სიკვდილით ისჯებოდა.

ალექსანდრე მეორე კატეგორიის დამნაშავედ სცნეს და ოთხი წლით საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნა და ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს.

შეთქმულებს ციხეში ამბავი მოუვიდათ, რომ კეღაშოვს, შურისძიების მიზნით, სასამართლოზე ზემოქმედება მოეხდინა და ზოგიერთი მათგანის სასჯელი ხელოვნურად დაემძიმებინა. პატიმრებმა საიდუმლოდ მოითათბირეს და ფედერალისტთა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს მისი დასჯის მოთხოვნა გაუგზავნეს. კომიტეტმა კეღაშოვის მოკვლა დაავალა პროფესიონალ ტერორისტ პლატონ მიქაბერიძეს, რომელსაც ადრე ალიხანოვ-ავარსკი ჰყავდა დაჭრილი.

მიქაბერიძემ შეიტყო, რომ კეღაშოვი ქუთაისში იმყოფებოდა, ქალთა გიმნაზიასთან ქუჩაში ჩაუსაფრდა და როცა მისი ეტლი გამოჩნდა, ბრაუნინგის სროლით დაედევნა უკან. პლატონმა კეღაშოვის ერთგული ინგუში მცველი ბიცქა ჩიტივით გადმოაგდო კოფოდან, მაზრის უფროსს ეტლში შეუხტა და რადგან რევოლვერში ერთი ტყვიაღა დარჩენოდა, კეღაშოვის თავი იღლიაში ამოიდო, ბრაუნინგის ლულა საფეთქელზე მიადო, და ჩახმახს ფეხი გამოუშალა.

რაკი ეგონა, კეღაშოვი მოკალიო, პლატონი ეტლიდან ჩამოხტა და ბრაუნინგი ვარს თვალწინ გაუქრა. მოხდა დაუჯერებელი რამ: ტყვიამ მაზრის უფროსს საფეთქელში გაუარა, შუბლიც გაუხვრიტა, მაგრამ მაინც ვერ მოკლა!

სანამ ტუსაღებს შორეული რუსეთის გზას გაუყენებდნენ, სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების საგუბერნიო კომიტეტებთან შეთანხმებით გადაწყდა ციხეში გვირაბის შეყვანა და იქიდან პოლიტპატიმრების გაპარება. გვირაბი უნდა გაეთხარათ „ესფერთა“ პარტიის წევრის ვარლამ ფანცხავას სახლიდან, რომელიც ციხეს ემიჯნებოდა, ქუჩის იქით ვარლამის სახლი იდგა, აქეთ — ციხე. ცხადია, ისიც გაითვალისწინეს, რომ საბოლოოდ გვირაბის ამბავი გაირკვეოდა და სახლის პატრონს სასჯელი არ ასცდებოდა. საქმე ისე უნდა მოეწყოთ, რომ ვარლამი და მისი ოჯახი თვითონ მთავრობას გაესახლებინა იქიდან. ამისათვის პატიმრებმა ციხის შენობის ფანჯრებიდან დაუწყეს ლაპარაკი ვარლამს და მისი ოჯახის წევრებს, მის ეზოში ისროდნენ პურის გულში გახვეულ პატარა ბარათებს და ეს მანამ გაგრძელდა, სანამ ადგილობრივი ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით ფანცხავამ თავისი ოჯახით არ მიატოვა ბინა და სხვაგან არ გადასახლდა. ვარლამმა სახლი შინაური პირობით მიაქირავა ერთ ქალს, სოციალდემოკრატიული პარტიის წევრს, რომელმაც პირობის ქაღალდზე სხვისი სახელით მოაწერა ხელი.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის, „ესფერთა“ საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელის გიორგი ზდანევიჩის დახმარებით, ჭიათურიდან ჩამოიყვანეს მაღაროს პროფესიონალი მეგვირაბეები და შაფი ინჟინერი. მუშაობა ფანცხავას სახლის სარდაფიდან დაიწყო და მეთექვსმეტე დღეს გვირაბმა ციხის ერთ-ერთი საკნის საწოლქვეშ ამოყო თავი. გზა ხსნილი იყო, მაგრამ ტუსაღებს კიდევ რამდენიმე დღის ლოდინი დასჭირდათ, რადგან გარეთ პასპორტებისა და ტანისამოსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამზადება ვერ მოესწროთ. ციხის კომიტეტმა შექმნა გაქცევის საორგანიზაციო საბჭო, რომელმაც შეადგინა პოლიტპატიმართა სია. ციხიდან გასვლა იმ სიის მიხედვით უნდა მომხდარიყო. სია იმისთვის უფრო იყო საჭირო, რომ გვირაბში გასვლისას გარკვეული წესრიგი ყოფილიყო დაცული, თორემ პატიმართა მასიური გაქცევა ისეთ მოძრაობასა და ქაოსს გამოიწვევდა, რომ უთუოდ ადმინისტრაციის ყურადღებას მიიქცევდა.

ბოლოს დადგა ნანატრი დღეც. ტუსაღები სათითაოდ ჩადიოდნენ პირველი სართულის საკანში, ძვრებოდნენ გვირაბში, ხოხვით გადიოდნენ თორმეტნახევარ საჟენს და ამოდიოდნენ ფანცხავას სახლის სარდაფში, სადაც მათ „გუბკომის“ წარმომადგენლები ახვედრებდნენ პასპორტებს, ფულსა და მშვენიერ, ახალთახალ ტანსაცმელს. სმოკინგებში, ფრაკებსა და ცილინდრებში გამოწყობილი პატიმრები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ ფანცხავას სახლიდან, ციხის ყარაულების თვალწინ სხდებოდნენ საგანგებოდ მათთვის დაბახებულ ეტლებში და სასწრაფოდ ტოვებდნენ იქაურობას.

ერთადერთი კაცი, ვინც სიაში იყო, მაგრამ ციხიდან ვერ გავიდა, ალექსანდრე გახლდათ...

●

გარეთ ისევ გაწვიმდა, ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთები აწკაპუნდა. ალექსანდრე საბოლოოდ გამოფხიზლდა. ერთხანს კიდევ იწვა და ცოლის სუნთქვასა და წვიმის ხმაურს ყურს უგდებდა, მერე ადგა, სიბნელეში, იატაკზე მიყრილ ფლოსტებში ფეხები წაჰყო, სკამის საზურგეზე გადაკიდებული ზოლიანი ხალათი მოიცვა და სასტუმრო ოთახში გავიდა.

ამ მოზრდილი, ფართო ოთახიდან ქუჩაში ორი ფანჯარა გადიოდა. გარეთ, სახლის წინ, ხის მაღალ ბოძზე ძიმაგრებული ეული ნათურა ბჟუტავდა და ფანჯრიდან შემომავალი მისი შუქი იქაურობას მკრთალ ნათელს ჰფენდა. ალექსანდრემ თხელი, გამჭვირვალე ფარდა გადასწია და ქუჩას გახედა. წვიმდა. ნათურის შუქზე მოჩანდა, როგორ ალმაცერად უჟაჟუნებდა წვიმის წვეთები. იდგა და ჩუმად უყურებდა წვიმას, სველ ქვაფენილს, ქუჩის გასწვრივ ჩარიგებულ ფოთოლგაძარცულ აკაციებს, სიბნელეში უცხო კაცებივით რომ იდგნენ.

სულ მუდამ ეგონა, რომ სწორედ ასეთ ამინდში — ნოემბრის ციკ, წვიმიან ღამეს უნდა მომკვდარიყო. ზაფხულში და, მით უმეტეს, გაზაფხულზე სიკვდილი უაზრობად, ბედის მწარე დაცინვად მიაჩნდა. ისე ხშირად ფიქრობდა ამაზე, რომ ჭირივით შესძულდა წვიმაცა და ნოემბრის თვეც. იმ საბედისწერო ჟამის წარმოდგენაზე მუდამ მძიმე ნაღველი აწვებოდა ხოლმე გულზე, ცხოვრების ხალისი ეკარგებოდა და ერთადერთი სურვილიღა რჩებოდა — მჯდარიყო თავისთვის სამების გორაზე, მამის საფლავთან და ფიქრებში გართულს, სწორედ იქ დაესრულებინა თავისი ტკბილმწარე სიცოცხლე.

რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ იმ გორაზე, მისი მშობლიური სოფლის ეკლესიის შაბიამნისფერ კედელთან სიკვდილი უფრო ბუნებრივი, ლოგიკური და, ამდენად, გაცილებით უფრო იოლი უნდა ყოფილიყო, ვიდრე აქ, ამ მიუსაფარ უცხო ქალაქში. მაგრამ მაინც რა იყო სიკვდილი — დასასრული თუ დასაწყისი? ალექსანდრეს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე სწამდა, რომ სიკვდილი იყო ის საშინელი რამ, რაც დაუნდობლად სპობდა და ანადგურებდა ყოველივე ამქვეყნიურს, რაც უსულო ლეშად აქცევდა ადამიანს და ეს თავზარდამცემი აზრი თავგზას ურევდა, სიცოცხლის ხალისს უკარგავდა და მუდამ მწარე ნაღველში ხვევდა, მაგრამ ბოლო ხანებში მისი უნუგეშობის ღამეულ ცაზე შორეული ვარსკვლავივით აჭიატდა რაღაც იმედი, მართალია, ჯერ სულ მცირე, უმნიშვნელო, ეჭვის ჭიასთან სუსტად მებრძოლი, მაგრამ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი, რომ სიკვდილი იყო დასაწყისი დიადი და შეუცნობელი რეალობისა.

ეს იმედი ჯერ იმდენად უძლური იყო, რომ შვებას ვერ ჰგვრიდა, ამღვრეულ სულს ვერ უმშვიდებდა, მაგრამ იმ შუქურას კი ჰგავდა, მღელვარე ზღვის სტიქიაში მობორიალე გზააბნეულ, მარტოსულ ნავს გეზს რომ აძლევს და შორეული ნაპირის მიმართულებას უჩვენებს. თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ იმ მიმართულებით უნდა ევლო, იმ ნაპირისკენ უნდა ეცურა, რადგან სწორედ იქ, იმ აღთქმულ მიწაზე იყო ის, რასაც ეძებდა, რაც ნაღველსა და ტანჯვა-ვაებას განუქარვებდა.

ახლაც ზეპირად ახსოვდა ძალიან დიდი ხნის წინათ დედის მიერ ნასწავლი ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი. იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნითი უკუნისამდე". მაშინ, იმ შორეულ ბავშვობაში, როცა ამ სიტყვებს იმეორებდა, ცხოვრება საგულდაგულოდ დალაგებული ეჩვენებოდა — ქვას, ბალახს, ყოველ სულიერს, თავად მას, მის მშობლებს, სოფელს და მთელს ქვეყნიერებასაც ერთი პატრონი ჰყავდა — უსაზღვროდ კეთილი და სამართლიანად მკაცრი მამაღმერთი. ის წარმართავდა ყოველივეს, ის იყო ადამიანის მფარველი და წინამძღოლი; მითსვის უნდა დაგეჯერებინა, მას გაჰყოლოდი და ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ გადიოდა დრო, ალექსანდრე იზრდებოდა, დღითიდღე შორდებოდა დედის თბილ კალთას, მამის მზრუნველ, კოჟრიან ხელებს და თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ ცხოვრება გაცილებით უფრო მკაცრი და დაუნდობელი იყო, ვიდრე ეგონა. ღმერთი არ ერეოდა კაცის საქმეში და თუ ის მაინც არსებობდა, არსებობდა თავისთვის, მარტო — ქვეყნიერებიდან ძალიან მოშორებულ კუთხეში და სულაც არ აინტერესებდა მის მიერ შექმნილი ადამიანის ბედ-იღბალი.

ღმერთის არსებობაში პირველად მაშინ შეეპარა ეჭვი, როცა ათი-თორმეტი წლისამ უყურა თუ როგორ მოკლა მეზობლის ბერიკაცმა კეტის ცემით ბოსლის ბოძზე მიბმული საკუთარი ბებერი ძაღლი. მერეც, დიდობაშიც, მუდამ ახსოვდა საბრალო ცხოველის დაჩეჩქვილი, გასისხლიანებული სხეული, მისი შემზარავად ადამიანური კვნესა და თვალები, ერთდროულად ორ გრძნობას — საშინელ ტანჯვასა და გამაოგნებელ ერთგულებას რომ გამოხატავდა. ახსოვდა ისიც, ის ბერიკაციც, რომელმაც თავისი საქმე რომ მოათავა, იქვე, რუშივე ამოიბანა ხელები და ვალმოხდილი კაცის კმაყოფილი იერით მიუჯდა ლაფარაში გაშლილ პატარა სუფრას. ხოლო მერე, დიდი ხნის შემდეგ, როცა საკუთარ ტყავზე გამოსცადა ნოვოროსიისკისა და ორიოლის ციხეების პატიმართა არაადამიანური, დამამცირებელი ყოფა, ზნამენკისა და ბოდაიბოს კატორღული ცხოვრების აუტანელი, სულისშემხუთველი წესი, უფრო მეტად გაუძლიერდა ეჭვი, რომ მამაღმერთი ადამიანის მიერ გამოგონილი ისეთივე ზღაპრული პერსონაჟი იყო, როგორიც ხუთკუნჭულა, კუდიანი დედაბერი თუ ხელმწიფის ოქროსქოჩრიანი ვაჟი.

ხოლო ახლა, როცა მქრქალ ბურუსში სულ უფრო და უფრო კანთიელად მოჩანდა იმედის შორეული ნაპირი, ალექსანდრე დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ ჭეშმარიტი ცხოვრების გზას აცდენილი სულ სხვა მიმართულებით წასულიყო, სხვა ბილიკს დასდგომოდა და სხვაგან გასული, ახლა დაბნეული ათვალიერებდა იქაურობას — უცნაურსა და სრულიად უცხოს.

ორიოლის საკატორღო ციხეში გატარებული ოთხი წლის შემდეგ, როცა ციმბირში გადასახლებული ზნამენკაში ჩაიყვანეს, იქ, ერთი ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძავის ქოხში, ალექსანდრემ შემოხვევით სარკეში ჩაიხედა და ელდა ეცა — სარკიდან საკუთარი მამა შემოსცქეროდა. დაზაფრული და მოულოდნელობისაგან თავზარდაცემული გვიანღა მიხვდა, რომ ის ნაადრევად დაბერებული, სახედაღარული ჭაღარა კაცი თვითონ იყო და ეს უცნაური გრძნობა ძალიან ჰგავდა იმას, ახლა, ამ სიბერეში რომ განიცდიდა — ეჩვენებოდა, თითქოს, მაშინდელივით ახლაც დაბნეული, გაოგნებული იდგა სარკესთან და საკუთარი სულის ანარეკლს ვეღარა სცნობდა, რადგან იქიდან, იმ სარკიდან სულ სხვა კაცი შემოსცქეროდა. ჰო, სხვა, რადგან ადამიანს საკუთარი თავი ცოტათი მაინც უკეთესი ჰგონია, ვიდრე სინამდვილეშია და ახლა, შორეული ნაპირის ხილვით თვალახელილი ალექსანდრე, ცხადად ხედავდა იმ უცხო, სრულიად უცნობ ადამიანს, რომელიც სინამდვილეში თავადვე იყო.

●

ეს შინაგანი ცვლილება თუ შემობრუნება თავისით არ დაწყებულა.

შარშან, დეკემბრის ერთ ჭახჭახა ყინვიან კვირადღეს, როცა ალექსანდრემ სარდაფიდან შეშა ამოიტანა და ღუმელის დანთებას შეუდგა, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა და ცოტა ხნის შემდეგ ელიკო ოთახში მათ ახალ მეზობელს — ნიკოს შემოუძღვა.

ნიკო იყო ასე, ორმოციოდე წლის, საშუალო ტანის, ოდნავ მელოტი, შავგვრემანი კაცი. ჰქონდა რაღაც განსაკუთრებულად შავი, ერთთავად მბრწყინავი თვალები და თეთრი, ნაფოტა კბილები. ამ თვალებისა და კბილების გამო ადამიანი მათი პატრონის მიმართ უნებლიე ნდობით იმსჭვალებოდა. ასე მოუვიდა ალექსანდრესაც და არა მარტო ალექსანდრეს, თვით ელენესაც კი, რომელსაც ძალიან არ უყვარდა უმიზეზოდ მხიარული, კრეჭია ადამიანები.

ნიკოს ჭადრაკის ყუთი ეჭირა ხელში, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ჭადრაკის თამაში ახალ მეზობლებთან და ახლოების საბაბი უფრო იყო, ვიდრე თავგადაკლული მოთამაშის ჟინი: ორი პარტიის მერე ფიგურები ყუთში ჩაალაგა, ფეხი ფეხზე გადაიდო და საკუთარი ამბების მოყოლა დაიწყო. თითქმის მთელი საღამოს განმავლობაში იგი მოხუც ცოლ-ქმარს გულწრფელად, რაღაცნაირი ბავშვური მიამიტობითა და უშუალობით უამბობდა თავის საკმაოდ ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ თავგადასავალს, უცნაური გულუბრყვილობით ლაპარაკობდა საკუთარ გრძნობებზე, მიზნებსა და მისწრაფებებზე და ალექსანდრეს ეჩვენებოდა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც წლოვანების მიხედვით შვილად თუ ერგებოდა, განსაკუთრებულ ნდობას უცხადებდა ორთავეს და ამის საფასურად მათგანაც ისეთსავე გულახდილობასა და მიმნდობლობას თხოულობდა. ამგვარი რამ მარტო ციხეში თუ ენახა — ადამიანები მხოლოდ იქ იყვნენ ასეთი უშუალონი, გულწრფელნი და ამიტომაც იოლად უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს მეგობრობა ხშირად დღენაკლული აღმოჩნდებოდა ხოლმე, რადგან გარეთ აღარ გასდევდათ და ძველი, გამოუსადეგარი ტანისამოსისა არ იყოს, იმასაც იქვე, ციხის კედლებშივე ტოვებდნენ. პატიმრობაში შეძენილი მეგობარი მართლაც ძალიან ჰგავდა ათას ადგილზე გამომწვარ დაბამბულ ქურთუკს, რომელიც რამდენადაც საჭირო და გამოსადეგია ცივ საკანში, იმდენად სრულიად ზედმეტი და ხელისშემშლელი აღმოჩნდება ხოლმე ციხის გარეთ.

იმ საღამოს შემდეგ საოცრად სწრაფად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ან ჭადრაკს თამაშობდნენ, ან სამოვარს უსხდნენ და ტკბილად მასლაათობდნენ. ხანდახან, თუკი მიზეზი გამოჩნდებოდა, სვამდნენ ღვინოსაც. ასეთ დროს ალექსანდრე უფრო გულახდილი და ენამჭევრი ხდებოდა — ჰყვებოდა კატორღისა და გადასახლების ამბებს, ხშირად ისეთ რამესაც გამოურევდა ხოლმე, რაზეც წინათ კრინტსაც არ სძრავდა და ამით, თითქოს, გულახდილობის ვალს უსტუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა თავის მეზობელს. ნიკო კი ლაპარაკობდა დღევანდელ ცხოვრებაზე — იგი უკმაყოფილო იყო კომუნისტური რეჟიმისა, წუხდა საქართველოს მონური მდგომარეობის გამო, ლანძღავდა მავანთ და მავანთ, ვისაც საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისა თუ კარიერისათვის სამშობლო გაეყიდა. ამ საუბრებიდან ალექსანდრე ხვდებოდა, რომ მისი ახალი მეზობელი საკუთარ სამშობლოში ტუსაღად გრძნობდა თავს, მშობლიური გარემო მას ციხის კედლებად გადაჰქცეოდა და ის უჩვეულო გულწრფელობა და უშუალობა, რითაც აგრერიგად გამოირჩეოდა სხვა ადამიანებისაგან, მეგობრის შეძენის ხერხი უფრო იყო, ვიდრე თანდაყოლილი თვისება, მეგობარი კი ნიკოს ისევე სჭირდებოდა, როგორც ციხეში გამომწყვდეულ, მარტოობისაგან გულგასენილ პატიმარს.

ნიკოს ცოლი ნუნუ — ქმარზე თითქმის თხუთმეტი წლით ახალგაზრდა, არც თუ ულამაზო ქალი — ფეხმძიმედ იყო, დღე-დღეზე ბავშვს ელოდებოდა და ამიტომ განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებდა. მისი მშობლები ზემო იმერეთში ცხოვრობდნენ, ნიკოს კი სრულიად ყმაწვილ კაცს მოჰკვდომოდა ჯერ დედა და მერე, ერთი წლის შემდეგ, მამაც; უფროსი და ერთ ქალაქელ ყასაბს გაჰყოლოდა ცოლად, მას საკუთარი შვილები და შვილიშვილები ჰყავდა მოსავლელი და, ცხადია, ახლად დაქორწინებულებისთვის ვერ იცლიდა. ნიკოს ცოლს ელიკო ეხმარებოდა — ხან ცხელ კერძს მიაწვდიდა, ხან სარეცხსა თუ სხვა მძიმე საოჯახო საქმეში წაუკრავდა ხელს და ორსულ ქალს ამით უმსუბუქებდა ყოფას. ალექსანდრე ხედავდა, დღითიდღე როგორ უახლოვდებოდნენ ქალები ერთმანეთს, როგორი სულიერი და იმავდროულად ნათესაური კავშირი მყარდებოდა მათ შორის, რანაირად ულვივდებოდა ელენეს დიდი ხნის წინათ მიმქრალი და მინავლული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ძლიერი და ყოვლისმომცველი დედობრივი გრძნობა და, რაც მთავარია, როგორ თვალდათვალ იცვლებოდა ამის გამო მისი დამოკიდებულება ქმრის, საკუთარი ოჯახის, მთელი სამყაროს მიმართ.

ცოლის ამგვარი ცვლილება ალექსანდრეს თავიდან აღიზიანებდა და აფრთხობდა კიდეც, რადგან ეჩვენებოდა, რომ ხელიდან ეცლებოდა წლების მანძილზე ნაგები ციხესიმაგრე, რომლის ბატონ-პატრონი და ერთადერთი ბინადარი თავადვე იყო, რომ იმ კოშკში შემოსახლებული მდგმურები ჯიუტი მონდომებით იპყრობდნენ მის ყოველ სართულს, ყველა ოთახს, თავხედური სიხარბით ინაწილებდნენ მის კუთვნილ ნივთებს — სავარძელს, ფლოსტებს, ჯამ-ჭურჭელსა და დანა-ჩანგალს, მაგრამ მერე, როცა თებერვლის ერთ ქარაშოტიან დღეს ნუნუს მუცელი ასტკივდა, როცა ალექსანდრემ, ნიკოსთან ერთად, მთელი ღამე გაატარა სამშობიარო სახლის ცივ, ჩაბნელებულ მოსაცდელში, ხოლო დილით მომვლელმა ქალმა ნიკოს ბიჭის მამობა, მას კი შეცდომით, ბებუობა მიულოცა, ალექსანდრემ იგრძნო, რომ გულში რაღაც გაულღვა და იქიდან დაძრულმა სითბომ ჟრუანტელისმომგვრელად დაუარა ძარღვებში.

იმ დღის მერე მისი ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა: ცდილობდა, მუდამ ბავშვთან ახლოს ყოფილიყო, სიამოვნებდა იმისი ცქერა, თუ როგორ უვლიდნენ ქალები მას, რანაირად აბანავებდნენ, როგორ აწვენდნენ აკვანში. ზოგჯერ ხელშიც აიყვანდა როცა მისი თოთო სხეულის გულისამათრთოლებელ სითბოსა და სურნელს იგრძნობდა, მუდამ უცნაური სიხარული ეუფლებოდა ხოლმე. ვერ გეტყოდათ, როგორ ან რატომ, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო, რომ სწორედ ამან, ამ ახლად მოვლენილმა სიცოცხლემ დაანახვა ალექსანდრეს ის შორეული ნაპირი, ის იმედისმომცემი შუქურა და აქამდე საკმაოდ არეული, ქაოსური ცხოვრებაც მისმა ნათელმა გაუცისკროვნა. ახლა თითქოს ყველაფერი ლაგდებოდა, ყოველივე თავის კუთვნილ ადგილს იჭერდა და ალექსანდრე გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა ისად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურებდა მის გულში რწმენა და უჩვეულო სიმშვიდე.

●

გარეთ ისევ წვიმდა და, ეტყობოდა, ახლა ქარიც ამოქროლდა, რადგან აკაციის ხეები ბნელში მთვრალი კაცებივით ატორტმანდნენ, ფანჯრის მინას კი წვიმის შხეფები შემოესხა. ალექსანდრემ საწერი მაგიდის თავზე მიმაგრებული ღამის ნათურა აანთო და ოთახს რბილი, მომწვანო შუქი მოეფინა.

საათი ოთხის ნახევარს უჩვენებდა. კედლიდან მშვიდად იმზირებოდნენ ილია, ვაჟა და აკაკი. მათ ქვემოთ, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული გიორგი ჯანელიძის ფოტო ეკიდა.

ოთახში ციოდა. მოხუცმა კაფელის ღუმელის განელებულ კედელს ხელისგული მიადო, მერე ჩაიჩოქა, თუჯის მასიური კარი გამოაღო, მინავლებულ ნაკვერჩხალს მაშა შეუჩიჩხინა და ღუმელში შეშის ნაპობები შეაწყო. უეცრად, ისევ თვალწინ დაუდგა პარუნაშვილის გაფითრებული სახე, მისი ჩატეტკილი ტუჩები, სავარძელში ჩაჯდა და მუხლებზე კუბოკრული პლედი წაიფარა. უცნაური გრძნობა დაეუფლა, მოეჩვენა, თითქოს, ეს ყველაფერი ოდესღაც, წინათ, უკვე იყო — ამგვარი, ან უფრო სწორად, ზუსტად ამგვარი რამ ადრეც განეცადა და ამ შემაწუხებელმა გრძნობამ ერთიანად აიფორიაქა, თანაც, ალბათ, შესცივდა, რადგან მუცელში საშინელმა ტკივილმა დაუარა და ამან, ამ ტკივილმა, უეცრად, საკვირველი სიცხადით გაახსენა ის დიდი ხნის წინანდელი ამბავი, რომლის მოგონებაზეც მუდამ სირცხვილისა და უხერხულობის შეგრძნება ეუფლებოდა და რომლის დავიწყებასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა. თვალწინ დაუდგა ქუთაისის ციხის საკანი, დაინახა საკუთარი თავიც — იმ საკნის ნარზე მწოლარე, მუცლის საშინელი ტკივილისაგან მოკრუნჩხული და სახედაღმეჭილი. დაინახა ვასიკო ალშიბაია და ვანო გოგუაძე, რომლებიც ციხიდან გასაპარებელი პატიმრების სიით ხელში დასდგომოდნენ თავზე და შეწუხებული სახით დასჩერებოდნენ, მაგრამ მუცელზე ხელებშემოჭერილი, ტკივილისაგან გათანგული ალექსანდრე ადგილიდან ვერ იძვროდა და გატანჯული ხმით მხოლოდ ერთსღა იმეორებდა: „წადით, თქვენ წადით, ძმებო, მე თავი დამანებეთ, ტიფი მაქვს, მგონი, ტიფი“. ხოლო მერე, როცა ყველაფერი დამთავრდა და ორმოცდაორივე ტუსაღმა მშვიდობით გააღწია გარეთ, თითქოს ამას ელოდებოდაო, ალექსანდრეს მაშინვე მოეშვა მუცლის ტკივილი და შვებამოგვრილი განსაცდელისაგან თავდახსნილი ადამიანის უეცარმა სიხარულმა შეიპყრო. ახლა კი, როცა თავის საყვარელ სავარძელში მჯდომი წუხანდელ შემთხვევაზე ფიქრობდა, როცა მუცელატკიებულს ის დიდი ხნის წინანდელი ფათერაკი ახსენდებოდა, ეჩვენებოდა, რომ წლების მანძილზე ნაშენები, ამდენი ხნის ნალოლიავები ხუხულა თვალწინ ენგრეოდა, საშინელი სისწრაფით იშლებოდა და ქრებოდა ყველაფერი და მის ადგილზე ნელ-ნელა ჩნდებოდა საოცრად ნამდვილი, ხელშესახები გრძნობა თავზარდამცემი და ყოვლისწამლეკავი შიშისა.

ღუმელი გახურდა და ოთახში სითბო დატრიალდა.

თანდათან რწმუნდებოდა, რომ ამაღამ უსათუოდ წაიყვანდნენ. ახლა, ალბათ, სჯობდა ცოლი გაეღვიძებინა, ყველაფერი ეთქვა, სხვა თუ არაფერი, თითო ხელი თბილი საცვალი და წინდა მაინც გაემზადებინებინა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა, რაღაც გაუცნობიერებელი იმედი აკავებდა — იქნებ ისე არა წვიმს, როგორც ქუხს და ელენეს ამბავი რომ ვიცი, ვაითუ სასაცილოდ ამიგდოს, სიმხდალე დამწამოსო.

იჯდა და მუცლის ტკივილს უძალიანდებოდა.

აგონდებოდა რუსეთის სხვადასხვა საპატიმროში გატარებული დღეები, გადასახლება ციმბირში, ახლაც ყურში ჩაესმოდა ბორკილების საშინელი ჩხა-

საკავშირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნი და ბადრაგის ყვირილი. აგონდებოდა ჩელიაბინსკისა და ირკუტსკის გადასაგზავნი ციხეები, ზნამენკა, იქაური შიმშილი, სიღარიბე და, ბოლოს, ბოდაიბოში გამგზავრება. ალექსანდრეს, როგორც პოლიტპატიმარს, აკრძალული ჰქონდა ოქროს მადნების რაიონში ცხოვრება, მაგრამ ერთმა ბერძენმა, სულ ახალთახალი, ჩაუცმელი ჩექმების საფასურად, ყალბი ცნობა გაუკეთა ბოდაიბოს ვიცე-გუბერნატორის იურიევსკის ხელმოწერით და ათ აგვისტოს ალექსანდრე იმ ცნობის წყალობით ჟიგალოვოში ჩავიდა.

გონებაში კინოკადრებივით ამოუტივტივდა ჟიგალოვოდან ბოდაიბომდე მგზავრობის სურათები: ფქვილის, შაქრისა და ბრინჯის ტომრებით დატვირთული ბარკასით ვიტიშამდე ათას ვერსზე მეტი უნდა გაევლოთ, იქიდან კი პატარა გემით მდინარე ლენას შენაკადს აჰყოლოდნენ და ბოდაიბომდე კიდევ სამას ოცდაათი ვერსი ეცურათ. მთელი ამ ხანგრძლივი მოგზაურობის განმავლობაში ალექსანდრე უსაქმოდ იყო. იგი ზარბად გასცქეროდა მდინარის ულამაზეს ნაპირებს, უსმენდა ბარკასის მგზავრების ნაღვლიან სიმღერას, კითხულობდა სენკევიჩის რომანს, რომელიც ზნამენკაში ერთი ებრაელისაგან ეყიდა.

საღამოობით მიადგებოდნენ ხოლმე ნაპირს და, რადგან მეჩიჩების გამო ღამით ცურვა სახიფათო იყო, დილამდე იქ რჩებოდნენ — წვავდნენ თევზს, ვახშმობდნენ, კოცონთან მიწოლილები მღეროდნენ ძველ რუსულ სიმღერებს, მერე იძინებდნენ, დილით კი ისევ აიბარგებოდნენ და ცურვით დაუყვებოდნენ დაღმა.

ერთხელ ჩაუარეს ნაძვნარით შემოსილ ლამაზ ნაპირს და მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა ალექსანდრემ დაინახა უზარმაზარი ლურჯი ფერის ლოდი, რომელსაც თეთრი საღებავით, დიდი ქართული ასოებით ეწერა: „მიშა დეკანოსიძე“. ალექსანდრემ არ იცოდა, ვინ იყო ეს მიშა დეკანოსიძე, სადაური იყო ან აქ როგორ მოხვდა, მაგრამ მაინც წამოუვიდა ცრემლი და ჩუმად, თავისთვის დიდხანს იტირა.

ბოდაიბოს ოქროს საბადოებზე შვიდი წლის მტანჯველი, ჯოჯოხეთური შრომის შედეგად, ალექსანდრემ იშოვა ათ გირვანქამდე ოქრო, რომელიც სამშობლოში გამომგზავრების წინ ირკუტსკში ფულად აქცია — გირვანქა ხუთას მანეთად გაყიდა, მაგრამ როცა თბილისში ჩამოსულმა, ვაგზლის რესტორანში ისადილა და ორ თავ კერძში მანეთის ნაცვლად, თუმანი გადაახდევინეს, მაშინღა, მიხვდა, რომ დიდი სისულელე ჩაედინა — საქართველო იმ დროს რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის უახლოეს ზურგში იმყოფებოდა და ამიტომ ფულის კურსი აქ შედარებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ირკუტსკში. სამაგიეროდ ოქრო ფასობდა ათჯერ უფრო ძვირად და ფულის ნაცვლად, ის ათი გირვანქა რომ ჩამოეტანა, მის ბედს ახლა ძაღლი არ დაჰყეფდა. თუმცა, რადგან სამშობლოში ჩამოსვლას ეღირსა, ალექსანდრეს დიდად არ უნაღვლია ეს ამბავი.

გაუთავებელმა ომმა, ეკონომიურმა სიდუხჭირემ და ბოლოს თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაანგრია. საქართველოში ამას პოლიტიკური მოძრაობის გაცხოველება მოჰყვა, მაგრამ ციხეებითა და გადასახლებით დაშინებული ალექსანდრე პოლიტიკაში არ ჩარეულა, იგი მთელი არსებით მიელტვოდა სიმშვიდეს, ოჯახურ მყუდროებას და ამიტომ თერთმეტი წლის უნახავი ცოლი სოფლიდან თბილისში ჩამოიყვანა, სოლოლაკის უბანში ერთი პატარა, ოროთახიანი ბინა იყიდა და ამდენი ხნის იძულებითი განშორების გამო ერთმანეთს დანატრებულმა ცოლქმარმა მართლაც რომ მყუდრო და მოსიყვარულე ოჯახი შექმნა.

ალექსანდრე მაშინ ორმოცდათერთმეტი წლის კაცი იყო, კატორღისა და გადასახლებისაგან ჯანგატეხილი და დაჩაჩანაკებული, მაგრამ მშობლიურმა გარემომ და განსაკუთრებით კი ელენეს მზრუნველმა ხელმა იგი ფეხზე დააყენა. შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ოჯახური ბედნიერებისათვის ხელი არ შეუშლია — ცხოვრობდნენ ტკბილად, მეგობრულად, ურთიერთშეთანხმებულად, თითქმის უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთისა. მუშაობითაც ერთად მუშაობდნენ, ერთ სკოლაში — ელენე მათემატიკას ასწავლიდა, ხოლო ალექსანდრე მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. ასე გადიოდა დრო. ცხოვრება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, მაგრამ მალე სამშობლოს მოქუფრული ცა გადაიხსნა და მხიარულად გამოანათა მზემ — ცხრა-ასთვრამეტი წლის ოცდაექვს მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ცხოვრება მაინც ჭირდა, მაგრამ ადამიანები იმედით შესცქეროდნენ მომავალს, ის იმედი კი სულ მალე მოკვდა...

იმ წელიწადს უჩვეულოდ თბილი ზამთარი დაიჭირა. მართალია, ნაახალწლევს მოთოვა და ქალაქის ირგვლივ შემოჯარული მთები თეთრად ჩამოლესა, მაგრამ იანვრის ათში ქარმა დაუბერა, ღრუბელი გაფანტა და ცა ერთიანად მოაკრიალა. დათბა, მზემ თოვლი გაადნო, ქალაქში გაზაფხულის ნაზი სურნელი დატრიალდა. მტკვარიც სწორედ ისე ადიდდა, როგორც გაზაფხულობით იცოდა ხოლმე—ამღვრეული, აზვირთებული მოქშუოდა და თან მოჰქონდა ძირიანად მოთხრილი ხეები, მოატივტივებდა ძველ, გამოუსადეგარ, გადაყრილ ნივთებს, ზოგჯერ ჩამოატარებდა დამხრჩვალ, მუცელგაბერილ და ბალანგასლეპილ ძაღლს ან კატას. მაგრამ წყალდიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მდინარე ორსამ დღეში ჩაცხრა, დადინჯდა, ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. ქარიც ჩადგა, თბილი, მშრალი დღეები წაეწყო ერთმანეთს. წავიდნენ, სადღაც გადაიკარგნენ ხის ტოტებზე შავად ჩამოფაფხული ყვავები. გახალისდა, გამხიარულდა ყოველივე, მაგრამ ნაადრევი გამოდგა ეს სიხარული: თებერვლის მეორე კვირის ბოლოს, დილით, მოქალაქეები ქვემეხების გრიალმა გააღვიძა. სროლა სოღანლუღისა და ვაზიანის მხრიდან ისმოდა.

ჩრდილოეთიდან მოსულ მტერს თან მოჰყვა საშინელი ქარაშოტი, რომელმაც შავი, ყომრალი ღრუბლები მორეკა და სულ ჩამოაბნელა იქაურობა. აცივდა. მოულოდნელად დამდგარი ზამთრის სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ქარიშხალი ყაჩაღივით დათარეშობდა ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში. ბელურები სახლის სხვენებსა და თბილ საკვამურებს შეეხიზნენ. საღამოს ქარი ჩადგა, მაგრამ ისევ ციოდა. მერე დაღამდა. ჩამოწვა ყურჭივით შავი უკუნეთი და იმ სიბნელეში, უეცრად, გათოვდა...

თოვდა მძიმედ, რაღაცნაირი ავი დაჟინებით. მაღლიდან ჯიბრიანად მოცვიოდა თოვლის დიდრონი ფანტელები. უცხო, უსახური ფრინველებივით სხდებოდნენ ის ფანტელები სახლის სახურავებზე, ქვაფენილზე, აივნის მოაჯირებსა და ხეთა ფოთოლგაძარცულ ტოტებზე. ქალაქი გაყუჩდა. სახლებში შეყუჟული ადამიანები შეფიქრიანებულები უსმენდნენ ზარბაზნების შორეულ გრუხუნს. შუაღამისას, ქუჩაში ანთებული მაშხალებით ჩამოიარა ახალგაზრდების მცირე ჯგუფმა — „სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო!“ — ყვიროდნენ ისინი. მერე წავიდნენ, თოვლსა და სიბნელეს შეერივნენ და გაუჩინარდნენ. ვერავინ გაიგო, ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ ან ასე მოულოდნელად სად გაქრნენ.

მშვიდად დიოდა მრავლისმნახველი ბებერი მდინარე. მასაც ათოვდა. თოვლის დიდი, მძიმე ფანტელები იმის გლუვ, სიბნელისაგან ჩაშავებულ ზედაპირზე ჩუმად სხდებოდნენ და ასევე ჩემად ამთავრებდნენ სიცოცხლეს. ის კი მიდიოდა, ქვემოთ მიჰქონდა სიცივისაგან გამკვრივებული წყალი.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ და როცა გათენდა, ნახეს, რომ ქალაქი თოვლის სქელ საბურველში გახვეულიყო. ოდნავღა ფერფლავდა, მაღლიდან უნიათოდ მოფარფატებდა თითო-ოროლა ენებადამცხრალი ფიფქი. თითქმის სახლების დათოვლილ სახურავებამდე დაწეულიყო განაცრისფერებული ცაც. მობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნებულიყვნენ, ხის ტოტებზე ჩამოფაფხულიყვნენ შავი ყვავები...

ელენე და ალექსანდრე სკოლაში წავიდნენ. მართალია, კანტიკუნტად ისევ ისროდნენ, მაგრამ გარეთ უჩვეულო სიწყნარე იდგა. ჰაერში ზამთრის სუსხი და თოვლის საამო სურნელი ტრიალებდა. თითქოს არაფერი მომხდარაო, მოქალაქენი დინჯად, აუღელვებლად მიმოდიოდნენ დათოვლილ ქუჩებში. ქურთი მეეზოვეები ტროტუარებზე ნაცარს ყრიდნენ, ვაჭრები თავიანთი ფარდულების წინ აქანდაზებით ფხეკდნენ თოვლს. მარტო სასახლესთან ირეოდა უამრავი ხალხი — იქაურობა აშლილ, აფორიაქებულ სკას დამსგავსებოდა. ალექსანდრემ იცნო მთავრობის ერთი წევრი, რომელსაც ჯარისკაცის მაზარა ეცვა, მხარზე შაშხანა გაედო და სასახლის წინ ბოლთას სცემდა.

სკოლაში სწავლა არ იყო, ყველანი უნივერსიტეტში წასულიყვნენ და ისინიც ფეხით გაუყვნენ თოვლით გადალესილ ქუჩას. ჩაუარეს ქაშვეთის ეკლესიას, არტისტული საზოგადოების თეატრის შენობას. გზადაგზა ნაცნობები ხვდებოდათ. ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ. თანდათანობით იზრდებოდა ის ჯგუფები. სახეგაქვავებულები მიაბიჯებდნენ. იმათ ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნობდა, იტკეპნებოდა, ფერს იცვლიდა.

— სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! — ყვიროდნენ წინა რიგებში.

— ძირს ჩრდილოეთის სვავები! — ბანს აძლევდნენ უკანანი.

— სა-ქარ-თვე-ლო! — გუგუნებდნენ ყველანი ერთად.

ასე მიადგნენ უნივერსიტეტის ეზოს. იქ ზღვა ხალხი შეყრილიყო. შენობის მთავარ შესასვლელთან, ქვის დათოვლილი კიბის თავში იდგნენ პროფესორ-მასწავლებლები, მთავრობის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ საომრად აღჭურვილი სამხედროებიც. უნივერსიტეტის რექტორი ხალხს სიტყვით მიმართავდა. იგი დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, ეტყობოდა, ამით შინაგანი მღელვარების დაფარვას ცდილობდა. იქვე, კიბის ძირში რამდენიმე ოფიცერი მოხალისეთა სიას ადგენდა. გრძელ რიგში ჩამდგარიყვნენ იმ სიაში ჩაწერის მსურველნი. ეწერებოდნენ სტუდენტები, ხნიერი მუშები, ქალაქელი ხელოსნები. რექტორი კი ლაპარაკს განაგრძობდა, მისი ხმა ნელ-ნელა იკრებდა ღონეს, თანდათანობით უფრო ომახიანად ჟღერდა, დიდი, მძლავრი ფრინველივით უვლიდა ირაოს გაყინულ ჰაერში, ხმაგაკმენდილ, გაფითრებულ ადამიანებს არწივივით დაჰყეფდა ზემოდან და უცნაური, ჟრუანტელისმომგვრელი ძალით ავსებდა.

„უნდა ჩავეწერო", — გაიფიქრა ალექსანდრემ, თოვლში ფეხი მოინაცვლა და ცოლს მალულად გადახედა.

ელენე თავაწეული იდგა, ორატორს ყურადღებით მისჩერებოდა და მთელი მისი გამომეტყველება — ოდნავ ღია ბაგე, გასხივოსნებული სახე და განათებული თვალები საოცარ აღტკინებას გამოხატავდა.

სიაში ჩაწერის მსურველთა რიგი ნელა მიიწევდა წინ, უფრო და უფრო იზრდებოდა, რიგს იკავებდნენ ახალგაზრდა გოგონები, სუფთად წვერგაპარსული ინტელიგენტები, ოჯახის ხანდაზმული მამები.

„მეც უნდა ჩავეწერო", — ფიქრობდა ალექსანდრე და თან წამდაუწუმ ინაცვლებდა ფეხს — სციოდა.

იქ, ზემოთ, კი ახლა მოხუცი გენერალი ლაპარაკობდა. იგი ბორძიკობდა, სიტყვებს ეძებდა, მაგრამ მის ფოლადივით მყღერ ხმაში მაინც ისმოდა ხმლების წკრიალი, თოვლში ჩაფანტული ნაპერწკლების შიშხინი.

უეცრად, ალექსანდრეს ყელში რაღაც მოაწვა, მღელვარებისაგან პირი გაუშრა, თვალზე ცრემლი მოერია და აკანკალებული ხელი ცოლს მკლავზე დაადო:

— მეც უნდა ჩავეწერო, ელიკო.

— გაგიჟდი?! რაღა დროს შენი ომია!

— ხომ ხედავ, ყველა ეწერება.

ელენე შეშინდა, ნიკაპი აუცახცახდა და ქმარს მაჯაში ჩააფრინდა. მაგრამ ალექსანდრე უკვე იქით, იმ რიგისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა და ცოლსაც თან მიიყოლებდა.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა მაღალმა, შავგვრემანმა ოფიცერმა, როცა რიგმა მოუწიათ.

— ალექსანდრე.

სამხედრომ სითბოჩამდგარი, თაფლისფერი თვალებით შეათვალიერა იგი:

— რამდენი წლის ბრძანდებით, ბატონო ალექსანდრე?

— ორმოცდათხუთმეტისა! — დაასწრო ქმარს ელენემ.

ოფიცერს გაეღიმა:

— სამწუხაროდ, ვერ ჩაგწერთ, ასაკი არ გიწყობთ ხელს.

ალექსანდრე ცივად გამობრუნდა, ნაწყენი გაეცალა იქაურობას და სახლამდე ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ მერეც დიდხანს, ძალიან დიდხანს ახსოვდა ბედნიერების ის საკვირველი გრძნობა, მაშინ, იმ გრძელ რიგში დგომისას რომ განიცდიდა...

ფიქრებიდან მანქანის შორეულმა გუგუნმა გამოარკვია. შეკრთა, თავი ასწია. ავისმომასწავებლად ეჩვენა ამ შუაღამისას მანქანის ხმაური. სავარძლიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. წვიმდა ისევ, წვრილად ცრიდა და იმ წვიმაში შავი, შავად მბზინავი მანქანა გამოჩნდა, რიყის ქვით მოკირწყლული სველი ქუჩა ამოიარა და ბოძზე მიმაგრებული ნათურის შუქით განათებულ წრეში გაჩერდა. ალექსანდრემ უკან დაიხია, მაგრამ მერე ცდუნებას ვერ გაუძლო, გამჭვირვალე ფარდა ათრთოლებული თითებით გადასწია, კისერი წაიგრძელა და საიდუმლო მდუმარებით მოცულ მანქანას ფრთხილად გახედა — დაორთქლილი საქარე მინა ნათურის ყვითელ შუქს ირეკლავდა და შიგ მსხდომთ არ აჩენდა. უეცრად, ავტომობილის ორთავე კარი ერთდროულად გაიღო და იქიდან სამი კაცი გადმოვიდა. ალექსანდრემ მაშინვე ხელი უშვა ფარდას, მაგრამ ბოლო მომენტში, მაინც იცნო ტყავისქურთუკიანი პარუნაშვილი და მოეჩვენა, რომ მისალმების ნიშნად მან თავი დაუკრა და თავაზიანად გაუღიმა.

●

ბნელში ხელების ცეცებით მიმავალი ელენე სველ, ნესტიან კედელს მიუყვებოდა და როცა იმ კედლის ლოპრმოდებულ ზედაპირზე მოუხვდებოდა ხელი, ზიზღნარევი გრძნობა იპყრობდა. ამ უცნაურ გვირაბში საშინლად მყრალი, გულისამრევი სუნი იდგა და ყველაფერი რაღაც წებოვანი ლორწოთი იყო გალიპული, ყინულივით ცივ, ბლანტ წყალში ფეხშიშველი მიაბიჯებდა. ზოგჯერ ფეხებზე ხორკლიანი, მოფუთფუთე არსებების შეხებას გრძნობდა და შიშისაგან სუნთქვაშეკრული ცდილობდა, უფრო სწრაფად ევლო, რომ იქაურობას რაც შეიძლება მალე გასცლოდა, მაგრამ სიცივისაგან გათოშილი სხეული აღარ ემორჩილებოდა და ეჩვენებოდა, რომ სადაც იყო, წაიქცეოდა, ბინძურ წყალში წაღავდებოდა და იქ, იმ საშინელ სიბნელესა და სიმყრალეში ჩაიხრჩობოდა. უეცრად, რაღაც შორეული ხმა, რაღაც ძახილი შემოესმა და გაჩერდა, ყური მიუგდო, მაგრამ ძახილი აღარ განმეორებულა. სამაგიეროდ, გაიგონა ხის კიბეზე ამავალი ადამიანების მძიმე ფეხის ხმა, აშკარად შემოესმა ვიღაცათა გახშირებული სუნთქვა, ქოშინი და იმედმიცემულმა დაძახება გადაწყვეტა, პირი გააღო, მაგრამ ყელიდან უცხო, უცნაური ხავილის მეტი არაფერი ამოუვიდა. სასოწარკვეთილებისაგან დაზაფრულმა კვლავ გზა განაგრძო, სწრაფად მიდიოდა, კოჭებამდე წყალს მიაჭყაპუნებდა და ახლა უკვე აღარ ერიდებოდა მყრალი ლორწოთი გაწებილ კედლებს, ზედ ეხლებოდა, ხელისგულებით ებჯინებოდა და სიბნელეში ეგრე მიტორტმანებდა. უცებ, რაღაცას წამოჰკრა ფეხი, წაიბორძიკა, თავი ველარ შეიკავა და წყალში გულაღმა მწოლიარე გვამზე წაიქცა. მაშინვე იცნო, უფრო სწორად, გუმანით მიხვდა, რომ ალექსანდრეს ცხედარი იყო, შიშისაგან შეჰყვირა და გამოეღვიძა...

ერთხანს თვალებდახუჭული იწვა, გონზე მოსვლას ცდილობდა, მერე ქმრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინს ხელი მოუფათურა და როცა ნახა, რომ საწოლი ცარიელი იყო, ელდა ეცა. ქუჩიდან რაღაც გაურკვეველი ხმები ისმოდა. ყური მიუგდო, გაიგონა მოტორის თუხთუხი, ვიღაცის მშრალი, გაბმული ხველება და მანქანის კარის ჯახუნი. ელენე საწოლიდან წამოდგა, სიბნელეში ხელების ცეცებით მივიდა ფანჯარასთან, სქელი ფარდა გადასწია და გარეთ რომ გაიხედა, დაინახა შავი ავტომობილი, რომელიც ადგილიდან დაიძრა, ქვემოთ დაეშვა, სიბნელს შეერია და გაუჩინარდა.

ერთხანს იდგა და ქმრის შემოსვლას ელოდებოდა. საპირფარეშოში გავიდოდაო, ფიქრობდა. მართლაც, ღამღამობით ხშირად უწევდა ხოლმე ალექსანდრეს საპირფარეშოში გასვლა და კოშმარული სიზმრიდან გამორკვეული ელენე ნელნელა მშვიდდებოდა, მით უმეტეს, რომ სასტუმრო ოთახში გამავალ კარს ქვემოთ, ვიწრო ღრიჭოში შუქი შენიშნა.

გარეთ წვიმდა. ქარი ჩამდგარიყო და ახლა ნოემბრის ცივი, გულისგამაწვრილებელი წვიმა ასველებდა ქუჩას, სახლის სახურავებს, შავად გამომზირალ, ტანდაჯირჯვებულ ბებერ აკაციებს, ელენეს რატომღაც ებრალებოდა ის აკაციები, შემოდგომობით დაუნდობლად რომ გადაბელავდნენ ხოლმე და მერე, გაზაფხულზე, ხანმოთეულნი და უძალონი, ძლივსღა ამოიყრიდნენ თითო-ოროლა მწვანე რტოს. ამ ოცი წლის წინათ, ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ, ჯერ კიდევ შეეძლოთ მაისში, ვარდობისთვეში, თეთრად გადაპენტილიყვნენ და მთელი ქუჩა ნაზი, გულის ამაჩქროლებელი სურნელით გაებრუებინათ. ახლა კი უპატრონო და უმწეო მოხუცებივით საბრალოდ იდგნენ იმ წვიმაში, იდგნენ და ელოდებოდნენ, როდის ჩამოიცლიდა ცულიანი წყნეთელი გლეხი, რომ ძირში მოეჭრა, მოკლე-მოკლედ დაეხერხა და ცხენის ურმით სახლში წაელო. მათ ამ მოლოდინს ელენე მუდამ მტკივნეულად განიცდიდა და იმ წყნეთელი კაცის გამოჩენაზე, შიშით ისე აუთრთოლდებოდა ხოლმე გული, ისეთი ელდა ეცემოდა, თითქოს ქუჩაში ერთი ბებერი გლეხი კი არა, მხარზე ცელგადებული მიქელგაბრიელი მოდენილიყო.

ოცი წლის წინათ ელენეც ახალგაზრდა იყო, მთლად ისეთიც არა, აყვავება რომ შესძლებოდა, მაგრამ ჯერ მაინც იმდენად ლამაზი, რომ აკაციის ყვავილების სურნელით გაბრუებულ იმ ქუჩაში მომავალს, უბნის კაცები თვალს აყოლებდნენ და გადასახლებიდან დაბრუნებული, ცოლმონატრებული ალექსანდრეც ვნებიანად უთვალიერებდა ჯიშიან ტან-ფეხს. ელენეს მიაჩნდა, რომ ქმარს უნდა ეამაყა მისით, რადგან იმ თერთმეტი წლის განმავლობაში, როცა იგი შორეულ გადასახლებაში იმყოფებოდა, მიუხედავად მრავალი მაცდუნებელი შემოტევისა, მაინც ბოლომდე მისი ერთგული დარჩა და კატორღაში მყოფ პოლიტპატიმარს ნამუსი შეუნახა. იმ დროს, ხალხი ჯერ კიდევ დიდად აფასებდა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ტანჯულ გმირებს, ამიტომ ელენესაც, როგორც ერთ-ერთი ასეთი გმირის ცოლს, ყველა განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით ექცეოდა. და თუმცა, თვითონ სულ არაფერი იცოდა ქმრის იატაკქვეშეთში მუშაობის შესახებ, მაინც იოლად დაიჯერა, რომ ალექსანდრე მართლაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე იყო. მასთან ხშირად მიდიოდნენ სოციალ-ფედერალისტთა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენლები, ეხმარებოდნენ ფულით და ზოგჯერ მისგანაც თხოულობდნენ დახმარებას. ერთხელ, ელენეს მათი ოჯახის კარგი ნაცნობი და შორეული ნათესავი, ელიზბარ ლოლუა ესტუმრა და როგორც რევოლუციონერის ცოლსა და სანდო პიროვნებას სთხოვა, დროებით, სულ რამდენიმე კვირით შენახა უცხოეთიდან ფარულად შემოტანილი იარაღი. ელენე თავიდან შეშინდა, რადგან იმ წლებში, საქართველოში საშინელი რეაქცია მძვინვარებდა და იცოდა, რომ იარაღის შენახვისათვის ციმბირს აქეთ დაატოვებინებდნენ, მაგრამ ქმრის სიყვარულისა და მისი საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ერთგულების გამო, ელიზბარს უარი ვეღარ უთხრა. მართლაც, მარტის ერთ თოვლჭყაპიან ღამეს, ელენეს კარზე მოაყენეს თოფებითა და ტყვია-წამლის ყუთებით დატვირთული, კამეჩებშებმული ურემი და იარაღი სამზადის ქვეშ, წინასწარ გათხრილ ხაროში დამალეს. დაღლილი და შეციებული ხალხი ელენემ ბუხართან გაშლილ სახელდახელო სუფრაზე მიიწვია და როცა ელიზბარს შემოყოლილმა კაცებმა სველი ნაბდები სოხანეზე მიყარეს და ყაბალახები შემოიხსნეს, ერთი მათგანის გამორჩეულმა ვაჟკაცურმა შესახედაობამ და სილამაზემ ქალი განსაკუთრებულად მოხიბლა. ეს იყო მთელს სამეგრელოში ცნობილი, სახელგანთქმული სენაკელი აბრაგი ჯარიშა ჯგუშია, რომელიც „ესფერებს“ უცხოური გემიდან იარაღის გადმოტანასა და მის დაბინავებაში შველოდა. იარაღის შემოტანა მუდამ დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული და ამიტომ პარტიული კომიტეტი ყაჩაღთა რაზმებს იყენებდა ხოლმე ამ საქმისათვის, მაგრამ რაკი მათ ბოლომდე მაინც არ ენდობოდა, მეთაურად ყოველთვის ისეთ კაცს უნიშნავდა, რომელსაც ღალატს ვერავინ გაუბედავდა. სწორედ ასეთი კაცი იყო ჯარიშა ჯგუშია. იგი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა აბრაგებს შორის, თვითონ იგი იმდენად იყო სანდო, რამდენადაც იცოდა, რომ ღალატის შემთხვევაში პარტიული კომიტეტი მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდა და როგორც ხალხისა და რევოლუციის მტერს, ისე მოსპობდა.

იმ ღამით ელენემ სულ ორჯერ შეავლო ჯარიშას თვალი და იმან ორივეჯერ დაიჭირა მისი მზერა. ამის შემდეგ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ, ერთ საღამოს, სკოლიდან დაბრუნებულს, აბრაგი შინ დაუხვდა. ელენემ ახლაც არ იცოდა, რანაირად შევიდა ჯარიშა დაკეტილ სახლში. იგი მშვიდად იჯდა ტახტზე და მის მოსვლას ელოდებოდა. ქალი გააცოფა ამგვარმა თავხედობამ, ყაჩაღი კინწისკვრით გააგდო გარეთ, მეორე დღეს კი ზუგდიდში ჩავიდა, ელიზბარ ლოლუა მოძებნა და ყველაფერი წვრილად უამბო. მას მერე ჯარიშა ჯგუშია თვალით აღარ უნახავს, მაგრამ როცა, რამდენიმე წლის შემდეგ, მისი დაღუპვის ამბავი შეიტყო, დაჯდა და ცხარე ცრემლით დიდხანს იტირა.

დათქმულ დღეს, ელიზბარის გამოგზავნილმა კაცებმა იარაღი წაიღეს, ელენე კი მას შემდეგ, ძალაუნებურად, პოლიტიკურ საქმიანობაში აღმოჩნდა ჩაბმული. კაცმა რომ თქვას, იგი არცთუ უხალისოდ ასრულებდა სხვადასხვა პარტიულ დავალებებს — დადიოდა კრებებზე, ავრცელებდა პროკლამაციებს, თავის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ესაუბრებოდა ძირმომპალი თვითმპყრობელობის მავნე, ანტიხალხური რეჟიმის დამხობის აუცილებლობასა და გარდაუვალობაზე, ბოლოს კი პარტიაშიც შევიდა, რადგან მიაჩნდა, რომ ქმრის მიერ დაწყებული საქმე თვითონ უნდა გაეგრძელებინა.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ალექსანდრემ ცოლის პარტიულ გატაცებასა და ენთუზიაზმს ცივი წყალი გადაასხა. მან ჯერ ბევრი იცინა, როცა შეიტყო, ელენე პარტიის წევრი გამხდარაო, მერე კი სთხოვა — თუ ხათრი გაქვს, ელიკო, ეგ მანდატი ხვალვე ჩააბარე და იმ ხალხთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეო. ელენეს წინააღმდეგობა არ გაუწევია, იმ საქმეში სულაც ალექსანდრეს ხათრით იყო ჩაბმული და ამიტომ პოლიტიკურ მოღვაწეობას სრულიად უმტკივნეულოდ დაემშვიდობა, მაგრამ ქმრის შესახებ ადრინდელი წარმოდგენა კი ცოტა არ იყოს, გაუფერმკრთალდა: თერთმეტი წლის განმავლობაში ალექსანდრე მისთვის ნელ-ნელა იმ საიდუმლოების ბურუსით მოცულ რაინდად იქცა, დღედაღამ მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის რომ იბრძოდა და იმ მაღალი მიზნის მისაღწევად სიცოცხლეს არ იშურებდა — არ ერიდებოდა ციხეს, ბორკილებს, საშინელ ციმბირულ ყინვასა და კატორღულ შრომას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გადასახლებიდან დაბრუნებული ალექსანდრე, ელენეს გასაკვირად, სულ სხვა კაცი აღმოჩნდა. ამ ჩია, ავადმყოფ, ერთთავად კუჭმტკივან ადამიანს საერთო არაფერი ჰქონდა მისი წარმოდგენით შექმნილ გმირთან და ერთი ჩვეულებრივი, კურდღელივით ფრთხილი, მშვიდ ცხოვრებას დანატრებული კაცი იყო, რომელსაც სრულიად არ აინტერესებდა მსოფლიო პროლეტარიატის ბედი და მასზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენაც კი ჰქონდა. ელენე კარგა ხანს გონს ვერ მოდიოდა, ეჩვენებოდა, თითქოს, ოქროს თუმნიანის ნაცვლად, ვიღაცამ ყალბი ფული შეაჩეჩა ხელში და იმედგაცრუებული და გაწბილებული დატოვა, მაგრამ როცა მიხვდა, ამ საბრალო ადამიანს, რომელიც კუჭის გამუდმებულ ტკივილს სოდიანი წყლის სმითღა იყუჩებდა, გაუთავებელი საყვედურებისა და ათვალწუნების ნაცვლად, მზრუნველი ხელი და განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა რომ სჭირდებოდა, შინაური წამლები და მკაცრი დიეტა დაუნიშნა, ფაფებით კვებავდა, თვალყურს ადევნებდა, რომ პირში ისეთი არაფერი ჩაეკარებინა, რაც აწყენდა და ერთი წლის თავზე სასიკვდილოდ გადადებული კაცი ფეხზე დააყენა. იმ ერთი წლის მანძილზე ელენემ ისე ახლოს გაიცნო საკუთარი ქმარი, იმდენი კარგი თვისება აღმოუჩინა, რომ ცოტა ხნის შემდეგ უკვე თვითონვე ეცინებოდა თავის გაზვიადებულ წარმოდგენაზე და გრძნობდა, როგორ დღითიდღე უფერულდებოდა, რანაირად ფერმკრთალდებოდა მის მიერ წარმოსახული წამებული რაინდის სახე და მის ადგილს როგორ იჭერდა რეალური, ახლობელი და საყვარელი ადამიანი.

მას მერე ოცი წელი გავიდა, ან ხნის განმავლობაში კი მთლიანად ამოივსო და გაქრა თვალჩაუწვდენელი უფსკრული, განშორების იმ ხანგრძლივ პერიოდს რომ გაეჩინა და ცოლ-ქმარს შორის სწორედ ისეთი სიყვარული და თანხმობა დამყარდა, ჯერ კიდევ ალექსანდრეს დაჭერამდე რომ არსებობდა. ახლა ეჩვენებოდა, თითქოს, [illegible] ნი, მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში ალექსანდრეს გარეშე რომ ცხოვრობდა, თვითონ კი არა, სულ სხვა იყო, თუნდაც ახლობელი და კარგი ნაცნობი, მაგრამ მაინც სხვა, რომელიც იქ, იმ უფსკრულში ჩარჩენილი, თანდათანობით დავიწყების სქელ ბურუსში იძირებოდა.

რევოლუციურმა საქმიანობამ ელენეს ხასიათს მაინც ღრმა კვალი დაამჩნია. ახლობლები მას იცნობდნენ, როგორც გამბედავ, პირში მთქმელ ადამიანს, რომელიც არავის შეეპუებოდა და თავს ეგრე იოლად არავის დააჩაგვრინებდა. მოსწავლეებს მისი ეშინოდათ, მასწავლებლები ხათრითა და რიდით ექცეოდნენ. მისი პრინციპულობისა და შეუდრეკელი ხასითის გამო ხშირად თავბედი უწყევლიათ სკოლის დირექტორებსა და განათლების განყოფილების გამგეებს — ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, რკინის ქალამანს ჩაიცვამდა, ხელში რკინის ჯოხს დაიჭერდა, ხელმწიფის კარამდე ივლიდა და სამართალს კი პურს მაინც აჭმევდა. ამნაირად იცხოვრა, ასე გალია წუთისოფელი და ახლა უკვე ხანშიშესული და თმაშევერცხლილი ხშირად ნაღვლობდა ხოლმე იმ მძიმე ხვედრზე, რაც ბედს მისთვის ერგუნებინა და რასაც ამ სიბერეში უფრო განიცდიდა, ვიდრე მაშინ, როცა ეგონა, რომ ყველა ის ბავშვი, ვისთვისაც კი ოდესმე ესწავლებინა, ვისაც მის ხელში გაეზარდა, საკუთარი შვილივით უყვარდა, მაგრამ ახლა, როცა ყოველ მათგანს, ყველა მოსწავლეს — ავსაც და კარგსაც, უკვე ერთ მთლიან, უსახურ მასად აღიქვამდა, ხვდებოდა, რომ იმ მაშინდელი სიყვარულით თავს იტყუებდა და სწორედ ამით იკმაყოფილებდა დედობრივ ინსტინქტს, თორემ სულ სხვა იყო ის ნამდვილი, ღვთიური გრძნობა, ადამიანს საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ რომ გააჩნია. ამ გრძნობას, ამ მარადიულ ინსტინქტს ებრძოდა მთელი ცხოვრება. ებრძოდა მაშინაც, როცა ეგონა, რომ საკუთარი შვილივით უყვარდა ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მოსწავლე, მაშინაც, როცა გადასახლებიდან დაბრუნებულ ავადმყოფ ალექსანდრეს უვლიდა და ახლაც, როდესაც ნიკოსა და ნუნუს შვილს — პატარა მერაბს მართლაც რომ საკუთარი შვილივით დაჰკანკალებდა და ცივ ნიავს არ აკარებდა.

გარეთ ისევ წვიმდა. ეული ნათურის შუქით განათებულ ქუჩაში, აქა-იქ წყლის შავი, პირქუში გუბეები იდგა და იმ გუბეებმა ელენეს წეღანდელი სიზმარი გაახსენა. ისევ თვალწინ დაუდგა ბნელი გვირაბი, წებოვანი ლორწოთი გალიპული მისი კედლები. ხალათი ჩაიცვა, კარი გააღო და სასტუმრო ოთახში შეიხედა.

საწერი მაგიდის თავზე მიმაგრებული ღამის ნათურა იქაურობას მწვანე შუქს ჰფენდა. ოთახში თბილოდა.

ალექსანდრე ელენესაკენ ზურგშექცევით იდგა და კედელზე გაკრულ სურათებს ხსნიდა — უკვე ჩამოეღო ილიას, აკაკის, ვაჟას ფოტოები და ახლა მეფის არმიის პოლკოვნიკისფორმიან გიორგი ჯანელიძის სურათს აძრობდა...

დაბნეული ელენე ჩუმად უყურებდა ქმრის საქმიანობას. ვერ გაეგო, რაში სჭირდებოდა ახლა, ამ შუაღამისას, ეს სურათები, მაგრამ როცა ალექსანდრემ სიმამრის ფოტოც ჩამოხსნა, ღუმელთან მიიტანა და ოთხივე ერთად შიგ შეუკეთა, ელენემ შეჰყვირა და ხელებგაწვდილმა წინ წაიწია, თითქოს უნდოდა, რომ ის სურათები როგორმე ეხსნა, მაგრამ უმალ დაინახა, რანაირად ალოკა ისინი ცეცხლმა და თვალისდახამხამებაში ფერფლად როგორ აქცია.

ცოლის ყვირილზე ღუმელთან ჩაჩოქილმა ალექსანდრემ უკან მოიხედა და ელენემ ახლაღა დაინახა მისი მიტკალივით გაფითრებული სახე, უპეებჩაშავებული, ჩანავლული თვალები და მორღვეული, უფორმო პირი. თავზარდაცემული შეჰყურებდა ამ ერთ ღამეში დაბერებულ, უცნაურად შეცვლილ ქმარს, ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებდა მათ თავს და როცა ალექსანდრემ ასადგომად აიწია, მაგრამ მუხლმოკვეთილმა წაიბორძიკა და იატაკს ხელისგულით დაებჯინა, ელენე სწრაფად მიუახლოვდა, წამოაყენა, სავარძელთან მიიყვანა და შიგ ფრთხილად ჩასვა.

ალექსანდრემ წყლიდან ამოგდებული თევზივით აალამუნა ტუჩები და ცოლს მიაჩერდა.

— ჰო, რა იყო, საშა, ცუდადა ხარ?

ჰკითხა ელენემ, მაგრამ ალექსანდრე ხმას ვერ იღებდა, ცოლს უაზროდ მიშტერებოდა, თითქოს ვერ გაეგო, ვინ იყო ეს ქალი, აქ საიდან მოსულიყო ან რა უნდოდა და როცა იმან კომოდის უჯრიდან პიტნის წვეთების პატარა ბოთლი ამოიღო, აკანკალებული ხელით წყლიან ჭიქაში ჩააყირავა და მერე ის ჭიქა პირთან მიუტანა, ჩახრინწული ხმით უთხრა:

— ნიკო და მისი ცოლი წაიყვანეს წეღან...

— დალიე ეს, დალიე! — აჩქარებით უთხრა ქალმა და როცა ალექსანდრემ ჭიქა გამოცალა, მერეღა ჰკითხა, — სად წაიყვანეს, საშა, რას ამბობ?!

— არ ვიცი, მანქანაში ჩასვეს ორივენი და წაიყვანეს.

ელენეს ახლაღა გაახსენდა ის შავი ავტომობილი, ელდა ეცა, ჭიქა ხელიდან გაუვარდა და იატაკზე დაეცა, მაგრამ არ გატეხილა.

— კი, მაგრამ, ბავშვი?

ალექსანდრე ერთხანს უხმოდ მისჩერებოდა, სახე დაეძაბა, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

— არ ვიცი, ბავში არ დამინახავს.

ელენე კართან მიიჭრა, გასაღები გადაატრიალა, გააღო და აჩქარებული გარეთ გავიდა.

●

ალექსანდრე არ განძრეულა, იჯდა და დაცარიელებულ კედელს მისჩერებოდა. გახუნებულ შპალერზე ფოტოსურათების ნაკვალევი დარჩენილიყო — სამი მოზრდილი და ერთიც მომცრო, ოვალური. იმ ადგილებზე კედელს ფერიცა და პეწიც ძველებური შერჩენოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დღე გაახსენდა, როცა აისორი ხელოსნები ბინას ურემონტებდნენ — ახლაც კანთიელად მოაგონდა კირის, საცხამებლისა და ხის წებოს სუნი, თვალები დახუჭა. ამ სუნს წარსულის, ბედნიერი ცხოვრების სურნელად აღიქვამდა და რას არ მისცემდა, რომ ახლა იქ, იმ შორეულ წარსულში გადასახლებულიყო. მაშინ, ოცი წლის წინათ, როცა ციმბირიდან ჩამოტანილი ფულით ეს ბინა იყიდა, მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან სწორედ ეს იყო მისი პირველი და ერთადერთი საკუთრება, რომელსაც გადასახლებაში ყოფნისას ასე ნატრობდა. თავიდანვე შეუყვარდა ამ სახლის სუნი, მისი კედლები, ჭერი, ფანჯრები, საიდანაც რიყის ქვით მოგებული ვიწრო, თბილისური შუკა მოჩანდა. ახსენდებოდა გაზაფხულის საღამოები, როცა იმ ფანჯრების წინ გამართულ სკამზე მეზობლები ჩამოსხდებოდნენ და თამაშობდნენ ჭადრაკს, ნარდს, ანდა უბრალოდ, მეზობლურად მასლაათობდნენ.

ასეთ დროს, იმ თბილ ამინდში, ყველა სახლის ღია ფანჯრიდან მოჩქროლავდა განსაკუთრებული, მარტოოდენ იმ ბინებისთვის ნიშანდობლივი სხვადასხვა სუნი და ერთმანეთთან შეზავებული, თეთრად გადაპენტილი აკაციების ოდნავ მომწარო სუნთან შერწყმული, ერთ მთლიან, მხოლოდ მათი შუკისათვის დამახასიათებელ, განუმეორებელ სურნელსა ქმნიდა. მაშინ, იმ დროში, ადამიანები ყნოსვით სცნობდნენ საკუთარ ქუჩებს, რადგან ყოველი მათგანი, დიდი თუ მცირე, თავისი განსაკუთრებული არომატით გამოირჩეოდა და სწორედ ამ ათასგვარ არომატთა ნაზავი, ერთ მთლიან სუნად შეკრული და შენივთებული, წარმოადგენდა იმ უძველესი ქალაქის სურნელს, რომელსაც დასაბამიდან თბილისი ერქვა, მაგრამ მისი მცხოვრებნი და სხვებიც — ყველანი, ყველა ქართველი, მაინც, რატომღაც, უბრალოდ „ქალაქს“ ეძახდა.

ალექსანდრე ახლა შორეული სიზმარივით იხსენებდა მაშინდელ თბილისს, რაღაც სხვანაირს, სხვა იმედით გაცოცხლებულს და იქნებ ათასგვარი საბრუნავით შეწუხებულსაც, მაგრამ მაინც გაცილებით უფრო მხიარულს, ბედნიერსა და თავისუფალს. იხსენებდა იმ დღესაც, როცა დამარცხებულ ქალაქში პირველად შემოვიდა ტანისამოსშემოფლეთილი, მკბენარისაგან შეწუხებული, მშიერი მტერი, როცა სულ სხვა, უცხო კანონსამართლის არტახებით გაკრულ ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა და ჩაიფერფლა.

ქვეყანაში ტერორი გამეფდა. ცეცხლითა და მახვილით მოსულმა ძალამ გლეხი კოლმეურნეობის მონა გახადა, მუშა ჯამაგირის მოკლე თოკით დაბა, არისტოკრატია და სამღვდელოება მოსპო, ხოლო ინტელიგენცია მუჭში დამალული შაქრის ნატეხის ეშხით, ცირკის გაწვრთნილ გოშიად აქცია და ქართველი ერი თანდათანობით იმ მოზვერს დაამსგავსა, რომელიც იძულებული იყო ორიდან ერთი, უფრო ნაკლები უბედურება აერჩია: ან უნდა დაეკლათ და ხორცის ნაჭრებად გაეყიდათ, ან დაეკოდათ და მუშა პირუტყვად ექციათ. ერმა ფიზიკურ განადგურებას მეორე უბედურება ამჯობინა, უღელში მორჩილად გაყო თავი და ყელში აპეურწაჭერილმა, ხრიოკი სახრის შიშით, სოციალიზმის ოღროჩოღრო გზაზე გასწია. ეს არჩევანი ალექსანდრეს გონივრულად მიაჩნდა. დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო, — ეუბნებოდა ხოლმე მასთან მოკამათე ნიკოს, — ეს ერთი მუჭა საქართველო დიდ რუსეთთან ვერას გახდება, ტყუილუბრალოდ ამოვწყდებით, გავნადგურდებით და აღვიგვებით პირისაგან მიწისა, მთავარია, როგორმე გავუძლოთ, თავი გადავირჩინოთ, სული რომ გვიდგას, ახლა ესეც დიდი საქმეაო. აბა, დავიკრიფოთ გულზე ხელები და ვუყურეთო?! — ბრაზობდა ნიკო. რატომ, კაცო, ვიშრომოთ, ქვეყანა ვაშენოთ, მამაპაპური ადათ-წესები შევინახოთ, ერის ტრადიციებს ნუ დავკარგავთ, ნუ გადავგვარდებით. მარადიული არაფერია, ამაზე უარესი დღეებიც გვინახავს, ბოლოს და ბოლოს, ესენიც წავლენ, მოგვცილდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან და ჩვენი დროც დადგებაო. მაგრამ ნიკო არ ეთანხმებოდა — მონობაში სიცოცხლეს, სიკვდილი სჯობსო, — ამბობდა, — მონა შექმნის და ააშენებს კი არა, რაცა აქვს, იმასაც დაკარგავს და სულ ხელცარიელი დარჩებაო.

ერთი სიტყვით, ვერ თანხმდებოდნენ, სხვადასხვა აზრზე იდგნენ და ცხარედაც კამათობდნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ მეგობრობას. კარგით, ახლა, გეყოფათ, ნუ დაჭამეთ ერთმანეთიო, — ეცინებოდა ელენეს, — ნეტა ვიცოდე, რა გაქვთ გასაყოფი, რა ყრია მაგ ცარიელ ლაპარაკშიო. მაგრამ ხშირად თვითონაც ერეოდა ხოლმე მათ კამათში და ასეთ დროს ყოველთვის ნიკოს მხარეს იჭერდა, მის აზრს იზიარებდა; მათ ერთობლივ შემოტევას კი ალექსანდრე ვეღარ უძლებდა, ხუმრობით თითს მოკაკვავდა და ღიმილით ამბობდა: — აბა, ელიკოსთან მე რას გავხდები, ეგ ხომ ძველი რევოლუციონერი გვყავს, პოლიტიკურ ბრძოლებში ნაცადი და გამოცდილიო.

ასე ამთავრებდნენ კამათს, უფრო სწორად, მეორე დღისთვის გადასდებდნენ, მანამ კი მიუსხდებოდნენ ელენეს მიერ გაშლილ სუფრას, ან ჩაის სვამდნენ, ანდა წელში გამოყვანილ, ქამრიან ჭიქებში ჩამოასხამდნენ ფაფასავით სქელ საფერავს და ჭუკჭუკებდნენ ტკბილად, თავისთვის — სულ ავიწყდებოდათ სოციალიზმის მშენებლობა და მისი მონაპოვარი.ძალე შემოვიდოდა ნუნუც, რომელსაც ცალ ხელში უსათუოდ ცხელი, იმერული ხაჭაპურებით თავმოდგმული თეფში, მეორეში კი ლოყებპუტკუნა, მოღიმარი ბიჭი ეჭირა, მიუჯდებოდა გვერდით ელენეს, ბავშვს კალთაში ჩაისვამდა და ალექსანდრე გრძნობდა, რომ ოთახში რაღაც სხვანაირი სითბო და სიყვარული ისადგურებდა.

ბოლო ხანებში ნიკო და ნუნუ მათთვის განსაკუთრებულად ახლობელ ადამიანებად გადაიქცნენ, მაგრამ ახლა, როცა ისინი პარუნაშვილმა და მისმა ამხანაგებმა მანქანაში ჩასხეს და თან წაიყვანეს, ალექსანდრეს ერთი უცნაური, სამარცხვინო გრძნობა ეუფლებოდა, გრძნობა უცაბედად მოვლენილი შვებისა და სიხარულისა, რომელიც გაფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მთელ მის არსებას მაინც ჯიუტი მონდომებითა და ძალით იპყრობდა.

წეღან, მანქანიდან გადმოსული პარუნაშვილის დანახვაზე, ალექსანდრეს, მისდა გასაკვირად, სრულიად გაუქრა შიშნარევი მოლოდინის მტანჯველი გრძნობა და უეცარი სიმხნევე და სიმშვიდე დაეუფლა. თითქოს მღვრიე წყლიდან ამოყვინთაო, გარკვევით დაინახა ყველაფერი, გონებადაწმენდილი ამჩნევდა, როგორ ლაგდებოდა ირგვლივ ყოველივე, რანაირად უბრუნდებოდა საგნებსა და მოვლენებს თავ-თავისი ფორმა და მნიშვნელობა. ტკბილმწარე მოგონებები რეალობამ შეცვალა, განვლილი ცხოვრების სურათები წარსულის სქელ ბურუსში დაინთქა და უფრო ხელშესახები გახდა აწმყო, რომელიც ალექსანდრეს უკვე აღარ აშინებდა. ახლა სხვა, მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი აწუხებდა: ნანობდა, რომ თავის დროზე არ გააღვიძა ცოლი, ყველაფერი წინასწარ არ უამბო და ამ წუთებისთვის არ შეამზადა; გონების თვალით იქექებოდა წიგნების კარადასა და საწერი მაგიდის უჯრებში, რადგან აინტერესებდა, ჩხრეკის დროს რა უნდა ეპოვათ იქ ისეთი, რაც მომავალში მის საწინააღმდეგო ნივთიერ მტკიცებად გამოადგებოდათ; ეცოდებოდა ელენე, რომელიც ამ სიბერეში ისევ მარტო უნდა დარჩენილიყო და, ცხადია, თვითონაც ესიკვდილებოდა იმ ერთხელ უკვე ავლილი გოლგოთის ხელმეორედ ავლა, — კვლავ ყურში ედგა ბორკილების ჟღრიალი და ბადრაგის მკვახე შეძახილი, — მაგრამ დიდი ხნის ნალოდინარი საშიშროება იმდენად რეალური და გარდაუვალი გამხდარიყო, რომ ალექსანდრეს სრულიად აღარ აფრთხობდა იგი, რადგან საშიშროების მოლოდინი გაცილებით უფრო მტანჯველია, ვიდრე თვითონ საშიშროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა ოთახში იდგა და ღამის სიჩუმეში გარკვევით ესმოდა ყოველი ჩქამი, სულ ოდნავი გაფაჩუნება: წვიმის რბილი, ჩუმი შრიალი, საათის ტიკტიკი, რაღაც შორეული, სუსტი წკრიალი და სადარბაზოს ხის ჭრიალა კიბეზე ამომავალი პარუნაშვილისა და იმისი ამხანაგების მძიმე ფეხის ხმა. ეჩვენებოდა, თითქოს, ხედავდა კიდეც მათ მკაცრ სახეებს, მოკუმულ ტუჩებს, ჯიბეებში ჩამალულ ხელებს. აი, კიბე ამოათავეს და დერეფანში ამოვიდნენ. ახლა მარჯვნივ გამოუხვევდნენ, მოადგებოდნენ ალექსანდრეს ბინის დაკეტილ კარს და ზედ მუშტით მაგრად დააბრახუნებდნენ. სმენად იქცა, დაძაბული, კისერგაწვდენილი მისჩერებოდა შემოსასვლელს, მაგრამ არავინ აკაკუნებდა და ეს მტანჯველი მოლოდინი თანდათანობით უფრო აუტანელი და დამთრგუნველი ხდებოდა მისთვის. უეცრად, მართლაც ატყდა მძიმე ბრახუნი, მაგრამ მას როდი უკაკუნებდნენ, ეს ხმა უფრო შორიდან, დერეფნის ბოლოდან მოდიოდა და ალექსანდრემ თავიდან ისიც კი გაიფიქრა, ალბათ, კარი თუ შეეშალათო. ცოტა ხნის შემდეგ შემოესმა ნამძინარევი ნიკოს ხმა, ვინ არისო, კითხულობდა და ამათაც ისე მხიარულად, ისეთი მეგობრული ტონით უპასუხეს, გააღე, კაცო, ჩვენა ვართო, რომ ალექსანდრეს გაუკვირდა, — ნეტავი ეს ჩვენი ნიკო და პარუნაშვილი საიდანღა იცნობენ ერთმანეთსო. მალე გაისმა კარის ჭრიალი, რაღაც გაურკვეველი, ყრუ შეძახილი, თითქოს ვიღაცამ დაახველაო და იქაურობა ისევ ჩაწყნარდა, წვიმის გაბმულ შრიალსა და საათის წიკწიკში ჩაიძირა.

ალექსანდრე არ განძრეულა, იდგა და ფიქრობდა: ალბათ, ჯერ ნიკოსთან იმიტომ შევიდნენ, რომ მოწმედ სჭირდებათ, მისი თანდასწრებით მიპირებენ დაპატიმრებას, რათა ყველაფერს კანონიერი სახე მისცენო, მაგრამ გადიოდა დრო და იქიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

ალექსანდრემ კარგა ხანს იცადა და ბოლოს, ცოლის გაღვიძება გადაწყვიტა. ახლა მხოლოდ ისღა ადარდებდა — რა ვქნა, ისე როგორ შევაპარო ეს სამბავი, რომ საწყალ ქალს გული არ გავუხეთქოო და ამ ფიქრში რომ იყო, უეცრად, ისევ მოესმა კარის ჭრიალი, ხმაური და ნაბიჯების ხმა. ყური მიუგდო. ახლა თითქოს უფრო მეტნი მოდიოდნენ დერეფანში, გაიგონა კაცების ლაპარაკი და ქალის ტირილი, რაღაც ბღლარძუნის ხმაც შემოესმა, მაგრამ არც ამჯერად გადმოუხვევიათ მისი კარისკენ, კიბე ჩაიარეს და გარეთ გავიდნენ.

ალექსანდრემ ფანჯარას მიაშურა, ფარდა გადასწია და ქუჩაში გაიხედა: ავტომობილის კარი გაეღოთ და ნიკოს და ნუნუს შიგ ძალით სვამდნენ. ნიკო გახევებულივით უაზროდ იდგა, ხმას ვერ იღებდა, ნუნუ კი ტიროდა, კაცებს უძალიანდებოდა, გამწარებული რაღაცას ამბობდა და სახლისაკენ იშვერდა ხელებს, მაგრამ ისინი ყურს არ უგდებდნენ, მანქანის გამოღებული კარისკენ უბიძგებდნენ და როცა ბოლოს ორივენი შიგ შეყარეს, თვითონაც ჩასხდნენ, კარებები მიიჯახუნეს და ის იყო, ავტომობილი დაიძრა, რომ პარუნაშვილმა მანქანის დაორთქლილი მინა გაწმინდა, ალექსანდრესკენ გამოიხედა და გაუღიმა.

მერე მანქანა ქვემოთ დაეშვა, სიბნელეს შეერია და გაუჩინარდა, ალექსანდრე კი იქვე დარჩა, იმ ფანჯარასთან, ცალი ხელით ფარდას ჭმუჭნიდა და ისევ თვალწინ ედგა პარუნაშვილის სუფთად გაპარსული სახე, მისი ღიმილი, თითქოს ორაზროვანი და ნიშნისმოგები, მაგრამ იმავდროულად შეგობრობისა და კეთილგანწყობის გამომხატველიც. ეჭვმა შეიპყრო. ეს ღიმილი სანდო არ იყო. გაახსენდა, წელან ნიკოს შინაურულად რომ დაუძახეს, გააღე, ჩვენა ვართო, და ალექსანდრესთვის ცხადი შეიქნა მათი მზაკვრობა. მოაგონდა შავი მანქანაც, რომელიც იმის ნაცვლად, რომ სიბნელეში გაეჩერებინათ მთელს ქუჩაში ერთადერთ განათებულ [illegible] და გამოსაჩენ ადგილზე, სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ მისი სახლის ფანჯრებთან დააყენეს და ალექსანდრე მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მის შესაშინებლად მოაწყო პარუნაშვილმა და ეგებ ნიკოსი და ნუნუს დაჭერაც მისთვის დადგმული სპექტაკლი იყო. ოღონდ ერთ რამეს ჯერ ვერ ხვდებოდა: ეს ჯოჯოხეთური პიესა უკვე დამთავრდა თუ კიდევ წინ ჰქონდა მეორე აქტი, რომელიც ტრაგიკული ფინალით უნდა დასრულებულიყო და ალექსანდრეს კვლავ შემოაწვა გაურკვეველი მოლოდინის მტანჯველი გრძნობა, შემობრუნდა, ოთახს უაზროდ მოავლო თვალი და როცა, უეცრად, საწერი მაგიდის თავზე გაკრული ილიას, ვაჟას, აკაკისა და მეფის არმიის პოლკოვნიკის, გიორგი ჯანელიძის ფოტოები შენიშნა, შიშისაგან სუნთქვა შეეკრა და ელდანაცემმა საწერ მაგიდას მიაშურა.

●

უეცრად, კარმა გაიჭრიალა და სავარძელში მჯდომი ალექსანდრე შეკრთა. ელენე შემოსულიყო, ხელში მძინარე ბავშვი ეჭირა და ფრთხილად მოჰყავდა. ქალი აჩქარებული ნაბიჯით წამოვიდა, ქმრისთვის ერთხელაც არ შეუხედავს, წამით თვალი დაცარიელებულ კედელს შეავლო და საძინებელ ოთახში შევიდა. ღია კარიდან მოჩანდა, როგორ მზრუნველად ჩააწვინა ელენემ ბავშვი ლოგინში, როგორ ჩაფუთნა. ალექსანდრე მდუმარედ მიშტერებოდა მხრებში მოხრილ ქალს, აქედან, სასტუმრო ოთახიდან შემავალი მკრთალი შუქით განათებულ მის ნაცნობ პროფილს და ეჩვენებოდა, რომ დრო გაჩერდა, გაიყინა და შეწყდა ის მარადიული მდინარება, აგრერიგად რომ აფრთხობდა და აშინებდა.

ელენე საწოლთან იდგა და მძინარე ბავშვს დასჩერებოდა. ეცოდებოდა ასე ობლად, უდედმამოდ დარჩენილი პატარა ბიჭი, რომელსაც ბრმა ლეკვივით ჯერ თვალიც კი არ აეხილა და უკვე საშინელ განსაცდელს უმზადებდა წუთისოფელი — მარტოობის მძიმე უღელში უპირებდა თავის გაყოფას. თავზარს სცემდა ნუნუსი და ნიკოს დაჭერა. ვერ წარმოედგინა, რა უნდა ჩაედინათ იმ მშვიდ, უწყინარ ადამიანებს ისეთი, რომ შუაღამისას შინ მოუცკივდნენ, ლოგინებიდან წამოყარეს და ისე წაასხეს, თითო ბავშვსაც არ გაუწიეს ანგარიში. ბუნდოვანი გუმანით გრძნობდა, რომ ამის შესახებ ალექსანდრემ მასზე მეტი იცოდა, თორემ იმ სურათებს ისეთი ფათაფუთით არ ჩამოხსნიდა და ღუმელში არ შეუკეთებდა. ეჩვენებოდა რომ იქ, იმ ოთახში, კიდევ ერთი შემზარავი ამბავი ელოდებოდა და ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, ადგილიდან ვერ იძვროდა, მაგრამ, ბოლოს, ცნობისმოყვარეობამ მაინც დასძლია, სასტუმრო ოთახში გავიდა, კარი ფრთხილად, უხმაუროდ მიხურა და ქმარს მიაჩერდა:

— როგორ ხარ, საშა?

— არა მიშავს.

სკამი აიღო, სავარძელთან მიაჩოჩა და კაცს წინ დაუჯდა. ალექსანდრე ოდნავ შეირხა. კარგა ხანს უხმოდ, მდუმარედ ისხდნენ და ესმოდათ ქუჩიდან შემომავალი წვიმის შრიალი, კომოდის თავზე შემოდგმული საათის ხმა და იატაკქვეშ დაბუდებული თაგვის ფაჩუნი. ელენე ქმარს სახეში შეჰყურებდა, მაგრამ ალექსანდრე თვალს არიდებდა, მუხლებზე დალაგებულ საკუთარ ხელებს დასჩერებოდა, ისეთი გულმოდგინებით აკვირდებოდა ყავისფრად დალაქავებულ, ძარღვებ—ამომსხდარ იმ გამხდარ მტევნებს, თითქოს პირველად შეამჩნიაო და როცა ქალმა ამდენი ხნის სიჩუმეს ველარ გაუძლო და სასხვათაშორისოდ ჰკითხა, ნეტავი რა ჩაიდინეს იმ საცოდავებმა ასეთიო, თავი ასწია და ფანჯრებს შეხედა. ღამე გაბაცებულიყო, ოთახში დილის რიჟრაჟის მკრთალი ნათელი შემოდიოდა და, აწი, ალბათ, აღარ მოვლენო, გაიფიქრა. მართლაც, წესად ჰქონდათ, ხალხის მტრებს ღამღამობით აპატიმრებდნენ, იშვიათად თუ ვინმეს დღე დაიჭერდნენ, შუაღამისას მიადგებოდნენ ხოლმე მანქანით და ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ჩუმად მიჰყავდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი მოსწავლე იყო ერთი... — თქვა ბოლოს და ჩახრინწული ყელი რომ ჩაეწმინდა, ჩაახველა.

— რომელი?

— არ იცი შენ.

— მერე, ვერ უთხარი რამე?! —ხმაში საყვედური გაერია ელენეს.

ალექსანდრეს ნაძალადევმა ღიმილმა დაუგრიხა ტუჩები, დაცარიელებულ კედელს შეავლო თვალი და ელენემაც ძალაუნებურად იქით გაიხედა. გახუნებულ, გაცრეცილ შპალერს მკვეთრად აჩნდა ის ადგილები, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ სურათები ეკიდა.

— გუშინ პატარა წაკინკლავება მომიხდა იმ ბიჭთან და მეგონა, ჩემს დასაჭერად იყვნენ მოსულები...

— მოიცა, თუ კაცი ხარ, დალაგებით ჭმომიყევი ყველაფერი!

— ილიას „გაზაფხული" წავუკითხე. რა ვიცოდი, ჩეკისტი თუ მეჯდა კლასში...

— ჰო.

— კლასობრივი მტერია მაგ ლექსის დამწერიო, მითხრა.

— მერე?

— ყური ავუწიე და, მგონი, წამოვარტყი კიდეც პატარაზე...

ელენემ ტუჩებზე ხელის გული მიიფარა და ქმარს გაღიმებული თვალებით მიაჩერდა. ერთხანს ეგრე უყურეს ერთმანეთს. ქუჩიდან გაღვიძებული ბელურების ჟივჟივი ისმოდა. თაგვი გაჩუმდა. ახლა საათიღა ტიკტიკებდა წყნარად და, ეტყობა, წვიმამაც გადაიღო, რადგან აღარ ისმოდა მისი გამაბეზრებელი შრიალი.

— მაგისთვის ვინ დაუჭერიათ, შე კაცო! — თქვა ბოლოს ქალმა.

უეცრად, გარედან საყვირის ხმა მოისმა. ელენე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა. ქვემოდან მერძევე მოდიოდა, ცალ ხელში ბიდონი ეჭირა, მეორეში მონიკელებული საყვირი. სახლთან რომ ამოვიდა, ბიდონი ძირს დადგა, საყვირი ტუჩზე მიიდო და ღონივრად ჩაჰბერა.

ბავშვს გამიღვიძებს, ეს შეჩვენებულიო, შეწუხდა ელენე, სამზარეულოში გავიდა და კარადაში ჯამ-ჭურჭელს აუყენა ჩხარუნი, ქვაბს თუ ეძებდა რძისთვის.

ამ ახალმა ხმებმა — ბელურების ჟივილ-ხივილმა, საყვირის ხმამ, ჭურჭლის ჩხარუნმა და ქუჩიდან შემოსულმა დილის ნათელმა, სამყარო შეცვალა, გადაასხვაფერა და თითქოს ალექსანდრესაც მოჰგვარა ერთგვარი შვება. მტანჯველი ღამე წარსულს ჩაბარდა და ახალმა დღემ რაღაც გაურკვეველი იმედი ჩაუსახა გულში. იმედიანი იყო ელენეს ნათქვამიც — მაგისთვის ვინ დაუჭერიათო, — და, მართალია, ალექსანდრემ კარგად იცოდა, რომ ამაზე გაცილებით ნაკლები რამისთვისაც იჭერდნენ, მაგრამ მაინც გულიდან გადაეყარა ის ძძიმე, შავად ჩალუსკუმებული ნაღველი, მთელი ღამე რომ აწუხებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

გარედან ისევ მოისმა საყვირის ხმა. ალექსანდრემ თავი ასწია და საწოლი ოთახის კარს მიაჩერდა. იქ ბავშვს ეძინა — ნაადრევად დაობლებულს, მარტო დარჩენილს. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად იგრძნო სიბრალული. შეეცოდა მისი მშობლებიც, რომლებიც, ვინ იცის, რა ბრალდებით დააპატიმრეს. თავისი წეღანდელი ვერსია გაახსენდა — ნიკო და ნუნუ ჩემს შესაშინებლად დაიჭირა პარუნაშვილმაო, — და საკუთარ გულუბრყვილობაზე გაეცინა. მთლად ასე უბრალოდ არ უნდა ყოფილიყო, საქმე, ეტყობოდა, ნიკო სხვასთანაც ლაპარაკობდა მთავრობის აუგს და დაბეზღა ვიღაცამ, ბოროტი ხალხის მეტი რა იყო! მაგრამ, ვაითუ, მართლაც რამეში იყო გაბმული, ვაითუ მისი ხასიათის პატრონმა ვერ მოითმინა და რომელიღაც ფარულ ორგანიზაციაში შეავიდა, მაშინ? თითქოს ცხელი წყალი გადაასხესო, ამის წარმოდგენაზე ცეცხლი მოედო, მდუღარემ ტვინი დაუფუფქა და გულგვამი ჩაუწვა. იცოდა, რომ იმათ ხელში ჩავარდნილ კაცს აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ გონება მისგან დამოუკიდებლად მაინც ეძებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოსავალს: ეგებ სჯობდა, წელან ისე არ დამფრთხალიყო და ორიოდ სიტყვა შეეწია თავისი კარის მეზობლებისთვის, იქნებ ახლაც არ იყო გვიან, იქნებ მართლაც მისულიყო პარუნაშვილთან, თავისი საქციელის გამო ბოდიში მოეხადა და შემწეობა ეთხოვა, მაგრამ თანდათანობით რწმუნდებოდა ამგვარი მოქმედების უაზრობაში, იმედი ქრებოდა და ყველაფერი უსასოობის ციკ მორევში იძირებოდა.

ამ ორიოდე თვის წინათ, ალექსანდრეს ქუჩაში ერთი შორეული ნათესავი შეხვდა, შუახანს გადაცილებული კაცი მანასი წიქორიძე. ეს მანასი ადრე წყალტუბოს თემის მღვდელი იყო. ცხრაასოცდასამში, როცა ბოლშევიკებმა დიდი ანტირელიგიური კომპანია მოაწყვეს, გაზეთ „მუშა და გლეხში" მიხი სახელით შემდეგი შინაარსის წერილი დაიბეჭდა: „ამხანაგო რედაქტორო! ჩემს მღვდლობაში მე ადრევე დავრწმუნდი, რომ სასწაულები და არაბუნებრივი მოვლენები არ არსებობს, მაგრამ მე კიდევ მაჩერებდა სარწმუნოების ზნეობრივი მხარე; ეხლა ვხედავ, რომ ამაშიც შევმცდარვარ. ამიტომ ვტოვებ მღვდლობას, კავშირს ვწყვეტ ეკლესიასთან და ამიერიდან ვეცდები, ვიყო მტკიცე მორწმუნე მეცნიერებისა. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ მღვდლობა გულუბრყვილო ხალხის ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობაა. ამიტომ დღეიდან ამ საქმიანობას თავს ვანებებ და გადაწყვეტილი მაქვს, ვემსახურო მშრომელ ხალხს და ვისაზრდოო თავი პატიოსანი შრომით."

სინამდვილეში, მანასი წიქორიძე სოფლის აქტივისტებმა და კომკავშირლებმა ძალით გაკრიჭეს, ის კორესპონდენცია კი რედაქციის მუშაკის მიერ იყო დაწერილი.

მისი ნახვით გახარებულმა ალექსანდრემ მანასი რესტორანში დაპატიჟა. დალიეს თითო ბოთლი ღვინო, მოიკითხეს ერთმანეთი, გაიხსენეს ძველი ამბები, ნათესავები... შუა პურისჭამაში ყოფილ მღვდელს, უეცრად, ტირილი აუვარდა, თვალებიდან ღაპაღუპით ცრემლი მოუვიდა ცრემლები, ვეღარ ჩერდებოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ დამშვიდებოდა, მერე კი შეცბუნებულ ალექსანდრეს უთხრა, სწორედ ახლა მოვდივარ შინსახკომიდან, სადაც ხელწერილი დამაწერინეს, რომლის თანახმად, ვალდებული ვარ, არაკეთილსაიმედო ხალხს თვალყური ვადევნო და საიდუმლო განყოფილებას მათ შესახებ ცნობები მივაწოდოო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, ძველი რევოლუციონერი და მირჩიე, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო. ალექსანდრე გაშრა. უეცრად შესძულდა საკუთარი თავიცა და მანასი წიქორიძეც, გამტკნარებული იჯდა, ერთი სული ჰქონდა, აქედან როდის წავიდოდა. მანასი არ ეშვებოდა, ეხვეწებოდა, მირჩიე რამეო. ბოლოს ალექსანდრე ადგა, ყოფილ მღვდელს უთხრა, ისე მოიქეცი, როგორც საკუთარმა სინდისმა გიკარნახოსო, ოფიციანტს დანახარჯი გადაუხადა, დაბნეული სტუმარი გაშლილ სუფრასთან მიატოვა და რესტორნიდან გავიდა.

ალექსანდრემ იცოდა, რომ მთელი საქართველო მოფენილი იყო მანასი წიქორიძისნაირი ნებსითი თუ უნებლიე აგენტებით და არ იყო გამორიცხული, რომ სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა აგენტმა დააბეზღა ნიკოც.

გარეთ ნელ-ნელა დღევდებოდა. წვიმას გადაეღო და ამით გახალისებული ბელურები გნიასით დასდევდნენ ერთიმეორეს, ტროტუარზე და შუა ქუჩაშიც, ქვაფენილზე სარჩოს ეძებდნენ. ელენე შემოვიდა და ქვაბით რძე შემოიტანა. ალექსანდრემ შეამჩნია, რომ ცოლი თვალს არიდებდა, ოთახში ხაზგასმული საქმიანი იერით ფუსფუსებდა: ნავთქურას ანთებდა, ზედ რძიან ქვაბს დგამდა, განჯინაში რაღაცას ეძებდა, მაგრამ ისიც შენიშნა, ერთი ორჯერ დაცარიელებული კედლისკენ როგორ გაექცა თვალი და ალექსანდრეს, ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი წელანდელი საქციელისა, მაგრამ გუნებაში მაინც გაიმართლა თავი — სურათები ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ დაწვა, რომ სულ მცირე, იოტისოდენა სამხილიც კი მოესპო და ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ დაპატიმრების შემთხვევაში ისეთს ვეღარაფერს უპოვიდნენ, რაც მის საწინააღმდეგოდ გამოადგებოდათ, მაგრამ, მოულოდნელად, თითქოს შიგნით რაღაც აუფეთქდაო, სხეულში საშინელმა ტკივილმა დაუარა და გონება თვალისმომჭრელმა ელვამ გაუჩახჩახა. ამ უეცარი, თავზარდამცემი შეგრძნებისაგან ალექსანდრე ფეხზე წამოხტა და საწოლი ოთახის კარს მიაშტერდა: იქ, იმ კარს მიღმა უდრტვინველი ძილით ეძინა პატარა მერაბს, დღეის ამას იქით ხალხის მტრის შვილსა და ყველაზე დიდ სამხილს, რაც სრულიად კმაროდა მისი და ელენეს ირკუტსკში, ზნამენკასა თუ ბოდაიბოში გადასასახლებლად.

●

თავდაპირველად მოაგონდა, რომ ნუნუს მშობლები სადღაც, ჭიათურის რაიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ სოფლის სახელი ვერ გაიხსენა. გამალებული ფიქრობდა, მეტისმეტი დაძაბულობისგან. თავი ასტკივდა. ბოლოს დაასკვნა, ელენეს ეცოდინება მისამართიო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სანამ ტელეგრამა იქამდე ჩააღწევდა, სანამ ისინი თბილისში გამოსამგზავრებლად აიბარგებოდნენ და, ბოლოს, სანამ ჩამოვიდოდნენ, დაგვიანდებოდა ძალიან. მერე ნიკოს და მოაგონდა, რომელიც აქვე, ქალაქშივე ცხოვრობდა, კუკიის უბანში. არც იმისი მისამართი იცოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ ნიკოს სიძე ყასაბი იყო, ლეო ერქვა და ასე კიდევ შეიძლებოდა იმათი პოვნა. ახლავე უნდა წასულიყო, კუკიის უბანში ყასაბი ლეო მოეძებნა და ბავშვი იმათთვის მიეგვარა, მაგრამ უეცრად, ცოლის ეჭვიან მზერას წააწყდა. ეტყობა, ელენე, როგორც ყოველთვის, ახლაც უსიტყვოდ ხვდებოდ მის ნაფიქრს, რადგან საწოლი ოთახის კარზე აკრულს ფოცხვერივით უელვარებდა თვალები დ თვითონაც იმ ფოცხვერს ჰგავდა, ერთადერთი ლეკვის წართმევას რომ უპირებენ.

ალექსანდრე მოეშვა, საკარადელში მოწყვეტით ჩაჯდა და განათებულ ფანჯარას მიაჩერდა. წეღან, ერთი წამით ნაგრძნობი შვება გამქრალიყო და ახლა მის ნაცვლად, რაღაც უცხო, ცხოველური შიში ავსებდა, შიში დამფრთხალი ნადირისა, ბნელ კუთხეში მიკუნჭული და მდევრებისაგან გარშემორტყმული, გადამწყვეტ დარტყმას რომ ელოდება. სულ სხვა რამ იყო ეს შიში, სხვა აზრების გამჩენი და წარმომშობი სრულიად უცხო, მოულოდნელი სურვილებისა, რაც ალექსანდრეს თავზარს კი სცემდა, მაგრამ თანდათანობით იმორჩილებდა, რაღაც უცნაური ძალით თრგუნავდა და აიძულებდა, წამომხტარიყო, უგზო-უკვლოდ გაქცეულიყო და მანამ ერბინა, სანამ დაღლილი და გასავათებული, სადმე მკვდარივით არ მიეგდებოდა, მაგრამ ახლა, არამც თუ გაქცევისა, სავარძლიდან წამოდგომის თავიც არ ჰქონდა, რადგან, თურმე, დიდი ხანია უკვე გარბოდა, გაურბოდა იმ საზიზღარ ლაფსა და ტალახს, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ერიდებოდა და ახლა, გაუთავებელი სრბოლისაგან დაღლილსა და ძალაგამოცლილს, ერთი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმაც კი აღარ შეეძლო. იჯდა და სასოწარკვეთილი ხვდებოდა, რომ სრულიად ამაო ყოფილიყო ის სირბილი, ის დაუსაბამო ტანჯვა-წვალება, რადგან სადაც უნდა წასულიყო, როგორც უნდა დამალულიყო, მაინც იპოვიდნენ, მიწიდანაც კი ამოიღებდნენ და ბოლოს უსათუოდ იქ, იმ წუმპესთან მიათრევდნენ, რომელსაც ასეთი სულელური გულუბრყვილობით ემალებოდა.

მარადიული ლტოლვისაგან დაღლილსა და გაბეზრებულს, ახლა უნებურად აგონდებოდა სოფელი და სამეების გორაზე წამომართული, კედლებდაბზარული ძველი საყდარი, რომლის შორიახლოს, ჟანგისაგან შეჭმული რკინის მესრით შემოღობილ ყვითელ თიხნარში მშვიდად იწვნენ ცხოვრების დაუსაბამო მდინარისაგან გაცვეთილი და ზენაარის მიერ შვებამინიჭებული ძისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლები და ეჩვენებოდა, რომ თვითონაც იქ იყო, იმ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ საფლავთან იჯდა და უყურებდა, როგორ დასდიოდა ნოემბრის წვიმა ჯერ კიდევ მწვანე ბალახით შემოსილ მიწას, სისველისაგან გაშავებულ საფლავის ლოდებს და მთელს სასაფლაოს — ხნარცვებიდან აძრული ნისლით შებურვილსა და რძისფრად შეღებილს. გონების თვალით ხედავდა მამას, მის ფიქრიან, ყოველდღიური საზრუნავით დამძიმებულ გამოხედვას და ესმოდა დედის ტკბილი, ჟრუანტელისმომგვრელად მშობლიური ხმაც: „ეს არის „ა“ — ეუბნებოდა იგი, — აბა, კიდევ მიპოვე „ა“... რა ჰქვია, შვილო, მაგასა? „ ა“ — ეღიმებოდა ალექსანდრეს და დედაც ალერსიანად უსვამდა თავზე ხელისგულს, ეფერებოდა. გულაჩქროლებული ალექსანდრე გრძნობდა იმ ხელისგულის სილბოს, სინაზეს, მის სულშიჩამწვდომ სითბოს დს სანთელივით ეღვენთებოდა მთელი სხეული, თვალის უპეებში ცხელი ცრემლი უგროვდებოდა.

●

ფიქრებიდან კარზე ატეხილმა კაკუნმა გამოარკვია. შეკრთა, თავი ასწია და ცოლს მიაჩერდა.

ამ სისხამ დილით სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ კარს უკან „ისინი“ იდგნენ. გაუკვირდა, მანქანის ხმა რატომ ვერ გავიგონეო, სავარძლის სახელურებს დაებჯინა, ძლივს წამოდგა და ფანჯარასთან მიფრატუნდა.

ტყვიასავით დამძიმებოდა ფეხები.

გარეთ, ელექტრონის ბოძთან შავი ავტომობილი იდგა, ტყავისქურთუკიანი მძღოლი გადმოსულიყო, საქარე მინას ფალასით წმენდდა და თან წამდაუწუმ მისი სახლის ფანჯრებისკენ იცქირებოდა.

ელენე უკვე კარს აღებდა. ზურგშექცევით მდგომ ალექსანდრეს ესმოდა გასაღების ჩხაკუნი, ჩაჟანგებული ანჯამების ჭრიალი და როცა მობრუნდა, დაინახა ოთახში შემოსული პარუნაშვილი — მაღალი, ლამაზი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ელნეს გაღიმებული მისჩერებოდა.

— უნდა მაპატიოთ, ქალბატონო, ამ დილაადრიან რომ შეგაწუხეთ, — დაბალი, საოცრად მჟღერი ხმით წარმოთქვა მან და მერე ალექსანდრეს მიუბრუნდა:

— ბოდიშის მოსახდელად გეახელით, ბატონო ალექსანდრე!

მოხუცმა გაკვირვებით აზიდა წარბები, ცოლს გადახედა. ელენე დაბნეული იდგა, ხან დაუპატიჟებელ სტუმარს შეხედავდა და ხანაც ისევ ქმარს მიაჩერდებოდა, რადგან ამ უცნაური გამოცანის პასუხს სწორედ მისგან ელოდებოდა.

პარუნაშვილი ალექსანდრეს მიუახლოვდა, მის წინ თავდახრილი, სახეშეფაკლული ჩუმად გაჩერდა, ცოლოს, როგორც იქნა, თვალი გაუსწორა და დარცხვენილი ღიმილით უთხრა:

— შევრიგდეთ, ბატონო ალექსანდრე?

ამ უცნაური მოულოდნელობისაგან ალექსანდრე საშინლად დაიბნა. მართლაც, საკვირველი იყო: იმ პირსისხლიანი ჯალათისა და შემზარავი ურჩხულის ნაცვლად, რომელიც მის ცნობიერებაში მთელი ღამის ტანჯვისა და თვითგვემის შედეგად ჩამოყალიბდა, ახლა მის წინ ერთი ზრდილი, სინდისის ქენჯნისაგან შეწუხებული ყმაწვილი იდგა და გუშინდელი უგვანი საქციელის გამო შენდობას სთხოვდა.

ამ მოულოდნელმა გარემოებამ მოხუცი სულით ხორცამდე შესძრა და მისი დაჭიმული ნერვები ისე დაალბო, როგორც გაზაფხულის წვიმამ გვალვისაგან დაშაშრული, ხრიოკი მიწა. სულმთლად მოეშვა, მუხლებში სისუსტე იგრძნო და, უეცრად, ისე, რომ თვითონაც არ ელოდებოდა, სიცილი წასკდა — მთელი სხეული აუთამთამდა, მუცელზე ხელები შემოიჭირა, მოიკაკვა და ჩუმად, ბებრულად ახითხითდა.

იცინოდა და, თუმცა მშვენივრად გრძნობდა სიტუაციის მთელს აბსურდულობასა და იმ უხერხულობას, მისი უნებური, უაზრო სიცილი რომ იწვევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მაგრამ ვერ ჩერდებოდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ აქამდე ცოცხლად დამარხულს, სულშეგუბებულს, ზემოდან მიწა გადააცალეს და ახლა ის სიცილი სწორედ ისევე სჭირდებოდა, როგორც გრილი, სუფთა ჰაერი ბნელი სამარიდან ამოყვანილს. ნაპირზე გამორიყული თევზივით აღებდა პირს, იმ ჰაერს ხარბად ყლაპვდა და იცინოდა ორად მოხრილი, მუცელზე ხელებშემოჭერილი, მხრებათახთახებული.

პარუნაშვილი ჯერ კი გაღიმებული და, ცოტა არ იყოს, დაბნეული შესცქეროდა ასე მოულოდნელად გამხიარულებულ თავის მასპინძელს, მაგრამ თანდათანობით იმასაც გადაედო მისი სიცილი, შუბლშეკრულ, შეფიქრიანებულ ელენეს თვალი შეავლო და, უეცრად, ისეთი ხარხარი აუტყდა, ისეთი შემზავი ხმით აჭიხვინდა, რომ ძველი სახლის კედლები შეინძრა, კარადაში ჭურჭელი აწკარუნდა და ფანჯრის მინებმაც ზრიალი მორთეს.

ახლა ორივენი იცინოდნენ, თვალებზე ცრემლმორეულები, წელში მოხრილები ეხლებოდნენ ერთიმეორეს, სიცილისაგან დაოსებულები ზოგჯერ ხელებსაც კი უფაცუნებდნენ ერთმანეთს მკლავებზე, მხრებზე და ერთნაირი ჟინით ატაცებულნი, თითქოს ერთ არსებად ქცეულნი გიჟებივით ხარხარებდნენ.

გაოგნებული ელენე შეცბუნებული შეჰყურებდა კაცებს. უკვე იცოდა, ვინც იყო ეს უცხო სტუმარი და რაკი ქმრის ამნაირი მხიარულების მიზეზს ვერ ხვდებოდა, მათი სიცილი ნერვებს უშლიდა, აღიზიანებდა და როცა საძინებელი ოთახიდან, უეცრად, ბავშვის ტირილი შემოესმა, ველარ მოითმინა და დაუყვირა.

— კარგი, საშა, რა მოგვიდა!

ალექსანდრე, როგორც იყო, გაჩუმდა, მაგრამ პარუნაშვილი ჯერ ისევ იცინოდა თან ჯიბეებში იქექებოდა, ცხვირსახოცს ეძებდა, რომ თვალებიდან ცრემლი მოეწმინდა. სიცილისაგან გასავათებული, ძალაგამოლეული მოხუცი კი სავარძელში ჩაეშვა და სწორედ მაშინ შემოესმა ბავშვის ტირილიც და იმან, იმ ტირილის ხმამ, ყველაფერი უმალ შეცვალა, ძველი იერი დაუბრუნა და ყოველივეს თავისი ადგილი მიუჩინა.

პარუნაშვილმა სახიდან ღიმილი მოისხიპა, საწოლი ოთახის კართან მივიდა, გამოაღო და შიგ შეიხედა. იმას უკან მიჰყვა ელენე, რომელსაც ატირებულ ბავშვთან უნდოდა გასვლა, მაგრამ პარუნაშვილს გზა ჩაეხერგა და აღელვებული, აფორიაქებული ქალი კარში გახიდულ კაცს ხან აქედან უვლიდა, ხანაც იქიდან, მაგრამ ოთახში შესვლას ვერ ახერხებდა.

ბავშვი ჩაბჟირდა, ახლა უკვე განწირული ხმით გაჰკიოდა, პარუნაშვილი კი ადგილიდან არ იძროდა, კარის ჩარჩოზე ხელებმიბჯენილი, საძინებელ ოთახში თავშეყოფილი, უხმოდ იდგა და გაალმასებულ ქალს, რომელიც იმის განიერ ბეჭებს აქოთქოთებული კრუხივით ზედ აწყდებოდა, ყურადღებას არ აქცევდა.

იმედგადაწურული ალექსანდრე ბრაზით უყურებდა ამ სურათს და გული მოსდიოდა საკუთარ ცოლზე, რომელიც სტუმარს ზურგში ხელს ჰკრავდა, უჯიკავებდა და გზიდან მის ჩამოცილებას ასე ცდილობდა.

უეცრად, პარუნაშვილი მობრუნდა, ქალს გზა მისცა და ალექსანდრეს ნაღვლიანი ღიმილით მიაჩერდა. კარგა ხანს უყურა. მის სახეზე ადამიანი ადვილად ამოიკითხავდა სევდას, სიბრალულს და იმედის გაცრუებას.

— ამას კი აღარ მოველოდი თქვენგან, ბატონო ალექსანდრე... — თქვა ბოლოს და თავი სინანულით გადააქნია.

ალექსანდრე სავარძელში ჩაკვდა, ჩაიფერფლა, ახლაღა გაახსენდა, რომ ამ კაცისა სახელიც კი არ იცოდა და ამის გამო სინდისის საოცარი ქენჯნა იგრძნო. შესცქეროდა ამ ლამაზ, წარმოსადეგ ადამიანს, ასეთი სიბრალულითა და თანაგრძნობით რომ უმზერდა, მის მიმართ თანდათანობით საკვირველი ნდობით იმსჭვალებოდა და როცა იმან უსაყვედურა, ხალხის მტრისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღალატის შვილი ოჯახში როგორ შემოიყვანეთო, საწოლ ოთახში მყოფ ცოლს ბრაზით გასძახა — აბა, გამოიხედე, ქალო, რას გეუბნებოდიო!

ამის გამგონე პარუნაშვილმა ოთახში ბოლთა დასცა და კმაყოფილი ღიმილით უთხრა — ეგრეც ვიცოდი, ბატონო ალექსანდრე, ეგრეც ვიცოდიო!

მოხუცმა შვებით ამოისუნთქა:

— დაბრძანდით, ყმაწვილო, ფეხზე რატომ დგეხართ?

— სად მცალია დასაჯდომად, ბატონო ალექსანდრე... — პარუნაშვილი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია, გარეთ გაიხედა და ვიღაცას თავი დაუქნია.

უეცრად, მეორე ოთახიდან თმაგაწეწილი, სახეშეშლილი ელენე გამოვარდა და ქმარს ეცა:

— ვინ არის, საშა, ეს კაცი?

— ელიკო! — გამაფრთხილებლად უთხრა ალექსანდრემ.

— ვინ არის-მეთქი, რა უნდა ჩემს სახლში!

— კარგი, ახლა, ელიკო!

— უთხარი, წავიდეს ახლავე აქედან!

— დაწყნარდით, ქალბატონო, — ჩაერია პარუნაშვილი, — სჯობს ჩაიცვათ და ბავშვიც მოამზადოთ.

უეცრად კარი გაიღო და ოთახში კიდევ ორი ტყავისქურთუკიანი კაცი შემოვიდა. ელენეს მკვდრის ფერი დაედო სახეზე.

— ბავშვს თბილად ჩააცვით, თორემ გაგიცივდებათ, — ურჩია პარუნაშვილმა.

●

ამის შემდგომ მოვლენებს ალექსანდრე სიზმარივით აღიქვამდა: ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი წყლის ფსკერზე ხდებოდა, ადამიანები შენელებულად მოძრაობდნენ, თევზებივით ალამუნებდნენ ტუჩებს, მათი ლაპარაკი სრულიად არ ესმოდა, ყურებში ერთთავად გაბმული ბუყბუყი და შრიალი ედგა. დაინახა, როგორ გამოიყვანეს საწოლი ოთახიდან ტყავისქურთუკიანმა კაცებმა პალტოჩაცმული, ბალღატატებული ელენე. უყურებდა, როგორ იდგა იგი შუა ოთახში, მისკენ არც კი იხედებოდა და ალექსანდრეს მოეჩვენა, რომ ქალს ერთი სული ჰქონდა, სანამ აქედან წაიყვანდნენ და, მართლაც, როცა იმ კაცებმა წინ გაიგდეს, ოთახიდან ისე გავიდა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

მერე სავარძელში იჯდა და ხედავდა, როგორ დადიოდა პარუნაშვილი დაცარიელებულ ოთახში, რანაირად ათვალიერებდა იქაურობას და ბოლოს, როცა მოუახლოვდა და გამოსამშვიდობებლად ხელი გამოუწოდა, ძალიან კი ეცადა, მაგრამ ისე ჰქონდა კიდურები გახევებული, რომ სავარძლის სახელურს მარჯვენა ვერ ააგლიჯა და დაინახა, დამცინავმა ღიმილმა როგორ დაუბრიცა ტუჩები პარუნაშვილს, რანაირად დაიქნია თავი და წავიდა...

ვერ გეტყოდათ, კიდევ რამდენ ხანს იჯდა ასე და მერე, როცა წამოდგა, სხეულში უცნაური, სასწაულებრივი სიმსუბუქე იგრძნო, რამაც ენით აუწერელი შვება მოჰგვარა.

ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა.

ავტომობილი აღარსად ჩანდა...

ცას ღრუბელი გადაეყარა და აღმოსავლეთიდან დიდი, წითელი მზე ამოდიოდა. მის სხივებს ერთიანად გაეკაშკაშებინა ნაწვიმარი ქუჩა, სახლის სველი სახურავები, მთელი ქალაქი. ტროტუარზე ნელი ნაბიჯით მოდიოდა მკლავზე ცულჩამოკიდებული წყნეთელი გლეხი და ხმობაშეპარულ აკაციებს დინჯად, აუჩქარებლად ათვალიერებდა.

ალექსანდრე ნელა შემობრუნდა. მზის ოქროსფერ ნათელში გახვეულიყო მთელი ოთახი, მისი ყოველი კუნჭული უცნაურად ბრწყინავდა და, უეცრად, ელდანაცემმა კინაღამ შეჰკივლა: მაღალზურგიან, გაქუცულ სავარძელში უძრავად იჯდა მისი გახევებული, უსულო გვამი, რომელსაც ღიად დარჩენილ, ჩამქრალ თვალებზე შემოდგომის მსხვილი, მწვანე ბუზები დააცოცავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ლონდარიძე

თბილისი ივლისის თვეში

ივლისის თვეა... ცხელა თბილისში,
ჩრდილს შეჰფარვიან ჩვენი სიტყვები,
ჩემი ქალაქი ასეთიც მომწონს
და შორს მისაგან ვერ გავიქცევი.
მზე რომ დიდ თვალებს ააგიზგიზებს,
განა ამისთვის დაემდურები?!.
წელში გამართა ხე და ბალახი,
გაათბო ვაჟას ნაფეხურები...
გაუმართიათ მერცხლებს ზეიმი,
ისინი აქ ხომ სხვაგვარ მღერიან,
ჩიტმაც კი იცის მოყვასის ფასი,
რომ სამშობლოს მზე უფრო მწველია...
მზეო თაკარა! შენ ხომ ჩემს ქალაქს
ვით საოცრება ისე უხდები,
თუმც გაყინულ სულს რომ ვერ ერევი,
განა ამისთვის გაგებუტები?!.
სასწაულებსაც მოახდენ ვიცი, —
დაინთებიან კვირტნი სანთლებად,
ქუჩას აივლის გალაკტიონი
და მოწყენილ ხეს მიესალმება...

საფლავზე ამოსული სარეველა

ისეთი მოველ, რიგორიც სურდათ,
ვარდობის ღირსი ალბათ არა ვარ,
ხატავს მინდორი მიწის ქარაგმას
აქ ერთ ფოთოლსაც ვერსად დამალავ...
მოგირთავთ ბაღი იასამნებით
და ცისარტყელებს ჰყვარობს ედემი...
ყველა გამირბის კეთრიანივით,
ალბათ ტკივილებს ვგევარ ეკლებით...
ჰკრავ თაიგულებს ნაზი იებით,
გინდა ჩაიკრა გულში კვირტები,
თუმც ჩემი მოსვლაც რაღაცას ნიშნავს
და ვერც კი ხვდები რომ მეც გჭირდები...
არავინ იცის დასაბამიდან,
გულმა სიმართლით როდის იტირა
და მე რომ არა, ასე მგონია,
ვერ შეამჩნევდი ბაღში გვირილას.
რომ მოიარო ფეხით სამყარო,
არ დაიცლება ფიქრების გუდა,
აქ ხომ წმინდანებს ბოლო საჩუქრად
ჩემგან გვირგვინებს უწნიან მუდამ...
შორიდან მოსჩანს ზამთარი რიდით —
არც ჰგავს სტუმარს და არც მასპინძელს...
თუმც მერე მოვა გაზაფხული და
სუყველას ერთად გამოგვაფხიზლებს...
მეც გავშლი ფოთოლს... მაგრამ უღირსი
რიდით შევხედავ ლამაზ ყაყაჩოს
და მივაშურებ მოწყენილ საფლავს,
ის არ გამკილავს ვიცი არასდროს...
დე თქვენი იყოს ბაღი ვარდების
და მოკაზმული ზღაპრის ედემი,
მე აქ დავრჩები და ორნივ ერთად,
გრძნეულ ღამეებს ერთად შევხვდებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურქი

ის გოგო
მკონი მელია უნდა იყოს...
მაშ რატომ ჩაუცვამს
მისი ქურქი?!
თუმც კუდი რა იქნა...
ან ქუჩაში
თავისუფლად რად დაიარება,
ის არის თუკი?!
მეორეც —
მტაცებლის სამოსში რომ გამოწყობილა
და გულით ვითომ
სინათლესთან ბაასობს...
თუ კეთილია
მაშ საბრალო მელას
ტყავი რისთვისღა გააძრო?!.
ან ცხოველები
გალიებში რად დაამწყვდიეს...
კიდეც გაძარცვეს და
კიდეც დასაჯეს?!
ტყეში კი
დარჩნენ ობლად
პატარა მელიები და ნუკრები...
განა რა ვაჟკაცობაა,
სხვის ქურქში გამოწყობილი,
ზამთარს რომ
დიდი გულით უხვდები?!

●

ისე უჩვეულოდ გაირინდა ღამე,
თითქოს უთვალთვალებს
წრფელ და ხეიბარ სურვილთა თარეშს...
ვისაც უწერია და
იღბალი აქვს,
ალბათ, შეეხება დილის კამკამა ნაპირს!
მაგრამ ასეთ უჩვეულოდ გარინდულ
ღამეში
ისე გულუბრყვილოდ და
სასაცილოდ გამოიყურებით ცხოველებო,
თქვენი მარდი ფეხებით,
მახვილი სმენით და კლანჭებით
როგორც... ადამიანი...
რომელიც გარეთ გასვლისას იბარებს:
შინ უსათუოდ დავბრუნდებიო!!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტრისტან ჩიხლაძე

ძმათაგან ჩემთა

ძმათაგან ჩემთა
ერთხელ ერთმა
მთლად გამაწამა, –
უებრო თითქმის,
– გულით, ვისიც
დამქონდა ბოღმა...

მეახლა ერთხელ,
გამიღიმა...
„შევრიგდეთ ძამა“!
რა გინდა რო ქნა, –
თუ ღმერთი გწამს
თოფს ესვრი?!
მოკლავ?!.

●

არის სამშობლო,
რომელიც არ გაქვს,
არის სამშობლო,
რომელსაც ჰკარგავ,
არის სამშობლო
სხვისას რომ არ ჰგავს,
სამშობლოს, –
მსგავსს რომ
ვერ ჰპოვებ სხვაგან.

აქვს სხვასაც იგი
სახოტბო ფრიად,
აქვს ერთი-ორად
შენსაზე მეტიც...

რწმენით
ვისთვისაც მიაპობს
წყვდიადს,
სამშობლოს თვისას
შეარგებს ღმერთი...

არის სამშობლო,
რომელსაც ეტრფი,
გულს გიხსნის, –
იცის, აღმერთებ რახან,
არის სამშობლო,
რომლისთვის ბედი
ხდება ისე, რომ
არ გაგდებს ძაღლად!..

დევების ქორწილში

თუ სუფრა იყო მეფური,
თუ ყანწმა გაინავარდა,
რად იყო დამწუხრებული,
რატომ არ სვამდა თამადა.

თუ იყო სიცილ-ხარხარი,
თუ ღვინოც ღვინოდ ვარგოდა,
რად არ თვრებოდა მაყარი,
რატომ არაფერს ამბობდა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც რა მოხდა ასეთი,
რად სდუმდა ხმადალოცვილი,
იქნებ ფეხებზე ეკიდა
მაყარს დევების ქორწილი.

თუ მაინც მწვადი შხიოდა,
თუ სურა იყო ზღაპრული,
გული ვის რატომ სტკივოდა,
სევდა-ვარამში დაფლული.

შეხვედრა პატარა უფლისწულთან

სიზმარში... პატარა უფლისწულს
შევხვდი ჩემი ეზოს მახლობლად და
მკითხა:
შენ როცა ჩემსავით პატარა იყავი
მაშინაც ჭამდნენ ბატკნები ყვავილებს?
სამწუხაროდ-მეთქი...
თუმცა ამაზე არც მიფიქრია,
ისე, ნამდვილად მინახავს ხოლმე,
როგორ ავლებდნენ მუსრს, ბატკნები
მინდვრის მშვენიერ ყვავილებს...
და აი...
„მშვიდობით გეთაყვა“...
საოცარი ხალხი ხართო დიდები...
მითხრა და წავიდა.
მე ვიცნობ პატარა უფლისწულს.

●

ცოტა გაგიგებს, კალამო,
რა გულის ცრემლიც გიწვეთავს,
რასაცა დასწერ მალამოდ...
კარგისგან ელის მიხვედრას.

ვინ, გულის ჭიას ახარებს,
ვინ, ცრემლად გატანს დიდ სევდას,
ვინც წერს, — მარჯვენა ეკურთხოს
ვინც იწერს... ვაი მის დედას!..

●

ფიქრის ფიქრია თვალადი,
რაც მიფიქრია შავეთის...
ობლის კვერს როცა მამადლი,
ნერვებს რა ჯუყო დაწყვეტილს.
ეტყობა გვიან თენდება,
ცეცხლი ერევა ეკლითა,

ვითომ სიცოცხლე მშვენდება
სულ მუდამ ზარის რეკვითა.
ვაჟკაცს ქორებულ მხედავსა
ვისგან რა დაგენანება, —
ქალი არ მოგეწონება...
ლექსი არ შეგეხარბება...

●

ალბათ ყველაფერს სინანული სჯობია ახლა,
ალბათ სამშობლო ყველაფერზე დადგება მაღლა,

ალბათ ცხოვრებაც დადინჯდება თვალანახელი,
ან ყველაფერი შეიცვლება ან არაფერი.

ალბათ გონების ყვავილები დაფარავს არეს,
ალბათ ნათელი დაადგება მგოსნების მხარეს.

რადგან თანდათან თვით სამყარო იცლება გესლით,
რადგან მშობლიურ სინამდვილით ივსება ფესვი...

ალბათ სხეული დაივანებს სიწმინდეს ცისას,
როგორც შვლის ნუკრი გახვეული ბალახში მთისა.

ალბათ ყველაფერს გადასინჯავს მერმისის ტალღა,
ალბათ სამშობლო ყველაფერზე დადგება მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ქართველი

მტერი იყო და თავიდანვე იყო რეგვენი,
სურდა რომელსაც, მტრის და მოყვრის ერთ მუშტად შეკვრა,
ჩანგს მასხივებდა სწორუპოვარს დუტუ მეგრელი
და დიდობაშიც მე, პატარა ქართველი მერქვა...

დარდიც ვიყავი ჩემი სახის და მოჩვენებაც
უფსკრულებიდან ამომქონდა სული შეთქმული,
რომ არა ჩემზედ ულმობელი დროის ჭენება
რომ არა ჟამი, ესრეთ მხრწნელი, ესრეთ ბედკრული,

მსოფლიო ჩანგზე შეახებდა ჩემი მზეც თითებს
გულდაკოდილი შვლის ნუკრივით ვარ ამიტომაც,
რომ დიდობაშიც მე, პატარა მერქვა ქართველი
სიდიდე ჩემი, მტერმა ჩემმა რომ არ ინდომა...

სახიერდება დრო, დღითიდღე რკინის მკვნეტელი
სიახლისა და სიხარულის მიმნიშნებელი,
მსოფლიოსი ვარ, ტყავში მიტომ ვეღარ ვეტევი
მე ეს, პატარა ქართველი და დიდი ბებერი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემურ გაბუნია

●

სუფიებივით გამოსრიალდნენ
წარმოსახვები ბნელი ღამიდან,
მსურს ვენდობოდე ჩემს ძველ იალქნებს
და გზას ვიწყებდე ისევ თავიდან.
მსურს ეკლიან გზას ვირჩევდე ორში
და გული ისევ მიწევდეს გარეთ,
მესიზმრებოდეს ჰაშიშის ბოლში
თავდავიწყებით მროკავი მთვარე,
რომ კვლავ იმედით შევხედო ცდომილს,
თავს რომ დაჰნათის ჩემს სავალ
ალმართს
და ძმას, რომელსაც გადახდილ ბრძოლის
შემდეგ მსუბუქი ტკივილიც ახლავს...
მე ეს მსურს და კვლავ ღამეებს ვათევ,
მდელოზე ვწვები ისევ პირაღმა,
მოგონებების ვერცხლისფერ ბადეს
კვლავ ძვირფას თვლების ყუთში
ვინახავ...

ებრაულ მოტივებზე

ვგონებ დაემსგავსა ეს დღეც შეღამებას,
— ხელი შემაშველე, სებიავ,
მთვარის მგლოვიარე სულთა აჩრდილები
პირქუშ საფლავებზე სხდებიან.
გაქრა უცნაური ფერთა შეხამებაც,
ირგვლივ უდაბური გზებია,
ვგონებ დაემსგავსა ეს დღეც შეღამებას,
— ხელი შემაშველე, სებიავ.

დაბადებამდე...

ყინულის სარკე და ზენიტში ვარსკვლავი კენტი,
საკმევლის სუნი და უსახურ ლანდებთან შეყრა...
აქ წარმავლობა მარადიულ ზღვის ღელვას ერთვის
და მთვარის კიბით ჩამოდიან სულები ქვეყნად.

აქ ბედისწერის ბრმა მწერალი არიგებს კარტებს,
არიგებს კარტებს და კარტებში მთვლემარე იღბალს.
მე კი მსურს ჩემში მთვარის მკრთალი ლანდებიც ჩანდეს
და არ მარგუნონ ჯამბაზური ღიმილი ნიღბად.

ამიტომ მოვალ, როგორც მგელი სისხლიან თოვლზე,
რომ კიდევ ერთხელ დავუბრუნდე შობამდელ წიაღს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც სიცოცხლით ცდუნებული მრავალჯერ მომკლეს
და სად იმედი გაყინული ჩიტივით გდია.

ამიტომ ველი, როდის მომცემს უფალი ღმერთი
ახალ სამოსელს, რომ მშობელთან შევიძლო შეყრა.
წარმავლობა კი მარადიულ ზღვის ღელვას ერთვის
და მთვარის კიბით ჩამოდიან სულები ქვეყნად.

●

ზღაპრებში ავად მთვლემარ დრაკონებს
ყრმა უფლისწული მოკლავს, ცხადია,
გაფრენილ ჩიტის ბუდეს მაგონებს
ჩემი ბავშვობის წლები, გადია.

კვლავ აფრასავით ვიშლი ტკივილებს
ყა ზურგქარს ველი კარგა ხანია.
ჩემთვის მერცხლების ჟივილ-ხივილი
მიწის ლოცვაა და მეტანია.

მიკვირს — გადავრჩი, ეს რა ჯიუტი
და რა ურყევი ლტოლვა მქონია,
საკმეველივით ზეცას მიუდის
ძველი მოტივი და სიმფონია.

თუმც ლაღად ადგმულ პირველ ნაბიჯებს
ცხარე ცრემლებიც ახლავს, ცხადია,
ხელში ნიღაბი მეც შემაჩეჩეს,
აქ ბედისწერის მასკარადია.

●

თუ ცხოვრება სიზმრად ნანახ
აჩრდილივით
ფუჭ ძებნაში სულ ამაოდ გაილია,
მომაგონე ის ბავშვური წადილები
და თეთრ ნისლში დაკარგული იდილია.

თუკი ვისაც ვენდე, სწორედ მან დამამხო,
თუ დავყრუვდი და ღვთის ხმა ვერ
გავიგონე,
მაშინ ისე მომევლინე, ვით ავადმყოფ,
იავარქმნილ ოიდიპოსს — ანტიგონე.

თუ ცხოვრება სიზმრად ნანახ
აჩრდილივით
ფუჭ ძებნაში სულ ამაოდ გაილია,
შემისრულე ის ბავშვური წადილები
მაპოვნინე დაკარგული იდილია!

●

ძლიერ მსურს ჰგავდეთ ხეს მსხმოიარეს,
იდგეთ იქ, სადაც მიწა ცას ერთვის.
მშვიდად იცხოვრეთ, მშვიდად იარეთ,
გახსოვდეთ, ვიღაც ლოცულობს
თქვენთვის.
გადიან წლები — ისევ და ისევ
მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ,
ძველებურ რიხით ვერვინ აივსებს
სიხარულის და სევდის ფიალებს.
გვახელებს მრუშის გულივით მქისე
ვერახელილი თვალების ბინდი,
აქ ყველაფერი იცვლება ისე,
როგორც მარტის თვის ჭრელი ამინდი.

გადიან წლები, ქვეყნად წამიერ
შვებას ვერც ვპოვებთ — ისე ვბერდებით
და მივდევთ, მივდევთ სოფელს ამიერს
ქუჩის ძაღლივით ნაგვემ ფერდებით.
გვაღელვებს ისევ გზის დასაწყისი,
შუბლით გაუვალ კედელთან შეხლა
და ვჯავრობთ, თუკი ხელში საწმისის
ნაცვლად დამჭკნარი ფოთოლი შეგვრჩა.
მიჰყვება წლები ცას ნაიარევს
მწყობრად და მკაცრად — სპარტელის
თმენით
იცხოვრეთ მშვიდად, მშვიდად იარეთ,
ვიღაც უჩუმრად ლოცულობს თქვენთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწილი

მაყრები ზეიმით ანთებდნენ მაშხალებს,
ჩოხები ტანს ეცვათ ვიწროდ.
ნეფეს თეთრი ცხენი შვენოდა,
ჰატარძალს —
ნაწნავი მკლავების სიმსხო.

ღვინო იღვრებოდა ჯამებში, თამადა
ხალხს წყურვილს უკლავდა უწყლოდ,
რომ მერე ეცეკვათ ლაღად და თამამად
და თავი არ ეგრძნოთ უცხოდ.

სტუმრები ერთმანეთს უმხელდნენ
ხვაშიადს
ღვინით შემთვრალები ეგზომ,
მერე კი სტოვებდნენ მხიარულ ღიღინით
გულღია მასპინძლის ეზოს.

მას მერე სრულიად მარტონი რჩებოდნენ,
ვით ორი ნატეხი კაჟის,
შველივით დამფრთხალი გოგო და
უძღები
სურვილით ავსილი ვაჟი.

მას მერე ზოგი გრძელ ღამეს ნატრობდა,
ზოგი კი ქორწილის ღვინოს,
მთვარე კი ძველ ზღაპარს ჰყვებოდა
იმაზე,
რაც იყო და არც იყო...

სულო, შემინდე!

დანაყრებული ისევ ვცდუნდები
შენ კი დაგამშევ — ძლიერ გოლიათს.
სულო, შემინდე! — ხორცის ხუნდები
მძიმე ტვირთივით შემომწოლია.

ცხოვრება მდევნის სწრაფადმედინი,
როგორც ყარიბს და როგორც კეთრიანს.
გახსოვს, რამდენი გზაჯვარედინი
და დაბრკოლება შემოგვხვედრია.

თან რომ დაგყვება — ჩემი ლანდია —
აჩრდილი სუსტი, მფრთხალი ცხოველის.
ეს მერამდენე განთიადია,
სულ მუდამ რაღაც ახალს მოველი!

დღეს ჯამბაზივით მითრთის კუნთები
და ალმოდებულს ვკენწლი ფიალებს.
მეც გავთავდები და მოვდუნდები,
თუ სცენა ისევ დაატრიალეს.

თუკი ოდესმე ისევ ვცდუნდები —
არ გამიფრინდე, როგორც თოლია.
შემინდე სულო, ხორცის ხუნდები
მძიმე ტვირთივით შემომწოლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა დვალიშვილი

რკინის ქალამნები

რომანი

ზღვარს იქით

— ხელები უკან! — მოისმა ზურგიდან ცივი, უცხო ხმა. სადარბაზოს შესასვლელიდან რამდენიმე ნაბიჯზე ფურგონიანი მანქანა თუხთუხებდა. ქუჩიდან ცივმა ნიავმა დაუბერა სახეში, მაგრამ ტუსაღს სიცივე არც უგრძვნია. მან მორჩილად დაიწყო ხელები ზურგზე და კარებში გასვლისას ოდნავ თავიც დაღუნა. ირგვლივ სიცარიელე და სიჩუმე იყო. არჩილს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დღისით-მზისით შუაგულ მოედანზე ყელს ჭრიდნენ.. ირგვლივ, ჩვეულებისამებრ, მანქანები მოძრაობდა, ხალხი მიმოდიოდა, ერთმანეთს ესალმებოდნენ, ელაპარაკებოდნენ, სკვერში დადგმულ სკამებზე გაზეთის წასაკითხად სხდებოდნენ, ერთი სიტყვით, გარშემო, ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა, ოღონდ მას არავინ ამჩნევდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკვე აღარ ითვლებოდა ცოცხლებს შორის. რა მნიშვნელობა აქვს, რას უშვრებიან იმას, ვინც არ არსებობს და **არც არასდროს არსებულა** იცოცხლებს იგი კიდევ რამდენიმე საათს, დღეს, თუ თვეს. ეს მხოლოდ მისი პირადი საქმეა.

— აი თურმე, როგორ ხდება ეს, — გაუელვა თავში ფიქრმა. ახლა, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის გამკვეთი ხაზი ზურგს უკან დარჩა, არჩილი თავს საოცრად მსუბუქად გრძნობდა. სადღაც გაქრა ბოლო თვეებში გამომუშავებული სიფრთხილე, ნერვიულობა, სულის გაორება, თითქოს შვებითაც ამოისუნთქა. მოსახდენი მოხდა, ხოლო იქიდან უკან არავინ ბრუნდება. გონებაში შეუბრალებელი სიცხადე: — სიცოცხლე დასრულდა...

მანქანამ შეუჩერებლად ჩაიარა ვერის ნახევრად ჩაბნელებული ქუჩები. გისოსებიანი სარკმლიდან, როგორც კინოს უცხო ეკრანზე, გაიელვა ქალაქის ნაცნობმა ხედებმა — ეს უკვე სხვა სამყარო იყო.

კარიბჭე გაიღო და მანქანა ციხის ეზოში შევიდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელები ზურგზე! გადმოდი! მკრთალი შუქით განათებული სარდაფის ნახევრად ჩატეხილი ქვის კიბე. კიბის ბოლოში უცხო ხალხი. ყველას უსიტყვოდ მოხსნეს ხელიდან საათი, შეხსნეს ქამარი, მონდომებით დაუჩხრიკეს ჯიბეები, შემდეგ კედელთან მიაყენეს და ტანზე და ფეხებს შორის მჭიდროდ ჩამოუსვეს ხელები. შინსახკომელებს სახეზე სრული განურჩევლობა ეწერათ. მზერაში არავითარი ინტერესი. ისინი მას უყურებდნენ ისე, როგორც შეიძლება უყურო ცარიელ კედლებს, ან უსულო საგანს. მას თავადაც დაჰკარგოდა სიცოცხლის შეგრძნების უნარი და ყველა მითითებას, თუ მოთხოვნას ანგარიშმიუცემლად ასრულებდა. ერთგვარი შოკით მონუსხულმა, მექანიკურად მოაწერა ხელი რომელიღაც აქტს და ზედამხედველს გაჰყვა.

რკინის მძიმე კარი ხმაურით მიიხურა ზურგს უკან. არჩილმა მუხლებში სისუსტე იგრძნო და ზურგით მიეყრდნო ცივ, ნახევრად ჩაბნელებულ კედელს. შოკის ნარკოზი ნელ-ნელა ტოვებდა სხეულს. ცოცხალი ადამიანის სხეულს, და მის ადგილს იკავებდა მკვეთრი, ერთობ მგრძნობიარე ტკივილი. ალბათ, ერთი საათი თუ იქნებოდა გასული მისი დაპატიმრებიდან, მაგრამ მის დასაწყისსა და დასასრულს შორის საუკუნე ზღვარი იდო, მანძილი ბევრად უფრო გრძელი, ვიდრე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაა. იყო თბილი, მყუდრო ბინა, მოსიყვარულე ცოლი, სამსახური, ყოველდღიური ცხოვრების თანდაყოლილი, რიგითი ინტერესები, შვილი, ბოლოს და ბოლოს, თავად იგი, ცოცხალი ადამიანი, და აღარაფერი დარჩა. მოულოდნელად მთელი სიცხადით შეიგრძნო, რომ ყოველივე ეს ერთი ხელის მოსმით მოჰგლეჯეს. წაართვეს ყოვლად უსამართლოდ, წაართვეს სრულიად უცხო ადამიანებმა, რომელთათვის მისი უბედურება, უპატრონოდ დარჩენილი ფეხმძიმე ცოლი, დაობლებული შვილი, დანგრეული ოჯახი, ყველაფერი, რაც მის ცხოვრებაში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი იყო, არაფერს ნიშნავდა. — მათ არც უწყოდნენ რა ჩაიდინეს, რა ცოდვაში ჩადგეს ფეხი, დიდ ცოდვაში. — არჩილს ეჩვენებოდა, რომ შეუძლებელია, ბედმა ესოდენ საშინელი შეცდომა გამოუსწორებელი დატოვოს. ცხოვრებაში არ ხდება ესოდენ დიდი გაუგებრობა, **არ შეიძლება მოხდეს.**

შოკის ნარკოზი ველარ უძლებდა სულის წამებას. არჩილს ესმოდა, რომ ეს უაზრობა იყო... ყვირილით, მუქარით, თუ ხვეწნით აქ ვერავის ვერაფერს დაუმტკიცებდი, მაგრამ ერთობ დიდი იყო დანაკარგი და ერთობ ძლიერი ტკივილი, რომ მისი ჩახშობა შესაძლებელი ყოფილიყო. — მე, ხომ ცოცხალი ვარ, რა უფლებით მართმევენ სიცოცხლეს, რა უფლებით! — ყვიროდა, თუ ეჩვენებოდა, რომ ყვიროდა. თვალებზე ცხარე ცრემლი მოადგა და ამან უფრო გაუკეთა გული, — მკვდრები არ ტირიან, — ხელები მუშტებად შეკრა და რკინის კარს გამწარებით დაუშინა.

— რას ხმაურობ, აი, მოგაყუჩებენ კარცერში რამდენიმე დღით და მერე ვნახავთ, ვინ იქნება ცოცხალი. თავად თუ არ გეძინება, სხვა მაინც დააძინე! — საკნის სიღრმიდან ვიღაც შეინძრა. არჩილმა მხოლოდ ახლა შეამჩნია რომ იგი აქ მარტო არ იყო.

●

საკანში მის გარდა, ორი პატიმარი იჯდა. პირველი ასე, ორმოციოდე წლის, საშუალო სიმაღლის ხმელი მამაკაცი რომლის ნაცრისფერი, გაუპარსავი სახე და გაცრეცილი კოსტიუმი, თითქოსდა ერთ ფერში შერწყმულიყო. თვალები ჩაქრობოდა, თითქოს აღარაფერი არსებობდა ამქვეყნად, რასაც შეეძლო მისი ინტერესი აღეძრა. სახის პროფილი გაშეშებული ჰქონდა და მხოლოდ თხელ, ვიწრო ტუჩებს შორის იშვიათად განმკრთალი ღიმილი, — ხან სკეპტიკური, ხან ირონიული, მეტყველებდა, რომ ეს კაცი ჯერ კიდევ ცოცხლებში ითვლებოდა. უმეტეს ხანს, პირველი პატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი ნარზე იწვა, ან იჯდა გაუნძრევლად და, როგორც იტყვიან, დროს უაზროდ ღეჭავდა, თუმცა ციხეში სხვა რა დარჩენია კაცს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის უნივერსიტეტის ყოფილი უფროსი მასწავლებელი ნოდარ გოცირიძე. 58-ე მუხლი, „შპიონაჟი და კავშირი გერმანიის დაზვერვასთან", — დარბაისლური თავმოწონებით წარუდგინა მან თავი არჩილს და ისევ ნარს მიუბრუნდა. ერთი წუთის შემდეგ, ალბათ, მისი აქ არსებობაც აღარ ახსოვდა.

მეორე პატიმარი, პირველი შეხედვით არანაკლებ უცნაური ჩანდა. ოცდახუთიოდე წლის მაღალი ჭაბუკი იყო, მიუხედავად გატანჯული სახისა, მის თვალებში ბავშური ღიმილი და სიკეთე ენთო. ხასიათით ალბათ, საოცრად რბილი და, როგორც არჩილმა შეატყო, მიამიტი იქნებოდა, ასეთები ცხოვრებაში ყოველთვის გულუბრყვილო მდგომარეობაში ვარდებიან და მხოლოდ გარშემომყოფთა გაღიზიანებას იწვევენ, საკუთარი არსებობით. საკანში მისი მოქმედების, თუ საქციელის მთავარი მიზანი მიმართული იყო თანასაკნელთადმი მუდმივი ზრუნვისკენ და ეს მაშინ, როდესაც საკუთარ თავს საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. მოსვენებას ჰკარგავდა, თუ ვინმეს გულგატეხილობას შეამჩნევდა. წამსვე თავადაც უფუჭდებოდა გუნება და ჩანდა, რომ სხვაზე არანაკლებ განიცდიდა ყველაფერს, რაც აქ ხდებოდა. დიახ, ალბათ, ეს იყო მისი უცნაურობის არსებითი ნიშანი, ეს ყმაწვილი ვერ იტანდა სხვისი ტანჯვის ყურებას, ამ დროს სინდისიც კი ქენჯნიდა, თითქოს თავად ყოფილიყოს დამნაშავე, მაშინვე საკუთარი უბედურებაც ავიწყდებოდა. ხოლო სხვისი კარგად ყოფნის შემყურე ბავშვივით დაუფარავად ხარობდა. იგი იყო კიდევაც დიდი, კეთილი ბავშვი. ყმაწვილს სახელად გიორგი ერქვა და იგივე 58-ე მუხლის მიხედვით დაპატიმრებული იყო, როგორც ტერორისტული აქტის ორგანიზატორი. ამ ახსნა-განმარტების მოსმენისას არჩილის სახეზე ურწმუნო ღიმილი გაკრთა. — აღარ იციან, ვის რა მოუგონონ, შენ და ტერორისტი? — და რაოდენ იყო მისი განცვიფრება, როდესაც ჭაბუკმა ჯიუტად თავი გააქნია და შეეკამათა: — უმეტესობათაგან განსხვავებით, ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდება სამართლიანი არის. მე საბჭოთა ხელისუფლების შეგნებული მტერი ვარ.

— შენ? — ძლივს დაფარა არჩილმა გაკვირვება, მაგრამ აქ პირველად შენიშნა, მოსაუბრის სიძულვილისაგან აელვარებული, ფანატიკურად მგზნებარე თვალები.

თანამოსაკნეებთან ერთად ყოფნა, რა თქმა უნდა, შეღავათი იყო. მაგრამ პატარა შეღავათი (მიუხედავად გიორგის მცდელობისა, გაეწია თანადგომობა). საკუთარ უბედურებასთან ყველა მარტოდმარტო რჩება. არჩილის მეხსიერებაში ამოტივტივდა რამდენიმე თვის უკან დატრიალებული საშინელი ამბები. რეპრესირებულთა ახლობლებით გატენილი სასამართლო შენობა. გრძელი რიგები ციხესთან. ხალხს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა — გადარჩა? რამდენი მისცეს? სად გაგზავნეს და პასუხად ყრუდ ნათქვამი: — არ ვიცით! სწორეთ იმ დროს დაიჭირეს მისი ცოლის ძმა. ნინო, სოფლიდან ჩამოსულ მოხუც დედასთან ერთად, მივიდა სასამართლოში, ძმის ამბის გასაგებად. სასამართლოს მოხელე, რომელიც რეპრესირებულთა სიებს სინჯავდა, რუსი იყო და ქართული ცუდად გაეგებოდა. ნინო თავად რუსულის სუსტად მცოდნე, ძლივს უთარგმნიდა დედას საჭირო სიტყვებს.

— ასეთი გვარი სიაში არ არის, უცნობია, — მოხელე სიბრალულით უცქეროდა ერთადერთი ვაჟის დაკარგვით გაუბედურებულ, სიბერეგამწარებულ დედას. სახეზე ეტყობოდა სურვილი, რამეთი დახმარებოდა, ნუგეში ეცა, მაგრამ რა შეეძლო. მხოლოდ ნინოს მიუბრუნდა და გამამხნევებელი ღიმილით უთხრა: — თქვენი ძმა ნამდვილად არ არის სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. მე ამ საქმეში გამოცდილი ვარ და, მერწმუნეთ, ცოცხალი უნდა იყოს, — გუშინ ეტაპი ვორკუტაში გააგზავნეს.

— რაო, შვილო, რას ჩიოდა მოსამართლე? — უკვე მერამდენედ ეკითხებოდა დედა.

— ცოცხალია, დედა დავთრებში მისი გვარი ვერ ნახეს, გუშინ ციხიდან ბევრი წაუყვანიათ მატარებლით.

— სად შვილო? —

— ვორკუტაში, მხარეა ციმბირში.

— ვაიმე, დედა, ოღონდ ჩემი გოდერძი ცოცხალი იყოს და, ციმბირს რავა ვჩივი, თუნდაც სულ ვერ ვნახო და ისე ჩავიდე საფლავში. სიებში არ არისო, შვილო? ნამდვილად ცოცხალია, ნამდვილად...

— კი, დედა, ნამდვილად.

— წერილს და ცნობას რომ არ ვიღებთ, გული კი არ უნდა გავიტეხოთ, ამბის მოწერის უფლება არ ჰქონიათ ხალხის მტრებს, — იმხენევებდა თავს მოხუცი.

იმ მოხელემ და არჩილმაც კარგად უწყოდნენ, რომ რეპრესირებულთა სიებში გვარის შეუტანლობა ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ გოდერძი, ისევე, როგორც სხვა მრავალი ათასი მის ბედნაზიარები, უკვე ცოცხლებში აღარ იყო, მაგრამ ცოლთან ამის სათქმელად ენა არ უბრუნდებოდა. ალბათ, რამდენიმე კვირის შემდეგ, სასამართლოს იგივე, ან რომელიმე სხვა მოხელე, მასთან მისულ ბავშვის მომლოდინე, ფეხმძიმე ქალს გადაუშლის დავთრებს, გააყოლებს თითს დანომრილ გვარებს და ეტყვის: —ასეთი კაცი სიაში ნახსენები არ არის, ალბათ, ცოცხალია.

●

„მაგრამ მე ხომ ვარ, აი აგერ, ცოცხალი, ახალგაზრდა და ჯანმრთელი. რა სისულელეა, რატომ უნდა მოვკვდე, — მე ხომ აქ არაფერ შუაში ვარ. ეს უფრო მეტია, ვიდრე უსამართლობა, ეს გაუგებრობაა". მას გაახსენდა, დიდი ხნის წინათ, ყმაწვილობაში წაკითხული ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" სიტყვები: — „თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდის ვიარ".

რეცენზია რუსულ რევოლუციაზე

ორ კვირაზე მეტი გავიდა, რაც არჩილი ვიწრო, ნახევრად ჩაბნელებულ საკანში იჯდა. დრო უფერულად მიდიოდა. დღეში სამჯერ ზედამხედველს შემოჰქონდა შავი პურის გამხმარი ნატეხი, წყალწყალა, უფერული სითხით სავსე რკინის ჯამი და გარესამყაროსთან ურთიერთობა ამით ამოიწურებოდა. ხანდახან არჩილს ეჩვენებოდა, რომ იგი აქ, საერთოდ, შემთხვევით მოხვდა. და ზევით, შინსახკომში არც უწყიან მისი დაპატიმრების ამბავი. არც გამოძიება, არც დაკითხვები, ან ბრალდების წაყენება. „ეშმაკმა იცის, იმდენ ხალხს იჭერენ, რომ გამორიცხული არ არის, ვიღაცას გამოვრჩე — ფიქრობდა იგი ხანდახან, მაგრამ მაშინვე ეუფლებოდა საშინელი უსუსურობის და სასოწარკვეთილების გრძნობა. — რა მნიშვნელობა აქვს, როგორ მოხვდა იგი აქ — მდგომარეობის მთელი საშინელება სწორედ იმაში იყო, რომ ამას **არავითარი** მნიშვნელობა არ ჰქონდა. ის ფაქტი, რომ იგი დაჭერილია, უკვე ტოლფასია დანაშაულის ჩადენისა. თანამოსაკნენი, რომელთაც პატიმრობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდათ, დაკითხვაზე გამოუძახებლობას, გამოძიების ერთერთ ფანდად თვლიდნენ და მეგობრულად ურჩევდნენ, არაფერზე ეფიქრა, რამეთუ ზედმეტი ფიქრი, აქ, ადამიანს ძალ-ღონეს ართმევს და წონასწორობიდან გამოჰყავს. — მოვა ჟამი, როდესაც ფიქრი და თავსატეხი თავსაყრელად გექნება, ხოლო იმ დრომდე შეიძლება სულიერი მხნეობა დაკარგო და ადვილად გატყდე. ჩეკასაც ეგ უნდა და ამიტომ გტოვებს უყურადღებოდ. შენთვის ხვალინდელი დღე ხომ ბურუსშია გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეული. არ იცი რა გელის, რისთვის შეგიპყრეს, რის შემოტენას გიპირებენ, ხოლო გარეთ, ბედის ანაბარად მიტოვებული ოჯახი გელის, რომელმაც შენზე არაფერი იცის და რომლისგანაც თავად არავითარი ცნობა არ მიგიღია. შინსახკომის აზრით, ყოველივე ეს საკმარისია შენს მოსარჯულებლად. ერთი, ან ორი თვის შემდეგ, როდესაც ყველა იმედს დაკარგავ, გამოგიძახებენ, ერთს გემრიელად შეგანჯღრევენ და შემდეგ, რასაც უნდათ, იმას გამოძერწავენ შენგან.

არჩილს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერი მოუხერხა. ღამე კოშმარით შეწუხებულს, ძილი უფრთხოდა, დღე ჭამის მადა ეკარგებოდა და ერთთავად იმაზე იტეხდა ტვინს, დაკითხვაზე როგორ დაეჭირა თავი, რომ უდანაშაულო კაცის შთაბეჭდილება დაეტოვა (მას კიდევ არ ესმოდა ბოლომდის, რომ ფაქტი მისი დანაშაულობის თუ უდანაშაულობისა, შინსახკომში ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ).

●

ყველა სხვა სახელმწიფოში ხელისუფლებას უჭირავს თავისი შესაფერისი ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში და ასრულებს საკუთარ მოვალეობას. ესე იგი, დანიშნულებისამებრ ემსახურება ხალხის ინტერესებს და შებორკილი არის გარკვეული ვალდებულებებით. ამ სახელმწიფოში კი ხელისუფლება არავის და არაფერს ემსახურება, გარდა საკუთარი თავისა და ამიტომაც არ გააჩნია არავითარი მოვალეობის გრძნობა. იგი არის სრული და უსაზღვრო, არსებობს ყველგან და ყველაფერში, მის წინაშე პასუხისმგებელია ყველა, თვით ხელისუფლების წარმომადგენელნიც კი. სხვა ქვეყანაში ხელისუფლება და ხალხი ერთ სხეულს წარმოადგენს, ხოლო აქ ისინი უცხონი არიან ერთმანეთისათვის. სხვა ქვეყანაში ხელისუფლება იღვწის ხალხის საკეთილდღეოდ, აქ, პირიქით, ხელისუფლების მიზანია, რომ ხალხმა **ცუდად იცხოვროს** სხვა ქვეყანაში ხელისუფლება ძალაუფლებას აძლევს და აწინაურებს ღირსეულთ, რამეთუ ღირსეული ხალხის მცდელობით სახელმწიფოც ძლიერია. აქ სახელმწიფო თავად სპობს ხალხში, უკეთესს და ნიჭიერს, რადგან ამ თვისების მატარებელნი მისი უპირველესი მტრები არიან. ხელისუფლება არ ემსახურება ადამიანებს, არც ცალკეულ პირებს, არც ერთი პიროვნება არ მოიპოვება სახელმწიფოში, მისი ინტერესები რომ დაიცვას. ვით უგუნური და საკუთარი ვნებით შეპყრობილი მბრძანებელი, იგი არის მუდამ დაუკმაყოფილებელი, მოუსვენარი და ეჭვიანი. მისთვის არ არსებობს დაბრკოლება ან საზღვარი, არ ცნობს კანონებს და თავად არის დაბრკოლება, საზღვარი, თუ კანონი ყველასთვის. ეს ხელისუფლება აშკარად არსებობს ხალხისაგან განცალკევებით, თითქოსდა მისი ნების წინააღმდეგ, მაგრამ იგი, მიუხედავად ყოველგვარი ლოგიკისა (რამეთუ შეუძლებელი არის იარსებოს რაღაცამ, თუ იგი არავის სურს, თუ იგი არავის ინტერესებს არ ახორციელებს), არსებობს, სუნთქავს, და, რაც მთავარია, მოქმედებს.

არჩილმა თვალი გაახილა და მოკამათეთა მხარეს გაიხედა. ლაპარაკში გართული ნოდარი ფეხზე იდგა, და მოსაუბრეს რაღაცას უმტკიცებდა. საუზმის ჩამორიგების დრო ახალი გასული იყო. ზედამხედველმა რკინის ჯამები უკვე აკრიფა და ცვლის ჩასაბარებლად წავიდა. ციხეში იდგა სწორედ ის წყნარი საათი (როგორც ამ ჟამს პატიმრები ხუმრობით უწოდებენ), როდესაც ძველი ზედამხედველი წავიდა, ხოლო ახალი ჯერ არ მოსულა და გარკვეული დროით, საკნის ბინადართა კისერზე მჭიდროდ მოჭერილი ხელისუფლების ბალთა ოდნავ მოშვებულია ხოლმე. საქმე არაფერი იყო და ამიტომ დროის მოსაკლავად თუ გასართობად, არჩილი ნარიდან წამოიწია და კამათს ყური მიუგდო. წარსულს ჩაბარდა ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო, როდესაც იგი გალიაში ახლად მომწყვდეული ჩიტივით ფართხალებდა და კანკალებდა ამგვარი კონტრრევოლუციური ლაპარაკის მოსმენისას. რაგინდ უცნაური უნდა იყოს, სწორედ ციხეში, სადაც ადამიანი ბევრად უფრო დიდი საფრთხის წინაშე იდგა, ვიდრე გარეთ, პატიმარი კარგავდა სიფრთხილის გრძნობას და პირმოთნეობით ფიქრ-ლაპარაკის ჩვევას. ამ მხრივ, გიორგის ერთხელ ნათქვამისა არ იყოს, საბჭოელი, ციხეში ბევრად უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე გარეთ. ოღონდ ეს თავისუფლება იყო ზღვარს მიღმა მყოფი, სიკვდილმისჯილის გულახდილობა, განაჩენის სისრულეში მოყვანის წინ.

— შენ ხომ თანახმა ხარ, რომ საბჭოეთში მხოლოდ ასეთი ხელისუფლება მეფობს და არა სხვაგვარი. აი, გამეცი პასუხი, რამ წარმოშვა იგი, საიდან გაიდგა ფესვები და საიდან მოდის?

— მარქსისტული მოძღვრება და მისი ნაშიერი ბოლშევიკური პარტია...

— სისულელეა, — ნოდარმა ეს სიტყვა ერთგვარი გაწელვით წარმოთქვა, თითქოს მის მნიშვნელობას ხაზს უსვამსო. გაცრეცილი კოსტიუმის სახელოები დაეკაპიწებინა და სხეულით ოდნავ წინ გადახრილი, მთელი თავისი პოზით გამოხატავდა ერთგვარ უარყოფას თუ პროტესტს მოსაუბრის მიმართ.

ნარზე იდაყვებით დაყრდნობილი არჩილი ყურადღებით უცქეროდა მოკამათეებს. ჩანდა, რომ მას, კამათის გარეგნული კორიანტელი უფრო იზიდავდა, ვიდრე უკვე მრავალჯერ სიტყვიერ პაექრობაში დაღეჭილი და გადაღეჭილი არსი ნალაპარაკევისა. მითუმეტეს რომ, გამოცოცხლებული და აზარტში შესული ნოდარი, რომელიც სხვა დროს ტყუილუბრალოდ ერთი გვერდიდან მეორეზე არ გადაბრუნდებოდა, ახლა კარგი საქქერი ჩანდა.

— დააბრალო ყველაფერი იდეას და მის მიმდევრებს, ეს ბევრად უფრო ადვილი და პრიმიტიული რამ არის. ხოლო, სიღრმემდე ჩავეძიოთ ჩვენი უბედურების მიზეზებს, ათას ცრუ ბილიკში ვნახოთ ის ერთადერთი, სწორი გამოსავალი, რომელსაც ჭეშმარიტებამდე მივყავართ და გავიცნობიეროთ იგი, ამის ძალა ჩვენ არ შეგვწევს. ჩვენ ხომ ყოველთვის ვკმაყოფილდებით ნახევრად სიმართლით, ზედაპირული ფაქტებით, ვიმეორებთ კაცობრიობის მიერ უკვე ათასჯერ დაშვებულ შეცდომას, რის გამოც ეს სამთავიანი ურჩხული: დესპოტიზმი, ეგოიზმი და უზნეობა, მუდმივად გვეცხადება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და ჩვენ მას ვცნობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე გვიანაა. ბისმარკმა რა თქვა? „მხოლოდ სულელები სწავლობენ საკუთარ მაგალითზეო", — ღმერთო ჩემო, ჩვენ ხომ სულელებზე უარესები ვართ, ჩვენ საკუთარ შეცდომებზეც ვერ გვისწავლია და კიდევ გვიკვირს, რისთვის ვისჯებით. ვეძებთ განტევების ვაცებს, თითქოს პიროვნებებში, ან პარტიებში იყოს საქმე. სოციალიმზი რას ქადაგებს? თანასწორობას, ძმობას, ერთობას, რა არის ამაში ცუდი?

— პროლეტარიატის დიქტატურა, კლასობრივი ბრძოლის თეორია, რაც ბაკუნინმა მარქსიზმზე თქვა, ესეც მე მოვიგონე? — გიორგი, რომელიც თავიდან დიდ ინტერესს არ იჩენდა კამათისადმი, ეხლა ერთბაშად წამოენთო, თვალებში შეურიგებლობის, თუ შეუბრალებლობის ნაპერწკლები გაუკრთა და ახლა, ძნელი წარმოსადგენი იყო მის ადგილზე ის ჩვეულებრივ გულჩვილი და კეთილი ყმაწვილი, ცხოვრებაში ესოდენ დამთმობი და მორიდებული რომ ჩანდა.

„ძნელი უნდა იყოს ახლა მასთან კამათი, არ დაგინდობს, თუმცა, თუ გული გატკინა, მერე თავადვე ინანებს, მაგრამ ახლა არ დათმობს", — დარწმუნებით გაიფიქრა არჩილმა და-მეტი ცნობისმოყვარეობით მიუგდო ყური კამათს. თუმცა არც ნოდარი შეცბუნებულა, როგორც ჩანდა, მოწინააღმდეგის დანდობას არც იგი აპირებდა. მხოლოდ ნაჩვევი, სკეპტიკური ღიმილი აუთამაშდა სახეზე. — შენ ის მითხარი, ქრისტიანობას როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყურებ? — მან არჩილისკენ გაიხედა და მალულად თვალი ჩაუკრა, თითქოს ამბობდა, ახლა გაყურებინებ სეირსო.

— შენ თავად იცი, რასაც ვფიქრობ. ადამიანებმა, ქრისტეს მცნებებს რომ მისდიონ, ქვეყნად ამდენი უბედურება არ იქნებოდა.

ე. ი. — ქრისტიანობას შეუძლია მხოლოდ სიკეთის მოტანა და არასდროს უსამართლობის და ბოროტებისა, მეთანხმები?

— რა თქმა უნდა!

— აი, აქ კი დაგიჭირე, — ნოდარმა უფრო მეტი ეფექტისათვის ტაშიც შემოჰკრა. — შენ ეს მითხარი, იეზუიტთა ორდენი და კათოლიკური ინკვიზიცია ბოლშევიკებმა მოიგონეს? ჯორდანო ბრუნო და გალილეო გალილეი ვინ აწამა? ერთ მხრივ, გიყვარდეს მოყვასი შენი, მეორე მხრივ, მოგიზგიზე კოცონზე ველურებივით წამება. როგორია, ა?

— ჯორდანო ბრუნო ღვთისმგმობელი იყო. მისი და მისნაირი „მებრძოლი ათეისტების“ დამსახურებაა, რომ დღეს ადამიანი სინდისისგან და ღვთის შიშისაგან გათავისუფლდა. ბრუნომდე ასი წლით ადრე, ლეონარდო და ვინჩიმ ტანკის და ტყვიამფრქვევის ესკიზები შექმნა, მაგრამ შემდეგ ამ საშინელი იარაღით შეძრწუნებულმა, საკუთარი ხელით დაწვა ეს ნახაზები, დაწვა საკუთარი შემოქმედების ნაყოფი. ბრუნოდან სამასი წლის შემდეგ, მეოცე საუკუნის მეცნიერებმა გაზის იარაღი მოიგონეს და მსოფლიო ომში, ევროპის ცივილიზირებული ხალხები, იმ იარაღით მწერებივით წამლავდნენ ერთმანეთს. იმ გაზის შემქმნელ მეცნიერს თავი ჰუმანისტად მოჰქონდა და კიდეც განაცხადა: მე რომ მცოდნოდა, რისთვის გამოიყენებდა კაცობრიობა გაზს, ჩემს გამოგონებას საკუთარი ხელით მოვსპობდიო. რაღა დროის იყო ეს შეცხადება. არადა, ესოდენ არაადამიანურ რამეზე ის მეცნიერი აუცილებლად შეჩერდებოდა თავის დროზე, ღვთის შიში რომ ჰქონოდა. მაშინ არ დასჭირდებოდა საკუთარ უგუნურებაში დასარწმუნებლად მსოფლიო ომის ათასობით მსხვერპლის ხილვა. მარქსსაც რომ ღვთის შიში ჰქონოდა, არ უარყოფდა მცნებას „გიყვარდეს მოყვასი შენი“ და არ გამოაცხადებდა ერთ ადამიანს მეორის მტრად, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა კლასებს ეკუთვნიან. აი, რა ქნა შენმა ბრუნომ, შეიძლება, როგორც მეცნიერი, იგი სწორი იყო, მაგრამ როგორც ადამიანი, ყოვლად უზნეო და ეგოისტი გამოდგა. ის, რაც ბრუნომ აღმოაჩინა, ჯერ კიდევ ელინთა ასტრონომებმა უწყოდნენ, მაგრამ ქრისტიანული რელიგია ამას ხალხისაგან მალავდა, რატომ? იმიტომ, რომ ადამიანი მორალურად არ იყო მზად ასეთი მნიშვნელობის აღმოჩენის გასათვითცნობიერებლად. ის, რაც მეცხრამეტე საუკუნეში სასარგებლო იყო, მეთხუთმეტე საუკუნისათვის შეიძლება კაცობრიობის წინაშე დანაშაულად ჩაითვალოს. მოწიფული ქალისათვის კაცთან სიახლოვე ბუნებრივი მოვლენაა და მას მხოლოდ სიამოვნება მოსდევს, მაგრამ უმწიფარი ქალწულისათვის ეს სიახლოვე, შეიძლება მთელი ცხოვრების ტრაგედიად იქცეს. მხოლოდ უფალმა უწყის, როდის, რა უნდა მიეცეს ადამიანს, რისთვის არის იგი მზად და რისთვის არა. ხოლო ბრუნოს ეგოიზმი და სიამაყე დაეუფლა. მან ეს აღმოჩენა ადამიანებს საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად მოუტანა და არა მათ სასარგებლოდ.

— მე ბრუნოს არ ვიცავ, შეიძლება იგი ცდებოდა კიდეც, მაგრამ ადამიანის ცოცხლად კოცონზე დაწვა, მხოლოდ იმის გამო, რომ მან გამოთქვა თავისუფალი აზრი, განა დესპოტიზმი, უზნეობა და ეგოიზმი არ არის? თუ იგი მტყუანია, შენ ეს დაუმტკიცე, თუ რეგვენია და არ ისმენს შენსას, დეე, იქადაგოს, ცხოვრება ყოველთვის ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს. ისტორია გაარკვევს, სად არის სიბრიყვე, და სად სიბრძნე. რას მიაღწიეს ინკვიზიტორებმა მისი დასჯით? ღვთისმგმობელი წამებულად აქციეს, ხალხს რწმენა შეურყიეს და საფუძველი ჩაუყარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ ყოვლისწამლეკ რევოლუციურ ქარიშხლებს; მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ არის. რატომ მოხდა, რომ ქრისტიანობა, რელიგია, რომელიც ქადაგებდა კაცთმოყვარეობას, სიყვარულს და ურთიერთშეწყალებას, თავის განვითარების გარკვეულ საფეხურზე იქცა დესპოტიზმის სიმბოლოდ, რატომ? — ნოდარმა კიდევ ერთხელ ნიშნის მოგებით გადახედა საკანში მყოფთ, თითქოს ამბობდა, აბა მითხარითო, თუმცა პასუხს არ დალოდებია, ისე განაგრძო: — გამოდის, რომ იდეის, თუ რელიგიის შინაარსს, მის აზრს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დესპოტიზმის წარმოშობაში. ტირანია შეიძლება გაჩნდეს თვით ყველაზე სამართლიან და კაცთმოყვრულ იდეის წიაღში. ბედის ირონიით, მოვლენებს და იდეებს ქმნიან ადამიანები, მაგრამ მოვლენები და იდეები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე თავად ზემოქმედებენ ადამიანებზე და მართავენ მათ საქციელს. ყველა რევოლუცია ისტორიაში კაცობრიობამ სამართლიანობის, თანასწორობის და სიკეთის დროშით დაიწყო. მაგრამ რევოლუცია, უეცრად ცვალებადობას ნიშნავს და იგი შეუძლებელია განხორციელდეს ძალადობის გარეშე. იდეის თუნდაც ყოვლად სასარგებლოს აბსოლუტიზაცია და დესპოტიზმი არღვევს ბუნების ჰარმონიას და წარმოქმნის ტირანიას, შეუწყნარებლობას და უზნეობას ადამიანთა ურთიერთობაში. ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, რას ქადაგებს იდეა, წრფელია თუ არა იგი, კეთილია თუ ბოროტი, ჭეშმარიტად სამართლიანობას ესწრაფვის თუ თვალთმაქცობს, დესპოტის რანგში აყვანილი იდეა ემსახურება არა ადამიანებს, არამედ მხოლოდ საკუთარ თავს. მარქსიზმი მაშინ იქცა კაცთმოძულე დემაგოგიად, როდესაც იგი გახადეს ერთადერთ ჭეშმარიტებად და ყველა სხვა ნაყოფი კაცობრიობის განვითარებისა, მსხვერპლად შესწირეს ამ კერპს. იდეის დესპოტიზმის პერიოდში, აგრეთვე არ აქვს მნიშვნელობა, როგორი ხალხი ემსახურება მას. ბუნების და საზოგადოების დაუნერელი კანონების ზემოქმედებით, ისინი ადრე თუ გვიან, გახდებიან ორეულნი თავიანთი გაკერპებული იდეისა და ეს კიდევ ყველაფერი არ არის. **იდეის დიქტატურა, ადრე თუ გვიან, ბოლოს უღებს თავად იდეას,** რამეთუ იდეის, სახელმწიფოს, თუ ყველა სხვა სახის ტირანია, საბოლოო ჯამში თავად ჭამს საკუთარ თავს. რუსულ ინტერნაციონალურ მარქსიზმს და გერმანულ ნაციონალურ ფაშიზმს აუცილებლად დალუპავს ამ მოძღვრებათა გადესპოტებული იდეა. ქრისტიანობასაც ჯორდანო ბრუნოს მოძღვრებაზე უფრო დიდი ზიანი მისმა ცოცხლად კოცონზე დაწვის ფაქტმა მოუტანა.

— შენ ხომ ათეისტივით მსჯელობ, — არჩილს უნებურად გაეღიმა გიორგის მიერ საყვედურივით წამოძახილ სიტყვა „ათეისტზე", თითქოსდა ეს კამათი წინაპართა გარდასულ საუკუნეში მიმდინარეობდა და არა 1938 წელს, საბჭოთა კავშირში. მაგრამ ასეთი კაცი იყო იგი, მოვლენათა და ჟამთა ცვლა, მასზედ იოტისოდენა გავლენასაც ვერ ახდენდა, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა. ზოგჯერ არჩილს ეჭვიც ეპარებოდა, იქნება ამდენი წამებისაგან გატანჯულს, ჭკუა ელძროო, ყოველ შემთხვევისათვის, წვრილმან ნიუანსებში, უთუოდ უცნაურობა ემჩნეოდა, რა არის გასაკვირი ნოდარის ათეისტობაში, დღეს **ღმერთი ვისა სწამს?**

— მე გეთანხმები, რომ ქრისტიანობის ისტორიაში ბევრი შეცდომა იყო და ინკვიზიცია არ არის გამონაკლისი, მაგრამ რელიგია ხომ სწორედ აბსოლუტური მოძღვრება არის, — ამ სიტყვებზე გიორგიმ გაკვირვებით აიჩეჩა მხრები.

— მე არა ვარ შენსავით ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი და ცოდნაში ვერ გაგეჯიბრები, მაგრამ რა გამოდის შენი სიტყვებიდან?..

ჭაბუკს სახეზე ეტყობოდა, რომ მას მოკამათე კიდეც ეცოდებოდა, ვით აზრაბნეული კაცი და დაბეჯითებით ცდილობდა მის გადარწმუნებას. არჩილის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, მართლაც სასეირო საყურებელი იყო, გიორგის ამ ბავშვური მზრუნველობით უფრო მეტად გაღიზიანებული ნოდარი.

— არ ვიცი, ჩემო კარგო, არ ვიცი, — ჩვეულებრივ, მშვიდ და აუღელვებელ ისტორიკოსს ახლა აშკარა გაღიზიანება ეტყობოდა. სად მთავრდება იდეის ჭეშმარიტება და იწყება იდეის დესპოტიზმი, ძნელად გასავლები ზღვარია. ეს ზღვარი ჩვენზე უფრო ჭკვიან ადამიანებს დაუკარგავთ. აი, თუნდაც მეფის ხელისუფლება და ტირანია: პირველი ღვთისგან მოდის, კანონიერია, ზნეობრივი და ზომიერი, მეორე — უკანონო, უზნეო, აღვირახსნილი და მოდის იგი ეშმაკისაგან, მაგრამ ორივეს ხომ ერთ-ხელისუფლებიანი მმართველობა ახასიათებს. კანონიერი მირონცხებული მეფეც, დემაგოგი ტირანიის მსგავსად, ხომ შეიძლება იქცეს დესპოტად. ადამიანთა რომელ გრძნობებზე და თვისებებზე, მოვლენათა რომელ შერწყმაზე გადის ეს საბედისწერო ზღვარი; სად გადადის კანონიერება უკანონობაში, ღვთის მირონი, ეშმაკის კვერთხში, ქრისტიანობა ინკვიზიციაში, სამშობლოს სიყვარული სხვა ერების სიძულვილში, სად მთავრდება „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის“ ავტორი და იწყება... — ნოდარმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია, ნარზე ჩამოჯდა და დაღლილი ხმით განაგრძო: — როდესაც სიტყვა „იდეა“ მესმის, მაშინვე ჯიბეზე ვიტაცებ ხოლმე ხელს, რათა იქიდან არავინ არაფერი ამომაცალოს. ეს სტენდალის სიტყვებია. ბრძნული სიტყვები და მას ვერაფერს დაუმატებ. ასეთია ადამიანის ბუნება. ყველაზე მშვენიერს, ყველაზე ჭეშმარიტს უზნეობად აქცევს იგი. საროლიო ჯამში დემაგოგთა ერთ წყებას მეორე ცვლის, ხოლო ხალხი, საწყალი ხალხი, ყოველთვის წაგებული რჩება. ჰოდა, მითხარი, რა უნდა ვიწამო, ადამიანთა გაბრიყვების ახალი საშუალებანი? მოატყუეთ სხვა, მე, ყოველ შემთხვევისათვის, თქვენს სპექტაკლებში მონაწილეობას არ მივიღებ. არც ერთი იდეა, გესმის, არც ერთი არ ღირს, თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლედ. მე არ მწამს ბოლშევიკების, მაგრამ არც თქვენი მწამს, ახლა დამარცხებულნი, სიმართლისათვის წამებულთა ეკლიანი გვირგვინის ქვეშ დგახართ, მაგრამ ხვალ რომ გაიმარჯვოთ, წითლებზე არანაკლებ მონდომებით აავსებთ ციხეებს, მსხვერპლი, იქაც და აქაც, ერთი და იგივე ხალხი იქნება. ამიტომ, მე არ მსრუს ვიყო „თავისუფლებისათვის უანგარო მებრძოლი“ და ვარჩევ უბრალო, პატიოსანი ადამიანის გზას. ყოველ შემთხვევისათვის, ეს უფრო სინდისიერი საქციელია, ვიდრე სიტყვებით კაცობრიობის თავისუფლებისათვის მებრძოლად ასაღო თავი, ხოლო საქმით მათ დამმონებლად იქცე. მე ჩემთვის ვარ...

საკანში სიჩუმე ჩამოვარდა, ალბათ, ბორიგი ცვლა უკვე დამთავრებულიყო და დერეფანში გასაღებების ასხმის ჩხარუნი მოისმა. კარის საჭვრეტელი გაიხსნა და ცარიელი სივრცე ვიღაცის უნდო, ეჭვიანმა თვალებმა შეავსო. თვალის შავი ამოტრიალებული გუგა ფრთხილად ზვერავდა საკანს.

— ბავშვობაში დედა ხშირად მიყვებოდა ერთ ზღაპარს: სოფლის წყალს გველეშაპი დაეუფლა. გრძელი, მორკალული კუდი წყაროს გარს შემოარტყა და ახლოს არავის აკარებდა. მხოლოდ უბიწო ქალწულის სახით ყოველწლიურად ხარკს იღებდა ადამიანებისაგან და წყაროს ისე უთმობდა წყურვილით გასავათებულ სოფელს, — საჭვრეტელი დაიხურა და დერეფანში ჩექმების ბრახუნი მოისმა. ზედამხედველი საკანს მძიმე ნაბიჯებით სცილდებოდა. გიორგიმ ალმაცერი მზერა ესროლა კარს და სიტყვები ნახევარი ხმით განაგრძო: — უძლეველი იყო ეს გველეშაპი, მრავალი გმირი ეცადა მის მოკვლას, მაგრამ ამაოდ. გმირები უგზო-უკვლოდ ქრებოდნენ. ხოლო ურჩხული უცვლელად იჯდა წყაროსთან, ახალი ხარკის მოლოდინში. და იცი, რა იყო გველეშაპის უძლეველობის მიზეზი? ორთაბრძოლაში მასთან გამარჯვებული გმირები თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებდნენ ურჩხულის სახეს და მოკლულის ადგილს იკავებდნენ, წყაროს თავს. ურჩხულის მოკვლა შეიძლებოდა, მაგრამ არა დამარცხება. ბრძოლის დასასრულს, რ ღესაც განგმირული მტარვალი უკანასკნელად ამოახველებდა სისხლს, იმ სისხლთან ერთად, საშინელ შხამს აფრქვევდა პირიდან და გამარჯვებულ მეტოქეს შეასხამდა სახეში. ამ გესლის ზემოქმედებით, გამარჯვებული გმირი თავად იქცეოდა ურჩხულად და ხსნა არსაით იყო. შენ რომ ღღეს გისმენდი, ეს ლეგენდა მახსენდებოდა, ნოდარ.

— ლეგენდა რით დამთავრდა?

— გამოჩნდა ბოლოს ერთი, ვინც განგმირა ურჩხული. ბრძოლის დასასრულს, სხვების მსგავსად, ამ მზეჭაბუკსაც სახეზე შეესხა მომაკვდავი მხეცის შხამიანი გესლი. თავად ბრძოლაში დაჭრილი, ჭრილობის მოსაბანად წყაროსკენ დაიხარა და მისდა გასაოცრად, თავი ვერ იცნო. წყლის ანარეკლში საკუთარი ორეულის მაგივრად, მოკლული ურჩხული უცქეროდა გამარჯვებული ღიმილით. ასწია თავი და დაინახა, სოფელს მორიგ მსხვერლად უბიწო ქალწული მოჰყავდა **უკვე მისთვის.** ყველაფერს მიხვდა, წამსვე ფეხზე წამოიჭრა, მახვილი იშიშვლა და გულში დაიცა. მხოლოდ მაშინ მოკვდა ურჩხული ნამდვილად და გათავისუფლდა სოფელი მისგან.

— სწორია, სწორი, ნოდარმა მძიმედ ამოიოხრა და საკანში ბოლთის ცემას მოჰყვა. — ჩვენი ყველაზე დიდი მტერი ჩვენივე საკუთარი თავი არის და ეშმაც, ყოველ ჩვენგანში ზის და არა სადღაც ქვესკნელში, როგორც ბევრს ჰგონია. ოცდაანი წლების დასაწყისში, მაშინ უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, ფაკულტეტზე არალეგალურად ვკითხულობდით ცნობილი რუსი ემიგრანტი მოაზროვნის ნაშრომს, მაშინ ამ წიგნმა დიდი გამოხმაურება პოვა საზღვარგარეთ. ჩვენ, ჯერ კიდევ უწვერული ჭაბუკნი, საპირფარეშოში ჩაკეტილნი, ღამეებს ვათევდით ამ ნაშრომის კითხვაში, ღღე სად წაიკითხავდი. თხზულებაში გაანალიზებული იყო მარქსისტული და, კერძოდ, ბოლშევიკური მოძრაობის ისტორია რუსეთში. მთელ წიგნს წითელ ხაზათ გასდევდა აზრი, რომ რევოლუცია არ იყო რუსული მოვლენა, პირიქით, ტრაქტატში იგი წარმოდგენილი იყო როგორც ანტირუსული ფენომენი, ვით უცხო სხეული რუსულ ორგანიზმში, რომელიც გარედან მოიტანეს და ძალით თავს მოახვიეს ერს. თავად 1917 წელი და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება განხილული იყო ვით შედეგი მასონურ-სიონისტური საერთაშორისო შეთქმულებისა, რომელსაც ემსხვერპლა რუსეთი. საბჭოთა ხელისუფლება, ავტორის აზრით, რუსეთში არ ემსახურება მოსახლეობის არც ერთი ფენის ინტერესებს, არ სარგებლობს ხალხის მხარდაჭერით და ეყრდნობა მხოლოდ რუსეთის გამყიდველი ბოლშევიკების ვიწრო კასტას, უშიშროების ორგანოებს და არმიას. ღმერთო ჩემო, მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ წერო ასეთი რამეები, ნიშნავს, არაფერი გაგეგებოდეს რუსეთის, მისი ხალხის, ისტორიის, თავად რევოლუციის. რევოლუციას საიდანღაც ვერ მოიტან და ბურთივით ვერ შემოაგდებ ქვეყანაში. რევოლუციას შეთქმულებით ვერ მოაწყობ. არა მარტო ბოლშევიკებმა, ვერც ერთმა მემარცხენე პარტიამ ვერ გაითვითცნობიერა 1917 წლის რევოლუციის დაწყების დრო და ფაქტი, 1916 წლის დეკემბერში ლენინი წერდა, რევოლუცია რუსეთში მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ არის მოსალოდნელი, ხოლო ეს რევოლუცია ორი თვის შემდეგ დაიწყო, რადიკალებმა პირის დაღებაც ვერ მოასწრეს, რომ რომანოვების სამასწლიანი დინასტია, ამბოხებულმა ბრბომ თავდაყირა დაამხო. გიორგი, დაუკვირდი, 1905-შიც 1917-შიც პირველი ინიციატივა ხალხიდან წამოვიდა, პროფესიონალი უსაქმურები, მხოლოდ მოგვიანებით ჩაებნენ ამ ორომტრიალში. ლაფაიეტიდან და მარატიდან მოყოლებული, დღემდე, ათასი ჯურის ქაჭვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველი რა ქებას არ ასხამს ამ ისტორიულ უმსგავსობას და როდესაც ყველა, ყველა დებულება შემოელევათ, ერთადერთი, უკანასკნელი მაინც რჩებათ: რევოლუციას, მიუხედავად ძალადობისა, სამოქალაქო ომისა, საზოგადოებრივი დანაშაულობებისა, მოაქვს თავისუფლება ხალხისათვის და ეს თავისუფლება მის ყველა სხვა ცოდვას გადაწონის, რამეთუ პროგრესს ემსახურება, არადა, სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. თავისი მრწამსით, რევოლუცია ყოველთვის არის მიმართული სწორედ თავისუფლების წინააღმდეგ და საკუთარ წიაღში წარმოშობს დესპოტიზმის ყველაზე საშინელ ფორმას — **ხალხის დესპოტიზმს.** ამ ტირანთან ხომ ივანე მრისხანე და პეტრე დიდი კატის კნუტებადაც ვერ მოვლენ. საინტერესოა, არა? რუსი ხალხი, ესოდენ მშვიდი, მომთმენი, დამჯერე და ერთგული, ერთ დღეში მოევლინა ქვეყანას იმედგაცრუებული, ეჭვიანი და გაბოროტებული დესპოტის სახით. საიდან მოდის ეს, ერის ცნობიერების რომელი ფესვებიდან? როგორ სწამდა რუს „მუჟიკს" მეფისა და მაინც ფესვებიანად ამოიგლიჯა ეს გრძნობა საკუთარი სულიდან.

— შენ სწორი ხარ, ნოდარ, რუსული რევოლუცია არა ჰგავს ევროპულს.

— ის სულ სხვა მოვლენაა, გიორგი. მისი ხასიათი გამომდინარეობს ამ ქვეყნის ისტორიიდან, რომლის არსი მონღოლ-თათართა ბატონობის ეპოქიდან მოყოლებული, არის იმპერია. რევოლუცია რუსეთში უფრო ღრმა მოვლენაა, ვიდრე მარქსიზმი, ვიდრე ბოლშევიკები, ვიდრე თავად ეს რევოლუცია. მას ვერ განიხილავ რუსეთის წარსულთან კავშირის გარეშე. იგი მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია იმ უწყვეტი ჯაჭვისა, რომლის პირველი რგოლები მონღოლ-თათართა ბატონობის დროს შეიკრა. იქ უნდა ეძებო ფესვები დღევანდელი რევოლუციისა და არა ევროპულ სოციალ-დემოკრატიაში. მარქსიზმი მხოლოდ ზევიდან დაეფინა, თითქოსდა თვალის ასახვევად სხვა წყალქვეშა, უჩინარ დინებებს. არ იქნებოდა მარქსიზმი, რუსეთი უცილობლად გამონახავდა რომელიმე სხვა იდეას. არ იქნებოდნენ ბოლშევიკები, მათ ადგილს სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია დაიკავებდა და რევოლუცია მაინც მოხდებოდა. პატარა მოსკოვის სამთავროს დღიდან მისი დაარსებისა, დღენიადაგ უწევდა ბრძოლა არსებობისათვის. იმდროინდელ მონღოლთა ურდოს პოლიტიკურ ჯუნგლებში სიცოცხლეს ინარჩუნებდა მხოლოდ ის, ვინც თავად მგლად იქცეოდა. XIV საუკუნის დასასრულს, ოქროს ურდოს დასუსტების შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის ორსაუკუნოვანი წონასწორობა თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. და ყოფილი იმპერიის მიწებზე ნამდვილი სამოქალაქო ომი გაიმართა ოდესღაც მონღოლთა მიერ დამორჩილებულ ხალხებს შორის. გამარჯვებული ამ დიდი ომიდან გამოვიდა მოსკოვის სამთავრო, იგი აღმოჩნდა შინაგანად ყველაზე მტკიცე, ყველაზე ძლიერი, ცბიერი და დაუნდობელი. მოსკოვმა დაიპყრო არა მარტო ყოფილი ოქროს ურდოს მიწები, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპა, ციმბირი, შავი ზღვისპირეთი და კავკასია. იქცა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. თვით ის ხალხები, რომელნიც ჩრდილოეთის იმპერიამ ჩაყლაპა, ასეულებს მოიცავს. მაგრამ ამ დაპყრობებს, — და ეს ერთობ საინტერესოა, — არ მოუტანია რუსი ერისათვის არავითარი სიკეთე. ხალხის მთელი ძალ-ღონე, სურვილები და მისწრაფებები ეწირებოდა უზარმაზარი იმპერიის შენარჩუნების საქმეს და დანარჩენზე რუსეთს ძალა არ ჰყოფნიდა. იგი ცხოვრობდა ბევრად უფრო ცუდად, ვიდრე მისი მეზობელი პატარა და სუსტი ევროპული სამთავროები. უფრო მეტ სიდუხჭირეში და მონობაში, ვიდრე ბევრი მის მიერვე დაპყრობილი ერები, იმპერია იქცა მისი არსებობის ერთადერთ არსად და ამ მიზანს შეეწირა ყოველივე დანარჩენი, თვით ერის თავისუფლებაც. ისტორიულად მესამე რომი იყო ლოგიკური გაგრძელება ოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ურდოსი და არა კიევის რუსეთისა. არსით და მატერიით მონღოლთა იმპერიის შთამომავალი, იდეით რომის და ბიზანტიის იმპერიათა მემკვიდრე, აი მისი სათავეები და ფესვები. ასეთი ჩამოყალიბდა ახალი რუსეთი შინაგანად და გარეგანად. იმპერია არ არის კაპრიზი თვითმპყრობელი რუსი ერისა, ან შედეგი ნაციონალური პატივმოყვარეობისა. იგი მხოლოდ ინსტინქტია თვითშენარჩუნების და საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ერთადერთი ფორმა — არსებობის. რუსეთს შეუძლია იარსებოს როგორც იმპერიამ, ან საერთოდ არ იარსებოს. ამ ინსტინქტს ღრმად აქვს გამდგარი ფესვები ერის თვითშეგნებაში, ხოლო ცოცხალი აზრისაგან განსხვავებით, ინსტინქტი არის გრძნობა გაუთვითცნობიერებელი, მაგრამ უტყუარი. რევოლუციის მიზეზად დღეს მოჰყავთ რაც გინდა, გარდა მისი ნამდვილი მიზეზისა, მას არავინ აღიარებს. დეე, გაიძახოდნენ ლამაზ სიტყვებს თავისუფლებაზე, ბედნიერ მომავალზე, ესწრაფოდნენ თანასწორობას (თითქოს თანასწორობა თავისთავად არ გულისხმობდეს მონობას, რამეთუ მხოლოდ მონებშია თანასწორობა), სულ ერთია, რევოლუციის სისხლიანი გზა, მხოლოდ მესამე რომიდან მესამე რომში მიდის. იმპერიას ძალუძს იარსებოს, მონობაზე და დესპოტიზმზე დაყრდნობით და ეს ორი პირობა აუცილებელი არის მისთვის. **მონობის და დესპოტიზმის სინაკლულემ მიიყვანა რუსეთი რევოლუციამდე და არა თავისუფლებისაკენ სწრაფვამ.** XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნაწილობრივ, ბატონყმობის გაუქმებით, ნაწილობრივ ევროპული პროგრესის შემოჭრით, დესპოტიზმი რუსეთში დასუსტდა და მის ადგილას წარმოიშვა გარკვეული სიცარიელე. ისტორიის და ბუნების კანონების მიხედვით, ვაკუუმი შევსებას მოითხოვს და ხელისუფლებაში იმედგაცრუებულმა „მუჟიკმა“ თავად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. იმპერია და თავისუფლება ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. თავისუფალ ერს არ ძალუძს თვითმპყრობელობის ფლობა. თვითმპყრობელი ერი ვერ იქნება თავისუფალი. თვით ისეთი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ცივილიზირებულმა სახელმწიფომ, როგორიც ძველი რომის რესპუბლიკა იყო, იმპერიის რღვევის ჟამს უარჰყო რესპუბლიკა და გაჰყვა ცეზარს. რადგან თავისუფლების გარეშე რომი კიდევ იარსებებდა, მაგრამ უიმპერიოდ იგი დაიღუპებოდა და ეს არჩევანი გააკეთა ხალხმა, რომელსაც ჰქონდა ხუთასწლოვანი დემოკრატიული რესპუბლიკა და რომელიც იყო მწვერვალი ანტიკური პოლიტიკური კულტურისა. რა უნდა ვთქვათ რუსეთზე, რომელსაც მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, თავისუფლების ერთი წელიც არ ახსოვს, რომლის ხსოვნაში ივანე მრისხანეს მხოლოდ პეტრე პირველი ცვლიდა. ხოლო ყაჩაღ ემელკა პუგაჩოვს მე-20 საუკუნის ბოლშევიკები, — ლაპარაკით დაღლილი ნოდარი თავად წამოჯდა საწოლზე და კედელს მიეყრდნო. არჩილი უკვე ნარზე იწვა და მშვიდად ხვრინავდა. საკნის კარის თავზე ჩამოკიდებული პატარა ნათურა ოდნავ ბჟუტავდა და მისი სუსტი, ყვითელი სხივები ძლივს ანათებდა მოსაუბრეთა სახეებს.

— ჩვენს პატარა საქართველოს რა ეშველება, ნოდარ, ამ საშინელ საუკუნეში, — მცირე ხნის შემდეგ კვლავ დაარღვია სიჩუმე გიორგიმ. ჭაბუკი, ნარიდან წინ გადმოხრილი, პასუხის მოლოდინში, თვალს არ აშორებდა მოსაუბრეს.

— რა ვიცი, რა ეშველება. თუ წაგიკითხავს, რას წერდა მე-13 საუკუნის ჟამთააღმწერი, ჰოდა, საქართველო დღეს მე-13 საუკუნეში შევიდა. ჩვენი ხალხი ძალადობის ოკეანეში იძირება და ამას ვერც ხვდება, სძინავს მას. მე და შენ ვერ მოვესწრებით იმ დღეს, მაგრამ ის დროც ხომ მოვა, მესამე რომი რომ აღარ იარსებებს. საქართველომ იმ დღემდე უნდა მიაღწიოს. გიორგი ბრწყინვალეს მოსვლამდე უნდა გავძლოთ, როგორმე, როგორმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი თავის ტყვეობაში

დავითმა იცოდა, რომ იგი განწირული იყო, იცოდა, რომ განაჩენი თავად გამოუტანია საკუთარ თავს, მაგრამ ვერაფრით აეხსნა, როგორ მოხდა ეს. ის აზრი, რომ ყველა ადამიანი დამნაშავეა, ხოლო არავინ შეიძლება იყოს უდანაშაულო, სამართლიანი ეგონა ყველას მიმართ, გარდა საკუთარი თავისა. ახლა კი, რა გამოდის? არა, ეს შეუძლებელია, მთელი სიცოცხლე ხალხის მტრებს ებრძოდა, სინამდვილეში კი სპობდა არა მავნებლებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს. დიახ, გამომძიებელი იძულებული იყო, ეღიარებინა ეს. არც ერთი ბრალდებულის ბედი მის ნებაზე არ იყო დამოკიდებული. ყოველ მათგანს უკვე ჰქონდა გამოტანილი განაჩენი სხვა, უფრო ძლიერი ძალის მიერ და იგი მხოლოდ იარაღი იყო ამ განაჩენის აღსასრულებლად. რეპრესირებული იღუპებოდა ყველა შემთხვევაში, მის მიერ, თუ მის გარეშე და დავითის ხელში იყო მარტოოდენ საკუთარი თავის, საკუთარი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ყოველ ახლად გამოძიებულ საქმესთან ერთად, სინამდვილეში იბერებოდა მისი პირადი საქმე, ყოველი გამოტანილი მსჯავრით, მზადდებოდა მისი პირადი განაჩენი, ყოველი ჩაკლული სიცოცხლით ილეოდა მისი საკუთარი სიცოცხლე, ყველაზე დასანანი ის იყო, რომ მან თავად გამოუტანა ეს განაჩენი თავის თავს.

დავითს ბოლო დღეებში ხშირად ახსენდებოდა, რა აზარტით ეძლეოდა იგი მორიგ ძიებას, რაოდენ თვითკმაყოფილი შეგრძნებით ხურავდა უკვე დასრულებულ საქმეს და ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ სწორედ ამ დროს, იგი საკუთარი ხელით წერდა განაჩენის მორიგ სტრიქონებს საკუთარ საქმეში.

„აი, თურმე როგორ ხდება ეს... სიკვდილმისჯილი პროკურორი.... — რაღაც ზიზღნარევი ხმით გამოაჯავრა გამომძიებელმა თავის თავს. — საცოდავი შინელიანი თოჯინა, რომელიც არათუ სხვათა სიცოცხლეს ვერ ფლობს, არამედ საკუთარი სიცოცხლეც კი ვერ დაუცავს. შეუძლებელია, შეუძლებელია, რომ ეს ასე იყოს, შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია: რა არის ეს, რა ახსნის ამას?“

და, მაინც, ნებისყოფის დაძაბვით დავითმა აიძულა თავი, წინ აღსდგომოდა სასოწარკვეთილების გრძნობას და თითქოს მიაღწია კიდეც საწადელს. სამსახურში დადარაჯებული თვალიც კი ვერაფერს შეატყობდა თავდაჭერასა და ლაპარაკში. იგივე სიმტკიცე ხმაში, ენერგიული ჟესტიკულაცია მოძრაობაში, იგივე თავდაჯერება საქციელში, მაგრამ ყოველივე ამას გამომძიებლისათვის წამიერი ილუზიაც კი არ მოუტანია. შინ ერთიანად მოტეხილი ბრუნდებოდა, უსასოო, გუნებამოშხამული, დათრგუნვილი იმით, რომ ეს საშინელი, აუხსნელი ქაოსი არათუ ქრებოდა, არამედ დღითიდღე მატულობდა და ეუფლებოდა მთელ მის არსებას.

ყველაზე შემზარავი იყო ის, რომ მის გარშემო არაფერი იცვლებოდა. ადამიანები ძველებურად განაგრძობდნენ ცხოვრებას და არავის, არავის არავითარი საქმე არ ჰქონდა მის უბედურებასთან. თვით ყველაზე ახლობელნიც შორს იდგნენ მისგან. მეუღლე ეკა და, მით უფრო, უკვე წამოზრდილი ქალიშვილი, ცხოვრობდნენ თავიანთი, ცალკე ცხოვრებით. მათი სამყარო უცხო იყო დავითისათვის და თავად იგიც უცხო იყო მისთვის. ადრე ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა, დროც არ ჰქონდა საამისოდ, მაგრამ იმ მძიმე გარდატეხის შემდეგ, რომელიც ბოლო დროს დაიწყო, მისთვის მოულოდნელად ნათელი გახდა, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიძევებოდა ადამიანი, ვისაც იგი ახლობლად ჩათვლიდა. მით უფრო, არ იყო ასეთი ადამიანი ოჯახში, მეუღლეს და ქალიშვილს არაფერი ესმოდათ მისი და მხოლოდ სინანულს თუ გამოხატავდნენ ოჯახის თავის ყოველდღიური უხასიათობის გამო. ყოველივე ეს მათ თვალში დაყვანილი იყო, რაღაც წვრილმანი ცხოვრებისეული ჭირვეულობისა და ახი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულობის დონეზე, რომელიც, მათი აზრით, იყო უადგილო და რომელიც უკვე ყველას მობეზრდა. ადამიანებს შორის დავითი საოცრად ეულად გრძნობდა თავს და ეს სიმარტოვე და შეგრძნება გარდუვალი დაღუპვისა, აუტანელს ხდიდა მის შემდგომ არსებობას. რამდენჯერმე სცადა, ეკასათვის მოეყოლა ყველაფერი, მაგრამ როგორც კი გულის გადახსნას დააპირებდა, მაშინვე რაღაც ძალა აიძულებდა დადუმებულიყო და ყოველივე ამის შემდეგ, რჩებოდა ნაცნობი გულისამრევი გრძნობა, ხოლო როდესაც ხედავდა, თუ როგორი თვითკმაყოფილებით იზომავდა მეუღლე სარკის წინ, ახლად ნაყიდ კაბას ან რა ქედმაღლური თავმომწონეობით ესალმებოდა სადარბაზოს კიბეზე შემთხვევით შეხვედრილ მეზობელს, როგორი ინტერესით ისმენდა ტელეფონის ყურმილზე საათობით ჩამოკიდებული ქალიშვილი, მეგობარი გოგონების მიერ აკრეფილ ჭორებს და რაოდენ უდარდელად იცინოდა რაიმე პიკანტური ამბის მოსმენისას, სევდისაგან გული ეკუმშებოდა და უნებურად გაიფიქრებდა: რა უნდა ვუთხრა ამათ, ეჭვმიტანილთა სიაში რომ აღმოვჩნდი? განა რაძეს გაიგებენ? — ამ ამბის გახმაურება, ოჯახისა და ნათესავების მხრიდან გამოიწვევდა იმ ბანალურ შიშს, რომელიც დავითს საკუთარ თავში სძულდა. — განა შიშში იყო საქმე, განა ეს იყო მთავარი? გამომძიებელმა იცოდა, რომ ამ მთავარს, არავინ შეამჩნევდა და გამხელა, მხოლოდ შეურაცხყოფდა მას, მის გრძნობებს. გამხელა უარესი იყო და, გათანგული ამ ყოვლისმომცველი და ყოვლისშემჭმელი გრძნობით, იგი კვლავ სიმარტოვეს, თავის ამ განუყოფელ ჯალათს აფარებდა თავს. ეს იყო ყველაზე მძიმე და აუტანელი: ეულად ყოფნა არა უდაბურ კუნძულზე ან მიყრუებულ მთებში, არამედ ხალხმრავალ ქალაქში, მარტოობა ადამიანებს შორის.

სახლში დღითიდღე ყველაფერი იცვლებოდა. გაღიზიანებული, და ნერვებაშლილი დავითი სულ უფრო აუტანელი ხდებოდა და მისი შინ ყოფნის ოჯახი თავად ეშსგავსებოდა საპატიმროს, ხოლო ოჯახის წევრები—მის წინაშე რაღაცაში დამნაშავე პატიმრებს. გამომძიებლის თვალში ისინი კიდეც იყვნენ დამნაშავენი, თავიანთი (როგორც ეს მას ეჩვენებოდა) უზრუნველობით, კმაყოფილებით და, რაც მთავარია, სიცოცხლის-უნარიანობით და სიცოცხლის ხალისით.

ერთხელ, ეს იყო გაზაფხულის დამდეგს, იგი იწვა თავის საწოლ ოთახში შეზლოგინზე და თავქვე ხელამოდებული, უძრავად მიშტერებოდა ჭერს, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები უწესრიგოდ ირეოდა თავში, მაგრამ არ იყო არც ერთი დალაგებული, არც ერთი ჩამოყალიბებული აზრი. კედლის იქით ქალების ხმა ისმოდა. მარტოს, საშინელი სევდა შემოაწვა, უნდოდა, ვინმესთვის მოეხმო, მაგრამ იცოდა, რომ იგი სხვასთანაც მარტოდ იგრძნობდა თავს. სხვასთან კიდევ უფრო უარესი იყო. „მარტოობა ადამიანებს შორის, — გაუელვა ნაღვლიანმა ფიქრმა. — სად გაექცევი ამ სიმარტოვეს?“ ასე, ოთახში ჩაკეტილს კიდევაც უჯობს, აღარ ახრჩობს ზიზღისა და სიძულვილის გრძნობა, სხვების დანახვისას რომ იღვიძებს მასში, მაგრამ გაუსაძლისია ასე მუდმივად, განუწყვეტლივ წამება, მალე მაინც დამთავრდებოდეს ყველაფერი, ბოლო მოეღოს... მოეღოს ბოლო რას? არა, არა, სჯობს, ისევ ვიტანჯო, მაგრამ ასე აუტანელია, აუტანელი. ვინმემ მაინც შემიცოდოს“. მაგრამ დავითმა იმთავითვე იცოდა, რომ მას არათუ ვინმე შეიბრალებდა, არამედ არც არავინ ისურვებდა გაეგო, თუ რა აწუხებდა. ვინც ხედავდა, ისიც კი ცდილობდა, არაფერი შეემჩნია.

ქალების ხმა, თუნდაც ფრთხილი, ჩუმი, ოთახში გარკვევით ისმოდა. მხიარულობდნენ, თავსაც მშვენივრად გრძნობდნენ. დავითი მოულოდნელად ფეხზე წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. ქალიშვილი, რომელიც სკოლიდან ახლად დაბრუნებულიყო, აღელვებული და გამხიარულებული, დედას ხმადაბლა რაღაცას უყვებოდა და ორივენი თავშეკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებით იცინოდნენ. დავითის დანახვაზე სიცილი შეწყდა და ქალებმა დამნაშავეებივით თავები ჩაღუნეს. გამომძიებელმა ამღვრეული თვალებით შეათვალიერა ასული. ცივი ჰაერისაგან აწითლებული ლოყები, მიუხედავად ნაჩქარევად მოღუშული სახისა, გაბრწყინებული, მხიარულად მოელვარე თვალები. ქალიშვილის ნორჩი სხეულიდან სიცოცხლე, ხალისი და სილაღე ჩქეფდა. ასულის დანახვამ დავითზე ისე იმოქმედა, თითქოს სილა გააწნესო. იგრძნო, რომ ბუნების ესოდენ ნორჩი მშვენების ყურება მარტოოდენ ტკივილს თუ აყენებდა მას და იმის შიშით, რომ საკუთარ სიძულვილს არ მოეხრჩო, უხმოდ შებრუნდა და თავის ოთახში შევიდა.

გვიან ღამით, როდესაც ოჯახის წევრებს უკვე ეძინათ, დავითი დერეფანში გავიდა, ფრთხილი, უხმაურო ნაბიჯებით მიუახლოვდა იგი საძინებელს. ოთახის კარი, თითქოს შემთხვევით, ნახევრად გაღებული დახვდა, დერეფანი ჩაბნელებული იყო და დავითი დარწმუნებული იყო, რომ ცოლს და ქალიშვილს რომც გამოელვიძათ, მას მაინც ვერ დაინახავდნენ. ფრთხილად დაიდგა შესასვლელთან სკამი და, თავად უხილავი, მონატრებული უმზერდა ფანჯრიდან შემოსული მთვარის სუსტი სხივებით განათებულ ახლობელთა მშვიდათ მძინარე სახეებს. ის გარემოება, რომ მისი ოთახიდან შემჩნევა შეუძლებელი იყო, დავითს სითამამეს მატებადა და ამშვიდებდა. მხოლოდ, როდესაც საძინებელში დილის რიჟრაჟის პირველი ნათელი შემოიპარა, იგი ფეხზე წამოდგა და ასევე ფრთხილი, უხმაურო ნაბიჯებით დაბრუნდა თავის ოთახში.

შემდგომაც იგივე განმეორდა. ერთი და იგივე დროს გამომძიებელი გამოდიოდა დერეფანში და, კედელზე მიყრდნობილი, სევდიან, ტკივილით სავსე მზერას არ აშორებდა მძინარე ცოლ-შვილს. თანდათანობით ღამის ეს წუთები, ეს საათები, იქცა მის ყველაზე სანუკვარ დროდ. ალბათ, უცნაურიც იყო, მაგრამ ამ წუთებში დავითს უჩნდებოდა სურვილი, რომ იგი ვინმეს შებრალებოდა. რომ ვით პატარა ბავშვს, მასაც ვინმე მოფერებოდა, მაგრამ მან შესანიშნავად იცოდა, რომ ეს ფარული ღამეული მზერა იყო ის ზღვარი, რომელსაც იგი არასდროს გადალახავდა.

მარტოობა იყო მისი უპირველესი წამება, უპირველესი სასოწარკვეთა. მაგრამ სწორედ მარტოობა ევლინებოდა უპირველეს შვებად, რჩებოდა მის უპირველეს წადილად.

„ასე შეუძლებელია... ასე შეუძლებელია გაგრძელდეს“, — ღამის წყვდიადში იმეორებდა უძილობისაგან გათანგული გონება.

●

იგი ციხის ეიწრო დერეფანში შეხვდა თავის ბედისწერას. არჩილი კედელთან შუბივით გაჭიმული იდგა. მთელი მისი გარეგნობა გამოხატავდა სრულ მორჩილებას, ყურადღებას და ყველაფრისადმი მზადყოფნას.

მიუხედავად იმისა, რომ დავითს ზურგს უკან დამოკლეს მახვილივით ეკიდა სიკვდილის განაჩენი, მის საქმეზე მიმდინარეობდა საიდუმლო ძიება და ყოველდღე, ყოველ საათს დაპატიმრებას ელოდა, პატიმრებისათვის იგი იყო და რჩებოდა მრისხანე და ყოვლისშემძლე გამომძიებელი. ადამიანი, ვის ხელთაც არის მრავალთა და მრავალთა ყოფნა-არყოფნის საკითხი. და ეს ასეც იყო.

მას ჩვეულებად ჰქონდა ქცეული, პატიმარი, პირველ დაკითხვამდე, აუცილებლად ენახა ციხეში. ზედამხედველის ნებართვით, გამოჰყავდა ბრალდებული საკნიდან, მცირე გასაუბრებისათვის, რის შემდეგაც გამოჰქონდა დასკვნა პატიმარის სულიერ განწყობილებაზე, ამოწმებდა, შემზადებული იყო იგი თუ არა დაკითხვისათვის.

— გისმენ!

— ???

— თქვი, ვის დავალებას ასრულებდი, ვინ მოგცა საწამლავი!

არჩილს სახეზე მუდარა და სასოწარკვეთილება გამოესახა, პირი ნაპირზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოგდებული თევზივით ფართოდ დააღო და ჰაერს ხარბად დაუწყო ყლაპვა.

— როგორ, აი, აქ ყოველივე აღნუსხულია, — დავითმა ოქმი გადაფურცლა და შიგ ჩაიხედა: — „შეჰქონდა საწამლავი სამხედრო ნაწილში, წითელარმიელების მოსაწამლად“, — წერია გარკვევით და ნათლად.

— რა საწამლავი, პატივცემულო გამომძიებელო, საიდან! ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, ერთი საწყალი კაცი ვარ, ჩემს სიცოცხლეში არავისთვის მიწყენინებია, სად მე და სად საწამლავი, ვინ მომცა მაგდენი გამბედაობა!

— მაშასადამე, გამბედაობა რომ გყოფნოდა, იმ მოტანილ საწამლავს ჩაყრიდი საჭმელის მოსახარშ ქვაბებში?

არჩილმა ამ მოულოდნელად შებრუნებულ კითხვაზე უცებ პასუხი ვერ გამონახა, მხოლოდ ხელები გადაიჭდო ერთმანეთზე და თითების მტვრევით, თითქოს ლოცულობსო, გულთან მიიტანა.

— უბრალო ვარ, უდანაშაულო, ნუ დამღუპავთ!.. — იმდენი განწირულობა და მუდარა ისმოდა ამ სიტყვებში, რომ კლდესაც კი აატირებდა.

— შესაძლოა, საწამლავი აქ მართლაც არაფერ შუაში იყოს,—ჩაფიქრებით წარმოთქვა დავითმა, თითქოს მის წინ მდგომ პატიმარს კი არა, ვიღაც სხვას ელაპარაკებაო. ირგვლივ, მათ გარდა, არავინ იყო (გასაუბრების დამთავრების მოლოდინში, ზედამხედველი დერეფნის ბოლოში სცემდა ბოლთას) და გამომძიებელმა საკუთარი თავი დაიჯერა იმაში, რომ ამ წუთას ყველაზე ნაკლებად იყო განწყობილი საქმისადმი. შეიძლება ითქვას, იგი არც უსმენდა ყურადღებით, თუ რას ამბობდა ბრალდებული და მხოლოდ არჩილის სახეზე გამოხატულ უსაზღვრო მუდარას ამჩნევდა. „ამ კაცისათვის მე ყოვლისშემძლე ვარ, — მეფეც და ღმერთიც—და წარმოდგენაც არა აქვს, რომ არა ის, არამედ მე ვარ მასზედ დამოკიდებული. იგია ჩემი ბედისწერა, ჩემი ჯალათი...“ — დავითი ყურადღებით დააცქერდა პატიმრის გასაცოდავებულ სახეს და სწორედ მისი აშკარა უსუსურობის და უბადრუკობის გამო, უფრო ცხადად შეიგრძნო, რომ სწორედ ეს ადამიანი იყო სიმბოლო მისი უბედურებისა, მიზეზი საკუთარი უსასოობის და მონობისა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ზის ბრალდებულის სკამზე — დღეს იგი, ხვალ — მე, ზეგ სხვა. ჩვენს შორის არ არის განსხვავება. ჩვენ ყველანი ერთდროულად ვართ მსხვერპლნიც და ჯალათნიც, მონები, ტყვეები, საკუთარი თავისა... არჩილს დრო არ ჰქონდა ეფიქრა იმაზე, თუ რა განსხვავებაა მასა და გამომძიებელს შორის. ის მხოლოდ მკაფიოდ გრძნობდა, რომ ამ სახემოღუშული და ხმელძარღვიანი კაცის გავლენის საზღვრები ძალზე ფართო იყო, რომ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი ამ საზღვრებში გახლდათ მოქცეული და იგი ცოცხლობდა და სუნთქავდა იმდენად, რამდენადაც ამის ნებას რთავდა გამომძიებელი.

დავითმა ხელის მოძრაობით მოიხმო ზედამხედველი, მდუმარედ ჩააბარა პატიმარი და, ნაღვლიანი ფიქრებით მოწამლული, თავჩაღუნული დაუყვა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანს. გრძნობდა, რომ ძალა არ ეყოფოდა შემდგომი დაკითხვისათვის. გასაუბრება უკვე თავად მას აყენებდა პატიმარზე არანაკლებ წამებას. მთელი მისი არსება უკიდურესად გაორდა. კიბეზე ასვლისას უნებურად მოსინჯა ხელით სხეული, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ ეს სხეული ჯერჯერობით მთლიანი იყო და არა დაშლილი და დაცალკევებული.

ზევით ასულს, კაბინეტთან, მდივანი ქალი მიეგება.

— ახალია რამე?

დავითის კითხვაზე ქალიშვილმა კონვერტში ჩადებული და ბეჭდით დალუქული ბარათი მაგიდიდან აიღო და გამომძიებელს გაუწოდა: — სასწრაფოა, ზევიდან...

გამომძიებელმა, თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია, ბარათი გამოართვა და კაბინეტის კარი მიიხურა. იგი ამჟამად სულაც არ იყო საიდუმლო დირექტივების კითხვის გუნებაზე, მაგრამ მოვალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობამ, მასში დაბუდებულ აპათიის გრძნობას სძლია და კოხვერტი გახსნა.

ბარათი გაკრული ხელით დაწერილ რამდენიმე წინადადებას შეიცავდა. დავითმა თავიდან უინტერესოდ გადაავლო თვალი ნაწერს და ის იყო, ფურცლის მაგიდაზე დადებას აპირებდა, რომ მოულოდნელად თვალებში რაღაც აზრი გაუკრთა და ბარათი ხელმეორედ გადაიკითხა, თითქოს გამოცოცხლდა. ქვასავით უძრავი სახის ნაკვთები დაურბილდა და თვალებში რაღაც ინტერესი ჩაუდგა.

ზარის ხმაზე, კაბინეტში მდივანი შემოვიდა და მოლოდინით მიაჩერდა უფროსს.

— მოამზადე მიმართვა პროკურორის სახელზე, გათავისუფლების სანქციის გამოწერასთან დაკავშირებით.

— პატიმარის სახელი და გვარი?

— არჩილ გურგენიძე.

რკინის ქალამნები

ნოდარი მეორე ღამით წაიყვანეს. როგორღაც მოულოდნელად გაიღო კარი. ზედამხედველს კიტელიანი უცნობი შემოჰყვა. მან ყურადღებით გადაშალა ჟურნალის ფურცლები და სიებში ნოდარის გვარი ამოიკითხა. ყველაფერი გასაგები იყო. ღამით მხოლოდ სიკვდილმისჯილთა საკანში გადაჰყავდათ პატიმრები. ტუსაღმა მორჩილად აიღო თავისი გაცრეცილი კოსტიუმი და საკნიდან თავჩაღუნული გავიდა. თითქოს ერთგვარი სირცხვილის გრძნობა დაეუფლათ დარჩენილთ, იმის გამო, რომ სხვა მიჰყავდათ.

— არჩილ, თუ აქედან ცოცხალი გახვედი, დედაჩემი მოინახულე აუცილებლად, მის მეტი აღარავინ დამრჩა ცოცხალი ახლობლებში; მისამართი გიორგიმ იცის, — ნოდარი კართან იდგა, განწირულს, სახიდან სკეპტიკური ნიღაბი მოხსნოდა და ზედ მუდარაღა ეხატა. არჩილმა მხოლოდ შემდეგ გაიცნობიერა, რატომ მიმართა ნოდარმა თხოვნით მხოლოდ მას: გიორგის შუბლზეც უკვე სიკვდილის აჩრდილი ეტრიალა.

— მოვიფიქრე!.. — არჩილმა შუბლზე ხელი იტაცა, ფეხზე წამოდგა და ნარის წინ ბოლთის ცემას მოჰყვა. ნოდარის წაყვანის შემდეგ, მესამე ნარი გაიტანეს და საკანი ნახევრად დაცარიელებული ჩანდა.

— რა მოიფიქრე?

— სტალინს მივწერ წერილს. ამათი არაფერი მწამს. მაგათ ოღონდ კაცი დაჭერინე და ბრალიანია თუ უბრალო, სულ ერთია, — არჩილი სიტყვებს ჩქარჩქარად ისროდა, თითქოს საკუთარი თავის დარწმუნება სურსო.

— რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, ხელში რკინის ჯოხს დავიჭერ... — გიორგის სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა. — სად, ვისთან?

— სწორედ, სწორედ... მისმინე ყურადღებით, მე არ ვარ არც კონტრრევოლუციონერი, არც ტროცკისტი, არც უკლონისტი. მე ვარ რიგითი საბჭოთა მოქალაქე, პარტიის რიგითი წევრი, რომელსაც, შესაძლოა, დიდი დამსახურება არა აქვს, მაგრამ დაშავებითაც არაფერი დაუშავებია. მე პატარა კაცი ვარ და ჩემი გასრესაც ძნელი საქმე არ არის, მაგრამ თუ არსებობს სამართალი, რაღაც ჭეშმარიტება, მაშინ ჩემი მოკვლა არ შეიძლება, ჩემისთანები რომ დახვრიტონ, მთელი ხალხი უნდა დაიხვრიტოს, ცოცხალი არავინ დარჩება.

— მიდი, კართან დააბრახუნე, მოითხოვე მთავრობასთან შეგახვედრონ.

გიორგის სახე წამოენთო და მზერაშიც მრისხანების ნაპერწკალი გაუკრთა, გესლიანი, ირონიანარევი სიტყვები ყელში მობჯენოდა და ჩანდა, რომ მოკამათის დანდობას არ აპირებდა, მაგრამ უკანასკნელ წამს მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. არჩილს მზერაში სევდა შეჰპარვოდა და გიორგი მიხვდა, რომ სამხედრო ინჟინერს თავად არ სჯერა და, რასაც ამბობდა, ალბათ, გულს იკეთებდა.

არჩილს ყელში ცრემლი მოაწვა. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ მის მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი შეცდომა ან გაუგებრობა არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ეს შეცდომა უდანაშაულო ხალხს დაღუპავდა და თუ არსებობდა ამქვეყნად სამართალი, იგი, არჩილ გურგენიძე, უნდა ცოცხალი, გამართლებული და რეაბილიტირებული დარჩენილიყო. აქ საქმე მარტო მას კი არ ეხებოდა, წყდებოდა ცხოვრებაში ყველაზე უმთავრესის — სიმართლის ყოფნა-არყოფნის საკითხი და წყდებოდა სწორედ მის ბედზე გადაკვეთით. მანამდეც და შემდგომშიც ათასობით, მილიონობით პატიმარს იგივე, საოცარი სიზუსტით დამთხვეული აზრი მოსდიოდა თავში, უმეტეს მათგანისათვის ამ იმედებმა უკანასკნელ შელავათადაც ვერ ივარგა, მაგრამ ყოველთვის, ყოველი მათგანი თავად, საკუთარ კისერზე სცდიდა და ამოწმებდა ამ სიმართლეს და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რამეთუ საკუთარ რწმენაზე, მხოლოდ საკუთარი უბედურება თუ ტოვებს დაღს.

რამდენიმე დღეში არჩილი დაკითხვაზე გამოიძახეს. ზედამხედველმა იგი გრძელ, ნესტიან დერეფანში გაატარა და კიბესთან, შინსახკომის მორიგე სერჟანტს ჩააბარა.

— ხელები უკან, იარე! — იყო მოკლე ბრძანება.

არჩილს სწამდა, რომ იმაზე, თუ „როგორ დაიჭერდა თავს“ მართლმსაჯულების წინაშე, დამოკიდებული იყო მისი და მისი ახლობლების ყოფნა-არყოფნის საკითხი. სხეული ზამბარასავით დაიძაბა, ნებისყოფა დაიმუხტა და სახე დაძაბული მოლოდინისაგან ოდნავ გაუფითრდა. მორიგე სერჟანტმა ფრთხილი ხელისკვრით კაბინეტის კარი შეაღო და ტუსაღს შიგ უბიძგა. გამომძიებლის ფართო, ნათელმა ოთახმა არჩილი ერთბაშად გააბრუა, ფანჯრიდან თბილი და მისთვის უკვე უჩვეულო, თითქმის დავიწყებული მზის სხივები იჭრებოდა. შემთხვევით თუ განგებ, ფანჯარაში დატანებული სარკმელი ბოლომდე გაეღოთ და გარედან გარკვევით შემოდიოდა ქუჩის ხმაური, სადღაც ახლოს, ტრამვაიმ ბორბლების რახუნით ჩაიარა რელსებზე. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს (ფანჯრიდან ეს გარკვევით ჩანდა) თეთრხალათიანი გამყიდველი ნაყინს ყიდდა და მის ირგვლივ ბავშვების გრძელი რიგი დამდგარიყო. გვერდით, მისთვის კარგად ნაცნობი კინოთეატრიდან (რამდენჯერ ყოფილა არჩილი ამ კინოთეატრში ოჯახთან ერთად, იმ, სხვა ცხოვრებაში) ხალხი გამოდიოდა, ალბათ, მორიგი სეანსი დამთავრდა. ფანჯრის მიღმა ბუნების სითბოთი გაჟღენთილი თავისუფლება და სიცოცხლე დუღდა. არჩილმა ნახევარი ბიჯი გვერდზე წადგა და სარკმლიდან შემოჭრილ სხივთა ნაკადს მკერდი მიუშვირა, სხეულს სიამოვნების და თბილი ჟრუანტელის ტალღა მოედო. მიცვალებული საფლავიდან ამოიღეს და უფლება მისცეს ოდნავ შეხებოდა ცოცხალი ბუნების ხმაურიან სუნთქვას, რათა უფრო მკვეთრად ეგრძნო, რა წაართვეს და უფრო ნათლად ეხილა, რა დაკარგა. ზღვარს მიღმა სიცოცხლე დუღდა, მისგან დამოუკიდებლად, **მის გარეშე.**

— გუშინ თქვენს მეუღლესთან მქონდა საუბარი, საბრალო ქალი, ესოდენ ლამაზი, ახალგაზრდა და ესოდენ უბედური...

არჩილს მუცელთან თითქოს გახურებული უთო მიადეს, გულ-ღვიძლი ერთბაშად ამოუტრიალდა, არც უფიქრია, რომ ამ სიტყვების მთქმელი, მაგიდის თავთან მჯდომარე უცნობი, გამომძიებელი იყო.

— ნინო, ნინო... თქვენ ჩემი მეუღლე ნახეთ? როგორ არის, სად არის?

— დამშვიდდით, დმშვიდდით, — გამომძიებელმა სკამზე ანიშნა და პაპიროსის კოლოფი მიუჩოჩა. — თქვენი ოჯახი თავს შესანიშნავად გრძნობს და მოუთმენლად მოელის, როდის დაბრუნდებით შინ, — გამომძიებელი შეჩერდა, არჩილს შემფასებელი მზერა ესროლა და პაპიროსზე კიდევ ერთხელ მიუთითა: — მოსწიეთ, ნუ მოგერიდებათ, საკანში მონატრებული იქნებით.

— გმადლობთ, — პატიმარი ხარბად დაეწაფა მოსაწევს, პაპიროსი ღრმად მოქაჩა, თამბაქოს ბოლმა ოდნავ გააბრუა.

— ჰოდა, რას ვამბობდი? ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ თქვენი საქმე, ამხანაგო გურგენიძე, და მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქ ადგილი ცილისწამებას ჰქონდა. მამხილებელი საბუთები თქვენზე შეთითხნეს ხალხის მტრებმა, რომელნიც უშიშროების ორგანოებში იყვნენ მოკალათებულნი. მაგრამ პროლეტარული მართლმსაჯულების შურისმაძიებელ მახვილს, მუხთალი მტერი ვერ გადაურჩება, ადრე თუ გვიან, მისი ბნელი საქმენი სააშკარაოზე გამოდის, — გამომძიებელი ისე პათეტიკურად ლაპარაკობდა, თითქოს მიტინგზე სიტყვით გამოდიოდა.

არჩილმა ამ საუბრიდან მხოლოდ ის გაიგო, რომ იგი გამართლებულია, მაგრამ იმდენად მოულოდნელი და მძლავრი იყო გულზე მოწოლილი ბედნიერების გრძნობა რომ გონება მომხდარს ვერ ითვითცნობიერებდა და მხოლოდ სხეულის სიღრმეში ჩუმად, ნელ-ნელა იშლებოდა იმედის, სიხარულის და ბედნიერების ტალღა. გამომძიებელი სიტყვას განაგრძობდა და პატიმარი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა:

— საბჭოთა ხელისუფლება უდანაშაულოდ არაფერს ერჩის, პირიქით, იგი თავად არის მოწადინებული, დაიცვას ყოველი პატიოსანი მოქალაქე. თქვენ უნდა იცოდეთ, გწამდეთ, რომ ჩვენს სახელმწიფოში უდანაშაულო ადამიანს არაფერი ემუქრება.

— ესე იგი, მე უდანაშაულო ვარ? — თითქოს საკუთარ ხმას უფრთხოდა, ჩურჩულით იკითხა პატიმარმა.

— რა თქმა უნდა. თქვენისთანა ადამიანების დაჭერა რომ დავიწყოთ, მაშინ მთელი ქვეყანა დასაჭერი გვეყოლება, — დარწმუნებით წარმოთქვა ჩეკისტმა და, თანხმობის ნიშნად, თავიც დაუქნია.

— შემიძლია ეხლავე დავბრუნდე სახლში, თავისუფალი ვარ?

— თუნდაც ამ წუთში, შინსახკომი ბოდიშს გიხდით უსამართლოდ დაპატიმრებისათვის. საჭიროა, მხოლოდ მცირედენი ფორმალობა, რაღაც წვრილმანი, დამამტკიცებელი საბუთი თქვენი ლოიალობისა.

— მე მთელი სიცოცხლე ერთგულად ვემსახურებოდი პარტიას. და საბჭოთა ხელისუფლებას.

გამომძიებელს სახეზე იმედგაცრუების ნიშნები დაეტყო, იგი სავარძლიდან ოდნავ წინ გადაიხარა და პატიმარს მოზრდილი, სუფთა ფურცელი მიუწია.

— ყველაფერი დაწერეთ!..

— რა დავწერო?

— რომ თქვენ განიარაღდით პარტიის წინაშე.

— მაგრამ მე არც არასდროს შევიარაღებულვარ...

— აჰაა!, ესე იგი, თქვენ არ გსურთ პარტიის წინაშე განიარაღება. ჩვენ კი გვეგონა, რომ საქმე პატიოსან კომუნისტთან გვქონდა, ბრალდების მოხსნას ვაპირებდით.

— მაგრამ მე მართლა არ ვიცი, რა უნდა დავწერო, — არჩილი ლამის ტიროდა. — თქვენ მიკარნახეთ...

გამომძიებელმა პატიმრის ბოლო სიტყვებზე დამცინავად გაიცინა, ამჯერად მის გამოხედვაში ზრდილობის და სიბრალულის ნატამალიც კი არ ჩანდა.

— გადაირევა კაცი თქვენი შემყურე: მავნებელი ვარ, მაგრამ რა დავაშავე, არ ვიცი, შენ მიკარნახეო. თავად რა, ტვინი გაგეყინა? თუ ფიქრობ, შენთან თამაშისათვის მცალია! დავწერე ყველაფერი, რომელ ჯგუფში შედიოდი, ვისთან გქონდა კავშირი, ყველაფერი, სანამ კისერი არ მომიგრეხია!

— განა თქვენ თვითონ არ ბრძანეთ, უდნაშაულო ხარო? როგორ გავხდი ასე მალე მავნებელი?

— ვინ, შენ?! — გამომძიებელმა მეხივით დასჭექა და მუშტი მაგიდას სთხლიშა. ცარიელი სამელნე ჰაერში ახტა და დაცემისას გადაბრუნდა.

— შენზე ამ საქმეში იმდენი საბუთი მაქვს მოგროვილი, ათ კაცს ეყოფა უმაღლეს ზომაზე გასაშვებად. შენ რა, მართლა დაიჯერე, რაც გითხარი, ეგეთი სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელი გგონივარ, აი, მაგ თავს რომ გაგიჩეჩქვავენ, მერე ყველაფერს გაიხსენებ. შენი საქმე წასულია, სიკვდილისგან მხოლოდ სრული განიარაღება გიშველის, და არ გაბედო მტკიცება, უდანაშაულო ვარო.. შენ უკვე იმაში ხარ დამნაშავე, რომ პარტიის მოთხოვნას არ ასრულებ. თუ ალალი ხარ, თუ სული ნათელი გაქვს, რატომ არ განიარაღდები, რას მალავ, ვისგან მალავ?

არჩილი დაკითხვაზე ყველაფერს ელოდა: მუქარას, ბრალდებას, ფიზიკურ წამებასაც კი, და ეგონა, რომ ციხეში გატარებული დროის მანძილზე საკმაოდ მოემზადა ყოველივე ამის გასაძლებად, მაგრამ მას არ შეეძლო წარმოედგინა, თუ ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, როდესაც ყოველგვარი თავის მართლება, მისი დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლებოდა. ამ ახალბედა ბრალდებულისათვის, ჯერ კიდევ უცნობი იყო იმ საშინელი კატა-თაგვობანას თამაშის წესები, რომლის მიხედვით, პატიმარი თავად იგონებდა ცხოვრებაში არ ჩადენილ საკუთარ დანაშაულს და ეხმარებოდა გამომძიებელს არარსებული ფაქტების და წვრილმანების შეთავსებაში. ერთი შეხედვით, ეს იყო უცნაური პროცესი, — ბრალდებული კეთილსინდისიერად თამაშობდა კონტრრევოლუციონერის როლს, აღიარებდა და ინანიებდა თავის მავნებლურ მოქმედებას და დასასრულს, როგორც მონანიებული მტერი, სასამართლოზე მოითხოვდა საკუთარი თავისადმი სასჯელის უმაღლეს ზომას, და რა თქმა უნდა, იღებდა კიდეც მას. აღსანიშნავია, რომ შინსახკომი ბრმად იღებდა თვით ყველაზე შეუთავსებელ ფაქტს, ყველაზე ფანტასტიკურ სისულელეს და არავის მოსდიოდა აზრად, თეთრი შავისაგან გაერჩია. თუმცა, რომც ცდილიყო ვინმე, მაინც ვერაფერს გააწყობდა. უბრალოდ, მას არავინ გაუგებდა, რამეთუ მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ „თამაშის“ ამ წესების დაცვას და არა ჭეშმარიტ დამნაშავეთა ძიებას. რა თქმა უნდა, არჩილმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, იგი ნათლად გრძნობდა სიკვდილის ჩუნჩვას და, შინაგანად მოკუნტული, გულის კანკალით მოელოდა გარდუვალ ხვედრს.

— თქვენ არა გაქვთ უფლება ასე მელაპარაკოთ, თუ მე რამეში დამნაშავე ვარ...

— ახ შე... — გამომძიებელმა მისთვის ჩვეული გამორჩეული გინების სიტყვები ამოაფრქვია. არჩილმა ყელთან მძლავრი დარტყმა იგრძნო და სკამიდან გადმოვარდნილი, იატაკზე გაიშოტა. — ფეხზე! — დასჭყივლა ჩეკისტმა ტკივილისაგან მოკრუნჩხულ პატიმარს. — ღორიშვილო, გგონია, მე მსიამოვნებს შენთან და შენისთანა ნაგავთან საქმის დაჭერა? ჩემი ნება რომ იყოს, ახლავე კედელზე აგაკრავდი სურათივით. დაეგდე სკამზე და აიღე ხელში კალამი!..

არჩილმა ძლივს ასწია დამძიმებული თავი. კისრის ძარღვები საშინლად სტეხდა, სულს ძლივს ითქვამდა. მისი დამფრთხალი, არეული მზერა მაგიდის ზემოთ, კედელზე გენერალური მდივნის ჩარჩოში ჩასმულ სურათზე შეჩერდა. სქელულვაშა ბელადი ჩიბუხს უკიდებდა და ტუჩებზე ეშმაკური ღიმილი უთამაშებდა, თითქოს მამა შვილების სიანცეს ადევნებსო თვალს.

— თვალებში, თვალებში მიყურე! — გამომძიებელმა ქეჩოში თითები ჩაავლო და მკვეთრი მოძრაობით თავი გადაუწია. — ეხლა ყურადღებით მისმინე. შენ სიცოცხლეში მე გახვრეტილ გროშსაც არ მივცემ. რამდენიმე დღეში სამეული გამოგიტანს განაჩენს და, გულახდილად რომ გითხრა, დიდი არჩევანი არ გელის, ან დაგხვრეტენ, ან გულაგში გიკრავენ თავს. იქიდან თეთრი დათვებიც კი გამორბიან. გადასახლებაში დიდი-დიდი რამდენიმე თვე გაძლო, შემდეგ ცოცხლად დალპები დ ისე ჩაძაღლდები, რომ ადამიანური სიკვდილი სანატრელი გექნება. ხომ არ გგონია, შენ ცოლს ფეხმძიმობა უშველის! — გამომძიებელმა გაიცინა. ცივი, ხრინწიანი, ავისმომასწავებელი იყო ეს სიცილი. — ბევრი გომბიო თავისი სულელური ჭკუით, განგებ ფეხმძიმდებოდა, იქნებ არ დამიჭირონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, ეტაპებზე, პირდაპირ ვაგონებში მშობიარობდნენ, სიბინძურეში, ტალახში, ბავშვები მკვდრები ჩნდებოდნენ, დედები დიზინტერიისაგან იხოცებოდნენ. შენ ეს მითხარი, ცოლი რატომ დაიორსულე? ამისათვის? არ გიშველის, არც შენ, არც შენს დედაკაცს. ვისი გაცურება გინდოდათ, თქვე უხეირებო, ვისი!... თქვენი საქმე წასულია, მორჩა! შე არარაობავ... გაიგე ერთი რამ: სად ხარ და ვისთან ხარ. რაც ახლა შენს თავს ხდება, ხდება უკანასკნელად. შენ უკვე მკვდარი ხარ, ცოცხალი ლეში, — ჩეკისტმა ხელის მკვეთრი მოძრაობით შემოაგლიჯა არჩილს ხალათი. პერანგის ნაფლეთები უმწეოდ ჩამოეკიდა ძირს და გააშიშვლა პატიმრის გალეული სხეული.

არჩილს არც ესმოდა გარკვევით გამომძიებლის სიტყვების აზრი. იგი ახლა ხედავდა მხოლოდ ჩეკისტის ძარღვიან ხელს. ამ ხელს შეეძლო მიეყენებინა დარტყმა კისერში, მუცელში, სახეში. პატიმარი ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. გულში კი მადლობელი იყო უკვე იმიტომ, რომ არ სცემდნენ, არ ურტყამდნენ. ხოლო გამომძიებელი გამანადგურებელი, ზიზღნარევი კილოთი განაგრძობდა: — შენისთანა მძორზე ხელსაც არ გავისვრი, — მან პატიმარს კისერში წაავლო ხელი და კედელთან მდგარ რკინის საწოლთან მიათრია. უფრო სწორად, ეს წითლად შეღებილი მოგრძო საგანი წაგავდა საწოლს, მაგრამ აშკარად სხვა დანიშნულება ჰქონდა. — იცი, რა არის ეს? — არ იცი? თუ არ იცი, ახლავე გაიგებ, საკუთარი სხეულით იგრძნობ.

არჩილი დააცქერდა ოთახის კუთხეში მდგარ გაურკვეველი დანიშნულების, უცნაურ ხელსაწყოს, რომელიც ორსართულიან, ბოლომოკაუჭებულ რკინის საწოლს ჰგავდა. მისი ორივე ნაწილი ერთმანეთს ემთხვეოდა. ქვედა ნაწილში, მთელ სირგძეზე დატანებული იყო მრავალი წვრილი ნახვრეტი. საწოლის ბოლოკაუჭებულ ცხვირთან, ხელის გასაწვდომ მანძილზე, ბერკეტის მაგვარი რაღაც დაინახა. ყოველ შემთხვევისათვის, არჩილს მოეჩვენა, რომ ეს რეზინისთავიანი, ნახევარმეტრიანი რკინის ჯოხი, რომლის ბოლოც საწოლთან იყო დაკავშირებული, სწორედ ბერკეტი შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი მორჩილად დაწვა ქვედა საწოლზე და, მიუხედავად ავისმომასწავებელი მოლოდინისა, რომლის გამო კანი საოცრად მგრძნობიარე გაუხდა, ხოლო სხეული აუცახცახდა, უხმაუროდ უთვალთვალებდა, თუ როგორ უკრავდა გამომძიებელი ხელ-ფეხს საწოლთან დამაგრებული ტყავის მსხვილი თასმებით. მანქანა მას აღუძრავდა შიშის, ცნობისმოყვარეობის და სიფრთხილის ერთმანეთში უცნაურად არეულ გრძნობას. რატომღაც, მარცხენა ხელზე მიმაგრებული თასმა საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა და არჩილს თავისუფლად შეეძლო ამ ხელის ამოძრავება, ან თუნდაც მაღლა აწევა.

— ეს სავარძელი გერმანიიდან შემოიტანეს და სახელიც გერმანული აქვს ძნელად დასამახსოვრებელი, ამიტომ მას ფორმისა და მოკაუჭებული ცხვირის გამო, „რკინის ქალამნები" შეარქვეს. თანამედროვე ტექნიკის შესანიშნავი და მახვილგონიერული გამოგონება. იგი ძიებას თავიდან აცილებს ზედმეტ შრომას. აქ ყველაფერია გათვალისწინებული: დრო შიში ზაფრა, ტკ კილი, ადამიანის გამძლეობა, ასე განსაჯეთ, თვითმომსახურებაც. პატიმარი ათავისუფლებს ძიებას დაკითხვისა თუ ფიზიკური ზემოქმედებისაგან და თავად უზრუნველყოფს ყოველივეს. უსაქმოდ დარჩენილ ძიებას სჭირდებოდა მხოლოდ ლოდინი — გამომძიებელმა ისე სათუთად და სიფრთხილით გადაუსვა სავარძელს ხელი, იფიქრებდით, ეფერებაო, და რისხვანარევი ხმით განაგრძო: ჯერ კაცი არ მინახავს, ამ სარეცელზე მწოლიარეს, სიცრუე ეთქვას. „რკინის ქალმნებზე" გაკრული ადამიანი მხოლოდ სიმართლეს ღაღადებს, როგორც იურისტებს უყვართ თქმა: „სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და სხვა არაფერს, გარდა სიმართლისა!" — გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომძიებელი სკამზე მოხერხებულად მოკალათდა და პატიმარი დამცინავი ღიმილით შეათვალიერა. — დარწმუნებული ვარ, გულში ახლა ლოცულობ, რომ რაც შეიძლება ჩქარა გათავისუფლდე ჩემგან, მაგრამ, მერწმუნე, სულ მალე დაგიდგება წუთები, როდესაც ღმერთს შეევედრები, რომ მან, რაც შეიძლება, დიდხანს გამყოფოს ჩემს ხელში და იმ წუთში მე ვიქნები შენი ერთადერთი იმედი. ახლა კი ყურადღებით მისმინე და ეცადე, ყველაფერი დაიმახსოვრო: საწოლი, რომელზეც შენ წევხარ, მექანიზმის წყალობით, დაკავშირებული არის ზედა ქალამანთან, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ცხრაასკილოგრამიან რკინის მასას. ეს მასა, აპარატის ჩართვის შემდეგ, იწყებს ნელ-ნელა დაშვებას რათა შეუერთდეს ქვედა ქალამანს, ესე იგი, საწოლს, რომელზეც შენ წევხარ. რა თქმა უნდა, ყოველივე ის, რაც ქალამნებს შორის მოჰყვება და თავის მოცულობით აღემატება სამ სანტიმეტრს, გაისრისება და დაყვანილი იქნება სამ სანტიმეტრამდე, — ჩეკისტი ფეხზე წამოდგა, აპარატთან მივიდა და დაიხარა: — შენ მხოლოდ ერთი გამოსავალი გაქვს. აი ეს ბერკეტი, შენს თავზე რომ არის დამაგრებული. ბერკეტს თუ შენკენ მოქაჩავ, ზედა ქალამანი უკან, ზევით აიწევს, მაგრამ აქ ერთი სიურპრიზიც გელოდება, მე კი გტოვებ... გამომძიებელი მაგიდისკენ გაემართა, მან თითქოს ყოველგვარი ინტერესი დაკარგა პატიმარის მიმართ, თითქოს დაავიწყდა კიდეც მისი არსებობა.

თავზევით ფოლადის ჟღრიალი მოისმა. არჩილმა ვერ გაიგო, როდის ჩართო გამომძიებელმა მექანიზმი, ეჩვენებოდა, თითქოს აპარატი თავისით, დამოუკიდებლად ჩაირთო. მოულოდნელად იგი მიხვდა, რომ ახლა მისთვის მართლაც ყველაზე საშინელი იქნებოდა, თუ გამომძიებელი, ეს უპირველესი წყარო მისი შიშის, უბედურების და წამებისა, ოთახიდან გავიდოდა და იგი ამ ჯოჯოხეთურ აპარატთან მარტო დარჩებოდა. რკინის სქელი მასა სულ უფრო ახლოვდებოდა. მალე მათ შორის მტკაველნახევარი მანძილიღა დარჩა. მარცხენა ხელით პატიმარი რეზინისთავიან ბერკეტს გადასწვდა და თავისაკენ მძლავრად მოქაჩა. იმავ წამს არაადამიანურმა ღრიალმა შეძრა ოთახის კედლები. საწოლში დატანებული ნახვრეტებიდან ამოსული რამდენიმე ათეული წვერწამახული ნემსი შეესო „ქალამანზე“ უსუსურად გაშოტილ პატიმარს. დამსკდარი კანიდან სისხლის წვრილმა ნაკადულებმა იფეთქა, ბერკეტის ამოძრავებით, რკინის მასა შეჩერდა და უფსკრულის პირას დაკიდებული ლოდივით ერთ ადგილას გაიყინა, მაგრამ იმავე ბერკეტმა მოძრაობაში მოიყვანა საწოლში დამაგრებული და ნახვრეტებზე დაპირისპირებული მრავალი წვრილი ნემსი. სისხლი ნიაღვარივით მოდიოდა კისრიდან — ფეხის ფრჩხილებამდე. უფრო ინსტინქტის, ვიდრე გონების კარნახით, პატიმარმა ბერკეტი უკან გადსწია. ნემსები სხეულიდან გაქრა. მაგრამ იმავ წამს არჩილის თავს ზევით რკინის მასამ დაიწყო საბედისწერო დაშვება.

სწორედ ეს იყო გამომძიებლის მიერ აღთქმული „სიურპრიზი“. ბერკეტი უვნებელყოფდა წამების მხოლოდ ერთ საშუალებას. შეუძლებელი იყო არჩევა, რა სჯობდა, რკინის მასის ქვეშ გასრესა, თუ ნემსებით სხეულის საცერივით დაჩხვლეტა, და სამხედრო ინჟინერი ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. ერთ ტკივილს და უკიდურესობას, აქ მხოლოდ მეორე ცვლიდა. ყველაზე უფრო სასოწარმკვეთი, წარმთმეველი ყოველგვარი ძალის და იმედისა იყო ის, რომ როგორც რკინის მასა, ასევე ნემსები, მოქმედებას იწყებდა პატიმარისვე ხელით, თითქოს იგი თავად აკეთებდა არჩევანს. ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური ტანჯვა. ეს იყო საკუთარი ხელით, საკუთარი სხეულის წამება, წამება შეუჩერებელი, შეუწყვეტელი... ერთდოულად, მოქმედება საკუთარი გონების, საკუთარი ინსტინქტის წინააღმდეგ და ამავე დროს მოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი გონების და ინსტინქტის კარნახით. აპარატის ჩართვის პირველივე წამს არჩილი ადამიანიდან გადაიქცა ტკივილისა და შიშისაგან ჭკუაგადასულ პირუტყვად. მიუჩვეველი თვალისათვის ყოველივე ეს ერთობ უცნაური საყურებელი ჩანდა და მხოლოდ პატიმარის ბგერადაკარგული ღმუილი ამაოდ ასკდებოდა ოთახის ყრუ და სქელ კედლებს.

●

არჩილი ნელ-ნელა გამოდიოდა ბურანიდან. სისხლში ამოსვრილი და სხეულდასერილი უმწეოდ იწვა იატაკზე. პირში მლაშე გემოს გრძნობდა. მექანიკურად გადაყლაპა ნერწყვი და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რომ ეს ნერწყვი კი არა, მისი საკუთარი სისხლი იყო, ერთბაშად ხველება და გულისრევა აუტყდა.

„უკვე გონს მოდის", — სადღაც, შორიდან მოისმა გამომძიებლის ხმა. ფეხზე წამოსადგომად ძალა არ ჰყოფნიდა, ამიტომ სანახევროდ წამოიჩოქა, დამძიმებული თავი მაღლა ასწია და ამღვრეული მზერით ოთახი შეათვალიერა. მაგიდასთან უცნობი, ხმელ-ხმელი, მაღალი მამაკაცი იდგა და ყურადღებით ათვალიერებდა პატიმარს. მისგან მარცხნივ, გამომძიებლის ნაცნობი, ოდნავ წინ გადმოწეული სახე მოჩანდა. ჩეკისტს კისერი წაეგრძელებინა და ახლად შემოსულს რაღაცას უყვებოდა, თუ უხსნიდა, პასუხად უცნობი, თანხმობის ნიშნად, მხოლოდ მდუმარედ უქნევდა თავს. არჩილმა უცნობში, სწორედ ის უფროსი გამომძიებელი შეიცნო, რამდენიმე დღის უკან ციხის დერეფანში რომ ნახა.

— სკამზე დასვი და მარტო დაგვტოვე, — უფროსმა გამომძიებელმა ეს სიტყვები ხელის ენერგიული მოძრაობით დაასრულა, თავად მაგიდას შემოუარა და სავარძელში ჩაჯდა. მთელ მის გარეგნობასა და თავდაჭერაში ჩანდა, რომ ეს კაცი მიჩვეული იყო ბრძანებების გაცემას და მის ირგვლივ მყოფთა მორჩილებას. ყოველივე ეს, იმდენად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გამოსდიოდა, რომ მნახველი მცირედაც არ შეეჭვდებოდა მისი ამგვარი უპირატესობის საძარელანობაში.

გამომძიებელი არჩილს იღლიებში სწვდა, ფეხზე წამოაყენა და სკამზე დასვა. პატიმარმა კისერთან მწარე ტკივილი იგრძნო და ყრუ გმინვა აღმოხდა. იგი ტანს ძლივს იჭერდა, რომ სკამიდან არ გადმოვარდნილიყო და უნებურად ხელებით მაგიდის კიდეს ჩაეჭიდა. მაგრამ საკუთარი გასისხლიანებული თიოების შემყურეს შეეშინდა. მაგიდა არ გავსვარიო, — და ხელები აჩქარებით წაიღო უკან.

უფროსმა გამომძიებელმა შენიშნა პატიმარის ეს უნებური მოძრაობა. ოდნავ გაიღიმა და ხელი ჩაიქნია. — როგორც გეხერხება, ისე დაჯექი. ჩვენ აქ ხანგრძლივი საუბარი მოგველის, — შემდეგ წითელყდიანი, სქელტანიანი საქმე გადაშალა და თითქოს ბრალდებულს ეკითხებაო, ნელი ხმით და დამარცვლით წაიკითხა: — არჩილ გურგენიძე, მშენებელი ინჟინერი, ბატალიონის უფროსის მოადგილე საინჟინრო ნაწილში...

არჩილი მიხვდა, რომ ეს კაცი მეზობელი ოთახიდან ისმენდა დაკითხვის მთელ პროცესს და მისი ბედ-იღბალი ახლა სწორედ მასზე იყო დამოკიდებული. გამომძიებელი კაბინეტიდან გავიდა და ახლა ისინი მარტონი ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ. დავითმა (მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, რომ შემოსული, სწორედ ჩვენთვის უკვე ნაცნობი უფროსი გამომძიებელი იყო.) დაღლილი, მოწყენილი მზერით შეათვალიერა პატიმარი, თითქოს უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისი მიუხვედრელობის გამო. — როგორც გავიგე, ჩემი გამომძიებლის აზრს არ იზიარებ, საკუთარ თავს უდანაშაულოდ თვლი და გამართლებას მოითხოვ! ეს არ არის სწორი! — არჩილმა იგრძნო, რომ გამომძიებელი თავის ბოლო ფრაზაში: — „ეს არ არის სწორი", — გულისხმობდა არა მარტო მის უსუსურ ცდას, დაეცვა თავი, არამედ რაღაც უფრო მნიშვნელოვანს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ირგვლივ მიმოავლო თვალი, თითქოს ვიღაცას ეძებსო, შემდეგ ფეხზე წამოდგა და კარი გასაღებით საგულდაგულოდ ჩაკეტა. — ამ ოთახში ჩვენს მეტი არავინაა და შეიძლება გულახდილად ვილაპარაკოთ, მე შენთან ერთი წინადადება მაქვს.

არჩილი სმენად იქცა, იგი წინ გადაიწია და ლამის სკამის კიდეზე ჩამომჯდარი, გაფაციცებით ისმენდა უფროსი გამომძიებლის სიტყვებს.

— შენ, ალბათ, მიაქციე ყურადღება, რითი დაიწყო დაკითხვა და რითი დამთავრდა იგი, დავითი უხერხულად შეიშმუშნა სავარძელში, თითქოს სათქმელის გადმოცემა უჭირსო. კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, თითებში დაჭმუჭნა და ისევ საფერფლეში ჩაადო.

ალბათ, დარწმუნებული ხარ, რომ მოგატყუეს, დაგცინეს, თუ ასე ფიქრობ, უნდა იცოდე, რომ ცდები, — მართალია, ყველაფერი წინასწარგანზრახვით მოეწყო, მაგრამ არა შენი წინააღმდეგობის გასატეხად, — არჩილი ჩუმად იჯდა, მაგრამ მისი თვალები კითხვით მისჩერებოდა გამომძიებლის სახეს. — დიახ, ერთადერთი მიზანი, რომელსაც ეს დაკითხვა ისახავდა, იყო შედარება.

— შედარება?

— შედარება და, რა თქმა უნდა, არჩევანის გაკეთება. გაითვალისწინე, გამომძიებლის თითოეული სიტყვა, დანაპირები, შენი განთავისუფლების შესახებ, ძალაში რჩება, ისევე როგორც ძალაში რჩება „რკინის ქალამნები". შენ მხოლოდ უნდა აირჩიო მათ შორის ერთი. ამიტომ გამოგაცდევინე ორივე, რომ მათი ერთმანეთთან შედარების საშუალება გქონდეს, რომ კარგად იცოდე, რაზე თანხმდები და რაზე აცხადებ უარს, — გამომძიებლის მზერა პატიმარის უაზროდ აწურულ მხრებზე დაეცა. აშკარა იყო, არჩილი ვერ ხვდებოდა რას ეუბნებოდნენ. დავითმა მეორე პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან, მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და განაგრძო. — ჩემი ნათქვამი გასაგები რომ იყოს, ყველაფერს თავიდან მოვყვები: შინსახკომი, ეს არის ხელისუფლება და იგი, ისევე როგორც ყველა სხვა ხელისუფლება, მოქმედებს თავისი კანონებით. ადამიანი, რომელიც მოხვდება მის ხელში, უკან არასოდეს დაბრუნდება. ეს უპირველესი კანონია. პატიმარი შეიძლება დაიხვრიტოს, შეიძლება ცოცხალი დარჩეს, მაგრამ მისი სიცოცხლე უკვე ხელისუფლებას ეკუთვნის. არის, რა თქმა უნდა, გამონაკლისები, როდესაც ამნისტიის, თუ რომელიმე სხვა მიზეზის გამო, ცალკეული პიროვნებები გასულან გარეთ, მაგრამ ეს იმდენად იშვიათად ხდება და იმდენად ძნელია ასეთი კაცის ნახვა, რომ შეიძლება ეს გამონაკლისები საერთოდ გამოვრიცხოთ ჩვენი სინამდვილისაგან. მით უმეტეს, რომ თავად გათავისუფლებულნი დიდხანს ვერ ივლიან სუფთა ჰაერზე. ადრე თუ გვიან, — შინსახკომი მათ აუცილებლად უკან მოუხმობს და უფრო მძლავრად ჩაავლებს თავის ბრჭყალებს. ხელისუფლების ხელში მოხვედრილი ადამიანისათვის არ არსებობს წარსული, არ არსებობს მომავალიც. აი მე ფანქრით ფურცელზე გამომყავს რომელიმე ასო, შემდეგ ვიღებ საშლელს და ვშლი მას. ფურცელი კვლავ თეთრი და სუფთაა, და ეს ასო არასოდეს ეწერა მასზე.

აი ეს არის ხელისუფლება. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, უდანაშულოა თუ არა მისი მსხვერპლი, არ აინტერესებს, ვინ არის იგი, რითი ცხოვრობს, ვინ უყვარს ან ვინ სძულს. ერთადერთი, რაც მას აინტერესებს, რისკენაც მიმართავს თავის ყოველგვარ ძალას და მცდელობას, არის ის, რომ არ გაუშვას მის ხელში მოხვედრილი ადამიანი. ხელისუფლების წინაშე ადამიანი ყოველთვის მარტოა. იგი დააპატიმრეს ღამით, წამოაგდეს, თბილი ლოგინიდან, მოჰგლიჯეს ოჯახს, თავისუფლებას, ცხოვრებას. იგი გაბრუებული, დაბნეული, დაშინებული და მოუმზადებელია. არაფერი იცის, არ იცის, რატომ დაიჭირეს, არ იცის, რა ელის. თავისი გულუბრყვილობით, იმედოვნებს, რომ მისი სიმართლე არის გარანტი თავისუფლების დაბრუნებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მოგვიანებით ხვდება, რომ დაპატიმრება, ეს უკვე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია. იგი დამნაშავე არის თუნდაც იმიტომ, რომ დააპატიმრეს, მაგრამ ამასაც არ აქვს მნიშვნელობა. ყველაზე მთავარი არის ის, რომ იგი არ ექვემდებარება გათავისუფლებას, რადგან მოხვდა იმ ხელისუფლების ხელში, რომელიც თავის კანონს არ დაარღვევს არასდროს და არავის მიმართ. აი ასეთ მდგომარეობაში ვარდება პატიმარი დაპატიმრების პირველი წუთიდანვე. შანსები, რომ იგი გადარჩეს და როდესმე მზის სინათლის დანახვას ელირსოს, უმცირესია, მაგრამ მაინც არის. დიახ, ბუნებაში არაფერი არის უნაკლო. ხელისუფლება ცოცხალი ადამიანებისაგან შედგება, ხელისუფლებას ცოცხალი ადამიანები ემსახურებიან და ეს არის მისი ყველაზე სუსტი წერტილი. შეიძლება როდისმე ეს სისტემა ვერ ამუშავდეს, ან ამუშავდეს ფუჭად და პატიმარს მხოლოდ მაშინ აქვს შანსი დაუსხლტეს შინსახკომს ხელიდან. ეს შანსი შესაძლოა, მილიონში ერთს შეხვდეს. შესაძლოა, არავისაც არ შეხვდეს, მაგრამ თუ ეს მოხდა, მაშინ პატიმარი, ისევე ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს ციხის კედლებს გარეთ, როგორც თავის დროზე იგი აღმოჩნდა ციხეში. მაშინ თავისუფლების მოპოვება ადვილზე ადვილია, თუმცა, დასაშვებია, რომ ძნელზე ძნელიც იყოს, რადგან კუთხეში მდგარ ამ უგრძნობ ხელსაწყოს ადამიანი შეიძლება კიდეც გაექცეს, მაგრამ ვერ გაექცევა საკუთარ თავს. მე უკვე ვთქვი, რომ ხელისუფლება შედგება ადამიანებისაგან, ხოლო უცნაური ადამიანი ყველგან შეიძლება შეგვხვდეს, თვით გამომძიებლებს შორისაც კი. იშვიათად, მაგრამ ესეც ხომ საკვებით დასაშვებია. იქნებ ეს სინდისის ქენჯნა, ცნობისმოყვარეობაა, ან სხვა, ბევრად უფრო სერიოზული რამ არის, იქნებ სულაც ახირება გამოდგეს. პატიმარისათვის ამას არ აქვს მნიშვნელობა. მას მიეცა მის სიცოცხლეში ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი შანსი და საბოლოო სიტყვაც თავად ეკუთვნის, — დავითი ფეხზე წამოდგა ძაგიდას შემოუარა და თავზე დაადგა დაბნეულ და დამფრთხალ პატიმარს:—მე დავრწმუნდებოდი შენს უდანაშაულობაში, რომ დავინახო, რომ თავად ხარ დარწმუნებული ამაში. შენ ამბობ, რომ მართალი ხარ? კეთილი, მე არ ვახდენ არავითარ ძიებას და გათავისუფლებ, ოღონდ ერთი პირობით, დამნაშავე ხარ თუ არა, ამის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებ. თავისთავად იგულისხმება, რომ როგორც ჩემი, ასევე შინსახკომის მხრიდან, შენს მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს არავითარი მკაცრი რეაქცია ან შედეგი არ მოჰყვება და ოფიციალურ დოკუმენტებში შენი გათავისუფლების აქტი ყოველგვარი წესის და რიგის მიხედვით დაფიქსირდება. „დანაშაულის ფაქტის უქონლობის გამო, გათავისუფლებული იქნას წინასწარი პატიმრობიდან ბრალდებული არჩილ გურგენიძე“, — დავითმა ბოლო წინადადება მტკიცე, რიხიანი ხმით წარმოთქვა, რის შემდეგაც მოულოდნელად ჩურჩულზე გადავიდა: — შენ გათავისუფლებული იქნები, ყოველი წესის დაცვით, არსად არასოდეს კაციშვილს არ შეეპარება ეჭვი განაჩენის არასაფუძვლიანობაში და მხოლოდ მე და შენ გვეცოდინება სრული სიმართლე, ის სიმართლე, რომ მე შენ არც გათავისუფლებ და არც გაკავებ, არამედ შენ, თავად წყვეტ საკუთარ ბედს და იღებ გადაწყვეტილებას. თუ იცი, რომ უბრალო ხარ, თუ დარწმუნებული ხარ, რომ თავისუფლების ღირსი იქნები, შეგიძლია წახვიდე და ამაზე მოვრჩეთ, — გამომძიებელმა თაკ ჩაღუნა, უჯრა გამოაღო და თეთრი, შევსებული ბლანკი ამოიღო. — ეს შენი პატიმრობიდან გათავისუფლების ბრძანებაა. აი პროკურორის ხელმოწერა, ბეჭედიც, ყველაფერი გაფორმებულია წესის და რიგის მიხედვით, შეგიძლია თუნდაც ახლავე დაბრუნდე სახლში, — დავითი მცირე ხნით შეჩერდა, თითქოს პატიმარის პასუხს ელისო, როდესაც შეატყო, რომ ეს უკანასკნელი ხმის ამოღებას არ აპირებდა, ჩაეღიმა და ნიშნის მოგებით განაგრძო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიმახსოვრე ერთი უბრალო ჭეშმარიტება, ყოველივე ეს, — გამომძიებელმა თითით ჰაერში ფართო წრე შემოხაზა. — შექმენით თქვენ. რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, გჭირდებათ თქვენ და ჩვენ მხოლოდ შემსრულებლები ვართ. ამიტომ, როდესაც შენ და შენისთანები ჯიუტობთ და თავის დაძვრენას ცდილობთ, მე ეს სასაცილოდ არ მყოფნის, თქვენ ხომ ამ დროს ძიებას კი არა, საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით. შენ ახლა სიმართლის გარკვევას მოითხოვ, ჩვენ უკვე ველარაფერს მოგვთხოვ, საშვიც ხელში გიჭირავს და გათავისუფლების ბრძანებაც, თუ საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებული ხარ, მოიქეცი ისე, როგორც შენი თავი გიკარნახებს და მეც ვირწმუნებ, რომ მართლა უდანაშაულოდ ხარ დაჭერილი, მხოლოდ გადადგი ეს ნაბიჯი.

— როგორ, ასე უბრალოდ ავდგე და წავიდე? — პატიმარი თითქოს საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

— ადგე და წახვიდე, — იყო დასტური.

არჩილი ფეხზე წამოდგა და ოთახში წინ და უკან წრიალს მოჰყვა. „დამცინის, სასაცილოდ მიგდებს", — გაუელვა გუნებაში. საბუთები ხელში აიღო და ტუჩებაკანკალებულმა ბუტბუტით ხელმეორედ წაიკითხა. ბეჭედი, ხელმოწერა თითქოს ნამდვილს ჰგავდა, ხოლო ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები კვლავ კრთოდა მის გონებაში: „სახლი... ნინო... თავისუფლება... სინათლე..." არჩილმა იგრძნო, რომ ყოველივე ამისათვის ძალა არ ეყოფოდა. ფრთხილად, თითქოს რაღაცის ეშინიაო, წელში მოკეცილი, ოდნავ წინ გადაიხარა. ერთხანს მუდარად ქცეული თვალებით იყურებოდა, ბოლოს მისმა ათრთოლებულმა ხმამ კაბინეტის სიჩუმე დაარღვია: — მე არ შემიძლია... მე მეშინია...

— შენ ხომ იცი, რომ უდანაშაულო ხარ?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ეს არ არის მთავარი...

— მაშ რა არის მთავარი?

— აი თქვენ სცანით, რომ უდანაშაულო ვარ, თქვენ გამამართლეთ.

დავითი ფეხზე წამოდგა, პატიმარს საყელოში ხელი სტაცა, თავისკენ მიიზიდა მძლავრად, მოქაჩა და შეანჯღრია: — რა გინდა, რას ითხოვ, ოთხივე გზა ხსნილი გაქვს, გაბედე!

არჩილს სახე შეშლოდა, ერთიანად დაბნეულს და დამფრთხალს, აღარც ესმოდა გამომძიებლის სიტყვები და მხოლოდ უაზროდ აცეცებდა თვალებს. მოულოდნელად მან მთელი თავისი არსებით იგრძნო, რომ რაც ახლა ხდება, არ არის მოჩვენება ან სიზმარი, ყველაფერი ხდება სინამდვილეში და ეს ყველაფერი მართლაც მასზე არის დამოკიდებული. ჭეშმარიტად არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო მის თავს ამაზე უფრო საზარელი. იგი თავისუფალი იყო, რაზეც მეტყველებდა მის წინ დადებული და ყველა ფორმით და წესით შედგენილი საბუთები და მაინც, მიუხედავად უდიდესი ცთუნებისა, პატიმარს არ შეეძლო ამ თავისუფლების მიღება, მაგრამ მას უკვე ძალა არ შესწევდა, უკუეგდო იგი. არჩილი თავისუფალი იყო, მაგრამ ბუნებაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა, ამაზე უფრო უაზრო, უფრო გამოუვალი მდგომარეობა. საფეთქელთან ჩაქუჩივით ურტყამდა გამომძიებლის ყოველი სიტყვა, მისი თავდაჯერებული და, როგორც ეჩვენებოდა, მოზეიმე კილო. ტკივილი იყო საშინელი, მით უფრო აუტანელი, რომ პატიმარი უსუსური იყო მის წინაშე. არჩილი მზად იყო, საკუთარი ხორცი კბილებით დაეფლითა, ოღონდ ეს ტკივილი ჩაეხშო, დაევიწყა. სჯობდა, ისევ ეცემათ, ეწამებინათ და ასე აშკარად არ გაეშიშვლებინათ მისი საკუთარი არარაობა, ახლა მას სძულდა ირგვლივ ყველა და ყველაფერი და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ტყავი ძალით გააძვრეს და იგი პატარა, უსუსური და დაუცველი დარჩა ცხოვრების წინაშე.

მას გონება დაებინდა და იგრძნო, თუ როგორ გადაუარეს რკინის ქალამნებმა მის სხეულს ბინდის ბურუსში. მხოლოდ საოცარი ის იყო, რომ ეს ქალამნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცის მაგივრად, სულს თელავდნენ. ტკივილი არ ყოფილა, უფრო სწორად, იგი უეცრად შეწყდა და, ნაცვლად ამისა, შემოენთო შიში, შიში პირუტყვული, რომელიც ადამიანს ერთ წამში გააშიშვლებს და გახდის უცნობს, თვით საკუთარი თავის მიმართაც კი.

მოულოდნელად, იმდენად მოულოდნელად, რომ გამომძიებელიც კი დაიბნა, არჩილი ფეხზე წამოხტა, მაგიდაზე შევსებულ საბუთებს დასწვდა, წამიც და, თეთრი ფურცლები ჰაერში აფრიალდა. — არ მინდა მე ასეთი თავისუფლება, არ მინდა! — პატიმრის აკანკალებულმა ხელებმა საბუთი ორად გადახია, გადახია სამად, ოთხად, ქაღალდის პატარა ნაკუწები ირგვლივ გაიბნა და ფრენა-ფრენით დაეშვა მაგიდაზე, სკამზე, იატაკზე...

— არ მინდა, არ მინდა... — ჯიუტად და უაზროდ იმეორებდა სამხედრო ინჟინერი: — რა მნიშვნელობა აქვს, მართალი ვარ მე თუ არა, თავისუფლება არ მინდა, არ შემიძლია!.. — იგი მუხლებზე დაეცა და თვალებიდან ცრემლებმა იფეთქა. დამიჭირეთ, დამაპატიმრეთ, მე ყველაფერს ვაღიარებ, ყველაფერს ვიტყვი, არ მინდა თქვენი კარნახი, დასახვრეტი ვარ, დამხვრიტეთ, ოღონდ ამას ნუ მიზამთ, ასე ნუ გამიშვებთ. მითხარით რა, რა ვაღიარო, თუმცა არა, არა, — არჩილს თითქოს თავად შეეშინდა საკუთარი სიტყვების და უარის ნიშნად, ჰაერში ხელიც კი გაასავსავა. — სწორია, რად მინდა თქვენი კარნახი. განა არ ვიცი, რა უნდა ვაღიარო? მე მზად ვარ, განვიარაღდე პარტიის წინაშე. მე ყველაფერს დავწერ, ყველაფერს, ოღონდ ხელს ნუ მკრავთ, — მას აღარ უკითხავს, რა დავწეროო, უკვე იცოდა, რისი დაწერაც იყო საჭირო. შავი, ნახევრად წაქცეული ასოები სირბილით გაუყვა ქაღალდის ფურცელს. პატიმარი მეხსიერების კუნჭულში იდგენდა საკანში მოსმენილ ლაპარაკს, ნახევრად მივიწყებულ ნიუანსებს, ხოლო გონება ჯიუტად იმეორებდა: — საჭიროა სრული აღიარება, სრული გულახდილობა, ყველაფერი უნდა დავწერო, მეზობლებზე, ნაცნობებზე, ნათესავებზე. რა თქმა უნდა. პირველ რიგში, ნათესავებზე. „ცილისმწამებლურ ბარათში, რომელიც შეიქმნა ძიზეზი ჩემი დაპატიმრებისა, მთავარ ბრალდებად წაყენებულია, ჩემი ნათესაური კავშირი ცოლისძმასთან, გოდერძი ტყებუჩავასთან და ეს მაშინ, როდესაც ამ ხალხის მტრის მეორე ძმა ცოტა ხნის წინათ პარტიაში მიიღეს, ხოლო ვაჟი აღდგენილი იქნა კომკავშირის რიგებში..."

გამომძიებელმა ნაწერი ჩამოართვა და ყურადღებით შეუდგა კითხვას.

— პარტია აუცილებლად გაითვალისწინებს თქვენს უანგარო ერთგულებას. — შენიშნა ბოლოს ცივი ხმით.

რკინის ქალამნებისაგან გასრესილი სული შეუმჩნევლად მოკვდა. სულგაცლილი სხეული მადლიერებას ვერ ფარავდა. ხელისუფლებასთან მას აკავშირებდა სამი ადამიანური გრძნობა: — რწმენა, ერთგულება და **იმედი**.

●

პატიმარი ოთახიდან კარგა ხნის გაყვანილი იყო, როდესაც გამომძიებელი არჩილის მიერ ნაჩქარევი, აკანკალებული ხელით დაწერილი გრძელი „აღიარების" კითხვას მორჩა. ალბათ, რაოდენ დიდი ფანტაზიის მოხმობა დასჭირდა ყოველივე ამის დასაწერად. სტრიქონებს შორის პირდაპირ ყვიროდა შიში, შიში იმისა, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს არა ისე, როგორც წესი და რიგია, რომ თუნდაც მის სასარგებლოდ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ წესის დარღვევა.

გამომძიებელმა მდივანი ქალის მიერ მოტანილი გუშინდელი ბარათი ამოიღო მაგიდის უჯრიდან, გახსნა და ხელმეორედ წაიკითხა:

„...იმ ცილისმწამებლური და პროვოკაციული ხმების გასაქარწყლებლად, რომელნიც ამტკიცებენ, თითქოს შინსახკომი ატარებს უდანაშაულო მოქალაქეთა რეპრესიებს, გადაწყდა მიღებული იქნას ზომები. კერძოდ: სახალხო კომისარიატის უფროს გამომძიებლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცათ განკარგულება, რომ მათ საკუთარი ინიციატივით ადგილზევე მოამზადონ სია იმ ბრალდებულთა, რომელნიც, მათი აზრით, არ წარმოადგენენ ქვეყნისათვის საფრთხეს და შეიძლება გათავისუფლებულნი იქნან, ხოლო ძიება მათ საქმეზე შეწყდეს". — ქვემოთ რიცხვი და სახალხო კომისრის გაკრული ხელმოწერა იყო. დავითი ძირს დაიხარა, იატაკზე ნაფლეთებად მიმოფანტული პროკურორის გათავისუფლების სანქცია მოკრიბა და ბარათის გვერდზე დადო.

— ნეტავ ვის ვატყუებდი, საკუთარ თავს? რატომ? მე ხომ ეს ყველაფერი კარგად ვიცი. არც ერთი, არც ერთი ბრალდებულის ბედი ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული, — დავითს მწარედ გაეღიმა და სავარძლის ზურგს მიეყრდნო. — ალბათ, მამოქმედებდა ბრმა იმედი, თუ ბრალდებულის მიმართ მოხერხდება ამ საერთო წესის დარღვევა, მაშინ... მაშინ ხომ შესაძლოა, ამ წესმა ჩემზეც ვერ იმოქმედოს. მე ხომ არა ამ ბრალდებულის, არამედ საკუთარი თავის გათავისუფლებას ვესწრაფოდი და რა გამოვიდა? პატიმარმა საკუთარი ხელით დახია ეს სანქცია და ამით დამანახა, არა, დამიმტკიცა, ჩემი საკუთარი არარაობა და ამ იმედის უსუსურობა. წესის დარღვევა არ შეიძლება — განაჩენი, რომელიც არჩილმა გამოუტანა საკუთარ თავს, ჩემი განაჩენიც იყო. — ჩვენ ერთდროულად ვართ მსხვერპლნიც და ჯალათნიც, — გაახსენდა დავითს თავისი სიტყვები და ტანში გააურჟოლა. — მაშ ახლა რა დამრჩა. ვინ დამრჩა, — გამომძიებელმა არ იცოდა პასუხი ამ კითხვებზე, მხოლოდ გრძნობდა, რომ მის გარშემო შეკრული მარტოობის ეს წრე ნელ-ნელა ახრჩობდა და ვერც იგი, ვერც სხვა ადამიანი ამ ჩაკეტილ წრეში დიდხანს ვერ იარსებებდა.

პირისპირ

კაბინეტის კარი გაიღო და ზღურბლზე შაშხანიანი მცველი გამოჩნდა.

— ბრალდებული ადგილზეა, შეიძლება შემოვიყვანო?

— შემოიყვანე და მარტო დაგვტოვე, — დავითმა საათზე დაიხედა და განაგრძო: — შემოსასვლელში გააფრთხილე, ხანგრძლივი დაკითხვა მექნება და ხელი არავინ შემიშალოს.

— მესმის! — იყო მოკლე პასუხი. მცველი სანახევროდ შებრუნდა და მარჯვენა ხელით კარს იქით ვიღაცას უბიძგა: — შემოდი, რას უდგახარ!

გიორგი ოთახში შემოსვლისას ოდნავ მოიხარა, თითქოს კარში ვერ ეტევაო. თავჩაღუნული მიუახლოვდა გამომძიებლის მაგიდას და მოლოდინით შეჩერდა. დერეფანში გასულმა მცველმა კარი საიმედოდ მოიკეტა და კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა.

დავითმა ყურადღებით შეათვალიერა მის წინ მდგომი პატიმარი. დღემდე იგი დიდხანს ყოყმანობდა, ღირდა კი? ღირდა კი ამის გაკეთება? და ახლა გიორგის გალეული, მაგრამ მშვიდი და სერიოზული სახის შემყურემ, ნათლად იგრძნო, რომ არათუ ღირდა, არამედ ეს იყო ერთადერთი ხსნა მისი ამ უჰაერო არსებობისა და თუ ერთი დღით, თუნდაც ერთი საათით გადადებდა ამას, აუცილებლად დაახრჩობდა ეს მარტოობა და სიძულვილი.

— ალბათ, გიკვირს, რისთვის გამოგიძახე დაკითხვაზე, შენი საქმე ხომ კარგა ხნის გამოძიებული და დამთავრებულია?

გიორგიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, ალბათ, გჭირდებათ რამეში...

გამომძიებელს პატიმრის პასუხზე ღვარძლიანად გაეცინა, ხელში მაგიდაზე დადებული გაზეთი აიღო და სტატიებს თვალი გადაავლო.

— არ გაინტერესებს რა წერია შიგ? რა ხდება გარეთ? ერთი წელია, ალბათ, გაზეთი თვალითაც არ გინახავს, აი, თუნდაც... „საბჭოთა თეატრის მორიგი ტრიუმფი". მორიგი ტრიუმფი... — გაიმეორა გამომძიებელმა, თითქოს გაზეთს გამოაჯავრაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ამ ტრიუმფებს, თავიანთ ავტორებთან ერთად, სანაგვეში გადავუძახებდი. ჰო, ჰო, ნიჭი ეს დამოუკიდებელი და საშიში ძალაა, რომელიც არავის ემორჩილება და ყოველთვის ქადაგებს საკუთარ სიმართლეს, რისაც უფრო ხშირად მას თავად არაფერი ესმის.

— ვიცი მე ეგ ფსიქოლოგია. თქვენ რომ კაცმა გკითხოთ, რაც თქვენი მოგონილი არ არის, ყველაფერი ცუდია. ხელოვნება ცუდია, აი მტრები და ომის მუდმივი საშიშროება არის კარგი.

დავითმა პაპიროსს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და გაღიმება სცადა. — ამ ნახევარი წლის უკან ერთი ზოოლოგის საქმეს ვიძიებდი. დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე გერმანიაში იყო მივლინებით წასული და სწორედ ამ მივლინებამ დაღუპა. უკანასკნელად იგი დახვრეტამდე რამდენიმე დღით ადრე ვნახე და სწორედ მაშინ, საოცარი ამბავი მიამბო. ხომ საერთოდ ცნობილი ფაქტია, გარეული ფრინველი, თუ ცხოველი გალიაში, თუნდაც ყოველდღე კარგად ასვი და აჭამე, მაინც უფრო მცირე ხანს ცოცხლობს, ვიდრე თავისუფლად მყოფი. გერმანიაში ასეთი ექსპერიმენტისათვის მიუმართავთ, შეუქმნიათ უზარმაზარი ნაკრძალი, რამდენიმე ასეული კვადრატული კილომეტრის ფართობზე და შიგ გაუშვიათ იშვიათი ჯიშის ირმები. იმ ნაკრძალში მთებიც იყო, ტყეებიც, მდელოებს და პატარა მდინარეებს ვინ მოსთვლის. ირბინე, ირემო, ინავარდე, რამდენიც გინდა, საითაც გინდა. მაინც ვერაფერმა უშველა. რამდენიმე წელიწადში ყველა ამოწყდა. მეცნიერები თავს იმტვრევდნენ და ვერაფრით გაეგოთ, რატომ, რის გამო? ნაკრძალი ხომ ბუნების ნამდვილი წიაღი იყო. გალია იქ არ ედგათ, ირმები ადამიანს თვალით ვერ ხედავდნენ, საიდან უნდა ეგრძნოთ, რომ თავისუფლება წართმეული ჰქონდათ? ბევრი ადამიანიც ვერ იგრძნობდა, აი მათ კი იგრძნეს, — დავითი სკამის ზურგს მიეყრდნო და თითქოს ოცნებაში წავიდაო, თვალები ნახევრად დაეხუჭა. — ის მეცნიერი ერთობ უცნაური კაცი იყო. სიკვდილის წინ, სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ შეიტყვეს ირმებმა, რომ ისინი თავისუფალნი არ იყვნენო და ისე მოკვდა, პასუხი ვერ მოძებნა. თუმცა, არა მარტო იგი, მთელი მსოფლიოს მეცნიერები იტეხდნენ თავს ბუნების ამ გამოცანაზე. ერთხელ ეს ფიქრი მეც ამეკვიატა რებუსივით. რატომღაც თავიდან არ ამომდიოდა და მიულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს, პასუხი თავისთავად ამოტივტივდა გონებაში. მე, რა თქმა უნდა, არ შემიმოწმებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შემოწმდეს, აუცილებლად დადასტურდება. ყურადღებით მისმინე, ირმებს იქ მართლაც არაფერი აკლდათ, ყველაფერი ჰქონდათ: საჭმელი, სასმელი, სუფთა ჰაერი, სანავარდო, ყველაფერი, გარდა ერთისა, — გამომძიებელმა ჟანგიანი ხმით გაიცინა, თითქოს ვიღაცას ნიშანს უგებსო. — იმ ნაკრძალში მათ მგელი არ ჰყავდათ, ირმებს მგლის შიში არ ჰქონდათ. ტყეში გაშვებული შველიც კი ერთთავად ჩახმახზე შეყენებულივითაა. მცირეოდენ ჩქამზე, ქვის გადაბრუნებაზე, ყურებს ცქვეტს, სმენად იქეცვა, კუნთებს დაძაბავს, შეშფოთებულს, ძარღვებში სისხლის დენა აუჩქარდება, ყოველი ბუჩქის ძირას ჩახაფრებულ მტერს მოელის, ასეთ დღეში ირემი, თუ მტაცებლის ლუკმად არ იქცა, დიდხანს და მხოლოდ სიბერით კვდება. ნაკრძალში კი მგელი არ არის და ირემიც სიბერეს ვერ აღწევს. შიში მას იქ არაფრისა აქვს, სიფრთხილეს კარგავს, სმენა უჩლუნგდება, კუნთები უდუნდება. ირემი ცხოვრობს, მოძრაობს, არსებობს შიშით, საფრთხით, დაბრკოლებათა გადალახვის წადილით. აბა ნაკრძალში ხომ ყოველივე ეს აღარ არსებობს. ვისი უნდა ეშინოდეს იქ ირემს, ხეების, ფოთლების? მისი არსებობის მთავარი მიზანი, არ იქცეს მტაცებლის ლუკმად, აზრს კარგავს, აზრს კარგავს თავად არსებობაც. მგლის გარეშე, ნაკრძალში პირუტყვი დიდხანს ვერ ძლებს. სიბერის მიღწევამდე ბევრად უფრო ადრე, მას საერთო მოდუნებისაგან სხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული უმჩვარდება და კვდება. ტყეში ათი ირმიდან სამი თუ მგელმა შეჭამა, შვიდი განაგრძობს ცხოვრებას, ხოლო უმგლოდ, ათივე კვდება, ჭკვიანი ხალხია ეს მეცნიერები, ასეთ უბრალო რამეს კი ვერ ხვდებიან, ირემს მგელი ჰაერივით სჭირდება, მგელი ირემისათვის აუცილებელია. ასე დააწესა ბუნებამ. ადამიანის ცხოვრებაც ბრძოლაა სიძნელეებთან, რომელსაც უფრო ხშირად, იგი თავად უგონებს საკუთარ თავს, თუ ეს წინააღმდეგობები არ იქნება, მაშინ რისთვის იცხოვროს კაცმა? ჭამოს, სვას და იძინოს? ამისათვის დაიბადა? დღეს ევროპას თავი მოაქვს დემოკრატიით და ეგ სულელები ვერც ხვდებიან, რომ სწორედ თავისუფლება მოუღებს მათ ბოლოს. ომი და მის წიაღში წარმოშობილი მტერი, სწორედ ის დაბრკოლებაა, რომელიც ხალხს მოუწოდებს მოძრაობისაკენ, ბრძოლისაკენ, სიცოცხლისაკენ, აჩვევს მას მოთმინებას, შინაგან წესრიგს და საკუთარი თავის განწირვას საერთო ინტერესებისათვის. სხეული დუნდება და ბერდება მოძრაობის გარეშე, ასევეა ხალხიც, სახელმწიფო ლპება და კარგავს ძალას სიძნელის გარეშე, ხოლო ძალაგამოცლილი ხალხი ვერაფერს შექმნის. პირიქით, იგი აუცილებლად დაიღუპება. თავისუფლება უძლიერესი ბიძგია ხალხის ძალისხმევისათვის, უზარმაზარ მწვერვალზე შეუძლია მას ადამიანი ატყორცნოს, მაგრამ მერე? მერე, როდესაც ამ თავისუფლებას მიეჩვევი, როდესაც მისი განსაკუთრებულობის შეგრძნებას დაკარგავ, როდესაც მისი ფასი დაგავიწყდება, საით წახვალ მერე იმ მწვერვალიდან? მხოლოდ ძირს ქვესკნელისაკენ, სხვა გზა ისტორიამ არ იცის. ადამიანთა უბედურებას, სისხლს, ჭრილობებს, მსხვერპლს, ხალხისათვის მოაქვს უფრო მეტი სარგებელი, ვიდრე ზიანი და ამიტომ ჩვენ, თუმცა აშკარად არ ვაცხადებთ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, მტერი, ომის საშიშროება, შიში, აუცილებელი და, მაშასადამე, დადებითი მოვლენაა. მეტსაც ვიტყვი, მტერი რომ არ გვყოლოდა, ჩვენ უნდა მოგვეგონა.

—იგონებთ კიდევაც ხშირად, — გესლიანად შენიშნა გიორგიმ.

— ხშირად, — დაეთანხმა დავითი. —მე მაგალითად, არ მჯერა ხალხის, არ მწამს მისი შინაგანი წესრიგის, ბრბოს არა აქვს უნარი გაარჩიოს, რა უნდა და რა არა. უპატრონოდ დატოვებული, იგი დაემსგავსება უსინათლო ათლეტს, რომელიც მიუხედავად მძლავრი ფიზიკური აღნაგობისა, ბაშვივით უსუსურია და რამდენიმე დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, შეიძლება კისერიც მოიტეხოს. არა, ქვეყანას უნდა მართავდეს რჩეული უმცირესობა, ოღონდ განსხვავებით ძველი არისტოკრატიისაგან, ისინი მართავენ არა საკუთარი ანგარების გულისათვის, არამედ საერთო სამართლიანობის და წესრიგის დასამყარებლად. სწორედ აქედან იღებს სათავეს ჩვენი დიქტატურა და არა პირადი ქვეპატივმოყვარეობიდან.

გიორგის დამცინავად გაეღიმა. ამგვარი ღიმილი მისთვის საერთოდ იშვიათი იყო. გამომძიებელს ერთწლიანი ძიების წყალობით, კარგად ჰქონდა შესწავლილი პატიმარის ხასიათი, ამ ღიმილმა გულში თითქოს ეკალივით უჩხვლიტა.

— მე რამე სასაცილო ვთქვი?

— არა, რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია, ჩვენ აქ იდეოლოგიურ დისკუსიაზე ვიმყოფებით, თუ...

— რა მოხდა მერე, შენ ჩვენი მტერი ხარ, მტრის აზრი მე ყოველთვის მაინტერესებდა.

— რისთვის?

დავითმა პასუხად მხრები აიჩეჩა, თითქოს ამბობდა, — რა არის ამაში განსაკუთრებულიო. მან მართლაც კარგად იცოდა გიორგის ხასიათი და დარწმუნებული იყო, ეს უკანასკნელი ვერ მოითმენდა, აუცილებლად გამოჭყვებოდა კამათში და არც შემცდარა. ყმაწვილის სახეზე აღძრული წამიერი ყოყმანი ჩაცხრა და თვალებში ჯიუტი გადაწყვეტილება გამოიკვეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაივიწყე რა განსხვავებაა ჩვენს შორის, ჩვენ ორივენი ამ წამს თანაბარი უფლებებით ვართ აღჭურვილნი.

— მარტო ამ წამს?

— ამ სალამოს, — შეასწორა დავითმა.

— ეგრე იყოს, — გიორგი მცირე ხნით გაჩუმდა, თითქოს აზრებს იკრებსო და შემდეგ დაიწყო: — მწერლობაში ჩემი აზრით, ყველაზე ძნელია ბავშვთა მწერალი იყო. აქ მარტო ნიჭი არ არის საკმარისი, იმიტომ, რომ ძალიან წმინდა და უბიწო უნდა იყო, პატარებზე გულით რომ წერო. აი ისე, ბავშებმა შენი წიგნები რომ შეიყვარონ, ამისათვის თავად ბავშვად უნდა იქცე, ამას კი ვერ შეძლებ თუ ფაქიზი სულის პატრონი არა ხარ.

— ეგ რა შუაშია?

— როდესაც ოცდაერთში, ტამბოვში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა, ახალდამთავრებული სამოქალაქო ომის ერთერთი „გმირი" პირდაპირ სამხედრო აკადემიის კურსებიდან გამოიძახეს და დამსჯელ რაზმს ჩაუყენეს სათავეში. როგორ ფიქრობ, მაინცდამაინც ის რატომ შეარჩიეს? იმიტომ რომ, მისი სისხლიანი სისასტიკე ცნობილი იყო და მართლაც, იმდენად გაამართლა „ნდობა", რომ ბოლშევიკები იძულებულნი იყვნენ, ისიც კი დაესაჯათ მეტისმეტი სისასტიკისათვის. ერთხელ ამ ყმაწვილმა, რომელიღაც სოფლის მცხოვრებლები აბანოში შერეკა და პირობა წაუყენა, თუ დილამდე არ იტყვით ბანდიტები სად იმალებიან, დაგხვრეტთო. იმ უბედურებმა კი, უბრალოდ, არ იცოდნენ, სად იმალებოდნენ აჯანყებულები და აი, დილით იგი თითო-თითოდ უშვებდა მათ აბანოდან და პირდაპირ ზურგში ესროდა ტყვიას. სხვა შემთხვევაში ის ტყვეებს ხვრეტდა, რადგან ეზარებოდა მათთვის ბადრაგის გამოყოფით თავის შეწუხება, მაგრამ ერთერთ ბრძოლაში კონტუზია მიიღო და იძულებული შეიქნა, სამხედრო სამსახურისათვის თავი გაენებებინა, რის შემდეგაც იგი გახდა მთელ კავშირში ცნობილი, პატარებისათვის ყველაზე საყვარელი, ბავშვთა მწერალი, მე დიდხანს ვერ გამეგო, იმ სისხლიანმა ადამიანმა ბავშვებისათვის ასეთი მოთხრობების წერას. მერე მივხვდი, მას მხოლოდ ხელები ჰქონდა სისხლიანი. სული კი შესაძლოა, პატარა ბავშვივით წმინდა და ფაქიზი შემორჩა. ეშმაკმა უწყის. შეიძლება თქვენ მართლაც გჯერათ, რომ ადამიანთა ბედნიერებისათვის იბრძვით. მაგრამ ამ მიზნისაკენ სწრაფვაში დაკარგეთ განსხვავება სიკეთეს და ბოროტებას შორის, დაივიწყეთ ყველაზე მთავარი, რომ ძალადობა, მკვლელობა, სიცრუე და უზნეობა, რა მიზნებსაც უნდა ემსახურებოდნენ ისინი, თავად კლავენ სიკეთეს. იდეა აქ იკარგება და, ადრე თუ გვიან, მოვა დრო, როდესაც ძალაუფლება იქცევა თქვენს მთავარ იდეად. ხოლო რათა შეინარჩუნოთ იგი, იძულებულნი იქნებით, წახვიდეთ უფრო დიდ ძალადობაზე. ძალადობით გამტყვრალნი, სისხლით გალეშილნი, ჩაგიკვდებათ ყოველივე სიკეთე და ქველობა. თქვენ თავად მოკლავთ საკუთარ თავში ადამიანის სიყვარულს, რამეთუ არ შეიძლება გსურდეს ადამიანის ბედნიერება და უბედური გახადო იგი; არ შეიძლება გინდოდეს სამშობლოს თავისუფლება და დაიმონო იგი. თუ კლავ კაცს, შენ ხარ მხოლოდ მკვლელი, თუ ძალადობ კაცზე, შენ ხარ მხოლოდ მოძალადე, თუ ატყუებ კაცს, შენ ხარ მხოლოდ მატყუარა. მკვლელი, მოძალადე და მატყუარა. ვერ შეძლებს ადამიანის სიყვარულს, საბოლოო ჯამში ეს არავის ძალუძს და დარჩება მხოლოდ სიყვარული ძალაუფლებისა. თქვენ აუცილებლად გახდებით ძალაუფლების მონები და დაივიწყებთ თქვენს მიერვე შეთხზულ უტოპიებს.

დავითი ფეხზე წამოდგა. ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. შემდეგ შეჩერდა, ისევ მაგიდას მიუახლოვდა და ხელებით ზედ დაეყრდნო. ტახით ოდნავ წინ გადახრილი, იგი პატიმარს აკვირდებოდა სახეზე, თითქოს რაღაცას ეძებსო, მიუხედავად კაბინეტში ჩამოკიდებული ნათურის მკრთალი შუქისა, გიორგის თვალებში გარკვევით ჩანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფური მგზნებარება და მარჯვენა მხარე ოდნავ შესამჩნევად უკანკალებდა.

— შენ, ნამდვილად გჯერა იმ სისულელის, რაც ახლა თქვი? ნამდვილად ფიქრობ, რომ მე ვარ მკვლელი, მოძალადე და მატყუარა? მე? — დააკვირდი ჩემი სახის ფერს, — ყრუდ განაგრძო დავითმა, — მუდმივი უძილობისაგან დაწითლებული თვალის გუგებს, რომელი, რომელი მოქალაქე ინატრებს ჩემს ბედს, რომელი დათანხმდება დაიკავოს ეს ადგილი. ვითომ ისინი არიან უუფლებონი მე კი თავისუფალი ვარ? ისინი ცხოვრობენ შიშის და ძალადობის ქვეშ? განა მე თავად არ ვარ მონა და ზარდაცემული ასეთი ცხოვრებისაგან? ანდა რაზე ვლაპარაკობ, რას ვამტკიცებ. იცი შენ რაზე გამოგიძახე? ვიხრჩობი, ვიგუდები. ადამიანები მძულს, ცოლშვილიც, როგორ მიყვარდა ჩემი გოგონა ადრე, ხოლო ახლა დასანახად ვერ ვიტანს. ამდენი სიძულვილისაგან უკვე საკუთარი თავიც მძულს.

— მერე მაგ განწყობის კაცს ჩეკაში რა გამუშავებს, რა გაძლებინებს?

— სწორედ ამაშია ჩემი უბედურება, სწორედ ეს არ მაძლევს მოსვენებას. იკითხავ, რაო? მე თავად არ ვიცი, რა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველა სასუნთქი გზა გადამეკეტა და ნელ-ნელა ვიგუდები. ჰაერი მინდა, ჰაერი არ მყოფნის, მაგრამ თუ ჰაერის სუფთა ნაკადი ჩემს უჰაერობისაგან დახუთულ ფილტვებს როდისმე შეეხო, — გამომძიებელი ფეხზე წამოდგა, ხელებით მაგიდის კიდეს დაეყრდნო და პატიმარს თვალებში დაჟინებით ჩააცქერდა, — მაშინ ჩემი მდგომარეობა ბევრად უარესი გახდება და აღსასრულიც უფრო მალე მოვა. ჩემი უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მე თავისუფლების გარეშე ვიხრჩობი, მაგრამ ყველაზე უფრო, სწორედ ამ თავისუფლების მეშინია. ამ ყოფისაგან ვიტანჯები და ამ ყოფის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. აი აქ, — დავითმა მუშტი მკერდზე მიირტყა. — ადამიანური ყველაფერი ამოშრა, — იგი მოულოდნელად წინ გადაიხარა და ათრთოლებული ხელებით პატიმარს სწვდა. — შენ უნდა გაიგო, შენ გაიგებ, მხოლოდ შენ, სხვა ვერავინ შემიმსუბუქებს ამ სიმწარეს, მეტი აღარ შემიძლია, თუ გინდა, გაიხარე ჩემი უბედურებით, დამცინე მწარედ, ოღონდ თვალს ნუ ამარიდებ.

— შე მართლა უბედურო, მერე ყოველივე ამას გულში როგორ ატარებდი? — გიორგის სახეზე დაბნეულობა ეტყობოდა. მე რით გიშველი, თვითონ დაგიღუპავს საკუთარი თავი და თავადვე უნდა უშველო.

დავითი მაგიდაზე ჩამოჯდა. ყელის ძარღვები მძლავრად დასჭიმვოდა, ბაგე უკანკალებდა და, წელში მოტეხილი, ერთბაშად ძნელი საცნობიც კი იყო. — რით ვუშველი, ჩემზე რა არის დამოკიდებული, ნუთუ ფიქრობ, რომ ამ უბედურების მიზეზი ვარ მე? ამ ერთი თვის წინათ მოსკოვიდან შინსახკომის ინსპექტორი ჩამოვიდა. განტევების ვაცებს ეძებდა, ერთი სიტყვით, მე ჩრდილში მოვხვდი.

— ახლა ვხვდები, რაც გადარდებს.

— ვერაფერსაც ვერ ხვდები, ვერავინ ხვდება, შენც, შენც რწმენისათვის თავი გადადე, ამას კი ვერ ხვდები, — დავითმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი და თავი მაღლა ასწია. — განა მე სიკვდილის მეშინია? თქვენ ყველას გგონიათ, მე საკუთარი ბედი მადარდებს და ამით ვარ ასეთ დღეში? ოჰ ნეტავი, ასე იყოს, ჩემზე ბედნიერი ხომ მაშინ კაცი არ იქნებოდა. ის, რაც შენ ჩემი დარდის მიზეზი გგონია, მხოლოდ ცივი წყალია მძინარე კაცს რომ გადაასხამენ გამოსაფხიზლებლად. ეს კაცი იღვიძებს და ხედავს, რომ რაც მას ცხოვრება ეგონა, თურმე მარტოოდენ სიზმარი ყოფილა, ხოლო ცხოვრებამ, ნამდვილმა ცხოვრებამ, სადღაც გვერდით ჩაიარა და თვალს მიეფარა, უკან ვერ დაბრუნებ, თავიდან ვერ გაიმეორებ. ძველი რაც იყო, დაიკარგა, თვალწინ აორთქლდა, ახალი არ ჩანს და დარჩა მხოლოდ სიცარიელე. სიცარიელე კი, სიცარიელეა შიგნიდანაც და გარედანაც. ვერც ვერაფერს გააწყობ ამ სიცარიელეში. იჯექი და უყურე მხო-

ლოდ, უყურე არაფერს, ისუნთქე არაფრით, იცოცხლე არაფრით. ნეტავ, მართლა ისეთი არამზადა ვიყო, თქვენ რომ გგონივართ. მკვლელი, მოძალადე და მატყუარა განა ცოტაა ამქვეყნად? მართალია, ისინი ბოროტმოქმედებას სჩადიან, მაგრამ სამაგიეროდ შესანიშნავად მოეხსენებათ, ვინც ბრძანდებიან, არავითარი ილუზიებით თავს არ იტყუებენ და არც ჩემნაირი ფიქრები აწუხებთ, მე ასეთ ხალხს ყოველთვის ზიზღით ვუცქეროდი ზემოდან, საკუთარი თავი უკეთესი მეგონა. აი სად დავიწვი, აი რამ დამღუპა...

— თუ თქვენი რწმენა მართალია, თუ ის საქმე, შენ რომ ემსახურები, მართალია, მაშინ რატომ არიან ყველანი, ყველანი თავად შენც, ამ რწმენისაგან უბედურნი?

დავითს სახეზე იმედგაცრუების ნიშანი დაეტყო. მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რა შუაშია აქ ჩემი რწმენა. ეს რწმენა კი არა, ცხოვრებაა მახინჯურად აწყობილი და თვით ყველაზე წმინდა იდეალები, ადმიანის უხამს ბუნებასთან შეჩეხების წყალობით, ისვრება, იბღალება და უზნეობაში გადადის. ნუთუ შენ მართლა გგონია, რომ სწორედ ჩვენ ვართ ამ ბოროტების წყარო და საკმარისია მოინახოს ტირანის მკვლელი, რომ ხალხი გათავისუფლდეს? ტირანის მკვლელმა ხალხი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაათავისუფლოს საკუთარი თავისაგან! ესე იგი, მან უნდა მოკლას თავად ხალხი, რამეთუ ხალხის უმთავრესი ტირანი ხალხია. თუ ეს არ გჯერა, მაშინ დაფიქრდი, აი ამ კაცისაგან დაწყებული, — დავითმა ხელი ჩიბუხიანი ბელადის სურათისაკენ გაიშვირა. — უკანასკნელი მოქალაქით დამთავრებულ ადამიანთა გრძელ რიგში ვინ არის მარტოოდენ მსხვერპლი და ვინ მარტოოდენ ჯალათი. ვერ ნახავ ასეთ კაცს. ჩვენ ყველანი ვართ მსხვერპლნიც და ჯალათნიც ერთდროულად. აქ სხვისი დამონება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე საკუთარი თავისუფლების შენარჩუნება. აქ სხვისი მოკვლა უბრალო საქმეა, მაგრამ წარმოუდგენლად ძნელია, თვით სახელმწიფოს ყოვლისშემძლე პირველკაცებისათვის საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნება.

— კარგი მსჯელობაა, ღმერთმანი, ჯერ ხალხს ყველაფერი წაართვით. დაიმონეთ. ახლა კი, აყვედრით, მონები არიანო. შენი სიტყვებიდან გამოდის, რომ ადამიანები თავად ჩაგრავენ, იმონებენ და მტრობენ საკუთარ თავს. განა გონიერი არსება ამას მოიმოქმედებს?

— ხალხი ჩვენ არ დაგვიმონებია, იგი ჩვენ ასეთ მდგომარეობაში მივიღეთ. სულიერად იგი მონა იყო და ეს თებერვლის რევოლუციის მეორე დღესვე გამოჩნდა, როდესაც ალექსანდრე II მოკლეს ნაროდნიკებმა, ბევრს ეგონა, ხალხმა გაიღვიძა, თავისუფლება მოსწყურდაო, იმაზე კი არავის უფიქრია, რომ ქვეყანამ, რომელმაც აიტანა ივანე მრისხანე და პეტრე პირველი, რით ვერ აიტანა ეს უბედური იმპერატორი. მან გლეხებს თავისუფლება მისცა, იგი კი ამის გულისთვის მოკლეს, როგორია? ბევრი ფიქრობდა, რომ იმპერატორმა ხალხი მოატყუა, უფრო ნაკლები თავისუფლება მისცა, ვიდრე ხალხს ეკუთვნოდა და ამის გამო ემსხვერპლა სანახევროდ გათავისუფლებულ ქვეყანასო. რა სისულელეა, რევოლუციის შემდეგ ამ ხალხმა ხომ ისიც დაკარგა, რაც მათ მოკლულმა იმპერატორმა უბოძა. ვინმემ ხმა ამოიღო? ალექსანდრე II-ს სანახევრო თავისუფლება ვერ აპატიეს, ხოლო ჩვენ მთელი წოდების ამოყლეტა და გლეხის განკულაკება შეგვარჩინეს. რაზე მეტყველებს ეს? ასეთი ხალხი, როდესაც თავისუფლებას იღებს, ხდება მძვინვარე, საშიში და თავისი შეუწყნარებლობით ემსგავსება ტირანს და პირიქით, უფლებაწართმეული და უღელქვეშ გაქაჩული, იგი მშვიდად ეგუება და ურიგდება დესპოტურ ხელისუფლებას. ესე იგი, ტირანია და მონობა მისი ბუნებისათვის ყველაზე მისაღები პოლიტიკური და ცხოვრებისეული ყოფა არის. არ გჯერა? მაშ დამაკვირდი მე. ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ვინც იცნობს ჩემს ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას. ვერ იტყვის, რომ მე ბედნიერი, ბედით კმაყოფილი კაცი ვარ. პირიქით, ჩემნაირი ტანჯული და უუფლებო არსება შეიძლება ამ სახელმწიფოშიც არ მოიძებნებოდეს. მთავარი მიზეზი ამ ჩემი უბედურებისა, არის ეს წყეული დიქტატურა, მაგრამ განა მე რამეს ვაკეთებ მის გასაუქმებლად? პირიქით, ჩემი მთავარი მიზანი მისი შენარჩუნება და შემდგომი გაძლიერებაა. მე ერთგულად ვემსახურები ჩემივე უბედურების წყაროს, მძულს იგი, ვთვლი მას ჩემს უპირველეს მტრად და მაინც ყველაფერს ვწირავ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ ეს უბედურების წყარო, კიდევ უფრო გაძლრმავდეს და გახანგრძლივდეს. ასევეა ხალხიც, მას სძულს დესპოტიზმი, არ უნდა იყოს უბედური, უფლებაწართმეული, დამონებული, მაგრამ კიდეც უნდა იყოს ასეთი. მონა და დესპოტი, ადამიანთა ეს ორი სახეობა, ყველაზე მეტად ჰგავს ერთმანეთს. ორივეს ეშინია, აფრთხობს თავისუფლება. ორივენი საკუთარი ძალაუფლების ქვეშ მყოფთა მიმართ არიან შეუბრალებელნი და შეუწყნარებელნი და ამავე დროს, ღრმად მორჩილნი და მომთმენნი, თავიანთ ბატონთან ურთიერთობისას. ყოველი მონა არის დესპოტი, ხოლო დესპოტი ყოველთვის იქნება მონა. ამიტომ თავისუფლებას ისინი წონასწორობიდან გამოჰყავს, ცხოვრების ჩვეულ გეზს ურღვევს და თავგზას უბნევს, მონობაში აღზრდილი ხალხი თუნდა წყევლიდეს თავის ჩაგრულ ცხოვრებას, მაინც, ტირანის მსგავსად, მტერია თავისუფლებისა, რადგან მონა-ტირანის და ტირანი-მონის უბედურება სწორედ ისაა, რომ მათ ძალუძთ იცხოვრონ, მხოლოდ უუფლებო, არათავისუფალი ცხოვრებით. ადამიანები ასეთი ყოფისაგან, რა თქმა უნდა იტანჯებიან, წვალობენ. მათ ბოლოს და ბოლოს, სძულთ ეს ცხოვრება, მაგრამ სხვაგვარად არ შეუძლიათ. სხვანაირ საზოგადოებაში ისინი ვერ იარსებებენ. ასეთი ცხოვრება შენ გღუპავს, გაუბედურებს და ადამიანობას გართმევს. ვინ ვარ მე? შუაზე გახლეჩილი ადამიანი. ერთი მხარე აქეთ მექაჩება, მეორე — იქით. ეჭვები დამეჭიმა, ძარღვები დამისკდა, სისხლი ამომიშრა, ადამიანური ცხოვრება მენატრება, მაგრამ არ შემიძლია; სიცოცხლე მინდა, სხვებს კი ვუსპობ ამ სიცოცხლეს; სიყვარული მინდა, მაგრამ ამ სიყვარულს საკუთარი ხელებით ვახრჩობ; სიკეთე მინდა, მაგრამ როგორც საკუთარი თავისათვის, ასევე ყველასათვის მარტოოდენ უბედურება მომაქვს. რატომ, რატომ არის ყველაფერი ამგვარად მოწყობილი, როდესაც სიკეთე მსურს, რატომ უნდა ვაკეთო მხოლოდ ბოროტება? როდესაც ბავშვის ბედნიერება მინდა, რატომ უნდა მოვუკლა ამ ბავშს დედა და მე რატომ უნდა ვზიდო ეს ზღვა ცოდვა ზურგით? ისე მაინც გადავგვარდე, რომ ადამიანური არაფერი შემრჩეს. მაშინ ან აქეთ წავიდოდი ან იქით, არა, ამასაც ვერ ველირსე, ბუნებამ ადამიანობა მიბრძანა, ხოლო ცხოვრებამ, მხეცური საქმეების კეთება და მეც, ორივე ეს ბრძანება უნდა ვასრულო, არადა, ერთი ვარ, ერთი, როგორ ვიყო ერთდროულად მხეციც და ადამიანიც, როგორ?..

გიორგი ფეხზე წამოდგა გრძელ ხელებს რაღაც უხერხულად იშმუშნიდა, თითქოს არ იცოდა, სად ‘ეაღო. — მერე ჩემთან რა გინდა, მე რისთვის მეუბნები ყოველივე ამას, რაში გიშველი, ან რატომ უნდა გიშველო?

— დამაცადე, მათქმევინე, — დავითი ფეხზე იდგა, ხელები წინ გაეშვირა, თითქოს ამით აპირებსო მოსაუბრის შეჩერებას, ტანში კითხვის ნიშანივით მოხრილიყო და ამ ნიშანში იყო რაღაც მუდარისმსგავსი. — ვიცი, ვიცი, ჩვენ მტრები ვართ, თანაც ისეთი მტრები, რომ ამქვეყნად ერთად რომ ვერ დავეტევით, მაგრამ ჩვენ, ამასთან ერთად, ორეულებიც ვართ, ჰო, მე ამით მინდა ვთქვა, მხოლოდ ის, რომ ჩვენს შორის ბევრი საერთოა. ჩემსავით შენც, საკუთარი რწმენის მსხვერპლი ხარ. ახლა მითხარი, მაგ იდეამ უდანაშაულო კაცის მოკვლა რომ მოგთხოვოს, რას იზამდი?

— უდანაშაულო კაცს არანაირი იდეის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისათვის არ გავწირავ. — ამას დაბეჯითებით ვამბობ.

გამომძიებელს სახეზე უნდობლობა აღებეჭდა, თითქოს წარბებიც უფრო მაღლა აეზიდა. — როგორ არ მოკლავ, იდეის გულისათვის, საკუთარ თავს არ ინდობ. ჩვენს ძვალთა მსხვრეველებსაც კი გაუძელ და არაფერი გითქვამს, ადამიანის ძალა ამას ვერ გადაიტანდა, შენ კი აიტანე, ესე იგი, რწმენამ მოგცა ეს ძალა. ყოველივე ამის გადამტანი, ყოველივე ამისაგან გაბოროტებული, აბა, სხვას როგორ დაინდობ?

— გინდა თქვა, სხვას როგორ ანაცვალებ შენ თავსო? ის შენი იდეა ვის ემსახურება, შენ თავად ვისთვის გასწირე სიცოცხლე, ვისთვის გაიუბედურე თავი?..

— როგორ თუ ვისთვის? ხალხისათვის, ხალხისათვის!

— მერე იმ ხალხში, ის სხვა არ ითვლება, შენ რომ კლავ, მისი უდანაშაულო ცოლ-შვილი არ ითვლება, სიცოცხლეს რომ ასალმებ? ის ხალხი, რომელთა გულისათვის შენ, ვითომ თავს სწირავ, ადამიანებისაგან არ შედგება, ის სხვა, განა ადამიანი არ არის? — გიორგი მუშტებმოკუმშული მიუახლოვდა გამომძიებელს. სახე ციებიანივით უკანკალებდა, თვალებიდან ნაპერწკლებს აკვესებდა. — შენისთანა ადამიანები ყველაზე საძულველი და ჭირიანია კაცთა მოდგმაში, შენისთანას მე ყველაზე სულწაწყმენდილი დამნაშავე მირჩევნია, თუგინდ, მკვლელი, მოძალადე... შენ რომ ახსენე, კლავს, ძარცვავსო, სამაგიეროდ, მან იცის დანაშაულს რომ სჩადის და უფლის წინაშე სცოდავს. ამიტომ ჩვეულებრივი მკვლელი, რომლის ადგილი ციხეშია, მოკლავს ერთს, ორს, მაგრამ ადამიანებს ათასობით, ათიათასობით არ ამოჟლეტს. შენისთანა კაცისათვის კი ზღვარი არ არსებობს. შენ შეიძლება, პატარა ბავშვი, ემაგ ხელებით, დედის წინ შუაზე გახლიჩო და, დარწმუნებული იქნები, რომ სიკეთეს შერები. თქვენს დანაშაულს საზღვარი არა აქვს, იმიტომ რომ, თქვენი უზნეობაც უსაზღვროა. ამბობთ, იდეისათვის ვაკეთებთ ამასო, მერე თუ ხალხი გაწყდა, იდეა რა თავისუფლად გინდათ, ვისთვის გინდათ! მე გეტყვი, ვისთვისაც, საკუთარი თავისათვის, ფეხებზე გკიდიათ, თქვენ ადამიანებიც და მათი ბედნიერებაც, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ. ეგ იდეაც თავის მოსაწონად გინდათ. თუ ადამიანის სიყვარული არა გაქვს, მაშინ იდეისათვის ბრძოლას, თავის განწირვას რა ფასი აქვს, რაღა ახლა იგრძენ თავი უბედურად, რა, ადრე ნაკლებ სიბილწეს სჩადიოდი? აი შენს უკან სიკვდილის აჩრდილი რომ აღიმართა, მაშინ შეგაწუხა სინდისმა. შენისთანა ადამიანები კაცმა სათითაოდ უნდა დაიჭიროს, ქალაქის ყველაზე მთავარ მოედანზე, გალიაში გამოამწყვდიოს და ხალხს თითით საჩვენებელი გაუხადოს, რომ მთელმა ქვეყანამ იცოდეს, ვინ არის ყველაზე საშიში მხეცი. ადმიანს მოკლავდიო? მეკითხები, ათმაგ დახვრეტაზე წავიდოდი, ოღონდ ერთი შენისთანასათვის კისერი მომაგრეხინა.

დავითს ღვარძლიანად გაეღიმა და დამცინავი მზერა ესროლა პატიმარის ჩამომხმარ, გალეულ ხელებს, რომლითაც, ალბათ, ბავშვის აყვანაც კი გაუჭირდებოდა. — კარგი, დამშვიდდი, როგორმე უშენოდაც მომიგრეხენ კისერს, თუ საჭირო გახდა. მე შენთან ადამიანური ლაპარაკი მინდოდა და არა ლანძღვა-გინება. ასეც იყოს, გაპატიებ მაგ სიტყვებს, ჩემივე ბრალია, გულახდილობაზე რომ გამოგიწვიე, თუმცა, გულახდილი პასუხისათვის მადლობელიც ვარ. ახლა დავრწმუნდი. ჩემს ადგილას შენ არაფრით უკეთესი არ იქნებოდი და, ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს. არავინ არავის წინაშე არ არის მართალი, ან დამნაშავე, და ძველ ბოროტებას, მხოლოდ ახალი ბოროტება მოსდევს. უშრეტია წყარო ბოროტებისა, — დავითი სკამზე ჩამოჯდა და მწარე ღიმილით მოპირდაპირე კედელს მიაშტერდა. — ადამიანთა ახალი თაობები ამხობენ ბოროტების სიმბოლოდ ქცეულ ძველ ხელისუფლებას და ამყარებენ თავისუფლებას, სადაც მთავარ ადგილს ყოველთვის იგივე ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტება იკავებს, ოღონდ უფრო ახალგაზრდა, ძალ-ღონე მოკრეფილი და ამიტომ, უფრო ძლიერი და საზარელი, ოცი წლის წინათ ასეთი რამ უკვე მოხდა და მომავალშიც ახალი არაფერია მოსალოდნელი.

— და მაინც, შეუძლებელია არ მოვიდეს სიკეთე, იგი იმდენ ადამიანს სურს, იმდენ ადამიანს სწყურია...

— ეს შეუძლებელია, სიკეთეს ძალუძს იარსებოს, ვით საყვედურმა გამეფებული ბოროტების მიმართ, მაგრამ გამარჯვებით, სიკეთე არასოდეს გაიმარჯვებს. გამარჯვებული სიკეთე ახალი ბოროტებაა. კეთილია დევნილი, ჩაგრული, წამებული და დამცირებული. გამარჯვებული, გამეფებული და, მაშასადამე, თავად ძალმოცემული და მდევნელი, მხოლოდ ბოროტება შეიძლება იყოს. სიკეთეს არ ძალუძს მეფობა.

— ბოროტების სათავე ბევრად უფრო ორგანიზებული, მტკიცე და ბრძოლისუნარიანია, ვიდრე შინაგან წესრიგს და სიმტკიცეს მოკლებული სიკეთე, მაგრამ ბოროტებას არ შეუძლია სიკეთის მოკვლა, იგი მას ჯაბნის, დევნის, მასხარად იგდებს და მაინც ვერ კლავს, რატომ? ადრე მეც გამიჭირდებოდა ამაზე პასუხის მოძებნა. იგი შენ მიკარნახე, შენმა უბადრუკმა ყოფამ დამანახა, სად არის სიკეთის ძალა. ბოროტება ხომ ყველასათვის, ყველაფრისადმი ბოროტებაა. ამ ლოგიკის მიხედვით, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, იგი საკუთარი თავისთვისაც ბოროტებაა. ბოროტება, თუნდაც გამარჯვებული, თავისი ბოროტი ბუნების გამო, იწყებს უკვე თავის თავის ჭამას, ღრღნას და საბოლოოდ შინაგანად გამოფიტული, უღონოდქმნილი, საკუთარი თავისაგან დევნილი და დამარცხებული, ადრე თუ გვიან, ნებდება მის მიერ დამარცხებულ, აბუჩად აგდებულ და ნაწამებ, მაგრამ მაინც უძლეველ სიკეთეს. ბოროტება აუცილებლად დაჯაბნიდა, დასძლევდა, მოკლავდა და დაივიწყებდა სიკეთეს, რომ... რომ **ბოროტებას თავად რომ შეეძლოს სიკეთის გარეშე არსებობა.** ამიტომ სიკეთე უკვდავია და ადამიანი არასდროს, არასდროს აქცევს მას ზურგს. რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს თქვენი ხელისუფლება, თუნდაც დადგეს ის დრო, როდესაც მთელ ქვეყანას წყვდიადი მოიცავს, დაიმახსოვრე, ბოროტება არ შეიძლება იყოს მუდმივი, სრული წყვდიადი აუცილებლად წარმოქმნის სიკეთის ერთ პატარა ნაპერწკალს და იმ ნაპერწკალთან უძლური იქნება მთელი თქვენი ძალაუფლება.

კაბინეტში ორივე პირისპირ იჯდა და ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ. დავითს იმედი ჰქონდა, რომ მცირედ შვებას მაინც ნახავდა, ახლა კი ერთბაშად მიხვდა, რომ ბევრად უფრო მარტოსული და უბედური გახდა, ვიდრე ამ შეხვედრამდე იყო.

— ასეთ რამეებს, რომ მეუბნები, არ გეშინია? მე ჯერ კიდევ ამ სავარძელში ვზივარ და კარგად ვიცი, რომ მოვისურვო, ჭიანჭველასავით გაგსრეს.

— მეშინია, — გიორგის სახე გაფითრებოდა და მძიმე სუნთქვისაგან ნესტოები ებერებოდა. — მეშინია, მაგრამ ვიღაცამ თქვენც ხომ უნდა გითხრათ სიმართლე, სრული სიმართლე, ისეთი, საკუთარი თავი რომ იცნოთ.

გამომძიებელი ელოდა, რომ რისხვა მოერეოდა, ბოღმა-ჯავრი აიტანდა და გულში კიდეც ნატრულობდა ამ სიძულვილის გაღვივებას, მაგრამ უგრძნობი იყო და მხოლოდ აუტანელი სევდის ტალღა ახლოვდებოდა ყელთან. თავში ელვასავით გაიკლაკნა მკრთალი აზრი. „ეს დასასრულია“.

ხელისუფლების მონა

ხელისუფლების მონა არის ყველა, მაგრამ უპირველეს მონად უცილოდ შეიძლება ჩაითვალოს, თვით სახელმწიფოს მმართველი. ხელისუფლების ტყვეთათვის დამახასიათებელი ვნებები, ძალაუფლების უმაღლეს საფეხურზე არაჩვეულებრივად ფართოვდება. ავადმყოფური პატივმოყვარეობა, ხელისუფლების მწვერვალზე კარგავს ფოველგვარ ხომას და საზღვრებს, ხდება უკიდეგანო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უსასრულო საკუთარი ვნებების წიაღში. ზომიერების გრძნობა, ვგონებ, ერთადერთია, რომელიც ამ მმართველს საერთოდ არა აქვს. რა თქმა უნდა, ის არის ნამდვილი ძონა საკუთარი ვნებებისა მუდამ დაუკმაყოფილებელი, თავს ღატაკად გრძნობს და არის კიდევაც უღატაკესი ადამიანი სახელმწიფოში, თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას მის შესაძლებლობებსა და სურვილებს შორის. ესოდენ ღარიბ კაცს არ ძალუძს მოიპოვოს თუნდაც ოდნავი ცხოვრებისეული სიმშვიდე, ამიტომაც იგი განიცდის საშინელ სულიერ წამებას და ეს წამება მით უფრო აუტანელია, რომ დესპოტი თავის ხვაშიადს ვერავის გაანდობს მას ხომ არ ჰყავს მეგობრები, თუნდაც მეტნაკლებად ახლობელი ადამიანი... ამრიგად, ერთადერთი კარი, რომლის წყალობითაც მისმა სულიერმა წამებამ შეიძლება გარეთ გამოჟონოს, მტკიცედ არის დაგმანული. იგი განწირულია მთელი სიცოცხლის მანძილზე იყოს **მარტოდმარტო** თავისი ნაწამები სულის ამარა და მშვენივრად უწყის, რომ ეს მარტოობა მარადიულია, ამიტომ შინაგანად ყოველთვის გაღიზიანებული, გაბორტებული და უხიაკია, თავად უბედური და საკუთარი ვნებებისაგან წონასწორობადაკარგული, უბედურს ხდის ყველა სხვას, ვინც კი მისი ძალაუფლების გავლენის ქვეშ მოექცევა, განსაკუთრებით ამ უბედურების ჩრდილი ეცემა მის ახლო მყოფ ადამიანებს.

არსებობს ტირანის უბედურების მეორე წყაროც, რომელიც პირველისაგან განსხვავებით, სათავეს იღებს გარედან, იმ ადამიანებისაგან, რომელნიც შეადგენენ სახელმწიფოს, და რომელიც არის მთელი ხალხი. ყველა მათ, ვინც შენს მიერ დამონებულია, ვინც ცხოვრობს მუდმივ შიშსა და სიღარიბეში, აქვთ მიზეზი, სძულდეთ ტირანია და იბრძოლნენ მის წინაღმდეგ, ამიტომ დესპოტური მმართველობის მთავარი მიზანია, წაართვას ხალხს სიმტკიცე, ჩაკლას მასში ღირსება, თავისუფლების სიყვარული, რამეთუ მას შეუძლია გადარჩეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერს იღონებს საკუთარი ხალხის განადგურების და გადაგვარებისათვის, მაგრამ ხალხის განადგურება მისთვის საბოლოო ჯამში უაზრობა იქნება, რადგან ამით გაანადგურებს საკუთარ ძალაუფლებას. დესპოტი ჰგავს იმ მავნებელს, რომელიც საკუთარი თავის გამოსაკვებად ღრღნის ცოცხალ ხეს. მაგრამ ამ ხის დაღუპვა, იწვევს თვით მავნებლის სიკვდილს. საბოლოო ჯამში, იგი ჭრის ტოტს, რომელზეც თვით ზის. ტირანიის ტრაგედიაც, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი არსებობის ერთადერთი წყარო არის საკუთარი თავის ჭაბა და რაც უფრო წარმატებით ასრულებს ამ საქმეს, მით უფრო აახლოებს საკუთარ აღსასრულს. **ტირანიის მთავარი მტერი არის თავად ტირანია.** მან აქცია ქვეყანა საპატიმროდ და თვითონვე არის ამ საპატიმროში უპირველესი პატიმარი. საკუთარი დაუკმაყოფილებელი ვნებებით გამწარებულს, ყოველი მხრიდან მარტოოდენ მტრებით გარემოცულს, ყველგან ელანდება შეთქმულება, სიკვდილი, ძოწამლული ხანჯალი, თუ კერძი. იგი ვერ ბედავს თავისუფლად სიარულს ციხეშეთში. ვერ აძლევს საკუთარ თავს უფლებას, ნავიდეს სადაც მოესურვება. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას თან დაჰყვება დაცვა, რომელსაც არ ენდობა. ტირანი მოკლებულია იმ უბრალო ადამიანურ სიამოვნებასაც, რომელიც ხელმისაწვდომია მისი სახელმწიფოს უბედური ხალხისათვის. იგი უფოთხის ძილს, ელის ზურგიდან ვერაგულ თავდასხმას, თავს არიდებს საკუთარი ოჯახის წევრებს.

იგი უცილოდ არის ყველაზე დაუკმაყოფილებელი, ღარიბი, შიშატანილი და უბედური ადამიანი დესპოტურ სახელმწიფოში და, როგორც ასეთი, წარმოადგენს ხელისუფლების ყველაზე **დიდ მონას.**

დესპოტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საკუთარი თავის მიმარეა არის ყველაზე დიდი დესპოტი და ტირანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო დღეებში დავითს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უძირო ნაპრალში გადაიჩეხა და ქვაბსავით მიექანებოდა თავქვე. საშინელი იყო ფსკერზე დაცემის მოლოდინი, მაგრამ... მაგრამ ფსკერი არ ჩანდა... უფსკრულს ფსკერი საერთოდ არ აქვს და დავითი განწირული იყო, მთელი სიცოცხლე გაეტარებინა მუდმივ ვარდნაში, ხოლო ირგვლივ წყვდიადი და სიცივე მეფობდა. ეს იყო უცნაური ორთაბრძოლა საკუთარ თავთან, ორთაბრძოლა საკუთარი თავის ხსნისათვის. უცნაური იმიტომ, რომ ამ ბრძოლაში არ არსებობდა არათუ იმედი გამარჯვების, არ არსებობდა თვით რწმენა იმისა, რომ მას ეს გამარჯვება სჭირდება. შიში, რომელიც გამომდინარეობდა მისი ამჟამინდელი სასოწარმკვეთი ყოფისაგან და შიში იმის გამო, რომ ეს ყოფა შეიძლებოდა როდისმე შეცვლილიყო. შიშის ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი სახე გაერთიანდა და შეერწყა ერთმანეთს მის არსებაში.

„მე ვიხრჩობი თავისუფლების გარეშე, მაგრამ ყველაზე უფრო, სწორედ ამ თავისუფლების მეშინია. რატომ შეგვქმნა ბუნებამ ჩვენ ასეთნი, მუდამჟამს დაუკმაყოფილებელნი და უბედურნი, რატომ? არ არის ახსნა, მხოლოდ უიმედობა, ბნელეთი, სიკვდილი, რისთვის?“ — რჩებოდა მხოლოდ მოლოდინი, მოლოდინი გარდუვალი აღსასრულისა. დავითს რამდენჯერმე მოეძალა ფიქრი თვითმკვლელობაზე. საოცარი ის იყო, რომ შიშის, ან შეძრწუნების მაგივრად, ამ ფიქრმა მასში იმედის ნაპერწკალი გააღვივა. — როდესაც ყველა სასუნთქი არხი გადაიკეტება ერთი, სამარქაფო, ყოველთვის დარჩება „ეს გზა ჩემია და ვერავინ წამართმევს მას. აქ მე ვარ მბრძანებელი“, — გაიფიქრა ერთგვარი თვითკმაყოფილებით, თითქოს გულში ვიღაცას ნიშნს უგებსო.

ერთხელ, საკუთარ ოთახში ჩაკეტილი, ყურადღებით ათვალიერებდა ბრაუნინგს, შემდეგ რევოლვერი დატენა ლა საფეთქელთან მიიდო და თითით სასხლეტი მოსინჯა. საკმარისია სულ მცირედი დაწოლა დ ყველაფერი გაქრება. აღარ იქნება არც ეს შიში, ლოდინი, არც სიმარტოვე... ამ ყოყმანში ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა. უკვე თენდებოდა, საათის ისრები ექვსის ნახევარს აჩვენებდა. დავითმა იარაღი შეინახა, ტელეფონის აპარატს გადასწვდა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ!

— დილა მშვიდობისა, ამხანაგო კვერნაძე, ანატოლ ილიას ძე გაწუხებთ, — მოისმა ტელეფონში რუსულად. — ხომ არ შეგიძლიათ, მცირე ხანში შინსახკომში მოხვიდეთ?

დავითმა იცოდა, რომ ამგვარი შეთავაზება ბრძანებას უდრიდა.

— მანქანა მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მყავს დაბარებული, ტრანსპორტი ჯერ არ დადის, ალბათ, შემაგვიანდება.

— მაგაზე ნუ იდარდებთ, ჩვენ უკვე გამოვგზავნეთ მანქანა და ხუთ წუთში თქვენთან იქნება. გელოდებით! — ყურმილიდან მოკლე ზუმერი მოისმა.

აი, ყველა ლოდინის დასასრულიც. გულზე კიდეც მოეშვა. ფეხზე წამოდგა და ჩაცმა დაიწყო, შემდეგ მოულოდნელად შენიშნა, რომ ჩქარობდა და გუნებაში გაეცინა.

„სად მეჩქარება, ჩემი დამღუპველები ლოდინით რომ არ დავღალო? მე ხომ ბოლო წამებს ვითვლი“, — გასაოცარი იყო, მაგრამ დავითი ნათლად გრძნობდა, რომ გული არაფერზე სწყდებოდა. ცოლს და ქალიშვილს მეორე ოთახში ეძინათ. „ერთს შევხედავ უკანასკნელად“, — გაიფიქრა მან, მაგრამ ხელი ჩაიქნია... „სულ ერთია, რომ არ დავბრუნდები, ყველაფერს მიხვდებიან“, — შემდეგ მაგიდასთან მივიდა, უჯრიდან სუფთა ქაღალდი ამოიღო, წინ დაიდო და დაფიქრებული მზერით ზედ დააშტერდა. თვალებში ნაღველი გაკრთა, კალამი ხელში აიღო და ფურცელზე დიდი, გამოკვეთილი ასოებით დაწერა: — „მომიგონებდეთ!“ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი არც არაფერი ჰქონდა სათქმელი. ნუთუ არაფერზე მწყდება გული. თუნდაც თავისუფლებაზე? თავისუფლებაზე? დავითი დაუკვირდა ამ ბოლო სიტყვას და გუნებაში გაეცინა. განა იგი თავისუფალი იყო? — ფანჯრიდან გადაიხედა, მანქანა სადარბაზოს შესასვლელთან იდგა. „უკვე დროა!“ გამომძიებელმა შინელი აიტაცა სკამიდან, მხრებზე მოისხა და აჩქარებული ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. სადარბაზოსთან კიბეზე და მაშინაც, როდესაც ქუჩაში აღმოჩნდა და დილის სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. თავს საოცრად მსუბუქად და ლაღად გრძნობდა. მანქანაში, ჩვეულებრივ, პირქუში და სიტყვაძვირი, ათას რაღაცაზე ელაპარაკებოდა მძღოლს და რამდენჯერმე მის სახეზე ღიმილიც კი გამოკრთა, რითაც მძღოლი გაკვირვებული დარჩა, შემდეგ გადაწყვიტა, ალბათ, ნასვამიაო და მეტად ამაზე აღარ უფიქრია.

მანქანა შინსახკომის ციხის ეზოში შევიდა და ზურგს უკან გუშაგმა კარიბჭე დახურა. „დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა“, — კიდევ ერთხელ ფარული კმაყოფილებით გაიფიქრა დავითმა.

ტეპლოვი ფეხზე წამოდგა და გამომძიებლისაკენ სწრაფი ნაბიჯებით გამოემართა. სახე უღიმოდა, თითქოს რაღაც უნდა მიახაროსო. მიახლოვებისას მარჯვენა გაუწოდა და ხელი მტკიცედ ჩამოართვა. — მოუთმენლად მოგელოდით, ამხანაგო კვერნაძე, დაჯექით.

დავითი დაიბნა კიდეც, ამგვარი მოულოდნელი მიღებით. მაგრამ არაფერი უთქვამს, მდუმარედ დაჯდა ინსპექტორის მიერ მითითებულ სავარძელზე.

— ჩვენ ყურადღებით, დეტალურად შევისწავლეთ თქვენი საქმე. დავკითხეთ მრავალი მოწმე და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ბრალი არაფერში გედებათ. შინსახკომი თქვენ გენდობათ, ამხანაგო კვერნაძე; მერწმუნეთ. ეს ნდობა არის სრული და თქვენ იგი დაიმსახურეთ. — ტეპლოვი ყაზბეგის კოლოფს გადასწვდა, პაპიროსი ამოიღო და განაგრძო: — ახლა გადავიდეთ საქმეზე. თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია ეჟოვის მავნებლური მოღვაწეობის ისტორია. რევოლუციამ ამ არამზადას საკადრისი მიუზღო, მაგრამ გარეწარმა მოასწრო შინსახკომის კადრების შევსება თავისი აგენტებით. დღეს ჩვენ, ამ აგენტებს, მთელი კავშირის მასშტაბით ვავლენთ და ვძირკვავთ. ჩვენ გვჭირდება ახალი ხალხი, ერთგული ხალხი. გუშინ ლავრენტი პავლეს ძეს ველაპარაკე ტელეფონით და მან თქვენი კანდიდატურა შემომთავაზა ამიერკავკასიის შინსახკომის საბოტაჟისა და შიგა კონტრრევოლუციის განყოფილების უფროსად. ფაქტიურად, თქვენ სახალხო კომისრის პირველი მოადგილე იქნებით, გილოცავთ!

ტეპლოვს არ უკითხავს, თანახმა იყო თუ არა კანდიდატი. ეს თავისთავად იგულისხმებდა და დავითმაც იცოდა, რომ თავისთავად იგულისხმებოდა. მან მხოლოდ რაღაც მადლობის მაგვარი გამოთქვა, ყრუდ.

ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე, არანაკლებ მნიშვნელოვანზე, — ინსპექტორის სახიდან თითქოს ერთი ხელის მოსმით გაქრა ღიმილის ნიღაბი და სახემ პირქუში, სერიოზული გამომეტყველება მიიღო. — მეორე, ძირითადი საკითხი, რისთვისაც აქ ჩამოვედი, არის ახალი პროცესის მომზადება. შინსახკომის რიგებში ჩატარებული წმენდის შემდეგ, შესაძლოა, მოსახლეობაში ბევრს თავს გაუვიდეს, აქაოდა, დამსჯელმა ორგანოებმა კბილები მოიმტვრიესო. ასეთი ფიქრი შეცდომაა და რესპუბლიკამ ეს უნდა იგრძნოს და იგრძნოს დაუყოვნებლივ. ჩვენი აზრით, პირველი დარტყმა ისევ კულტურულ ინტელიგენციაზე უნდა წარიმართოს. ეს ფენა მოსახლეობაში ყველაზე უფრო მოწამლულია და, ეჭვი არ არის, მის რიგებში საკმაო რაოდენობის წურბელები მოიძებნება. ამ პროცესის მომზადება და მისი ჩატარება იქნება თქვენი პირველი დავალება ახალ თანამდებობაზე. ყველაფერს თქვენ მოამზადებთ: კანდიდატების შერჩევა, სამხილების შეგროვება, გამომძიებელთა ფართო შტატი, ძიება, სასამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლო, თქვენი სრული უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის ქვეშ.

დავითი ფეხზე წამოდგა. მისი შინაგანი ელდა იზრდებოდა იმდენად საშინელი ტემპებით, რომ თავზარდაცემულს გონს მოსვლაც ვერ მოესწრო. პიროვნება, ვის ნება-სურვილზეც იყო დამოკიდებული ათასობით ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ვისაც ხელთ ეპყრა უზარმაზარი და შეუზღუდველი ძალაუფლება, საბოლოო ჯამში უსუსური იყო, შეენარჩუნებინა საკუთარი თავისუფლება და სიცოცხლე ამ მისთვის ორ, მეტად მნიშვნელოვან საკითხს, მის მაგივრად წყვეტდნენ სხვა ადამიანები. წყვეტდნენ მის გარეშე, იგი იმყოფებოდა ტყვეობაში და უძლური იყო რამე გაეწყო. მასზე არაფერი იყო დამოკიდებული, არაფერი! ხმამაღლა მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა მოახერხა.

— როდის დავიწყო?

ტეპლოვი ფეხზე ადგა და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა, — დაუყოვნებლივ. გისურვებთ წარმატებებს.

●

გამომძიებელმა გასაღები ორჯერ გადაატრიალა საკეტში და კარი საიმედოდ დაკეტა. ახლა იგი მარტო იყო საკუთარ თავთან, თუნდაც მცირე დროის მანძილზე, მაგრამ, მისი აზრით, ეს დრო საკმარისი იყო. ჯიბეში ხელის თითებმა ბრაუნინგს ტარი მოუსინჯა. „აი ჩემი თავისუფლების გარანტი", — გაიფიქრა მან და თითქოს შვებაც იგრძნო. თითქოს ნიშნს უგებდა საკუთარ თავს, საკუთარ სასოწარკვეთას. — „შენ გგონია, მუდმივად ჯიჯგნი ჩემს სულს? ვერ მოგართვეს, ახლა ჩემი ჯერია, გმოვკრავ თითს სასხლეტს და დაგტოვებ ხახამშრალს, მერე რაღას იზამ, ჩემი სიკვდილი ხომ შენი სიკვდილიც იქნება. გაქრები და თავად ხარ ამაში დამნაშავე. მე სხვა გამოსავალი არ დამრჩენია", — ტანში სიცივემ დაუარა. საშინელმა წინათგრძნობამ სხეულის ყველა ორგანო საოცრად მგრძნობიარე გახადა, ალბათ, ზურგიდან, თითის ოდნავი შეხებაც და, ძარღვებდაჭიმული საფეთქელი გასკდებოდა და ცხვირიდან სისხლი იფეთქებდა; „გადადებული საქმე, გაუკეთებელი საქმეა", — გაკრთა გონებაში ბუნდოვანი აზრი, მაგრამ დავითის მზერა უკვე მაგიდაზე დაეცა. „ამის გაკეთება ყოველთვის მოესწრება, მცირე დრო კიდევ არის". — ხელის თითები შეეშვა ბრაუნინგის ტარს, გამომძიებელი მაგიდასთან მივიდა, ორივე ხელებით მის კიდეს დაეყრდნო და ნაპირზე გადმოგდებული თევზივით ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი. მზერა კედელზე ჩამოკიდებული საათის ისრებზე გაუშტერდა. შვიდს ექვსი წუთი აკლდა, „ექვსი წუთი კიდევ დამრჩენია. ზუსტად ექვსი წუთის შემდეგ ყველაფერი უნდა დამთავრდეს. მდივანი ქალი შვიდ საათზე მოდის და კარი შიგნიდან დაკეტილი რომ დახვდება, შესაძლოა, რაღაც იფიქროს". — ამის გაფიქრებაზე თავადაც გაეცინა. — „განა რა მნიშვნელობა აქვს, რას იფიქრებს, მისი სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე ვიღაც მდივანი ქალი?" — მაგრამ მაინც გუნებაში მტკიცედ გადაწყვიტა, ექვს წუთზე მეტი აღარ დაეხანებინა; როდესაც წინ კიდევ მთელი ექვსი წუთი იყო. ამის გადაწყვეტა არც ისე ძნელი ჩანდა.

ეს უნდა მოხდეს ძალიან სწრაფად და უმტკივნეულოდ. სწორედ რომ, ტკივილი საჭირო არ არის. გამოცდილმა ჩეკისტმა კარგად უწყოდა, რომ ყველაზე სწრაფ და, ესე იგი, ნაკლებად მტანჯველ სიკვდილს, ზურგიდან კეფაში ნასროლი ტყვია იწვევს, მაგრამ საკუთარ კეფაში დამიზნება სარისკო იყო, ვაითუ, ვერ მოეზომა, ტყვია ასცდენოდა კეფას და თავის ქალა სხვა ადგილას გაეხვრიტა. დავითმა წარმოიდგინა, თუ მისი თავგახვრეტილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი სხეული, როგორ იკლაკნება სასიკვდილო კონვულსიებში და ამაოდ ფართხალებს იატაკზე დაგუბებულ სისხლის ტბაში. სხეული უძლურია საიმისოდ, რომ საშინელი შედეგი კიდევ ერთი გასროლით გამოასწოროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სხეული ცოცხალია, რომელიც ყველაფერს გრძნობს და გრძნობს, რა თქმა უნდა, ტკივილსაც. ხოლო კარი შიგნიდან დაკეტილია. სანამ მას შემოამტვრევენ, ხუთი წუთი მაინც გაივლის და ამ ხუთ წუთში ყოველი წამი მისთვის იქნება ჯოჯოხეთური წამება, თავად სიცოცხლესავით ხანგრძლივი და გაუთავებელი... „ეშმაკმა დალახვროს, რა ფიქრებია, ნუთუ მე სიკვდილის მეშინია, მე, ვისაც დასაკარგი ამქვეყნად გარდა ტკივილის და სასოწარკვეთისა, არაფერი დამრჩენია?“ არა, თავად სიკვდილის მას ნამდვილად არ ეშინოდა, პირიქით, კიდეც უნდოდა რომ ასე მომხდარიყო, ამიტომ ეს ყოყმანი მისთვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო. ადამიანს სიკვდილის ეშინია, რატომ? იმიტომ, რომ იქ წყვდიადია, მარტოობაა და განა მე ახლა წყვდიადში არა ვარ? რა შეიცვლება ჩემი თვითმკვლელობით? ჩემი ბიოლოგიური ყოფა შეუთავსდება სულიერ ყოფას და მეტი არაფერი. ჩემი შიში სიკვდილის წინაშე ისეთივე სისულელეა, როგორც მიცვალებულის შიში სიცოცხლის დაკარგვის გამო... რამდენჯერაც არ დაეკითხა დავითი საკუთარ თავს, საკუთარ სულს, ვერ ნახა ვერაფერი, რის გამოც მას ამქვეყნიდან წასვლისას, შეიძლებოდა რამეზე გული დასწყდომოდა, — ასეთი რამ არ არსებობდა.

კედელზე ჩამოკიდებულმა საათმა ექვსჯერ ჩამოჰკრა. — უკვე დროაო, — საკუთარ თავს უბრძანა, თუ ვიღაცამ ყურში ჩასჩურჩულა დაცინვით. დავითს სუნთქვა შეეკრა, ტუჩები გაუფითრდა და სახე დაუგრძელდა, სწორედ იმ წუთში მის შეგნებაში წარმოიშვა, გაერთიანდა და ერთმანეთს შეერწყო, შიშის მისთვის ესოდენ ნაცნობი და ერთმანეთის საპირისპირო ორი სახე: შიში, რომელიც მოდიოდა მისი ამ სასოწარმკვეთი ყოფისაგან და შიში იმის გამო, რომ ეს ყოფა შეიძლებოდა როდისმე გაწყვეტილიყო, შეცვლილიყო. სწორედ მაშინ, საოცარი სიცხადით იგრძნო, რომ არასდროს ეყოფოდა ძალა ამ ნაბიჯის გადასადგმელად, რომ მან ეს ძალიან კარგად იცოდა და ეს ფიქრები თვითმკვლელობაზე, გათავისუფლებაზე მარტოოდენ საკუთარი თავის მოტყუება იყო და რომ თვით ეს გამოსავალი, მისთვის გამოსავალი არ გახლდათ და არც არასდროს ყოფილა. იმ წუთში მისთვის ბოლომდე გასაგები გახდა, თუ რატომ დახია არჩილმა საკუთარი გათავისუფლების ბრძანება და რატომ დაუძაბუნდა თავად მას მარწუხებში მომწყვდეული სული, თავისუფლების ღიად დატოვებული კარის წინ. იმ თავისუფლებისა, რომელსაც ასე შენატრის და რომელშიც იგი (მან ეს ახლა შესანიშნავად იცოდა) ფეხს არასდროს შედგამს. უღონოდქმნილი მარჯვენა ძირს დაეშვა, ბრაუნინგი თითებს შორის გაცურდა და იატაკზე დაეცა.

მისაღებში ხმაური მოისმა. ეს მდივანი ქალი მოსულიყო და რაღაცას საქმიანობდა. იწყებოდა ახალი დღე. დავითმა იცოდა, რომ მას წინ კიდევ მრავალი ასეთი დღე მოელოდა, რომ იგი მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე განწირული იყო ეარსება ვით მოსიარულე გვამს, წყვდიადით, სისასტიკით და სიმარტოვით გარემოცულს და მან იცოდა, რომ ეს არასდროს, არასდროს დამთავრდებოდა.

სანთელი

გიორგი სიკვდილმისჯილთა საკანში გადაიყვანეს. თეთრი კედლების ფონზე თვალში საცემად გამოირჩეოდა შავად შეღებილი ხის ნარი, ერთადერთი ნიშანი მრავალფეროვნების, ადამიანის უკანასკნელ სამყოფელში. საკანი თითქოს უტიფრად ამბობდა: „მაინც მკვდარი ხარ და არაფერი გეჭირდება, კუბოს გარდა“.

სწორედ სიკვდილმისჯილთა საკანში იგრძნო გიორგიმ პირველად, რომ მას თავი შიანებეს. საოცრება... თვით ავადცნობილი საჭვრეტელიც კი არ იყო კარში დატანებული. მისი ცხოვრების უკანასკნელ საათებში იგი უკვე აღარავისათვის არსებობდა და, ალბათ, ეს იყო ყველაზე საშინელი. უკან დარჩა ბრძოლა, პირისპირ დგომა, უკან დარჩა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად სიცოცხლე, წამების ეკლიანი გზა დასასრულს მიუახლოვდა და მოლოდინში, მის წინ გაირინდა, დრო შეჩერდა. ალბათ, აქ, ან რომელიმე მეზობელ საკანში ელოდა ნოდარი განაჩენს. გიორგის კიდევ ერთხელ გააახსენდა მასთან გამართული მრავალსაათიანი კამათები და უეცრად საოცარი სიცხადით იგრძნო, რომ ეს კაცი აღარ იყო ცოცხლებს შორის, აღარ ატარებდა თავის ნაცრისფერ, დაჭმუჭნილ კოსტიუმს, აღარც ის სკეპტიკური ღიმილი უთამაშებდა სახეზე და სწორედ ეს იყო სიკვდილი, როდესაც უკვე აღარაფერი განმეორდებოდა.

„ძნელია ეულად სიკვდილი, მაგრამ მით უფრო, ორმაგად ძნელია ამქვეყნიდან წახვიდე ისე, რომ ვერავინ გაგიგოს, რამეთუ შენ, თვალხილულს, ბრმები ვერ გამჩნევენ და ის საქმე, რომელიც შენ იცი ჭეშმარიტია, ის მრწამსი, რომელიც შენ იცი, ერთადერთია, სხვებისთვის არაფერს ნიშნავს. რომ შენ, ადამიანი, მათ თვალში, ვისთვისაც თავს სწირავ, არათუ თანაგრძნობას, სიბრალულსაც ვერ ხედავ“.

გიორგიმ მძიმედ ამოიოხრა და თავი ჩაღუნა. გაყინული მზერა ქვის იატაკზე დაეცა და ერთ წერტილზე გაშეშდა. იქნებ ჭეშმარიტება სწორედ ისაა, რასაც უმრავლესობა აღიარებს, რაც უმრავლესობას სურს. არ შეიძლება, რომ ერთი კაცი მართალი იყოს და მთელი ხალხი ტყუოდეს და, თუ ეს ასეა, მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი შეცდომაა. ვინ არის მაშინ იგი? გმირი თუ მასხარა, საგანი ხალხის სიყვარულისა, თუ **ხალხის დაცინვის?** — ამის გაფიქრებაზე გიორგის ტანში გააჟრჟოლა. ეს ფიქრი სიკვდილზე უფრო საზარელი იყო. „არა, ღმერთო, არ შეიძლება, რომ **ეს ასე** იყოს, მაშინ სიცოცხლეც აღარ ღირს, მაშინ ცხოვრებასაც აზრი აღარა აქვს, აღარაფერს აქვს აზრი, თვთი შენს არსებობასაც კი. მაგრამ რა ძნელია, იყო თავისუფალი, როდესაც ირგვლივ, ყველგან მონობაა. ილაპარაკო სიმართლე, როდესაც ყველა ცრუობს; იყო თვალხილული, როდესაც თვალხილული აღარავინ დარჩა; ყველაფერი, რაც ნამდვილ ძვირფასი და მარადიული იყო, წარსულს ბარდება, მიდის, იღუპება და, შენს გარდა, ეს არავის გულს არ ჩხვლეტს“. „ყველა ერი იმსახურებს ისეთ მმართველს, როგორიც მას ჰყავს“, — რამდენი იხსენა გიორგიმ, მაინც ვერ გაიხსენა ვის ეკუთვნოდა ეს სიტყვები:

„ჭეშმნარიტად ყველა ერი თავად არის დამნაშავე საკუთარ უბედურებაში, თავად და, არათუ არასწორი, არამედ საზიანოც არის ამ ბრალის სხვის მხრებზე გადადება. ყველა ადამიანმა უნდა უთხრას საკუთარ თავს, რომ ის სიწამხდრე, სიღატაკე, სულის უბადრუკობა და მონობა, რომელიც ქვეყნად მეფობს **ჩემი ბრალია.** უპირველეს ყოვლისა, მან საკუთარ თავში უნდა ეძებოს დამნაშავე, აღიაროს თავისი წილი ცოდვა საერთო უბედურებაში და მხოლოდ ეს აღიარება გახდება წინამძღვრად ხსნისა. არა კომუნისტები, არა საბჭოთა ხელისუფლება, არა ლენინი, მსოფლიოს სიწამხდრეში დამნაშავე ვარ თვითონ მე, ჩვენ, ყველანი და არა ის, ან ისინი, რამეთუ ისინიც იგივე ჩვენ ვართ. ღვთისმგმობელი, ტირანი, მკვლელი და მოღალატე ყველა სახელმწიფოში ცხოვრობს, მაგრამ იქ, სადაც ერი ჯანმრთელია, ერის სული ნათელია, ასეთი ხალხი არასოდეს მოვა ხელისუფლების სათავეში. ასეთ ადამიანებს იქ ხალხი არ გაჰყვება...“ — და დახვრეტამდე ორი საათით ადრე, გიორგის სულს მოეხსნა ის მძიმე ლოდი, რომელიც მისი მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა. იგი ეზიარა **იმ ერთადერთ ჭეშმარიტებას,** რომელსაც შეეძლო ბოროტების შემუსვრა: **არც ერთ ადამიანს** არ აქვს უფლება **მოსთხოვოს მეორე ადამიანს** მონანიება. მონანიება **შენ** უნდა მოსთხოვო მხოლოდ **საკუთარ** თავს. როდესაც ადამიანი ხდება **ბრალმდებელი,** იგი უკვე **კარგავს ჭეშმარიტების სანთელს** და, **ადრე თუ გვიან, თავად** იქცევა ბოროტების **წყაროდ.** ბოროტება არასოდეს მოდის გარედან. იგი შენში ზის, შენით საზრდოობს. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გიორგისთვის გასაგები გახდა ცოტნე დადიანის გმირობის არსი. ცოტნემ კოხტასთავთან მეგობრებისთვის, საქართველოსთვის გასწირა თავი, მაგრამ მისი ყველაზე დიდი გმირობა ის იყო, რომ საკუთარ თავს უთხრა **ჩემი ბრალია, და მხოლოდ** მაშინ დამარცხდა ბოროტების უძლეველი სამეფო და ღვთის მიერ შობილი სუსტი მოკვდავი იქცა გმირად. ყველა ადამიანმა უნდა შეუნდოს სხვას, მაგრამ არასდროს, არასდროს საკუთარ თავს.

გიორგი განთიადისას გაიყვანეს. ვიწრო დერეფანში, რომელიც ციხის სარდაფში მდებარეობდა, მიწის ქვეშ ეშვებოდა ნახევრად ჩატეხილი. ჩაბნელებული კარის გავლით. — „არაფერია მუდმივი და მყარი, და ყოველივე წარმავალი, ადრე თუ გვიან, თავის ადგილზე ბრუნდება და ყოველივე იქცევა იმად, რაც იყო, — ვგონებ ბიბლიაში სხვანაირად წერია. თუმცა ახლა სულ ერთია". — და გიორგიმ იგრძნო, რომ აღარ ეშინოდა სიკვდილის. ბადრაგის ბრძანებით, იგი ნელი ნაბიჯით დაეშვა დრო-ჟამისაგან გაცრეცილ საფეხურებზე. აქ ყოველ ნაბიჯზე, მრავალი ადამიანის სიცოცხლე ესვენა. დერეფნის სიღრმეში ბნელი მატულობდა, მაგრამ ბნელი არ შეიძლება იყოს მუდმივი, თუ მის წიაღში ანთია თუნდაც ერთი პატარა სანთელი. სანთელი ყოველთვის სანთელს შობს და ისინი გადასცემენ ნათელს ერთმანეთს გვირაბის ბოლომდე. ამ შუქზე, წყვდიადით გარემოცული ერის სული საზრდოობს, თბება, არ იღუპება და იწყებს კიაფს, ხოლო ნათელი აუცილებლად მოვა, სანამ თუნდაც ერთი სანთელი ანთია, აუცილებლად. გასროლის ხმა სიკვდილმისჯილს არ გაუგია, არც ტკივილი უგრძვნია... იგი უკვე აღარ ეწერა ცოცხლებს შორის.

●

არჩილი საფლავიდან ამოვიდა. შინსახკომის შენობიდან **გამოსული, ჭაბრუ**ებული დადიოდა **ქალაქში და ხარ**ბად ისრუტავდა ქუჩის ჟრიამულს, სუფთა ჰაერს და ბუნების სურნელს. იგი თავისუფალია, რეაბილიტირებული და უმწიკვლო საკუთარი სინდისის. ქვეყნის წინაშე. ნაცნობი ქუჩები. ნაცნობი ხედები, მშობლიური სახლი, სადარბაზო. სამარიდან ამოსული კაცი. სიხარულისაგან სულწასული. საფეხურებს ახტება. ზარი. კარებში ნინო დგას. ქალი მოულოდნელი ელდისაგან კინაღამ ჩაიკეცა და არჩილმა ძლივს მოასწრო ხელის წაშველება.

— ნინო, დავბრუნდი, გამამართლეს, მე გამამართლეს, გჯერა შენ? პარტიაში აღმადგინეს, ირწმუნეს ჩემი!.. ცოლ-ქმარი დერეფანშივე მუხლებში ჩაიკეცა და პატარა ბავშვებივით ატირდნენ. ბედნიერებაში სიმწარე იყო შეპარული. პირველმა არჩილმა მოითქვა სული. ცოლს ხელი გადახვია:

— ნუ დარდობ, ახლა ხომ ერთად ვართ, — უთხრა ხმადაბლა.

— არჩილ, რომ იცოდე, რა გადავიტანე, არჩილ! — ნინო სლუკუნს ვერ იკავებდა. — ერთი ძმა არ მაკმარეს, მეორეც დაიჭირეს, ძმისწულიც, არჩილ, ყველას იჭერენ, ყველას... სადარბაზოში ძველი მეზობლებიდან ჩვენს მეტი არავინ დარჩა.

— როგორ, ბიჭიც დაიჭირეს? — ქმარს თითქოს მძიმე ურო მოხვდა თავში. — როდის?

— მას აქეთ ერთი თვე იქნება.

— შენ ეს მითხარი, ჩემი დაჭერიდან მერამდენე დღეს?

— ოცდამეორე დღეს!

— არ შეცდე, ნინო, კარგად გაიხსენე...

— რა შემაცდენს, ყოველი დღე გულში დაღად მაქვს ამოშანთული.

— ნუთუ შეიძლება, რომ... — არჩილმა წინადადება შუაზე გაწყვიტა და ცოლს ეჭვიანი მზერა ესროლა. მზერა ცივი, უცხო და შეუბრალებელი.

ნინო დამფრთხალ-დაბნეული უყურებდა ქმრის ამ ფერიცვალებას. ადამიანი კაცურ სახეს კარგავდა. თითქოს მზეცმა რაღაც იგეშაო, ნესტოები გაუფართოვდა, მძიმედ აქოშინდა, შემდეგ ცოლს მხრებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ხელები ჩაავლო და მძლავრად შეანჯღრია: — როგორც ვხედავ, შეიძლება ისიც გასარჩევი გამიხდეს, თუ რა ოჯახიდან მოვიყვანე ცოლი. რა ოჯახია ასეთი, სადაც ყოველი მეორე, ხალხის მტერია და დამპალი მავნებელი.

— არჩილ, გაგიჟდი? ამას რას ამბობ! — ნინო საკუთარ ყურებს არ უჯერებდა და დამფრთხალი, თვალს ვერ აშორებდა მეუღლეს, — ჭკუიდან ხომ არ გადავიდაო, — თავში აზრმაც გაუელვა.

— მისმინე და კარგად დაიმახსოვრე, — ხმა ცივი და ხრინწიანი იყო. — არც მე, არც შენ, არაფერი საერთო არ შეიძლება გვქონდეს დამპალ ტროცკისტების ოჯახთან. მე არ მაინტერესებს, რა მოელით ხალხის მტრებს...

— არჩილ, ამას რას ამბობ, შენ ხომ მათ იცნობ, ჩვიდმეტი წლს ბიჭმა რა დააშავა!

— ხმა, გაჩუმდი! —არჩილს თავად შეეშინდა ცოლის სიტყვების და მთელ სხეულზე სიძულვილის ალი მოედო. — თუ ვიქრობ მაინც, რას ამბობ... საბჭოთა ხელისუფლება უდანაშაულო ადამიანს არ სჯის, რახან წაიყვანეს, მაშასადამე, მტრები არიან და ამოირეცხე ისინი გულიდან. ფრთხილად იყავი, ნუ მაიძულებ ვიფიქრო, ვისი დაა ჩემი მეუღლე, თორემ კარგი დღე არ დაგადგება. დავიჯერო, შენ მათზე არაფერი იცოდი, არაფერი?.. — საშინელება ის იყო, რომ ეს სიტყვები არ იყო შიშის ან ეიფრთხილის გრძნობით ნაკარნახევი. არჩილს სწამდა, სჯეროდა ამ სიტყვების და აზრის სისწორის. იმ წუთში მას მართლაც სძულდა არა მარტო რეპრესირებული ნათესავები, არამედ საკუთარი ცოლიც, ვით დამაკავშირებელი სარღვი მასა და ხალხის მტრებს შორის. იმ წუთში იგი მათ მართლაც არ დაინდობდა და საკუთარ თავში გაღვიძებულმა მხეცმა თავად დააფრთხო.

კედელთან ჩაჩოქილი ცოლი ხმის ამოღებას უფრთხოდა და ჩუმად ტიროდა. ბოლო თვეების მანძილზე იგი მიეჩვია საყვედურებს, ირგვლივმყოფთა უნდო, ეჭვიან მზერას და უსამართლო ცილისწამებებს, რომელზეც პასუხს ვერ გასცემ. შეურიგდა იმ აზრს, რომ ბრალეული იყო და ამიტომ ქმრის მიმართ წყენა არც უგრძვნია, მხოლოდ საკუთარ უიღბლობაზე უკვდებოდა გული.

უკვე გვიანი ღამე იყო, როდესაც არჩილი თეთრზეწარგადაფენილ რბილ ლოგინში ჩაწვა. ხის ნარებზე ორთვიანი წოლისაგან დაბეჟილი გვერდები, მსუბუქად ჩაესვენა ლეიბში და მას ნელ-ნელა დაუბრუნდა უკვე თითქმის მივიწყებული შეგრძნება ადამიანური ყოფისა. ოჯახის მყუდროებასთან განცდილი სითბო და სიამოვნება. გვერდიდან ნინოს მონატრებული სხეული ეკვროდა მამაკაცს, დამნაშავე ბაშვივით. არჩილმა ქალს ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. პერანგის თხელ, გამჭირვალე ქსოვილში გარკვევით მოჩანდა ამობურცული მუცელი.

— მალე ჩვენს ოჯახს ახალი, პატარა წევრი შემოემატება, — თბილი, მზრუნველი ხმით თქვა ქალმა. — შენ ვინ გინდა რომ იყოს? — რა თქმა უნდა, ბიჭი, აუცილებლად ბიჭი. გვარის გამგრძელებელი. მე მას დავარქმევ, დავარქმევ... — არჩილი წამით ჩაფიქრდა. ალბათ, თავადაც ვერ იტყოდა, გრძნობის რომელი სიმი შეირხა მის სულში; გონებაში ჭაბუკი თანამოსაკნის გატანჯულმა, მაგრამ კეთილმა სახემ გაიელვა. ეს კეთილი ადამიანი დღეს ცოცხლებში აღარ იყო.

— ნინო ჩვენ მას გიორგის დავარქმევთ. ერთი ძალიან კარგი ადამიანის მოსაგონებლად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ნაცვლიშვილი

●

წუთები მირბის, მოწყენილი ვარ.
ცხოვრება ზოგჯერ რა დამღლელია —
ახლა სიზმრები რა შორს არიან
და ყველაფერი რა უცვლელია.

და ჩემი ჩონჩხი ქუჩაში მიდის,
ქუჩაში მიდის — როდემდე ივლის,
მგონი ცხოვრება უკვე მომბეზრდა...
გრანელი არ ვარ და ვნატრობ საკვდილს

●

ღამეა.
შენს თვალებში ქრება შუქები.
დაფარფატებენ ჩვენებათა აბლაბუდები
და ყველაფერი ირგვლივ მუქდება.
სივრცე ჩუმდება.

წამი, რომელიც არასოდეს არ
დაბრუნდება!
ტვინის გარშემო ფრინავს ცდუნება
მარადიულ სიბნელედ ქცევის.

●

დრო დაიღალა.
სადღაც მიეგდო და ჩაეძინა.
მე დავპატიჟე მაშინ სტუმრები
და გაგიჟებით ვზეიმობდით

ამ დღესასწაულს.
მერე კი დიდხანს
დავეძებდით გადაკარგულ დროს,
რომელიც ალბათ უკან წავიდა...

პეიზაჟი

გაიყინა მოლანდება ღამეული —
მთვარის შუქი ცივ სივრცეში ჩაქცეული.
სარკეული ყინულების ბზინვარება,

ვარსკვლავები ერთმანეთში არეული.
ღამეული მოლანდება წამეული —
ციგურებით სრიალებდა მთვარეული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლანა შიუკაშვილი

●

მახსოვს, დამპირდი წიგნი,
მირზას ტრფიალი რომ ყარ.
დარდს ვერ გავუძლებ ტიალს
და შენს ფანჯრებთან მოვალ.

რა დაგაძინებს შენაც,
სარკმელს ანათებს შუქი...
ვერ დაგიძახებ, ვერა,
თავზე დამადგა მწუხრი...

შემოგიჩნდები ისე
საშველს არ მოგცემ, არა,
არ მომწყინდება დევნა,
გეტყვი, გაბუტვა კმარა...

ჩაგისაფრდები გზაზე,
ეჭვს გაგიფანტავ წყეულს.
ისე მე, თორემ დარდი,
მთლად დაგიმონებს ეულს;

თავს ჩამოგიდებ მკერდზე,
თვალში ჩაგხედავ ჩუმად,
ისევ მე, თორემ სანამ,
როდემდე ვიყოთ უბრად?!

ცხელით აგავსებ კოცნით,
არსად გაგიშვებ, არა,
სულში ჩაგისვამ მსწრაფლ
და ჩემთან გამყოფებ მარად!!!

●

ჩემს დარდს რომ შეეძლოს წვიმად გადაქცევა
თქეშად დაუვლიდა ქუჩებს...
შმაგი სიყვარული — ლამაზად სიცოცხლე, —
შენგან ნასწავლი მაქვს უკვე!

წვიმისებრ წკრიალა სულს გიძღვნი საჩუქრად,
ხელს ნუ კრავ, ბრალს იდებ დიადს,
განკითხვის დღე მიდგას, თუ ღმერთი დამცინის,
ჩვენ რომ შეგვახვედრა გვიან?!

ათასი მადლობა ტრფობა რომ მასწავლე,
მისთვის რაც გაიღე მსხვერპლად.
გრძნობ, თავზე გევლება სულ ჩემი ფიქრები,
ძლიერ გთხოვ — მამყოფე შენთან?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმა ყოველთვის მიწყობს ხასიათს!

აბუზულ ხეებს ძველებურად შესციებიათ,
დღეს შენი ნახვა როგორც ადრე ძლიერ მწადია...
ცრემლიან ქუჩებს ფეხშიშველი, მწუხრად დავიარ...
როგორც ყოველთვის წვიმა დღესაც მიწყობს ხასიათს.

ამ კოკისპირულ მონატრებას თუ გადავიტან
მომეჩვენება აჩრდილები შენი დადიან,
გამოგიდგები. გრძნობა ჩემი სანამ გამიტანს,
თავზედ მაცრის და წვიმაც ისევ მიწყობს ხასიათს!

თუ ვერ გიპოვი დაქანცულს და ტკივილით დაღლილს
მტკვარის მიკითხვა მჭირებია კარგა ხანია,
წვიმის წვეთები სულის წრეტას თუ თან დაერთოო...
ტალღებს თავს მივცემ, წვიმასაც ხომ ესე სწადია...

●

ისე მოიღრუბლა ცა, მალე გადმომაფრქვევს
კურცხალს,
შენი იმედიღა მაქვს... მისთვის გამოგყვები უკან,
ცრემლი შეუშრობლად მდის, ვამბობ აღსარებას
ჩუმად...
რაკი მოგონებად ღირს, უნდა მაპატიო, უნდა!

ისე გაიელვა ეხლა, შენს რისხვას რად ჰგავდა
აგრე?!
გიგზავნი ჩემს მძევლად ქარს, ის მოგეფერება ადრე.

რაკი დამაყენე გზას, სული მიწილადე — ვენი,
ფიქრი მომახვიე თავს, უბრად უნდა ვიყო შენი!
ისევ ავენთები გრძნობით, ყოველს მოვუყვიბი ჩემით,
როგორ მიყვარხარ და კიდევ...
როგორ მოლოდინით გელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო კირთაძე

●

როგორც ნახირი შინისაკენ
მოიწევს ბინდი,
შინდის ტყის ბილიკს
მოუყვება სვენებ-სვენებით.
და შეთვალული მტევნებივით
ვარსკვლავედები
ღვინობის წყვდიადს
ტოტზე მძიმედ ეკიდებიან.

გთვალულ მთვარეს
შეჰყეფს ღამე, როგორც ნაგაზი
პატრონის ღობეს ჩამოყრდნობილ
პირმღიმარ სტუმარს.
ზეცა
ორკეცი მანდილივით სოფელს ახურავს.
დღე იწურება საწნახელში,
როგორც ყურძენი.

●

ცა — მსხმოიარე ვარსკლავებით
მწიფობის თვეში.
ცდომილთა თქეში
ვარსკვლავეთში
ვერცხლის საყურე.

შარას გაჰყურებს საუკუნე...
უსიერ ტევრში
ჟამის ვაშლებთან მოთამაშე
კრთება უკუნი.

პეიზაჟი

სოფლის ორღობეს საღერღელი აშლია,
სათქმელს
აღარ აცლიან გულნამცეცა ცოლები
ერთურთს,
მალულად მათი მოთვალთვალე
პირმრგვალი მთვარე
მთვრალი ქმარივით
ერდო-ერდო დაეხეტება.
ჭუჭრუტანიდან იხედება

ვარსკვლავი — ბავშვი.
ჟამის კალთაში
თავშექცევით თვლემენ ჩრდილები.
დრო
მოწყენილი მოხუცივით ზის აივანზე.
წლები
გადიან წინკარიდან,
როგორც
შვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ალუბლისფერი გასიზმრების ჩუმი
ლოდინი.
მოვიდა ღამე,
ნასექტემბრალ თმას ეამბორა.
ქუჩაში ქარი დაობლებულ სანთლებს
აქრობდა
და უსასრულოდ ახლო იყო
წითელი შხამი.
გათეთრდა მიწა.
მონანიეს მოსწყურდა ღმერთი.
ჩუმად ტიროდა როიალი უიღბლო
აპრილს.
ყვითელი ქარი
თეთრ ქუჩებში ყვავილებს დაყრის
და სასაფლაოს
ემსგავსება
მკრთალი ქალაქი

●

შენს გარდა ვინ მყავს...
ნაწნავით მიაქვს
თიბათვის წვიმას მკრთალი ფოთლები.
ჟამი ირწევა
და გელოდები.
მე ხომ შენსავით არავინ მიყვარს.
სადაც შენ მიხვალ
თან წამოგყვები.
გრილი ლოყებით მეხება დილა.
მტრედისფერ ბინდში დრო გაირინდა.
მოავარაყა ფითრმა ტოტები.
შენ გელოდები.
რა შემიძლია
ამქვეყნად შენი ლოდინის მეტი.
მზე იდაყვებზე წამოიწია
და მოაპნია ფერდობზე ფეტვი.

●

როცა მზე ჩავა
და თითქოს ლავაშს
დააკრავს ქალაქს მთვარეს წყვდიადი,
როცა ხერხემალს ჟამი მორკალავს
და მიწა ქალას გააქიაქებს,
როდესაც გუგას მუქად დალუქავს
ვინმე ერთგულის მზრუნველი ხელი
და გულზე ლოდი, ვითარცა მცველი
მუდამ ფხიზელი მოიკალათებს,
და წელიწადებს, როგორც კალათებს
მიხაკით სავსეს სამარის პირას
მტვერი დაფიფქავს
და გაავაკებს
სასრული სულის უვადო ალმართს,
როდესაც ორმო იქცევა სახლად
და კარს ქვა-ღორღი გაახმაურებს,
— ნუ დამახურებ ამ მძიმე კალთას,
ან შენკენ მაინც შემომაბრუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიოზ იმედაშვილი

ვეფხისტყაოსნისა და ქართული კულტურის საკითხები

1969 წლის ჟურნალ „ცისკრის" აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ა. ბარამიძის სტატია „ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი ხერიოზული შეცდომებით". წერილი ეხებოდა გაიოზ იმედაშვილის რუსთველოლოგიურ გამოკვლევას „ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა".

1972 წელს ამავე ჟურნალში აიწყო და იბეჭდებოდა გ. იმედაშვილის საპასუხო წერილი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო არ დაისტამბა.

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა და წერილს გამოქვეყნება არ ღირსებია.

ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია, რა თქმა უნდა, ღრმა პატივს სცემს როგორც ერთი, ისე მეორე მეცნიერის დიდ დამსახურებას ქართველი ერის წინაშე და საჭიროდ მიიჩნევს მკითხველს მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს ორივე ღვაწლმოსილი მეცნიერის განსხვავებულ აზრს.

„Audiatur et Altera pars"

უკანასკნელი ათეული წლების გაცხოველებულმა მუშაობამ ვეფხისტყაოსნისა და ქართული კულტურის საკითხების კომპლექსური შესწავლით საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ეროვნული ეპოსის გაგებაში. რუსთველოლოგიური ლიტერატურა იავსება მონოგრაფიული გამოკვლევებით ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის, რუსთაველის ხიტყვისა და სახის, მისი მსოფლმხედველობის ახალი ასპექტებით შესწავლაში. რუსთაველის დიდება მთელ ქართულ კულტურას მსოფლიო აღიარებისაკენ უკვალავს გზას, მაგრამ რუსთაველის ეპოქის სულიერი და მატერიალური კულტურის შესასწავლად ჯერ კიდევ ბევრია საკვლევი ვეფხისტყაოსნის მხატვრობისა და იდეოლოგიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ძირების გამოსავლენად, რათა დიდი პოეტური ძეგლი მისი მნიშვნელობისა და ღირსების შესაფერისად იყოს დაფასებული, როგორც ქართული, ასევე მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით.

ამიტომ, თუ რუსთაველის ქართული ძირებით ახსნის შესწავლაში ყოველი ახალი ცდა ოდნავ მაინც საიმედოა და სიხარულით მისაღები, პირუთვნელ მკითხველს შეაცბუნებდა ჟურნ. „ცისკრის" 1969 წლის აპრილის ნომერში მოთავსებული ერთი სარეცენზიო სტატიის წინასწარვე დამაეჭვებელი სათაური: „ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი სერიოზული შეცდომებით" (გვ. 110-122).

რეცენზიის პირდაპირი საგანია გაიოზ იმედაშვილის წიგნი: „ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა" (1968, 432 გვ.), არსებითად კი განხილულია არა მართლაც გამოკვლევაში აღძრული ქართული კულტურის, ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის, რუსთაველის მსოფლმხედველობისა და პოეტური ხელოვნების ძირითადი საკითხები, არამედ უმთავრესად თვით რეცენზენტის მიერ შეთხზული „მძიმე შეცდომები", რომელნიც თითქოსდა არსებობენ სარეცენზიო წიგნში. რეცენზენტი მადანაშაულებს წიგნში არარსებულ გაუგებრობებში, შეცდომებში, მიმართავს ცილისწამება-შეურაცხყოფის დაურიდებელ საშუალებებს, ოდიოზურ ეპითეტებსა და კვალიფიკაციებს და ცალმხრივ დასკვნებს. ამ მიზნით, ყოველი მოსაზრება, რომელსაც რეცენზენტი სადავოდ ხდის, გადმოცემულია განზრახ დამახინჯებული, თავბოლონაკლული და ნებისმიერად დაშლილი და რეკონსტრუირებული ციტატებით. რეცენზენტი თავზე მახვევს ისეთ აზრებსა და გადაწყვეტებს, რომელნიც მე არ მეკუთვნის და მადანაშაულებს მის მიერვე შეთხზულ გაუგებრობებსა და შეცდომებში. ამდენად, რეცენზია ყურადღებას იპყრობს არა გამოკვლევაში აღძრული საკითხების დასმა-გადაწყვეტის საქმიანი და ობიექტური შეფასებით, არამედ ირიბად გამიზნული შენიშვნებითა და დასკვნებით. ყოველივე ეს აშკარას ხდის, რომ რეცენზია საგანგებოდაა დაწერილი გამოკვლევის დასამცირებლად, გასაუფასურებლად და შესაჩვენებლად. რეცენზენტი მხოლოდ ისეთ საკითხებზე მსჯელობს, რომელნიც რაიმე კუთხით უფრო მოსახერხებელს ხდიან მასალის ფალსიფიცირებასა და ნაშრომზე უარყოფითი დასკვნების გამოტანას.

ერთგვარი ობიექტურობის მოსაჩვენებლად რეცენზიის შესავალში გაკვრით არის აღნიშნული, რომ „გ. იმედაშვილს ერთი მთლიანი, უთუოდ საინტერესო და არსებითს ნაწილში დამარწმუნებელი ნარკვევი შეუქმნია". „იმედაშვილი გვთავაზობს ბევრ საინტერესო ცალკეულ დაკვირვებასა თუ შენიშვნას", „გ. იმედაშვილი გამოცდილი მკვლევარია, რუსთველოლოგიის ისტორიკოსი", რომ „ყოველივე ეს საგრძნობია სარეცენზიო მონოგრაფიიდან" (გვ. 110). თუ ეს ასეა, მაშ, როგორ გავიგოთ რეცენზენტის დაჟინებული ცდა, რომ წიგნის ირგვლივ უთუოდ ოდიოზური შთაბეჭდილება შექმნას, ამტკიცოს მისი ავტორის უვიცობა, სხვისი აზრების მითვისება, საბჭოური მეცნიერების იგნორირება, რისთვისაც უანგარიშოდ იყენებს დისკრიმინაციული სიტყვებისა და გამოთქმების ულევ მარაგს, რაც კი შეიძლება ენას გააჩნდეს: მცდარია, ბუნდოვანია, მძიმეა, უსრულოა, მშრალია, დაბნელებულია, გამრუდებულია, დამახინჯებულია, დაუდეგარია, ცალმხრივია, ტენდენციურია, დეკლარატიულია, ნებისმიერია, შეუწყნარებელია, მიუღებელია; აჭარბებს, უკიჟინებს, ივიწყებს, ჩქმალავს, თავს ესხმის, ბრალს სდებს, ვერ ზომავს, ნაკლებ იკვლევს, ვერ გრძნობს, ვერ გვიხსნის, შეგნებულად ამცირებს, ტყუილად ფიქრობს, წყაროებს არ ასახელებს, არ იხსენიებს, სხვისას იმეორებს, ანგარიშს არ უწევს; არ ეპატიება, უმართებულოდ ხმარობს ტერმინებს, ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ცნებებს, ადვილად წყვეტს რთულ საკითხებს, ახასიათებს ანაქრონიზმი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგობა, ცილისწამება, უეიცობა. სერიოზული ნაკლოვანებანი, ფაქტობრივი შეცდომები, ლიტონი, უსაბუთო განცხადებანი, ნებისმიერი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული განმარტებანი, ენის თვალსაზრისით ყოვლად შეუწყნარებელი გამოთქმები, პარადოქსალური, არსებითად მცდარი, დაუსაბუთებელი მოსაზრებანი...

რეცენზენტის არაერთი შენიშვნით, მონოგრაფიის ავტორი ნაკლებ იკვლევს და უფრო დეკლარაციებით კმაყოფილდება, მეთოდოლოგიური ხასიათის მძიმე შეცდომებს უშვებს, ზედაპირული, უცნაური დასკვნები გამოაქვს, წინააღმდეგობათა ხლართებში ებმება, ქიმერიულ კონცეფციებს ედევნება, ზოგადად მსჯელობს, ემჩნევა ძველ შებედულებათა გამოძახილი, პარადოქსალურ, თეორიულ აღმოჩენებს აკეთებს. ალ. ბარამიძე არ იზიარებს ჩემს მოსაზრებას, რომ ქართველი ერი რუსთაველის ეპოქაში შესამჩნევადაა დაწინაურებული, რომ რენესანსი უპირატესად ქრისტიანული ქვეყნების მოვლენაა და ქართული რენესანსის ფაქტორები განსხვავებული იყო ევროპულისაგან; რომ ქართველი ერი და ქართული კულტურა აზიის სფეროს არ ეკუთვნის და საქართველოს ისტორიული განვითარება განსხვავდებოდა დასავლური განვითარების სქემისაგან, რეცენზენტი არ მეთანხმება ქართული ფეოდალიზმისა და ქრისტიანობის თავისებური ფორმაციის დასაბუთებაში, მას მეცნიერულად არაზუსტ ცნებებად მიაჩნია ქართული სული, ქართული იდეოლოგია და განმტკიცებული შეხედულება, რომ ქართველები უფრო მიწათმოქმედებისა და რაინდული ბუნების ხალხი იყო და საქართველოში ვერ შეიქმნა ვაჭრობის ქართული მეურნეობა და ვაჭრის ტიპი, ბრალად მდებს ქრისტიანობის გაიდეალებას და მაჰმადიანობის ლანძღვას, ცილს მწამებს, თითქოს ნიჰილიზმს ვიჩენ აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობის, კერძოდ, დავით გურამიშვილის შეფასებაში, მიკიჟინებს, აგრეთვე, საბჭოური რუსთველოლოგიური მეცნიერების მიღწევათა იგნორირებას. იგი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ თითქოს არ ვაფასებ აკად. მარის რუსთველოლოგიურ ღვაწლს, ვამცირებ ევროპული რაინდული რომანის ჟანრს, ვაზვიადებ საქართველოს კულტურულ დაწინაურებას რუსთაველის ეპოქაში, ევროპის ხალხები კი ბარბაროსებად გამომყავს.

რეცენზენტი საგანგებო შენიშვნით მაფრთხილებს, რომ ვბედავ ქართველი ერის ეროვნული განსაკუთრებულობის უპირატესობის გრძნობაზე მსჯელობას, მაფრთხილებს იმაზედაც, თითქოს შუასაუკუნეთა საზოგადოებაში კლასებს ვერა ვხედავ და რომ პატრონყმური საზოგადოების წევრები ერთმანეთის მტრებად არ იქცეოდნენ. განსაკუთრებულ დანაშაულად მითვლის საზღვარგარეთელ თანამემამულე მეცნიერთა მოხსენიებას, ცდილობს, მკითხველს მოაჩვენოს, თითქოს რუსთაველს რაღაცას ვაბრალებდე და ამ მრავალი სახის ბრალდებას იმასაც უმატებს, რომ ჩემს გამოკვლევას იდეური სიღრმე და სიწმინდე აკლია.

ყოველივე ამასთან ერთად რეცენზენტი აღნიშნავს, რომ მონოგრაფია მძიმე სტილით არის დაწერილი. მაგრამ ყველა ეს შენიშვნა სწორიც რომ იყოს, ეს მაინც არ უნდა იძლეოდეს საფუძველს შემდეგი მოულოდნელი, არაფრიდან გამომდინარე და ლიტერატურულად გაუგებარი დასკვნის გამოტანისათვის: „სამწუხაროა, რომ ასეთი წიგნის ავტორი ჩვენი მეცნიერული ოჯახის წევრია, რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი“. ამ ორჭოფულად გამიზნულ განცხადებას რა კავშირი აქვს სამეცნიერო ინტერესებთან და პრობლემებთან? რატომ ასე უცბად დაივიწყა რეცენზენტმა მის მიერვე ცოტა ზემოთ ნათქვამი, გ. იმედაშვილი გამოცდილი მკვლევარია, რუსთველოლოგიის ისტორიკოსი, რომელიც გვთავაზობს მთლიან, უთუოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო და არსებით ნაწილში დამარწმუნებელ ნარკვევსო...

სამწუხაროა, რომ ამ გაბოროტებული რეცენზიის ავტორია აკად. ალ. ბარამიძე, რომელთანაც წიგნის ავტორს ერთ დარგსა და ერთ ინსტიტუტში ორმოც წელზე მეტი ხნის ერთად მუშაობის ხანგრძლივობა აკავშირებს, ამჟამად კი ერთი ინსტიტუტის დირექტორია, მეორე მისი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. ამიტომ ასევე სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ იძულებული ვარ, მას ვუპასუხო, როგორც ჩემი წიგნის რეცენზენტს, ჩემ მოსაზრებათა ირგვლივ ჭეშმარიტი სურათის აღსადგენად, რამდენადაც ეს აშკარად ტენდენციური რეცენზია შეიცავს ისეთ კვალიფიკაციებსა და ბრალდებებს, რომელნიც თავისი ცალმხრივობითა და წინააღმდეგობებით გამოკვლევაში აღძრულ საკითხებთან ერთად აყალბებენ ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, განსაკუთრებით კი ვეფხისტყაოსნის ეროვნული და ესთეტიკური შემეცნების პრობლემებს, რის გამო დავასაც აღარა აქვს მხოლოდ ვიწრო ლიტერატურული ან მხოლოდ პიროვნული მნიშვნელობა და მათი უპასუხოდ დატოვება შესაძლოა დასანანი გაუგებრობის წყაროდ იქცეს.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ პატივცემულმა აკად. ალ. ბარამიძემ სარეცენზიო გამოკვლევა ასეთი დაუნდობელი გაკიცხვისათვის, როგორც ჩანს, იმიტომ გაიმეტა, რომ პატარად მოეჩვენა ვეფხისტყაოსნის მკვლევართა შორის მისთვის განკუთვნილი ადგილი, იმიტომ ხომ არა, რომ ნ. მარი დასახელებულია 15-ჯერ, კ. კეკელიძე 13-ჯერ, ივ. ჯავახიშვილი 9-ჯერ, იუსტ. აბულაძე 9-ჯერ, შ. ნუცუბიძე 9-ჯერ, ილია ჭავჭავაძე 8-ჯერ, პ. ინგოროყვა 7-ჯერ, ვუკ. ბერიძე 6-ჯერ, ალ. ბარამიძე 5-ჯერ. ეს იმით აიხსნება, რომ, ჩემ გამოკვლევაში აღძრული საკითხების თვალსაზრისით, აქ ნახსენებ მკვლევარებს უფრო მეტი ორიგინალური შეხედულებანი მოეპოვებათ. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ გამოკვლევის მიენიჭა გადამწყვეტი და საბედისწერო როლი ჩემი წიგნისადმი რეცენზენტის უარყოფითი შეხედულების ჩამოყალიბებაში, რასაც შენიშვნების აგებულება და ხასიათი თავისთავადაც ამჟღავნებს. რეცენზიაში მეტი ადგილი ფაქტიურად იმის მტკიცებას ეთმობა, რომ გამოკვლევა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, რაკი აღძრული საკითხების განხილვას უთუოდ ალ. ბარამიძის სახელს არ ვუკავშირებ. რატომ ხშირად არა ვარ დასახელებულიო — მხოლოდ ამის საფუძველზე აგებს რეცენზენტი მთავარ ბრალდებასაც — თითქოს „სარეცენზიო წიგნში ნამდვილად საგრძნობია საბჭოური რუსთველოლოგიური მეცნიერების მიღწევათა იგნორაცია“, (გვ. 112), რომ იმედაშვილს „ორიენტაცია აუღია საზღვარგარეთელ მოღვაწეებზე, გაზვიადებულად წარმოუჩენია მათი როლი რუსთველოლოგიის ისტორიაში, მაშინ, როდესაც აშკარა გულმავიწყობასა და უყურადღებობას იჩენს „შინაური მკვლევარების მიმართ“ (გვ. 111).

ჩემ გამოკვლევაში თვალსაჩინოდ დასახელებულ თუ ციტირებულ 200 ავტორს შორის, რომელნიც საერთო ანგარიშით 500-ჯერ მყავს მოხსენიებული, მხოლოდ 4 მკვლევარია „საზღვარგარეთელი“ ქართველი, რომელთაც მოეპოვებათ ანგარიშგასაწევი სპეციალური ნაშრომები ვეფხისტყაოსანზე, მათგან მ. წერეთელი 8-ჯერ არის დასახელებული, ვ. ნოზაძე — 6-ჯერ, ნ. ჟორდანია — 8-ჯერ, ზ. ავალიშვილი — 14-ჯერ, სხვები კი ერთი-ორჯერ გაკვრით.

ეს არის ორიენტაციის აღება საზღვარგარეთელ ქართველებზე? რომელი შინაური მკვლევარის მიმართ ვიჩენ უყურადღებობას? მაინც რაში გამოიხატება საზღვარგარეთელ თანამემამულე მკვლევართა უსაფუძვლო გაზვიადება, შინაურთადმი კი გულმავიწყობა და უყურადღებობა, — ამაზე რეცენზენტი აშკარად და კონკრეტულად არაფერს ამბობს და ყალბი მორცხვობით იგნორირებულთა შორის თავის პიროვნებას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასახელებს, საერთოდაც, პირდაპირ არ აცხადებს, რომ პრეტენზია აქვს რუსთველოლოგიის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში საბოლოო სიტყვას მხოლოდ მისი მოსაზრებანი წარმოადგენდნენ. რეცენზენტი უფრო მოხერხებულად თვლის ამაზე ფარულად მიგვანიშნოს, ცხადია, იმის სრული იმედით, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში მკითხველი მიხვდება, „იგნორირებული საბჭოური რუსთველოლოგიური მიღწევების“ ავტორი მხოლოდ ალ. ბარამიძეა, რამდენადაც ფაქტიურად მხოლოდ საკუთარ შრომებზე მსჯელობს. ამას დასაწყისშივე, ვრცელი შენიშვნიდან ვიგებთ: „გ. იმედაშვილი, მაგალითად, ერთხელაც არ ასახელებს ისეთ მონოგრაფიას, რომლის შესახებ თვითონ წერდა (გვ. 111) და მოჰყავს დადებითი ხასიათის ვრცელი ამონაწერი ჩემი სარეცენზიო წერილიდან Новая монография о Руставели, (газ. «Заря Востока», 1959, 4. 11). მის მიერ 1958 წელს გამოცემულ წიგნზე „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, რომელსაც ამჯერად მართლაც მოვერიდე, როგორც პოპულარული, სახელმძღვანელო ხასიათის ნარკვევს, რომელიც ნაკლებად ეხება ჩემ გამოკვლევაში აღძრულ საკითხებს, რის გამოც უფრო მართებულად მივიჩნიე ალ. ბარამიძის მოსაზრებათა გათვალისწინება მათი პირველადი პუბლიკაციების მიხედვით (გვ. 33, 34, 56, 268, 313), მაგრამ როგორ შემეძლო ახლაც გამემეორებინა დიდი ხნის წინათ დაბეჭდილი ჩემი რეცენზიიდან ალ. ბარამიძის წიგნის ის დადებითი შეფასება, რომელმაც მაშინაც ჩემდა უნებურად ცალმხრივად გამოხატა ჩემი ნამდვილი შეხედულება მის შრომაზე. სამწუხაროდ „ზარია ვოსტოკის“ რედაქციამ მთელი სარდაფისათვის გამზადებული რეცენზია ჩემთან შეთანხმების გარეშე ერთ მესამედამდე შეამცირა და ისე გადააკეთა, რომ ძნელი იყო მეცნო ჩემი ნაშრომი. რეცენზიაში დატოვებული იყო მხოლოდ ის ნაწილი, სადაც წიგნი დადებითად იყო შეფასებული, არსებულ ხარვეზებზე საქმიანი შენიშვნები კი მთლიანად ამოღებულ, რამაც მიმახვედრა, რომ ალ. ბარამიძეს შეეძლო მხოლოდ ქების მოსმენა, მაგრამ არა ობიექტური შენიშვნებისა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ აკად. ალ. ბარამიძეს უკანასკნელ ხანამდე არა სწამდა ვეფხისტყაოსნის ეროვნული სინამდვილე და დაჟინებით იცავდა ამბის სპარსული წარმოშობის ვერსიას, რის შესახებაც მე ადრეც მაქვს შენიშნული (რუსთველოლოგია, 1941, გვ. 144-148). ჩემი გამოკვლევა კი რუსთაველს ხსნის ქართულ ისტორიასა და კულტურაზე დაყრდნობით, ე. ი. ჩვენ ვიდექით ეროვნული ეპოსის გაგების საწინააღმდეგო თვალსაზრისებზე, რის გამოც ჩემთვის საჭირო არ იყო ისეთი ნაშრომების გათვალისწინება, რომელშიაც ქართული სინამდვილის იქით ეძებდნენ ვეფხისტყაოსნის ძირებს.

ალ. ბარამიძის 1958 წელს გამოცემული წიგნის გამო სტატიის ბოლოშიც ვიღებ რეცენზენტის საყვედურს — ვეფხისტყაოსნის 710 სტროფში „მარგალიტის“ მართებულ გაგებასთან დაკავშირებით რატომ დავიმოწმე 1954 წელს ბუენოს აირესში გამოქვეყნებული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ და არა ალ. ბარამიძის წიგნი, „რომელშიაც, აგრეთვე სწორი პოზიციებიდანაა განხილული იგივე საკითხები“ (გვ. 121). მაგრამ 1954 წლის გამოცემა 1958-ს ოთხი წლით რომ უსწრებს, რაც თავისთავადაც გვიჩვენებს თუ მათ შორის რომელს ეკუთვნის პრიორიტეტი, ეს პატივცემულ რეცენზენტს, ჩანს, არაფრად მიაჩნია; სამაგიეროდ, თავის ნაშრომს მეცნიერულ ღირსებად იმასაც უთვლის, თბილისშია დაბეჭდილი, ხელმისაწვდომია, ადგილობრივიაო...

რა გეოგრაფიულ საზღვრებს აწესებს რეცენზენტი რუსთაველის შესწავლაში? რატომ ჰყოფს რუსთველოლოგიას აქაურ და იქაურ მეცნიერებად? განა მეცნიერული აზრისათვის არსებობს რაიმე ბლოკადის პირობები, შეზღუდვები თუ ზოგისთვის პრივილეგიები ბეჭდვაში, აზრის გამოთქმაში, იმის მიხედვით თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ რომელ მატერიკზე ცხოვრობს ან რა თანამდებობა უჭირავს? ინ იმის მიხედვით თუ ვინ ცოცხალია და ვინ გარდაცვლილი? რეცენზენტის უნდო დამოკიდებულება საზღვარგარეთ მომუშავე ქართველ მეცნიერთადმი ჟამგადასული გადმონაშთია იმ შეეჭვებული თვალსაზრისისა, რომელიც ჩვენში ოცდაათი წლის წინათ მძვინვარებდა თავისი სასტიკი შედეგებით და უსაფუძვლოდ ძაბავდა საზოგადოებრივ განწყობილებას. მსგავსი უნდობლობის ატმოსფეროს აღდგენა ჩვენ დროში მხოლოდ არასასიამოვნო მოგონებებს იწვევს. ამჟამად შიშისა და ეჭვის ეს განწყობილება მოხსნილია ჩვენი სინამდვილის ახალი პირობებით და დიდი ხანიც გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ თანამემამულეებთანაც დამდურებული განწყობილება შეიცვალა ურთიერთგაგების სურვილით, ცხადია, იმ ჯანსაღ ფენებთან, რომელნიც ქართული კულტურის სასარგებლო საქმეს უანგაროდ ემსახურებიან.

სწორედ ამ მიზნით არსებობს „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება“, რომელიც ბეჭდავს პერიოდულ ორგანოს „სამშობლოს“ ჯანსაღ ეროვნული აზრისა და გრძნობის ამსახველი მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით. რუსეთში ასეთი მუშაობის კეთილმყოფელი შედეგი იყო ბუნინის, კარალენკოს, ივანოვის, ბალმონტის, შალიაპინის, ალიოხინის, შულგინის, ლუბიმოვის, გუმილიოვის, თვით გორკის თუ სხვების რუსული კულტურის წიაღში დაბრუნება სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ.

ცხადია, რეცენზენტის ათვალწუნებული დამოკიდებულება ჩვენი თანამემამულეების სასარგებლო მუშაობისადმი აშკარად უსაფუძვლოა, იმის მაგივრად, რომ უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყრათ მათ ღვაწლს, მით უმეტეს, ჩვენთვის უცნობი მასალების მოპოვებაში ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხების შესახებ, მუდმივად შეეჭვებული რეცენზენტი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ მათდამი მცირე ყურადღების გამოჩენასაც ჩემ მსჯელობებში რაღაც კრიმინალის ხასიათი მისცეს.

ერთი სიტყვით, იმ რწმენით აღჭურვილს, რომ არ არსებობს პრივილეგირებული და დისკრიმინირებული მეცნიერი, მიმაჩნია, ყველანი ვალდებულნი ვართ, განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობოდეთ საქართველოს საზღვარგარეთ მომუშავე ქართველთა ნაღვაწს, სადაც უნდა იყვნენ ისინი, და დიდის მადლიერებით ვიყენებდეთ მათ მიღწევებს; კერძოდ, ვიკტორ ნოზაძის ხუთ ტომს იმ ათი ტომიდან, რომელნიც მან უკვე დაბეჭდა რუსთველოლოგიის საკითხებზე. ჩემი მიზანია რუსთველოლოგიური აზრის ძიების ერთ მთლიან პროცესად გაგება და მისი დადებითი შედეგების ერთ შენობად წარმოდგენა განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის ტექსტის დალაგებასა და კომენტირებაში, რაც გამორიცხავს რუსთველოლოგიის დაყოფას აქაურ და იქაურ მეცნიერებად იმ საფუძველით, როგორც ამას რეცენზენტი ცდილობს. რატომ არ მიაჩნია რეცენზენტს სერიოზული ანგარიშის გაწევის ღირსად ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ფერაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსთაველი იყო ქრისტიანობის უდიდესი რეფორმატორი, რომელმაც ქრისტიანობის ნიადაგზე შეჰქმნა ახალი რელიგია, რომ რუსთაველმა იქადაგა არისტოკრატიზმისა და დემოკრატიზმის მორიგება? (გვ. 113). ნუთუ ფერაძის გადაფასებაა ის, რომ ამ მოსაზრებას ჩემ გამოკვლევაში რამდენიმე სტრიქონი ეუძღვენი (გვ. 149)?

რუსთაველის რელიგიური მრწამსის საკითხების შესწავლაში გრ. ფერაძის ორიგინალური მოსაზრება უდავოდ იმსახურებს ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ის იყო თეოლოგიის დოქტორი, მრავალმხრივად განათლებული პიროვნება, ევროპიული, აღმოსავლური და კლასიკური ენების მცოდნე, მან ძველი ებრაულიდან ქართულად თარგმნა „ქებათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქება“ და ზოგი სხვა წიგნი ბიბლიისა. მას 1929 წელს, შეუსწავლია ქართული სახარების პალიმფსესტური ხელნაწერი გადაწერილი 988 წელს, რომელიც პროფ. ა. ცაგარელს 1883 წელს ჰქონდა ალწერილი, შემდეგ დაკარგულად ითვლებოდა და ამჟამად ინახება ამერიკაში, კერძო კოლექციონერთან (აკაკი შანიძე, ქართული ხელნაწერები პოლონეთში, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 10, გვ. 45). მასვე მიუკვლევია ძველი ქართული ხელნაწერები, მათ შორის ერთი პალიმფსესტური, დაცული ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (შალვა ამირანაშვილი, ძველი ქართული ხელნაწერები, ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გაზ. „კომუნისტი“, 1969, 26.VII, № 172, გვ. 4.). 1932 წელს გრ. ფერაძეს ლონდონში წაუკითხავს ლექციები ქართული სასულიერო მწერლობისა და ბიბლიის ძველი თარგმანების შესახებ (დევიდ მარშალ ლენგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ჟურნ. „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 149). ჰერტრუდ პეჩი იზიარებს გრ. ფერაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ადრიდანვე ჰქონდა უშუალო კავშირი ქრისტიანობის უძველეს კერებთან და რომ ქრისტიანული ტრადიცია ჩვენში არ უნდა შემოსულიყო უთუოდ სომხეთის მეშვეობით. ასევე, პეჩი საერთოდ ეთანხმება ფერაძეს მარის იმ თვალსაზრისის უარყოფაში, თითქოს ბიბლიის ქართული ტექსტი სომხურზე იყოს დამოკიდებული, რომ მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს სირიულ ორიგინალს. ასევე საფუძვლიანად მიაჩნია პეჩს ფერაძის დაკვირვება, რომ ბიბლიის ქართულ თარგმანში ზოგი გამოთქმა მოჩვენებითი არქაიზმი უნდა იყოს, რომ აუცილებელი არ არის ძველი ქართული და სომხური ბიბლიური თუ არაბიბლიური ტექსტების ნათესაობა გამოწვეული იყოს სომხურიდან ქართულზე თარგმანით, არამედ იმით, რომ მათ ერთი საერთო ბერძნული ან სირიული წყარო ჰქონიათ (ლინგვისტური შენიშვნები ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის, კრებ. თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, 1969, გვ. 60).

გრ. ფერაძემ, პირველმა ქართველთაგან, ჯერ კიდევ 1935 წელს გაარკვია, რომ ბულგარეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ბაჩკოვოს მონასტრის ტიპიკონი, რომელიც პროფ. ვს. ნიკოლაევს სომხური ხელნაწერი ეგონა, პეტრიწონის მონასტრის ქართული ტიპიკონი ყოფილა (А. Игнатьев, Бачковский монастырь, журнал Московской Патриархатии, 1968, № 2, стр. 48). გრ. ფერაძის რედაქტორობით პარიზში გამოდიოდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. ომის წლებში იგი ვარშავაში რედაქტორობდა პროგრესული მიმართულების ჟურნალს და იყო ვარშავის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების კათედრის პროფესორი. გრ. ფერაძის საბელი ჩვენი მეცნიერებისათვის უმნიშვნელო რომ იყოს, აკად. ი. ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ ასურულ მამათა მოღვაწეობის საკითხებთან დაკავშირებით მთელ გვერდებს არ უძღვნიდა მის მოსაზრებათა განხილვას 1927 წელს გერმანულ ენაზე დაბეჭდილი ნაშრომის მიხედვით (ქართველი ერის ისტორია, 1, 1960, გვ. 355-358, 360, 368-370). ფერაძე ფრიად სასარგებლო მუშაობას ეწეოდა ქართული კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა უცხოეთში პოპულარიზაციისათვის. მან თარგმნა არაერთი ძველი ქართული ტექსტი და სამეცნიერო ნაშრომი გერმანულ ენაზე, მათ შორის კ. კეკელიძის „უცხოელი ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ (იოსებ მეგრელიძე, გრიგოლ ფერაძე, გაზ. „სამშობლო“, თბილისი, 1969, 24, 8, გვ. 3) და ზოგი სხვაც.

ყოველივე ამის გარეშეც საამაყოდ არის მოსახსენებელი ქართველი მეცნიერი, რომლის სახელი და გვარი ვარშავის უნივერსიტეტის მემორიალურ დაფაზე ლათინურად ამოკვეთილ იმ სამოცდაზუთ პროფესორთა შორისაა მეთხუთმეტე ადგილას ალნიშნული, რომელნიც ანტიფაშისტური მოღვაწეობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის 1939-1945 წლებში გერმანელმა ფაშისტებმა აწამეს და დახვრიტეს (არარატსა და ყაზბეგს შორის, „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, 29. VI, № 27, გვ. 3; გივი ჟორდანია, მოძმე პოლონეთის მიწაზე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1964, VIII, № 33).

რეცენზენტს განსაკუთრებით აშფოთებს, რომ რამდენჯერმე ვიმოწმებ პარიზში 1930 წელს გამოცემულ ნოე ჟორდანიას ერთ ორიგინალურ ნარკვევს: „ვეფხისტყაოსანი“. „გ. იმედაშვილს მრავალგზის ჰყავს დასახელებული თუ ციტირებული ნ. ჟორდანია“ (გვ. 111), რომლისადმი აკად. ალ. ბარამიძეს მხოლოდ ცინიკური შენიშვნა ემეტება: „მერე და რა მოსაზრებებს იმოწმებს გ. იმედაშვილი ნ. ჟორდანიას ნაშრომიდან?“ — „ვეფხისტყაოსანი არ არის სადევგმირო ნაწარმოები, არამედ თანამედროვე შინაარსისა და ფორმის რომანტიკული პოემა“. რეცენზენტი ამთავრებს შენიშვნით, თითქოს ეს არის „თავისთავად უდავო და გავრცელებული აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი არ არის სადევგმირო ნაწარმოებიო“ (იქვე). მაგრამ ის მეტად საყურადღებო მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი არის თანამედროვე შინაარსისა და ფორმის რომანტიკული პოემა“, მანამდე ასეთი გარკვეულობით არავის უთქვამს, არ დაუსაბუთებია და ახლაც ანგარიშგასაწევია პოემის ჟანრული სპეციფიკის განსაზღვრისათვის, ნოე ჟორდანიას ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემოს ახსნაში ორიგინალურად აქვს დასმული არა ერთი საკითხი, მაგალითად, თეზა, რომ ვეფხისტყაოსანში გამოხატულია ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა, ქალის გამეფების უფლება, ქალის მაღალი საზოგადოებრივი როლი, პიროვნული ღირსებისა და ინიციატივის აღიარება.

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დროს, როდესაც ნ. ჟორდანიამ თავისი გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე რუსთაველის პროგრესული იდეალების ჩვენებაზე ააგო, თვითონ ალ. ბარამიძე იმავე 1930 წელს დაწერილ ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო“ (იხ. „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, 1932, გვ. 130-169) უარყოფდა რუსთაველის შემოქმედებაში ყოველივე პროგრესულს და იმეორებდა ნ. მარის მოძველებულ შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის არაქართულ, სპარსულ წარმოშობა-აგებულებაზე. მის ორიგინალურ აღმოჩენას რუსთაველის მსოფლმხედველობის შესწავლაში მხოლოდ ის წარმოადგენდა, რომ ეროვნული ეპოსის ავტორი ფეოდალურ-მსახურეული არისტოკრატიის უმაღლესი წრის იდეოლოგად გამოაცხადა (იქვე, გვ. 169). ამრიგად, როდესაც დაჭირდა, დროს შესაფერად ალ. ბარამიძე წარსულის ღირსებათა მოდურ გაქარწყლებაში არ მოერიდა ვეფხისტყაოსანში არ დაენახა ჰუმანიზმის რაიმე გამოხატულება. უზუსტობის, შეეჭვებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საილუსტრაციოდ ზოგიერთზე შევჩერდები. ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემოს საკითხთა გადაწყვეტაში ალ. ბარამიძის ერთ თავგამოდებულ მტკიცებას წარმოადგენს, თითქოს „ვეფხისტყაოსანი მონური ინსტიტუტის იდეალიზაციას შეიცავს“ (გვ. 163), რომ „რუსთაველი მონური ეროვნულებისა და მორჩილების წესებს ისწავლება“ (გვ. 136).

ამის მიხედვით, ავთანდილი სახიფათო მგზავრობის წინ შერმადინისადმი ანდერძში მთელ აულადიდებას თავის მონებს რომ უტოვებს:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.

ასევე პირველი მგზავრობის წინად რომ დაიბარებს: „გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“ (158,4) აქ თითქოს არავითარი „კაცთმოყვარე ჰუმანისტური დევიზი არაა წარმოდგენილი“, რომ „ამ ტაეპების იდეა ყოველგვარი ჰუმანიზმის სოციალური შინაარსეულობისაგან არის დაცლილი“. (გვ. 150). მათში „ძალადება ეგოისტი არისტოკრატის გაუმაძღარი ინსტინქტი და არა კაცთმოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ჰუმანისტის თუ გინდ მცირედ ალ-ტრუისტული გრძნობა“ (გვ. 151).

მხოლოდ უსაფუძვლობითა და უცნაურობითაა ორიგინალური ალ. ბარამიძის მტკიცება, თითქოს ვეფხისტყაოსანში „ქალი უუფლებოა“ (გვ. 144), „დედაკაცი მამაკაცთან შედარებით მდაბიო არსებად არის წარმოდგენილი“ (გვ. 140), „დედაკაცი თავისი საზოგადოებრივი რაობით უსაძაგლესი მამაკაცის ოდენ ღირებულებას ვერც კი შეიცავს“ (გვ. 141). „რუსთაველის წარმოდგენით დედაკაცი საერთოდ გონებრივად ჩლუნგი და მდაბიო არსებაა“ (გვ. 141), „რუსთველმა ულმობელი განაჩენი გამოუტანა საერთოდ დედათა მოდგმას“ (გვ. 142). „რუსთაველი ზნეობრივი თვალსაზრისითაც ამათრახებს დედაკაცსა და საზოგადოდ დედაკაცობას“ (იქვე), ვეფხისტყაოსნის ისეთ ღრმააზროვან და მოხდენილ თქმას, როგორიცაა:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“ (799).

ალ. ბარამიძე არსებითად მცდარ, ტექსტის არასწორ გაგებაზე დამყარებულ განმარტებას ურთავს: „აქ უდავოდ ცხადი ხდება დედაკაცის საზოგადოებრივი მდგომარეობის მდაბიო წონა“ (გვ. 141), მაშინ, როდესაც, პირიქით, აქ მშიშარა-უქნარა კაცია გალანძღული და ქალის შრომაა შექებული. ტაეპმა: „ლეკვი ლომისა სწორია, ბუ იყოს, თუნდა ხვადია“ (39) ალ. ბარამიძის შენიშვნით: „საბედისწერო როლი ითამაშა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობითი თვალსაზრისის გამორკვევაში. რუსთაველი ამ მხრივ, მეტი რომ არა ეთქვათ, უდიდეს ჰუმანისტად იქნა ცნობილი, რომელმაც თითქოს ქალთა „ემანსიპაციის“ კითხვაც კი რადიკალურად გადაჭრა“ (გვ. 140). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თავისთავად ეს მოსაზრება არაა ორიგინალური და ნ. მარის შეხედულებების გამეორებას შეიცავს მხოლოდ მისი წყაროს მოუხსენიებლად. ნ. მარი ამავე ტაეპზე ასე შენიშნავდა:

«Этим стихом очень злоупотребляли, чтобы выжать из него доказательство того, что Шота был сторонником женского равноправия» (Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре», Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917, стр. 421).

ეს აზრი მარზე ადრე გამოთქმული ჰქონდა ფ. მახარაძესაც (ჟურნ. „კვალი“, 1896, №442). სურათი ნათელია. მარის დებულებათა მოუხსენებლობის მსგავს მაგალითებს უხვად ვხვდებით ალ. ბარამიძის შეხედულებებში, ვეფხისტყაოსნის წარმოშობისა თუ იდეური შედგენილობის საკითხებზე, რის შესახებ ადრეც მქონდა აღნიშნული (იხ. ჩემი „რუსთველოლოგია“ (ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა. 1941, გვ. 144. 145).

ვეფხისტყაოსანში გამოხატული პროგრესული იდეალების ეს უარყოფა ალ. ბარამიძისათვის, ჩანს, არ იყო შემთხვევითი, რაკი საგანგებოდ ვერ ამჩნევდა რუსთაველის საზოგადოებაში ამ მხრივ მომხდარ ცვლილებას და ეგონა, რომ ვეფხისტყაოსანში „ქალის უუფლებობაზე ისიც ლაპარაკობს, რომ გათხოვება მშობელთა განუკვეთელ თვითნებობაზეა დამოკიდებული“ (გვ. 144). აი, სწორედ ამ თვალსაზრისს უპირისპირდება ნ. ჟორდანიას განსხვავებული გაგება იმის შესახებ, რომ რუსთაველის შემოქმედებაში აბსოლუტურად არის გადაწყვეტილი. სიყვარულის, ოჯახისა და ქორწინების მოტივები. მისი აზრით, მანამდე მსოფლიო მწერლობაში არსებულ გაგებას „ჯერ ქორწინება — მერე სიყვარული“, რუსთაველმა დაუპირისპირა „ჯერ სიყვარული — მერე ქორწინება“ (ჩემი წიგნი, გვ. 206).

მსგავსი მაგალითების ამოწერა კიდევ შემეძლო, მაგრამ, ვფიქრობ, უკვე სავსებით ნათელია, რომ რეცენზენტის მიერ დაწუნებული, 1930 წელს პარიზში გამოცემული ნაშრომი ვეფხისტყაოსნის ორიგინალური წარმოშობისა და ეროვნული სინამდვილის გამოხატულების კონცეფციით, რუსთაველის პროგრესული იდეალების შემჩნევით, მისი მსოფლმხედველობისა და მხატვრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქციის საკითხების მიმართებაში შესწავლით უფრო ახლო და სწორ პოზიციაზე იდგა პოემის ჭეშმარიტ გაგებასთან, ვიდრე ჩემი რეცენზენტის პრეტენციოზული ნარკვევი, რომლის ავტორი სხვაგან ხედავდა „ზოგიერთ quasi მეცნიერთა და „შინაურ“ მწიგნობართა უხეირო და უნიჭო ნაირ-ნაირი თეორიების ბალასტს“ (გვ. 130).

აქედან ისიც ჩანს, რომ ერთნაირად დაეჭვებული დამოკიდებულება უცხოეთში მყოფი ყველა ქართველი მოღვაწისადმი, უსაფუძვლოა. ამასთან ერთად, რეცენზენტი საგულდაგულოდ არ ამჩნევს, რომ საზღვარგარეთელ თანამემამულეთა ნაშრომებს ვეფხისტყაოსნის ძირითადი საკითხების გაგებაში კრიტიკულადაც ვიხილავ. მაგ., ქრისტიანობის კულტურული როლის გაზვიადებულ წარმოდგენას ქართული რენესანსისა თუ პოემის მხატვრული კონსტრუქციის ცალკეული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, მე ყოველთვის არ ვიზიარებ, კერძოდ, ზურაბ ავალიშვილის (გვ. 225, 289, 395, 396, 401) და ვიკტორ ნოზაძის (გვ. 183, 216, 217, 224, 225) ისეთ მოსაზრებებს, რომელნიც გარკვეულ დაეჭვებას იწვევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაშრომებში საერთოდ რუსთველოლოგიის მრავალმხრივ საყურადღებო ახალი პრობლემებია აღძრული და ხშირად მართებულადაც გადაჭრილი.

რეცენზენტის შენიშვნით, „ყოვლად შეუწყნარებელია, მაგალითად, გ. იმედაშვილის მოსაზრება, თითქოს ვეფხისტყაოსანმა „გაამძაფრა ჩვენი ეროვნული სიამაყის გრძნობა საკუთარი უპირატესობის შეცნობით“ (გვ. 122). ეს ისეთ მძიმე დანაშაულად მიაჩნია, რომ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ალ. ბარამიძე იქვე ჩქარობს დაუმატოს: „ეროვნული განსაკუთრებულობის გრძნობის თაობაზე“ 45-ე გვერდის გარდა 65-ე, 94-ე გვერდებზედაც ბედავს ხმის ამოღებასო. ჩამეთვალოს შეცდომად შეხედულება, რომ ვეფხისტყაოსანმა დიდი როლი შეასრულა ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებაში, რომ ეროვნული უპირატესობის, ძლიერებისა და დიდების მოტივები „ერთნაირადაა დამახასიათებელი კლასიკური ხანის მთელი ხელოვნებისათვის“ (ჩემი წიგნი, გვ. 65). რეცენზენტი აქაც ცდილობს, მსჯელობას ეროვნულ უპირატესობაზე საეჭვო ხასიათი მიეცეს და ჩემ ტექსტს აყალბებს გამოგონილი ფრაზით „ეროვნული განსაკუთრებულობის უპირატესობის გრძნობა“. მაგრამ ჩემი წიგნის 45-ე, 49-ე, 65-ე, 94-ე გვერდებზე, რომელთაც რეცენზენტი ასახელებს გამოთქმა „ეროვნული განსაკუთრებულობა“ არსად გვხვდება. რას ნიშნავს ეს? და თუ როგორი როლი შეასრულა ვეფხისტყაოსანმა ეროვნული გრძნობის გამძაფრებაში, მკითხველს გავახსენებ, რა აზრია განვითარებული თუნდაც რეცენზენტის მიერ შეწყვეტილი ციტატის გაგრძელებაში:

„ვეფხისტყაოსანმა აღზარდა ქართველი ერი ამაღლებული იდეალებით. მან წარუშლელი კვალი დაატყო ერის პოლიტიკურ შეგნებას, სოციალურ ყოფას, ესთეტიკურ იდეალებს, ეთიკურ ნორმებს და საერთოდაც საზოგადოებრივ აზროვნებას, კულტურულ ფიზიონომიასა და მთელ მის ფსიქიკურ განვითარებას მომდევნო თაობებში. ეროვნული სულის მაცოცხლებელი ძალა ვეფხისტყაოსანისა ქართველი ერის ცხოვრებაში არასოდეს დაშრეტილა და ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთ როლს ის დღევანდელ ვითარებაშიაც შეუნელებელის გავლენით ასრულებს“ (იხ. ჩემი წიგნი, გვ. 49-50).

ვეფხისტყაოსნის ასეთი ეროვნული მნიშვნელობის აღიარების თვალსაზრისით, საყურადღებო მოსაზრება ჯერ კიდევ სამოცი წლის წინათ კიტა აბაშიძეს გამოუთქვამს: „ვინ იცის იქნებ ქართველის ერის სიმშვენიერეში რუსთაველის გენიოსობის ნაყოფსაც ედვას წილი? ხალხს, რომელსაც ლოცვანივით მიაჩნდა „ვეფხისტყაოსანი“ და დღე ნიადაგ იმის კითხვაში იყო, ეჭვი არ არის ერთგვარად მიმართული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწყობილი იყო; მარადის მისი ოცნება ტარიელსა და ავთანდილს, თინათინსა და ნესტანს თავს დასტრიალებდნენ, მისი გონება ამ საუცხოო სანახაობით იყო მოხიბლული და მოჯადოებული. შეგვიძლია განა, არ დაუთმოთ ერთგვარი გავლენა ამგვარად განწყობილს ადამიანის ფსიხიკას მის ფიზიოლოგიაზედ? ეს იქნებოდა შეცდომა მეცნიერულის გამოცდილების წინააღმდეგი" („ცხოვრება და ხელოვნება", გაზ. „სახალხო გაზეთი", 1910, 28 ივლისი, № 68, გვ. 3). საერთოდაც, ეროვნული ცხოვრების ევოლუციაზე მხატვრული ლიტერატურის გავლენის პრობლემა მეცნიერებაში არსებობს და მის შესახებ მსჯელობა შეუწყნარებელი რომ არ არის, დავიმოწმებ სულ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ დ. დ. ბლაგოის ერთ ნარკვევს:

«Роль Русской художественной литературы в формировании русской нации», რომელიც დაბეჭდილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ კრებულში:

«Вопросы формирования русской народности и нации» (1958, გვ. 231-252), იქნებ ამ მასალის მითითებით დაცხრეს რეცენზენტის შეეჭვება მსგავს საკითხებზე მსჯელობის კანონიერებაში?..

რატომ არის მიუღებელი ჩემი შენიშვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემის შესწავლაში დღემდე რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებას არსებითად განსხვავებული და უფრო დასაბუთებული მოსაზრება არ წამოუყენებია, ვიდრე ვახტანგ მეექვსეს?" (ჩემი წიგნი, გვ. 55, რეცენზ. გვ. 121). პირიქით, საკვირველი ის არის, რომ რეცენზენტი კითხულობს: „ნუთუ ორასორმოცდაათი წლის მანძილზე რუსთველოლოგიური მეცნიერება წინ არ წასულა ვეფხისტყაოსნის ნამდვილი ორიგინალობის დასაბუთების თვალსაზრისით? მაშინ რად აცხადებს მკვლევარი, ამჟამად აღარ დგას საკითხი ვეფხისტყაოსნის ძირების შესახებო? ვითომ ეს საკითხი საბოლოოდ გაარკვია ვახტანგმა? არა გვგონია" (იქვე).

ვახტანგმა პრინციპულად გაარკვია, — ვრცელი დასაბუთება კი რუსთველოლოგიის საქმე იყო და, ფაქტია, რომ ვეფხისტყაოსნის ორიგინალური წარმოშობის მისი თეზა ყველაზე სწორი გამოდგა. სწორედ ამ თეზას ებრძოდნენ უცხოელი თუ ქართველი ნიჰილისტები და პოემის შესწავლა ამ თვალსაზრისით არათუ პრინციპულად წინ არ წასულა, არამედ შეფერხდა. ამის დასტური იყო ის ფაქტიც, რომ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის პირველი გამოცემიდან ორასოცი წლის შემდეგ 1932 წელს ქართველმა მეცნიერმა განაცხადა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსული წარმოშობა უდავოა და ეს მეცნიერი იყო ალ. ბარამიძე (ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო, გვ. 131) მას ხომ ახლაც აეჭვებს, რომ ვახტანგმა ეს საკითხი საბოლოოდ გაარკვია?...

რეცენზენტი შენიშნავს: „არ არის სწორი გ. იმედაშვილის მოწმობა, ვითომც ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობის ახირებული თეორია აკად. ნ. მარმა უარყო თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში" (გვ. 121), „ნ. მარს არასოდეს არ უარუყვია „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსული წარმოშობილობის თვალსაზრისი" (გვ. 122).

დიდი დაკვირვება არაა საჭირო — ვეფხისტყაოსნის სპარსული ძირებით გაგების ის კონცეფცია, რომელსაც მარი თითქმის მთელი ორმოცი წელი ასაბუთებდა, მან საბოლოოდ უარყო იმასთან დაკავშირებითაც, რომ საერთოდ უარყო მთელი ქართული საერო მწერლობის სპარსულ ნიადაგზე წარმოშობა. მარმა უარყო როგორც თვითონ უწოდებდა სესხების თეორია, ვეფხისტყაოსნის სპარსულად არსებობისა და ქართულად თარგმანისა თუ გადმოქართულების თეორია (Грузинский язык, კრებ. Язык и история, I, 1936, стр. 36).

ამ უარყოფილი კონცეფციის მიხედვით რუსთაველმა თავი ვერ დააღწია ლიტერატურულ მიბაძველობას და არა მხოლოდ უცხო სიუჟეტი ისესხა, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ პოეტური ფორმები და შედარებები სპარსული პოეზიისა, რითაც თავის ქმნილებას ნამდვილად ნაციონალური მნიშვნელობა დაუკარგავ. ასე ეგონა მარს, ეს იყო უარსაყოფი და უარყო კიდეც.

მანამდე მარი რუსთაველს აკუთვნებდა სპარსული პროზაული მოთხრობის მხოლოდ გადამლექსავის პატივს. შემდეგ მან ვეფხისტყაოსანში აღიარა ისეთი ქართული ელემენტების არსებობა (ქალის კულტის, მმადნაფიცობის, მეგობრობის, რაინდობის, სახარების ადგილების, ნეოპლატონიკოსების ნაწერების ცოდნის გამომხატველი), რომელნიც აღმოსავლურ ლიტერატურაში არა გვხვდება და მხოლოდ ქართულ სინამდვილეს ახასიათებს (Возникновение и рассцвет древнегрузинской светской литературы, ЖМНП, 1899, XII).

აი, რაზეა ლაპარაკი და ამ პრობლემასთან ალ. ბარამიძის განგებ გაბუნდოვანებული დამოკიდებულება და ცვალებადი პოზიცია ერთგვარად იმით უნდა აიხსნას, რომ თვითონ, როგორც ცნობილია, დიდხანს ვერ ელეოდა ვეფხისტყაოსნის სპარსული წარმოშობის უნიადაგო კონცეფციას. მაგრამ თუ ახლა რეცენზენტი უკვე აცხადებს, რომ „უსაფუძვლოა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის (თუ ფაბულის) უცხოური წარმოშობილობის თეორია“ (ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 67), იქნებ ესეც მისთვის ჩვეული დროსშესაფერისობით ნაკარნახევი კონიუნქტურაა? მარი გულწრფელად ცდებოდა და გულწრფელადვე უარყოფდა, — ჩვენ რეცენზენტს გულწრფელობას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დავაბრალებთ!..

ჩემს მსჯელობებში რეცენზენტს „შინაგან წინააღმდეგობათა“ გამოხატულად მიაჩნია, რომ თუ ერთი მხრივ აღვნიშნავ, „სპარსული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტები აისახა (გამოიხატა) ამირანდარეჯანიანისა და ვეფხისტყაოსანში“, მეორე მხრივ, მკვეთრად გამისწორებია აზგარიში აღმოსავლური ფანატიზმი ... ფეოდალურ პოტიზმისათვის და კატეგორიული კილოთი ვამბობ, რომ „ვეფხისტყაოსნის სხეულში არ შეიძლება უცხო ფაბულისა და მოტივის მიგრაცია“, — „მკვლევარმა ველარ მოზომა და ძლიერად გადააჭარბა, სპარსეთი გამოაცხადა რაინდული კულტურისა და ყოფის კლასიკურ ქვეყნად“ (გვ. 116).

აქემენიდური თუ სასანიდური სპარსეთის დიადი წარსული, რომელსაც ფირდოუსი უმღერდა, საკმაოდ კარგადაა ცნობილი, მისი უარყოფა რომ შეიძლებოდეს. ჩემი შენიშვნით — „საქართველო-სპარსეთის ახლო მეზობლობისა და ისტორიული ურთიერთობის პირობებში ბუნებრივად იყო მოსალოდნელი მისი ელემენტების გამოხატულება ქართული მწერლობის ძეგლებში, კერძოდ კი ამირანდარეჯანიანისა და ვეფხისტყაოსანშიც. მაგრამ დასაზუსტებელია ამ გავლენის ხასიათი, მასშტაბი და მნიშვნელობა“ (ჩემი წიგნი, გვ. 128). სადაა აქ ნათქვამი — „სპარსული... ელემენტები აისახა (გამოიხატა) ვეფხისტყაოსანში?“ პირიქით, ჩემი მიზანი იმის ნათელყოფაა, რომ ვეფხისტყაოსანში ვერ ვხვდებით შუასაუკუნეთა ეპოსების მსგავსად, მოარული ამბებისა და ეპიზოდების დახვავებას, შემთხვევითი მოტივებისა და სახეების გამოჩენას, ვეფხისტყაოსანის სხეულში არ შეიძლება უცხო ფაბულისა და მოტივის მიგრაცია. ამიტომაც ვეფხისტყაოსანში არც ერთი ეპიზოდი და სახე არა ტოვებს ჩართულის შთაბეჭდილებას (გვ. 259).

რეცენზენტის განცხადებით, მას არ ესმის თუ რატომ არ შეიძლება ვეფხისტყაოსანს შეუდარდეს ლეილმაჯნუნიანისა და გულანდამიანის ტიპის თხზულებები (გვ. 116). საქმეც ისაა, რომ ვეფხისტყაოსანს არავინ არ უდარებს ლეილმაჯნუნიანს და გულანდამიანს, პირიქით, სწორედ ამიტომ ვამბობ: „მხოლოდ ძალადობასა და უვიცობას შეუძლია ვეფხისტყაოსანი შეუდაროს ლეილმაჯნუნიანისა და გულანდამიანის ტიპის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხზულებებს“ (გვ. 134). სამწუხაროდ ზოგს შესაძლებლად მიაჩნდა ვეფხისტყაოსნის წარმოშობაში ამ თხზულებებს პირდაპირი წყაროს მნიშვნელობა მინიჭებოდათ, პირიქით კი საკითხი არცა მდგარა.

ყოველ შემთხვევაში, ამ შედარებებიდან არაფერი არ გამოვიდა: არ გამოვიდა ისიც, რომ რუსთაველი მათ მიმბაძველად მიჩნეულიყო და ვერ დადასტურდა ირანიზმით გატაცებულ მკვლევართა ეს ახირებული თეზა. სწორედ ამ ხელოვნურად შექმნილი პრობლემის უსაფუძვლობის ნათელსაყოფად აღვნიშნავ, რომ: „ვეფხისტყაოსანი დამოუკიდებელი და სავსებით განსხვავებული სამყაროს მოვლენაა ყველა იმისაგან, რაც მისი დროის აღმოსავლეთ-დასავლეთის პოეზიაში იყო ცნობილი. რუსთაველის პოემა კომპოზიციური აგებულებით, სიუჟეტის ჩვეულებრივი განვითარებით, გმირთა ხასიათებითა და სოციალური იდეალებით, ღრმად ქართული თხზულებაა, შესამჩნევად განსხვავებული სპარსული ტიპის სამიჯნურო-სარაინდო რომანებისაგან. ქართულ ეპოსს რაინდული ყოფის ამსახველი სხვა სამიჯნურო-სათავგადასავლო პოემებისაგან განასხვავებს არა მხოლოდ თავისთავადაც შესამჩნევი ორიგინალური მხატვრული სახეები და ხასიათები, რომელნიც გვხიბლავენ დახვეწილობით, ზომიერებითა და ექსპრესიით, არამედ ადამიანის ცოდნის სიღრმე, რეალობის დიდი გრძნობა, რელიგიური ინდიფერენტიზმი, პიროვნების როლის გაზრდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ფანატიზმისა და მისტიციზმისაგან თავისუფლება, ქალის შესამჩნევად ამაღლებული მდგომარეობა, — ყველაფერი ის, რაც ახასიათებს ქართულ სოციალურ ყოფასა და საზოგადოებრივი აზრის სინამდვილეს“ (გვ. 133-234).

აი, ამ მსჯელობათა საფუძველზეა გასაგები და ამას მოსდევს ჩემი დასკვნა, რომელიც რეცენზენტის მიერ ამოგლეჯილად არის ციტირებული: „ამდენად, მხოლოდ ძალადობასა თუ უვიცობას შეუძლია ვეფხისტყაოსანი შეუდაროს ლეილმაჯნუნიანისა და გულანდამიანის ტიპის თხზულებებს“ (იქვე).

ვეფხისტყაოსანში დაბრკოლების მოტივის ანალოგიისათვის საილუსტრაციო მასალის ერთ ნიმუშად გამოვიყენე ლეილმაჯნუნიანში „ყაისის სიგიჟე“ და მის რედაქციებში სიცხადის გამო ვამჯობინე ის, რომელშიაც ყაისმა ქებინის კითხვის დროს აკოცა თავის საცოლეს ლეილას და არა ლეილას გოშიას. რეცენზენტის შენიშვნით „აქ დამახინჯებულია ლეილმაჯნუნიანის შინაარსი და ამ ნიადაგზე მიღებულია მცდარი განზოგადება“ (გვ. 117) „ყაისმა (მაჯნუნმა) აკოცა ლეილას კი არა, არამედ მის გოშიას, რის გამოც იგი ჩათვალეს შემცდარად და გააძევესო“ (იქვე).

ეს დეტალი — ყაისი ლეილას ჰკოცნის თუ მის გოშიას, თხზულების კომპოზიციის გაგებაში არავითარ ცვლილებას არ იწვევს, რადგან ორივე შემთხვევაში შეფერხების მოტივი ისევ ყაისის სიგიჟეა (გვ. 249). ამდენადვე, აქ არ შეიძლება ლაპარაკი „ნიზამი განჯელის სამიჯნურო კონცეფციის რაიმე გამრუდებასა თუ მისი შინაარსის დამახინჯების ნიადაგზე რაიმე განზოგადების შესახებ“ როგორც ამის წარმოდგენას ცდილობს რეცენზენტი.

უფრო საგულისხმო კი ის არის, რომ ქართულ ენაზე „ყაისის სიგიჟის“ მოტივირებაში თუ არის საკვლევაძიებო შეცდომა, მისი აღმოჩენა, ყოველ შემთხვევაში, რეცენზენტს არ ეკუთვნის. ის აღმოჩენილია ორმოცი წლის წინათ გიორგი ჯაკობიას სენსაციური რეცენზიით (ლეილ-მაჯნუნიანის ქართული ვერსიისათვის, კრებ., „არილი“, 1925, გვ. 153-170) და მისი დავიწყება, მით უმეტეს სპეციალისტებისათვის, შეუძლებელია. მოგეხსენებათ თუ რა ფასი აქვს აღმოჩენილის აღმოჩენას! განსხვავება ისიცაა, რომ ჩვენს პირობებში ეს შენიშვნა თავისი ირიბი მიზნითა და სოფიზმებით ცილისწამებისა და დაცინვის საგნად ქცეულა. თავის დროზე კი მას მართლაც რეალური საფუძველი, საქმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი ხასიათი და მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი ჯაკობიას შენიშვნით, „ალ. ხახანაშვილს (очерки, вып. III, стр. 75) და კ. კეკელიძეს (ქართ. ლიტ. ისტ., II, გვ. 229) ნაჩვენები აქვთ, თითქოს ყაისი გააგდეს სასახლიდან იმიტომ, რომ ქებინის კითხვის დროს ვერ მოითმინა და ლეილას დაუწყო კოცნაო" (გვ. 160). ამასთან მოყვანილია ლეილმაჯნუნიანის ქართული თარგმანის შესაბამისი ტექსტი, რითაც ცხადი ხდებოდა, რომ კეკელიძეს ხახანაშვილის შეცდომა ჰქონდა გამეორებული, რაც პირველად ჯაკობიას შენიშვნაში გამოირკვა.

ჩემი წიგნის რეცენზენტი ჯაკობიას ამ საქმიან და გონებამახვილურ შენიშვნას, რომელიც მაშინ სამწუხარო ინციდენტით დამთავრდა, ახლა თავისად აცხადებს, მაგრამ რა იმედით?

„გ. იმედაშვილი იმეორებს რუსთველოლოგიაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ სწორ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ რუსთაველი გვიხატავს ხასიათებს". ამ განცხადებას რეცენზენტი ურთავს შენიშვნას: „რაღა თქმა უნდა, საჭირო წყაროებს არ ასახელებს" (გვ. 118). ხასიათი ზოგადი საკითხია და მთავარია, ვის როგორ ესმის ხასიათი, ვინ როგორ იმეორებს და როგორ ასაბუთებს მას. ამდენადვე, ის, როგორც პრობლემა, თავისთავად ყოველთვის ახალია დასმის, მასშტაბისა და გაგების თვალსაზრისით. მაინც ვისი აზრი გავიმეორე ჩემ შეხედულებებში დაუსახელებლად, — ამას რეცენზენტი ვერ ამბობს და მედავება მოსაზრებაში, რომ: „რუსთაველი ყვება არა ამბავს, არამედ ხატავს ხასიათს" (ჩემი წიგნი, გვ. 210). რის გამოც სერიოზულად მიმტკიცებს: „არა, რუსთველი გვიყვება მშვენიერ ამბავს და მშვენიერი ამბების ფონზე გვიხატავს მშვენიერ ხასიათებს. ამბის განვითარების საშუალებით ბუნებრივად გვიხსნის გმირების ხასიათებს". — თითქოს ძეც იგივე არა ძერნდეს ნათქვამი. მხოლოდ სხვა სიტყვებით. განა ჩემი ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ რუსთაველი ამბავს არა ჰყვება? აქ მბოლოდ ის აზრია გამოხატული, რომ რუსთაველი სწორედ იმიტომ ჰყვება ამბავს, რათა დახატოს ხასიათი, რომ ის წინ სწევს ხასიათს, „ხასიათის ბატონებს ნაწარმოების აგებულებაზე" (გვ. 260) „ხასიათის ჰათოსი" „ძნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთელი პოემის მხატვრულ კონსტრუქციას" (გვ. 234). „რითაც იზრდება ხასიათის ზოგად ადამიანურ-შემეცნებითი ღირებულება". ამრიგად, თუ მე ვასაბუთებ, რომ „რუსთაველი ორგანული მოწოდებით ხასიათების მხატვარია" (გვ. 275), რომ მან „გმირი გაიგო როგორც ხასიათი" (გვ. 274) და „ხასიათების გახსნას შეუფარდა თხზულების კომპოზიცია, სიუჟეტი და ეპიზოდების განლაგება" (გვ. 275), ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ „თავგადასავალი მისთვის საშუალებას იძლევა გამოავლინოს ხასიათები" (გვ. 337) და „მასვე დაუქვემდებაროს თავისი მხატვრული სახე და აზრი" (გვ. 274), იმ გაგებით, რომ თავგადასავალი რუსთაველისათვის მხოლოდ წინასწარი ჩარჩოა.

რეცენზენტის შენიშვნით, „გ. იმედაშვილს ძალიან ადვილად გადაუწყვეტია რთული საკითხი" თუ „პოემის ორი სიუჟეტური რკალიდან (თინათინ-ავთანდილისა და ნესტან-ტარიელის, ან არაბეთისა და ინდოეთის ამბავი), რომელია მთავარი, რომელია პოემის მთავარი გმირი, ან გმირთა მთავარი წყვილი" (გვ. 119). ამ ადვილად გადაწყვეტას რეცენზენტი იმაში ხედავს, თითქოს გვერდს ვუვლი „სპეციალური ლიტერატურით ცნობილ პაექრობას და შალვა ღოლაქიძის ადრინდელ ნარკვევზე დამყარებით კასკვნი, რომ „ვეფხისტყაოსნის ცენტრალურ სიუჟეტს წარმოადგენს ტარიელის ამბავი" და „მთავარ გმირს ტარიელი" (მოიოიებულია ჩემი წიგნის გვერდები 261, 249, 314).

ნამდვილად ვინ ვის აუარა გვერდი და როგორ უნდა ვეპყრობოდეთ სპეციალურ და ადრინდელ ლიტერატურას? როგორც ჩანს, რეცენზენტს აქვე დაავიწყდა, რომ ცოტა ზევით განაცხადა „მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასალმებელია, რომ გ. იმედაშვილი ყურადღებით ეპყრობა ისეთ მკვლევართ, როგორიც იყო, მაგალითად, სამამულო ომში დაღუპული დოლაქიძე" (გვ. 112). ეს ბოდიშის მოსახდელად არის შენიშნული, თორემ შ. დოლაქიძე, როგორც მართლაც ნიჭიერი და დიდი მომავლის მკვლევარი თუ ყურადღების ღირსი იყო, ალ. ბარამიძემ რატომ არასოდეს არა სცნო მოხსენიების ღირსად მისი ნაშრომები, რომლებშიაც პირველადაა ფართოდ შესწავლილი ვეფხისტყაოსნის მეტაფორის პრობლემა (იხ. ჩემი წიგნი, გვ. 416), შიდარითმის თვისება და მხატვრული ფუნქცია რუსთაველის ლექსში და გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ვეფ-ხისტყაოსნის ცენტრალურ სიუჟეტს ტარიელის ამბავი წარმოადგენს" (გვ. 261). ეს ის საკითხებია რომელთაც ალ. ბარამიძე ამის შემდეგ რამდენჯერმე შეხებია, მსგავსი მოსაზრებანი გამოუთქვამს, მხოლოდ შ. დოლაქიძე არასოდეს არ უხსენებია. ამიტომ აქ გასაკვირი ის არის, რომ მკვლევარი, რომლის ნაშრომი დაიბეჭდა რუსთაველის პირველი იუბილეს დღეებში 1937 წელს სპეციალურად გამოცემულ კრებულში „შოთა რუსთაველის სკოლაში" და ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის", როგორც პირველ წყაროებში, ალ. ბარამიძეს „დაავიწყდა" იმ პრობლემების შესწავლისას, რომლებზედაც პრიორიტეტი შ. დოლაქიძეს ეკუთვნის.

„ყოვლად შეუძლებელია გავიზიაროთ გ.იმედაშვილის მოსაზრება, თითქოს „რუსთაველისათვის მთავარი იყო არა გამარჯვებული სიკეთის აპოთეოზი, არამედ თვითონ ტანჯვის პროცესი, რომლითაც მან დაამეგობრა უცხო ქვეყნის რაინდები" (უთითებს ჩემ წიგნს, გვ. 209). ამ შენიშვნას რეცენზენტი ამთავრებს იმის სერიოზული მტკიცებით, რომ „რუსთაველისათვის მთავარი იყო ადამიანური, მართალი სიყვარულის გამარჯვების იდეა" (გვ. 121), თითქოს მე ამას სადმე უარვყოფდე!

აქაც ჩემი მოსაზრება თავბოლო მოკვეთილი ციტატითაა მოყვანილი იმ მიზნით, რომ მისი შინაარსი გაიგებოდეს. და ზედმეტი დარიგება მომცეს: „გ. იმედაშვილს ჯერ უნდა დაერღვია განმტკიცებული დებულება და მერე ცდილიყო თავისი მოსაზრების არგუმენტირებას. ნაშრომში არც ერთია, არც მეორე, მსგავსი რადიკალური ხასიათის დასკვნისათვის ცარიელი განცხადება საკმარისი როდია" (გვ. 121).

სიკეთის აპოთეოზის, როგორც ეპოსის დასასრულის გავრცელებული ფორმის საფუძველზე, განვითარდა სიუჟეტების მთელი ციკლი. ასეა კომპოზიციურად აგებული უმრავლეს ეპიკურ თხზულებათა სიუჟეტი — „მრავალ ჭირთა გადახდის შემდეგ დამსახურებული შეუღლება და სიამტკბილობაში დაბერება — სიკვდილის ფინალით" (ჩემი წიგნი, გვ. 208-209). ეს შესამჩნევია მაგ., ჩვენ ამირანდარეჯანიანშიც, რაც რუსთაველმა დასძლია თავისი პოემის აგებულებაში. ვეფხისტყაოსნის ფინალს რუსთაველის სტილის ლაკონიზმი არა წყვეტს მხატვრული კომპოზიციის გარეთ მიდგმული ეპიზოდებით და ეს მოთხოვნილება ასეა დაკონკრეტებული მოყვანილი ციტატის უშუალო გაგრძელებაში:

„...რუსთაველმა თავისი გმირების წვალებით, ტირილითა და ბრძოლით დაამტკიცა, რომ პოეზიის თემა შეიძლება იყოს მხოლოდ გატანჯული სიყვარული, მისი დაკარგვის, ძებნისა და პოვნის შეგრძნებანი". „რუსთაველმა თავისი გმირების რომანი ააგო ტიპიურად დაბრკოლებიანი სიყვარულის ფაბულით და აქ მთავარია შეფერხების, მუქარის, განწირულების, მეტოქეობის, წინააღმდეგობის გარეშო". ეს იმასაც ნიშნავს, რომ „პოეტური სწრაფვა თავდება ტრაგიკულ ვნებათა დასასრულთან ერთად, რაც ნაწარმოების ლოგიკურ დასასრულსაც საზღვრავს" (იქვე, გვ. 209). აი, ამ მსჯელობებს მოსდევს დასკვნა, რომელიც რეცენზენტს თავმოკვეთილი მოჰყავს. ის ასე გრძელდება: „...ამიტომ შუასუკუნეთა ადამიანს, მორალიზებულს სულისმარგებელი კეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნეობის იდეალებით, თუ ყოველთვის სიკეთე უნდა ეხილა ბოროტებაზე გამარჯვებული, რუსთაველისათვის მთავარი იყო არა გამარჯვებული სიკეთის აპოთეოზი, არამედ თვითონ ტანჯვის პროცესი, რომლითაც მან დაამეგობრა უცხო ქვეყნის რაინდები" (იქვე).

ყოველივე ეს კი არ უარყოფს სიკეთის აპოთეოზს, როგორც ამას გადმოგვცემს რეცენზენტი, არამედ მხოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ რუსთაველი პოემის განვითარებაში უმთავრეს როლს აკისრებს გმირთა ხასიათების, ვნებათა ჭიდილის გამოხატულებას, რაც ფაქტიურად თავდება იქ, სადაც უკვე დგება სიკეთის აპოთეოზი, როგორც მისი იდეური დასკვნა, ე. ი. ვეფხისტყაოსანი სრულდება სწორედ იქ, სადაც თავდება გმირთა ტანჯვის გზა — აქ რა არ არის დამტკიცებული ან რა არის „ცარიელი განცხადება?"

„ნუთუ მკრთალი სახეა ფატმანის სახე?" (გვ. 115) — ამას ისე კითხულობს რეცენზენტი, თითქოს ასეთი მოსაზრება გამომეთქვას, თანაც განგებ არ ამჩნევს, რომ ეს გარკვეულად უსენის შესახებ მაქვს შენიშნული: „ერთი-ორი ვაჭრის გამოჩენა ჩვენი ისტორიული ცხოვრების სარბიელზე და მისი ერთი მკრთალი სახის დახატვა ვეფხისტყაოსნის საზოგადოებაში" (ჩემი წიგნი, გვ. 102). რეცენზენტი კი მაინც ფატმანზე განაგრძობს მტკიცებას: „მკრთალი კი არა, ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული, რეალისტური და სრულყოფილი სახეა ვეფხისტყაოსანში სწორედ ვაჭრის ცოლისა და თვითონ ვაჭრის ფატმანის სახე. ნესტან-თინათინისა და ტარიელ-ავთანდილის სახეები იდეალიზებული სახეებია, მაშინ როდესაც ფატმანის სახე გამოირჩევა თავისი არაჩვეულებრივი რეალისტურობითა და ტიპიურობითო" (გვ. 115).

ადრე ფატმანი, ალ. ბარამიძის დახასიათებით, იყო „ჭკვიანი და გაიძვერა დედაკაცი, ლოთი და ბოზი" (ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო, გვ. 165). იქნებ ისიც გამოდის, რომ რუსთაველს სრულყოფილად, კოლორიტულად, ლისტურად გაიძვერას, ლოთის და ბოზის დახატვა შესძლებია, ნესტანი, თინათინი, ტარიელი, ავთანდილი კი იდეალიზირებულებად დარჩენილან. მე კი ფატმანის სახე მართლა მკრთალად რომ მიმაჩნდეს, როგორღა აღვნიშნავდი, რომ ვეფხისტყაოსნის სახეთა და ხასიათთა შორის ფატმანი „უგვაროთა წრიდან ერთი გამონაკლისთაგანია, რომელიც საკმაოდ მიმზიდველ სახესა ქმნის" (ჩემი წიგნი, გვ. 300). ამაზე რეცენზენტი იჩქარის შენიშნოს, რომ „ფატმანის სახის ამგვარი გაგებაც არ არის იმედაშვილის აღმოჩენა" (გვ. 119). განა ვიჩემებ ასეთი აღმოჩენის პრეტენზიას? ან რა არის აქ აღმოსაჩენი? მთავარი აქ ის არის, რომ ჩემი მოსაზრების ტენდენციურ ინტერპრეტირებაში რეცენზენტი არ ამჩნევს ციტატის უშუალო გაგრძელებას: „ფატმანში რუსთაველმა ამოიცნო ზოგადი ტიპი ოჯახურ გარემოში ამომავალი ახალი გმირისა, რომელიც შემდეგ ევროპული რომანის სქემაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს და შექმნის ღალატიანი სიყვარულის საყოველთაოდ ცნობილ თემას". აი, ეს იყო შესამჩნევი!...

ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რომ „რუსთაველს არ დაუხატავს უარყოფითი ტიპი", რომ ვეფხისტყაოსანში თითქმის არ არის უარყოფითი სახე (გვ. 301), რეცენზენტს საკამათოდ მიაჩნია. „ვერავინ დაუჯერებს თუ რასაკვირველია, ტიპს აქ მივიჩნევთ სახის შესაფარდ ცნებად" (გვ. 119). მაგრამ როგორ შევათანხმოთ ამასთან მისივე შენიშვნა, რომ ფატმანი „მიუხედავად სიმპატიურობისა, რუსთაველის მხატვრულ სახეთა სისტემაში საჩოთირიოდ გამოიყურება, თუმცა გარკვეულად უარყოფით პერსონაჟად მას ვერ ჩავთვლითო" (იქვე).

თუ ფატმანი უარყოფით პერსონაჟად არ ჩაითვლება, რაღაა საკამათო ჩემს მოსაზრებაში? და როგორ გაგიგია ყოველივე ამასთან ისიც, რომ „ფატმანი უარყოფითი პერსონაჟია" (შოთა რუსთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი და მისი პოემა, 1966, გვ. 197). როგორ ათავსებს რეცენზენტი ფატმანის სიმპატიურობასთან მის საჩოთირობას? რა არის უარყოფითი სახე და პერსონაჟი, რატომ არის ფატმანი ტიპიური? — ეს საკითხები კრიტიკულ შენიშვნებში მეტ გარკვეულობას საჭიროებენ. დაინტერესებულ მკითხველს მოვაგონებ ჩემ წარმოდგენას იმაზე თუ რატომ არ ხატავს რუსთაველი უარყოფით ტიპს:

„რუსთაველს არ დუხატავს უარყოფითი ტიპი და შეიძლება მსოფლიო ლიტერატურაში არ იყოს მსგავსი მასშტაბის ნაწარმოები, რომელშიაც ამდენი დადებითი ხასიათი იყოს და თითქმის არც ერთი უარყოფითი სახე, იმიტომ, რომ რუსთაველი დევნის ადამიანთა დამოკიდებულებაში მძულვარებასა და სიმახინჯეს“ (გვ. 301). „რუსთაველი როგორც მხატვარი, საერთოდ ნაკლები ყურადღებით ეპყრობა ყოველივე ოდიოზურს თავისი პერსონაჟების დახასიათებაში“ (გვ. 400), „მისი გმირების მწკრივში არც ერთი ნაკლოვანი ხასიათი ბოლომდე არაა გახსნილი“, იმიტომ, რომ „თავის გმირებს ზედმეტად არ ამჩნევს ჩრდილოვან მხარეებს“ (იქვე), ამით რუსთაველს პასუხი აქვს გაცემული რეცენზენტის იმ კითხვაზე თუ „რატომ არ შეიძლება ოდიოზური სიტუაცია და ოდიოზური პერსონაჟი იყოს ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ღერძი“ (გვ. 115). ყოველ შემთხვევაში, ვეფხისტყაოსნისათვის ეს გადაჭრით არ შეიძლება.

ჩემი შეხედულებით, „რუსთაველი არ გვამცნობს უგვაროთა ცხოვრებას“, რუსთაველს „არც ერთი უგვარო წარმოშობის პერსონაჟი არა ჰყავს დახატული, რადგან თავის საზოგადოებაში მხოლოდ მაღალ წრეს ათავსებს და მხოლოდ მათივე სახეებსა და ხასიათებში აღიქვამს სინამდვილეს“ (გვ. 100) რეცენზენტი შენიშნავს: „ეაჭრებს რომ თავი დავანებოთ, უგვარო არ იყო ვეფხისტყაოსნის ისეთი შესანიშნავი პერსონაჟი, როგორიცაა ასმათი?“ (გვ. 114-115).

როგორ ვამტკიცოთ ასმათის უგვაროობა-გვარიშვილობა? ამაზე თვით ვეფხისტყაოსანში გარკვევით არაფერია ნათქვამი, მისახვედრი კი აი, რა არის — ასმათი რომ უგვარო ყოფილიყო, ინდოეთის სასახლის კარზე ტახტის ერთადერთი მემკვიდრის აღმზრდელად არ დააყენებდნენ, ტარიელი მას თავის ახლობელ მეგობრად არ გაიხდიდა და, საერთოდაც, პოემის მაღალი წარმოშობის ყოველ პერსონაჟს დიდ პატივში არ ეყოლებოდა. ავთანდილი მას მისალმებისთანავე ცხენიდან არ ჩამოუხდებოდა, არ მოეხვეოდა და კოცნას არ დაუწყებდა (1358), მით უმეტეს, ინდოეთის მეფე არ გადაეხვეოდა (1362) და ინდოეთის მეშვიდედზე არ გაამეფებდა (1649, 1650). მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ თვითონ ასმათს ჰყავს მონები: „მონა�ა ასმათისა“ (359, 392), „ასმათის მონა შემოდგა“ (517,2) გამოქვაბულში მყოფი ტარელი მას თავის ჩვეულებრივ მსახურთა შორის განასხვავებს: მყავს „ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანიო“ (590,1).

უგვაროთა ასეთ იგნორაციას ვხსნი ჟანრული სპეციფიკით, რომლის ტრადიცია უძველესიდანვე ნაწარმოების აგებას უშვებდა მხოლოდ მთავარი გმირის პრიმატით, რჩეული პიროვნებით, უმთავრესად, მეფის პერსონაჟით (ჩემი წიგნი, გვ. 101). ამ კონცეფციით „მწერლობის საგანი, კერძოდ კი ლიტერატურული გმირი, შეიძლება იყოს მხოლოდ დიდგვაროვანი პიროვნება...“ (გვ. 99). ერთი სიტყვით, ყოველივე ეს იმითია გაპირობებული, რომ „უგვაროებს ობიექტურად სოციალურ ურთიერთობაში პიროვნული როლი არა აქვს მიკუთვნებული, მათი ხასიათები რუსთაველის შეგრძნებაში ჯერ არ არის გამოკვეთილი და უპიროვნოდაა ნახსენები მონა, მეჯოგე, მენავე, მებაღე, მეკარე, ხელოსანი, ტვირთის მზიდავი“ (გვ. 100).

ჩემი დასაბუთებით, ვეფხისტყაოსანმა ადრე დაამთავრა რაინდული რომანის ჟანრული განვითარების სრულყოფა, რომელიც ევროპისათვის შუასაუკუნეთა დასასრულს დაიწყო, სადაც ეს ჟანრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მოკვდა, რომ ვერ შექმნა მსოფლიო მასშტაბის მსგავსად მნიშვნელოვანი ნაწარმოები (გვ. 261). ამაზე რეცენზენტი შენიშნავს, რომ „გ. იმედაშვილი შეგნებულად ამცირებს დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეთა რაინდული რომანის ჟანრს, მსოფლიო მნიშვნელობას უკარგავს რაინდული რომანის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა „ტრისტან და იზოლდა", „პარციფალი" ვოლფრამ ფონ ეშენბახელისა, კრეტიენ დე ტროუას პოემები და ზოგი სხვაც" (გვ. 120). რეცენზენტს მიაჩნია, რომ ჩემი მოსაზრების გასაბათილებლად საკმარისია, გავეცნოთ ცნობილი რუსი სპეციალისტის რომან სამარინის შესანიშნავ წერილს „შოთა რუსთაველი და XII-XIII საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურული პროცესი" (იქვე).

რა ძალადობაა, — პროფ. სამარინს ამ წერლში სავსებით არა აქვს ქართულ-ევროპული რომანის ცოდნის ის პრეტენზია, რასაც მას ჩვენი რეცენზენტი ამჟამად აწერს. რატომ არ დავეთანხმოთ ევროპული და ქართული შუასაუკუნეთა მწერლობის მცოდნე უცხოელ მეცნიერებს, რომელნიც გამოთქვამდნენ იმ აზრს, რომ ვეფხისტყაოსანი მართლაც სწორუპოვარია ამ ეპოქის მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთი აზრისა იყო ჯერ კიდევ ბროსე. სუტნერის შენიშვნით, „ვეფხისტყაოსანი არის სრული რომანი, აგებული და აშენებული ხელოვნების ყველა მოთხოვნილებათა თანახმად, რუსთაველმა შეადგინა რომანი იმ დროს, როცა ეს ჟანრი ეპიკურის პოეზიისა ჯერ არ არსებობდა ევროპაშიო" (უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე", გაზ. „დროება", 1884, 1, XII, № 259); ბოურას შენიშვნით, XII საუკუნის ფრანგ თუ სპარსელ პოეტებში, „ნიზამის „ლეილმაჯნუნიანის" და „ხოსროვ შირინიანის" მსგავს პოემებშიც კი, სადაც დიდი ვნებები და ფათერაკებია აღწერილი, არაფერია იმ შთაგონების ბადალი, რითაც რუსთაველი ჩამოაყალიბებს მიჯნურობას, როგორც ვაჟკაცობის, აღზრდისა და შთაგონების წყაროს" (მორის ბოურა, ვეფხისტყაოსანი, ჟურნ. „მნათობი", 1959, № 8, გვ. 134-145); რაც უნდა იყოს, ვეფხისტყაოსანთან რა მოსატანია მინეზინგერულ-ტრუბადურული პოეზია თუ ზღაპრულ-ფოლკლორული სათავგადასავლო-სამიჯნურო რომანის რომელიმე გადამუშავება?

ჩემი მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის გმირები „ნაკლებად იტანჯებიან ფიზიკური ტკივილებით" (გვ. 310). რუსთაველი დიდი განცდის ობიექტად არ აქცევს ჭრილობებს, სიკვდილს აღწერს სქემატურად, ზედმეტი მგრძნობელობის გარეშე, ვიდრე გმირთა სულიერ განცდებს. ამას იმით ვხსნი, რომ რუსთაველმა გააუქმა ომი, როგორც ეპოსის მთავარი თემა, სისხლის, ჭრილობების, სიკვდილის რომანტიკა, „უარყო მათი ესთეტიკა", არც ერთი დეტალით უშუალოდ არ გვაგრძნობინებს მათ საშინელებას და ჩვენ არ გვახსოვს არც ერთი სიკვდილი მთელ პოემაში, თავისი შემზარაობით რომ გვაფორიაქებდეს. ეს იმიტომ, რომ რუსთაველმა ადამიანის სიყვარულს გაამარჯვებინა ადამიანის მძულვარებაზე, რომლის სისხლიანი ამბების შემზარავი სცენებით გამოხატვაც მისთვის პოეტური შთაგონების სფეროს არ წარმოადგენს. ამ მხრივ ვეფხისტყაოსანი მკვეთრად განსხვავდება მსოფლიო ეპოსებისაგან, რომელნიც ჩვეულებრივ გამსჭვალულნი არიან სისხლისა და სიკვდილის მოტივებით იმდენად, რომ არაიშვიათად თხზულების იდეას; ფაბულასა და კომპოზიციასაც განსაზღვრავენ. ასე მაგალითად, დიდი ეროვნული ეპოსების ილიადას, მაჰაბჰარატას, შაჰნამეს, აგრეთვე ჩვენი ამირანდარეჯანიანის გმირები უშფოთველი სიამოვნებით შესცქერიან დამარცხებული მტრის სასიკვდილო ტკივილებისაგან წამებას. მათში ბევრია უშუალო ნატურალიზმით აღწერილი ტანჯვის სცენები, ადამიანის შუაზე გახერხვა, გაპობა, შუბზე აგება, ტვინის დანთხევა თუ სხვა მისთ. ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ, რუსთაველს არა აქვს დახატული შემაძრწუნებელი სიკვდილის არც ერთი სცენა. რეცენზენტს რუსთაველის სტრიქონი: „ხრმლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა ნატეხი დასერილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა" (593), საკმარისად მიაჩნია დასკვნისათვის: „ფრიდონი ფიზიკური წყლულებისაგან იტანჯებოდა, შეჭირვებული ტარიელისათვის სავსებით გასაგები აღმოჩნდა ფრიდონის წყლულების სიმწარე, ეს ვერ უგრძნია მხოლოდ სარეცენზიო შრომის პატივცემულ ავტორს" (გვ. 121).

ცხადია, აქ ფრიდონის ერთი ჭრილობა არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, ისე მცირე ჭრილობა გამოდგა რომ „შეუხვიენეს" „დაკოდილნი არ ატკიენეს" (598,2), თან არც ის ჩანს, რომ ტარიელს ფრიდონის წყლულების სიმწარე ეგრძნოს, პირიქით, მან ასე მიმართა ფრიდონს: „არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა" (597). ეტყობა, არც თვითონ ფრიდონი განიცდიდა სიმწარეს, — ცხენით მიჰქროდა, მერე კი ტარიელს გაუჩერდა, მთელი თავგადასავალი უამბო, რის შემდეგ, ჩანს, საჩქაროდ განიკურნა კიდეც. საერთოდ კი მთავარი მაინც ჭრილობის ხასიათი არ არის. აქ უფრო დიდი პრობლემაა — ვეფხისტყაოსნის მოქმედების იმპულსებს ფიზიკური ტკივილები წარმოადგენენ თუ სულიერი?

რეცენზენტი არ იზიარებს ჩემ შეხედულებას ქართული ისტორიული ცხოვრების თავისებური განვითარების შესახებ: „საკვირველია და მოულოდნელი გ. იმედაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ისტორიული განვითარება იყოო განსაკუთრებული, თავისებური და არ ემორჩილებოდა ისტორიული განვითარების ცობილ თუ აღიარებულ სქემას", — „ჩვენ არ ვიცით „ეკონომიური ევოლუციის" რა სქემას, თუ ევროპული წესრიგის რა გზას გულისხმობს გ. იმედაშვილი" (გვ. 113). ამ საკითხს ჩემი წიგნის თითქმის მთელი სამი თავი აქვს მიძღვნილი (73-232 გვ.), სადაც ქართული რენესანსული მოძრაობის ფაქტორების თავისებურებათა დასაბუთებაში არსებითად ვარკვევ ქართული და დასავლურ-აღმოსავლური სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ევოლუციის განსხვავებულობას. რეცენზენტს აქაც ჩემს მსჯელობათაგან ფალსიფიცირებული ციტატით გამოჰყავს ის, რაც იქ არ არის. „სხვაგვარად რომ ვთქვათ, გ. იმედაშვილის მოსაზრებით **შუა საუკუნეთა ქართველი საზოგადოება არ ყოფილა ანტაგონისტურ კლასებად თუ კასტებად დაყოფილი და ამით განსხვავდებოდა ეს საზოგადოება ევროპული განვითარების წესრიგისაგან**" (გვ. 114).

ეს ხაზგასმული წინადადება ჩემ წიგნში დაუმახინჯებლად ასე იკითხება: „ჩვენი ხალხი არა ყოფილა იმდენად დაყოფილი სოციალური, ეკონომიური და რელიგიური ინტერესებით გათიშულ კლასებად თუ კასტებად, რომ განსხვავებულობის გრძნობას ჩაეხშო ეროვნული მეობისა და ერთობის გრძნობა და საზოგადოება ანტაგონისტურ ბანაკებად დანაწილებულიყო" (გვ. 172) — ცხადია, ეს სავსებით სხვა მტკიცებაა.

გ. იმედაშვილის დაკვირვებით, აღნიშნავს ალ. ბარამიძე, „პატრონყმური საზოგადოების წევრები ერთმანეთის მტრებად არ იქეცოდნენ" (გვ. 114). გაუგონარი ფალსიფიკაციაა. მე მაქვს „პატრონყმური დამოკიდებულებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოციალური ფენები სახალხო დოლათის შედარებით მოსათმენ განაწილებაში ერთმანეთის მტრებად არ იქცეოდნენ და ეს იყო ცხოვრების თავისებურება" (ჩემი წიგნი, გვ. 79). აქ არაფერია ორაზროვანი — ქართულ ფეოდალიზმში ყმასა და პატრონს შორის პატრონყმური ურთიერთობით რეგულირებული დამოკიდებულება საზღვარს უდებდა სოციალურ დესპოტიზმსა და განუკითხავ მონობას, რაც საზოგადოებაში ყოველ ფენას აკუთვნებდა მისთვის გარკვეულ ადგილს. აი, ესაა სწორედ ქართული სინამდვილის ერთი ძირითადი თავისებურება ბატონყმური უუფლებობისაგან განსხვავებით, რაც იმის გასარკვევად მჭირდება, თუ როგორ გაიაზრა რუსთაველმა თავისი პოემის გმირთა ცხოვრება სწორედ ამ ქართული პატრონყმური წესრიგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციებით (იხ. ჩემი წიგნი, გვ. 74) იმიტომ, რომ „სხვა ფორმაციის საზოგადოება და იდეოლოგია მაშინ საქართველოში არ არსებობდა“ (იქვე).

პატრონყმური ინსტიტუტის პროგრესული წესრიგის კეთილმყოფელი თავისებურებანი აშკარად განასხვავებენ ქართულ სინამდვილეს, რაც ჩემ გამოკვლევაში საკმაოდაა ნაჩვენები. „დასავლეთში რენესანსმა ბრძოლით მოიპოვა თავისი ადგილი და მისი ჰუმანისტური იდეალები სისხლსა და ცრემლში იყო განბანილი“. ამ სისხლიანი სინამდვილისაგან ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება მართლაც განსხვავდებოდა ადამიანის იდეალით, აზრისა და აღსარების თავისუფლებით, რომელიც რუსთველმა საფუძვლად დაუდო თავისი პოემის ზნეობრივ თვალთახედვას. აქ დიდი განსხვავებაა — „სულის ტანჯვის ის საშინელებანი, რაც გადაიტანა დასავლეთმა — იდეოლოგიური წნეხი, დევნა, მრწამსისა თუ ცოდნისათვის, უცნობი იყო საქართველოში (ჩემი წიგნი, გვ. 172). ჩვენში ადამიანებს თავისუფალი აზრისა და აღსარებისათვის არ აწამებდნენ და არა წვავდნენ. „ქართულ ეკლესიას ქრისტეს სახელით ქრისტიანები არ უდევნია, ქალი არ გამოუცხადებია კუდიანად, ეშმაკად, ბოროტების ჭურჭლად და საერთოდ, ადამიანში არ უძებნია სარწმუნოებრივი განდგომილების დანაშაულობანი. ქართული გონება არ იყო შეპყრობილი დოგმატიზმით, მისტიკით, ღმერთის მაძიებლობით, ფანატიზმითა და სქოლასტიკით. ეს იყო ქართული ცხოვრების თავისებურება, რაც ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში აპირობებდა ადამიანის იდეის შესამჩნევ ევოლუციას“.

რუსთაველის ადამიანის იდეა შესამჩნევი მონაპოვარია შუასაუკუნეობრივი რელიგიური ყალბი სათნოების, ასკეტიზმისა და ფეოდალური სიმკაცრის პირობებში; სიცოცხლისა და სილამაზის სიხარული, ადამიანის ფიზიკური და სულიერი მშვენიერება ის იდეალი იყო, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპული რენესანსის პირველი ხატოვანი იქცა. ეს იდეური ევოლუცია თვითონ ფეოდალიზმის შიგნით არის ქართული ცხოვრების თავისებურება იმ თვალსაზრისითაც, რომ არისტოკრატიზმის სულიერ სრულყოფაში რუსთაველი ადამიანის სულს, ხასიათს, ცხოვრებას ათავისუფლებს ფეოდალური დესპოტიზმისა და რელიგიური დიქტატისაგან. რუსთაველმა დიდი სტილის მხატვრულ აზროვნებასა და სიტყვაში ხორცი შეასხა სრულყოფილი ადამიანის იდეას მაშინ, როდესაც დასავლეთში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მისი ძიებაც კი.

ყველაფერი ეს არის იდეოლოგიის საკითხები. რეცენზენტი კი კითხულობს: „მაინც რა არის ქართული იდეოლოგია?“ (გვ. 114) და შეუმჩნეველი რჩება მთავარი — რა ასპექტებით უკავშირდება ქართული იდეოლოგიის ხანგრძლივი ევოლუციის პროცესს ვეფხისტყაოსნის ორგანული მოვლინების თანაზომიერება ჩვენი კულტურის ისტორიაში? მას ისე გამოჰყავს, თითქოს ქართველობის იდეოლოგიად თავისთავად არისტოკრატული პრივილეგიების დაცვა მიმაჩნდეს (გვ. 114). ამ ყალბი შთაბეჭდილების შექმნას რეცენზენტი ცდილობს დანაკლულებული ციტატის ტენდენციური განმარტებით.

ჩემს მსჯელობას იმაზე, რომ ქართულ სახელმწიფოსა და ვეფხისტყაოსნის საზოგადოებაში მმართველი წრე დიდგვაროვან-მემამულური არისტოკრატიული სამხედრო ფენაა (იქვე, გვ. 75, 76), მოსდევს დასკვნა: საგვარეულო მამულის, არისტოკრატიული პრივილეგიის დაცვის იდეით იყო გამსჭვალული ყოველი ნაწარმოები ჩვენი ეროვნული აზრის გამოხატულებაში. ამდენადვე პატრონყმური წესრიგის დაცვა და იდეალიზაცია არის ქართული ეპოსის პირველი თემა და რუსთაველიც დიდი მხატვრული სრულყოფილობით გამოხატავს ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველაზე მაღალ საფეხურს. რაინდული სწრაფვების, პიროვნული ღირსების, პატრონისათვის ერთგული საშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურის, მამულის სიყვარულის იდეალებით.

ესაა ერთი რეალური ნიადაგი ქართული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, ვეფხისტყაოსნის იდეური სარჩულიც და აქ არისტოკრატიული პრივილეგია ეროვნული ისტორიისა და ეპოსის სინამდვილეა. რეცენზენტი კი ცდილობს, აქაც რაიმე საეჭვო დაინახოს: „აბა, როგორ შეიძლება, განურჩევლად სოციალურ-კლასობრივი სხვაობისა, საზოგადოდ, ქართველობის იდეოლოგიად იქნეს მიჩნეული, ვთქვათ, არისტოკრატიული პრივილეგიის დაცვა“ (გვ. 114). მაგრამ სულ სხვაა „დაცვის იდეაზე იყო აშენებული“ და სხვაა „არისტოკრატიული პრივილეგიების დაცვა იყო ქართული იდეოლოგია“. რა არის „აბდულმესიანისა“ და „თამარიანის“ იდეოლოგია? — იგივე, რაც ვეფხისტყაოსნისა, მხოლოდ სხვა ლიტერატურულ სტილსა და მოტივებში, მაგრამ რუსთაველი სძლევს ვიწრო წოდებრივ შეგნებას, გამოდის არისტოკრატიზმის განსაზღვრულობიდან და ქადაგებს თავისი დროისათვის ადამიანის ყველაზე პროგრესულ იდეალს.

ქართული იდეოლოგიის საკითხებზე მსჯელობასთან დაკავშირებით რეცენზენტი ერთ კერძო დანაშაულშიც „მამხელს“: „გ. იმედაშვილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყენებს მეცნიერულად ისეთ არა ზუსტ ცნებებსა და გამოთქმებს, როგორიცაა „ქართული იდეოლოგია“, „ქართული სული“, „ქართული შთაგონება“, „ქართული ფიქრი“, „ქართული განცდა“, „ქართული შემეცნება“, და მისთანანი, მათ შორის „ქართული საუკუნეც“ (გვ. 114). თუ მეცნიერებაში ამ ცნებათა გამოყენების პატივს რეცენზენტი მხოლოდ მე მაკუთვნებს, დიდ ქებად უნდა მივიჩნიო და არა ბრალდებად. განა კულტურის, მწერლობის, აზროვნების გაგებას ისევე არ განსაზღვრავს ეროვნული სული, როგორც ეროვნული სტილი? მაგრამ, ცხადია, არა ის სული, ენგელსს ცრურწმენათა გადმონაშთად რომ მიაჩნდა და რასთანაც რეცენზენტი ახლა აიგივებს იმ სულს, რომელიც არსებობს ხელოვნებაში. აი, ამ სულის (geist) გარეშე არ არსებობს კულტურის შესამჩნევ დონეს მიღწეული არც ერთი დიდი თუ პატარა ერი. გოგოლმა თქვა, რომ პუშკინში გამოიხატა რუსული სული. თანამედროვე ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე ა. მორტონის შენიშვნით, შელორის „არტურის სიკვდილში“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის, რასაც ინგლისელები ბრიტანული სულის ცნებაში ათავსებენ. თუ ამ ლაკონიური თქმების სავსებით ცხადი და ღრმა აზრის მეცნიერული მნიშვნელობა რეცენზენტისათვის საეჭვოა, მაშინ ტყუილად ვეცდები, კიდევ დავიმოწმო კულტურის სხვა მოღვაწენი. მაშ, ცდებოდა აკად. კ. კეკელიძე, როდესაც სწორედ ქართული კულტურის საკითხებზე მსჯელობისას ასკვნიდა: „ქართველთა მხატვრულმა გენიამ შესძლო ამგვარი თხზულების ეროვნული შემოქმედების ბრძმედში გადადნობა და თავის მიზნებისათვის გამოყენება. ასეთ თარგმანებში „მთარგმნელებს“ შეჰქონდათ ეროვნული ქართული სული, ეროვნული იდეოლოგია“ (მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები, 1, 1955, გვ. 197). მაშ, რა ღირებულება ჰქონია არტურ ლაისტის შენიშვნას, რომ რუსთაველი განასახიერებს ქართველი ერის კეთილ სულს (საქართველოს გული, თბილისი, 1927, გვ. 115), ან რა ვუყოთ აზერბაიჯანელ პოეტს რასულ რზას: „ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვესმის, ვხედავთ და ვგრძნობთ ქართული სულის არსებობას“ (ჟურნ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 3).

რეცენზენტი ნიშნის მოგებით არა ერთხელ აცხადებს: „ქართული შთაგონება, ცხადია ვერაფერს გვიხსნის“ (გვ. 118). „რა შეიძლება აქ იყოს სპეციფიკური ქართული“ (გვ. 114); მას ყველაზე მეტად საეჭვოდ ეჩვენება ჩემი გამოთქმა „ქართული საუკუნე“.

„ქართულ საუკუნეს“ ვუწოდებ ხანას 1122-1222 წლებს შორის, ე. ი. დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წელს თბილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის აღებიდან, 1222 წელს ლაშა გიორგის გარდაცვალებამდე. ზუსტად ამ ერთ საუკუნეში აღდგა, პოლიტიკურად გაძლიერდა და კულტურულად აყვავდა დამოუკიდებელი და გაერთიანებული საქართველო. თუ 1122 წელს ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობა დაიწყო, 1222 წელს ლაშას გარდაცვალებამ ჩვენს ისტორიაში დაამთავრა დიდი მეფობის ბედნიერი ხანა, რასაც მონღოლების შემოსევაც დაემთხვა და ქართული სახელმწიფოს დანგრევაც. აქ არაფერია გაუგებარი, მოგონილი და გადაჭარბებული.

გ. იმედაშვილი „თაეს ესხმის (უმისამართოდ) იმათ, ვინც საქართველოს აზიის სფეროს კუთვნილებად თვლის" (გვ. 113). მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრის აზიიდან დასავლეთ ევროპაში გადანაცვლებით შეიცვალა ხალხებისა და კულტურების ფორმირების კრიტერიუმიც. თანამედროვე გაგებით ქართველები აზიელები არიან. როგორ და რა დროის აზიაზეა მსჯელობა და რომელი ასპექტით ვიგებთ ამ ცნებას გეოგრაფიული, ანთროპოლოგიურ-ეთნოგრაფიული, პოლიტიკურ-სოციალური, კულტურული და ვისთვის ვართ აზიელები?

უფრო მეტი საფუძველია ვაღიაროთ, რომ სოციალური ცხოვრებით, ფსიქიკით, ხასიათით, ტიპით ქართველები აზიელები არ არიან და ქართული კულტურა თავისი სტილით არ არის აზიური კულტურა. მაგრამ ისინი არც ევროპიელები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ აზიისა და ევროპის ცნებები ჩვენი ტიპის განსაზღვრაში აუცილებელ საზომს არ წარმოადგენენ. ამიტომაა, რომ წიგნში გარკვეულად აღვნიშნავ: ვეფხისტყაოსნის „შემქმნელი ერი თავისი სოციალური წყობით, აზრითა და გემოვნებით ისევე არ არის ევროპიული სამყაროს კუთვნილება, როგორც აზიისა. ამიტომ დროა უარვყოთ სავსებით მოძველებული და მცდარი გაგება საქართველოს, ქართველი ერისა და მისი კულტურისა, როგორც აზიური „ინამდელისა" (გვ. 13).

საკმაოდ ნათელია თუ რაზეა ლაპარაკი, მაგრამ რეცენზენტი წინააღმდეგობის შემნევას ცდილობს და კითხულობს: თუ საქართველო ნამდვილად ევროპული სფეროს ქვეყანაა, მაშინ, „უნებლიედ იბადება კითხვა, რაღა ეს ევროპული ქვეყანა ასცდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სწორედ „ევროპულ წესრიგს" (გვ. 113).

ეს წინააღმდეგობა მხოლოდ ჩემ მსჯელობათა არაზუსტი ციტირებისა და ტენდენციური განმარტების შედეგია. სად არის აქ ნათქვამი, რომ „საქართველო ნამდვილად ევროპული სფეროს ქვეყანაა?!" რეცენზენტს ავიწყდება, რომ წერილის .115-116-ე გვერდებზე ოვითონვე აქვს შენიშნული: „გ. იმედაშვილის თანახმად საქართველო თავისი კულტურით მსოფლშეგრძნებით, მხატვრული აზროვნებით, მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით მკვეთრად განსხვავდება როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სამყაროსაგან" (დამოწმებულია ჩემი წიგნის გვ. 119). ეს მოსაზრება ჩემთვის თანმიმდევრულია და მსგავსი შეხედულების გავითარებაა ისიც, რომ „პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციით ქართული გონება მთლიანად არ ერწყმოდა არც აღმოსავლურ-სპარსულ, არც დასავლურ-ბიზანტიურ სინამდვილეს" (გვ. 118), „მან თავი დააღწია როგორც დასავლურ ქრისტიანულ დოგმატიზმს, მისტიციზმსა და ასკეტიზმს, ასევე გადაურჩა აღმოსავლურ ფანატიზმსა და დესპოტიზმს" (იქვე). ათასეული წლები აზიის ხალხებთან ვიყავით დაკავშირებული, მაგრამ აზიელებად მაინც არ ვიქეცით, ჩვენი ისტორიული შეგნება მაინც დასავლურ გზას ამჯობინებდა.

რეცენზენტის შენიშვნით, სრული ანაქრონიზმია, თითქოს რუსთაველის ეპოქაში საქართველო დიდად ყოფილა დაწინაურებული, ევროპიელი ხალხები კი ის იყო ბარბაროსობის მდგომარეობიდან გამოდიოდნენ (გვ. 113). აქ რომ არავითარი ანაქრონიზმი არ არის, ბოლომდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გავერკვეთ, ვის როგორ ესმის შუასაუკუნეები, კულტურა, ბარბაროსობა და რა მიზანი აქვს ამ მსჯელობას. მე ვამბობ: „რუსთაველმა თავისი ხალხის კულტურა დიდი ერის გზაზე დააყენა იმ საბედისწერო დროს, როდესაც თუ ევროპის ხალხები ბარბაროსობიდან გამოდიოდნენ, საქართველო, უკვე დიდი კულტურის მქონე, მონღოლურმა შემოსევებმა მოსწყვიტეს განვითარების ლოგიკურ დინებას...“ (ჩემი წიგნი, გვ. 10).

აქედან ცხადია, რომ ჩემი მიზანია უმთავრესად ქართველი ერის იმ კატასტროფის წარმოდგენა, რის გამოც ავცდით შესაძლებელი განვითარების მსოფლიო ცივილიზაციის გზას და ჩამოვრჩით თვით ეროვნული კულტურის დონესაც. მანამდე კი, როდესაც საქართველოში იწერებოდა ფილოსოფიური ტრაქტატები, შავთელის, ჩახრუხაძის, რუსთაველის მაღალმხატვრული თხზულებანი, სპარსეთი კი ბრწყინავდა ფირდოუსის, რუდაქის, ხაიამის, ნიზამის სახელებით, — მსგავსი არაფერი იყო ევროპაში და მისი ხალხები შედარებით ბიზანტიასთან თუ მაშინდელ მოწინავე აღმოსავლურ ქვეყნებთან საკმაოდ ჩამორჩებოდნენ სოციალური ცხოვრებით და მეცნიერებისა და ლიტერატურის დონით შორს იყვნენ იმ დროიდან, როცა „ევროპეიზმი“ კულტუროსნობის სინონიმად უნდა ქცეულიყო, იმიტომაც, რომ მთლიანად არ იყვნენ განთავისუფლებული ბარბაროსული ინსტინქტებისაგან. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ სწორედ XII საუკუნის ისეთი განათლებული პიროვნება, როგორიც იყო ანა კომნენი, მაგ., გერმანელებს ჩვეულებრივ იხსენიებს, როგორც ბარბაროსებს (1968, გვ. 109).

ცნობილი ისტორიკოსის დილის შენიშვნით შუასაუკუნეთა ევროპიელ რაინდებს წარმოდგენა არა ჰქონდათ არათუ განათლებულ საკარო ცხოვრებაზე, არამედ სამხედრო დისციპლინაზედაც კი. კულტურის ისტორიიდან ცნობილია, რომ სწორედ ამ ხანებში ევროპის ხალხები უმთავრესად არაბთა მეოხებით ეზიარნენ ცივილიზაციისა თუ ეკონომიკური პროგრესის მრავალ სიკეთეს — ზუსტ მეცნიერებებს, საქალაქო ცხოვრების კეთილმოწყობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის მიღწევებს; აქ ნახეს მათ ისეთი რამ, როგორიცაა ტკბილეულობა — შაქარი, ხილი, ვარდყვავილების კულტურა, ღვინო; ფუფუნების საგნები — ფართლეული, ხალიჩები, სარკე; — ფილოსოფიისა და ლიტერატურის გავლენაზე რომ აღარაფერი ითქვას. რამდენი რამ დარჩა დასავლეთში თვით შუასაუკუნეთა დასასრულამდე ბარბაროსული, რომლის ნიმუშად საკმარისია აღვნიშნოთ ევროპის ქვეყნებში საერთოდ გავრცელებული თუნდაც შანთის სამართალი და ფიზიკური სასჯელის ჭეშმარიტად ბარბაროსული და სამარცხვინო საშუალებანი?

ევროპული ბარბაროსობა, სხვა არა იყოს რა, კარგად დაამტკიცეს თვით ჯვაროსნულმა ომებმა, რომელთაც ძარცვა-გლეჯითა და ხოცვა-ჟლეტით წარმოუდგენელი უბედურებანი მოუტანეს შუასაუკუნეებს. ამ ხანის ევროპის სისხლიანი ისტორია, ხალხების დამონებითა და განადგურებით, კულტურისა და მეცნიერების დევნით, რელიგიური მძულვარებით, ფანატიზმითა და ცრუმორწმუნეობით გამოწვეული ომებითა და ინკვიზიციით, — ეს იყო ბარბაროსობის გამოვლინება, რომელმაც ათეული მილიონობით ადამიანი შეიწირა. ისტორიამ არ იცის ბარბაროსობის უფრო დიდი გამოვლენა, რომელსაც ადამიანი რელიგიის, ჰუმანიზმისა და კულტურის სახელით შერიგებოდეს. მისი ველური ინსტინქტების, სარწმუნოებრივი ფანატიზმისა და სოციალური დესპოტიზმის დაძლევა მხოლოდ ბარბაროსობიდან გამოსვლას მოსდევს.

მსგავსი წამოდაებისათვის რეცენზენტი არ ერიდება, ალმაცერად შეხედოს ჩვეულებრივი ეროვნული სიამაყის გამოხატულებასაც კი: „ქართველობა, საზოგადოდ, განმარტავს გ. ბმედაშვილი, თურმე გატაცებული იყო „დიდების მოხვეჭის წყურვილით, ამიტომაც მისდევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო სამხედრო საქმეს, ხოლო სამაგიეროდ, ასევე საზოგადოდ, „ქართულ ცხოვრებაში“ ოდიოზური ყოფილა ვაჭრობის საქმე“ (გვ. 100, 107), ამით აიხსნებაო „ვაჭრული წრის იგნორაცია ქართულ სახელმწიფო ცხოვრებასა და სოციალურ ურთიერთობაში“ (გვ. 114).

ჯერ ქართულ ხასიათში სახელის მოხვეჭისადმი განსაკუთრებული ლტოლვის შესახებ. მოვიგონოთ თამარის მხედართმთავართა განცხადება: „თუ-იგი ვინმე მაშინ იყვნეს მძებარნი სახელთანი და თამდებნი თავისანი ისტორიის ქებისანი შესხმათასა, აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა, და შემსხმელთა, დავაძუელნეთ და დავარცხვინეთ ჰომთა და მოვიგონნეთ... ვინმე გმირნი გოლიათნი სახელის მძებრობისათვის არამრიდნი სიკუდილისათნი...“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 69, 70). ამ მხრივ საყურადღებოა ვახუშტისეული დასახასიათება ქართველებისა: „საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა... უხვნი, არცა თავისსა და არცა სხვისას კრძალვენ, საუნჯეთა არა მმეჭველნი... სიკეთის დამსწავლელნი და მომგებელნი, სირცხვილის მძევარნი... დიდების მოყვარენი... (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 31, 32). აქ არაფერს არა სჭირდება განმარტება, მით უმეტეს რუსთაველის თქმას: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

თქმა არ უნდა, ჩვენში ვაჭრობის აშკარა ათვალწუნებაზე ისიც მოქმედებდა, რომ ქართველობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა, მამულის მფლობელი არისტოკრატია სამხედრო საქმით მეტად იყო გატაცებული, ვიდრე სიმდიდრის დაგროვებით. „ქართველი კაცი ბოლომდე ვერ ჩამოშორდა მიწას, რომ ნამდვილი მოქალაქე გამხდარიყო და ზიარებოდა ვაჭრობა-მრეწველობის სიკეთეს“ (ჩემი წიგნი, გვ. 104), მაგრამ ვაჭრული წრის იგნორირებას ძირითადად მაინც იმით ვხსნი, რომ მისი ძირითადი შემადგენლობა ჩვენში არ ყოფ ადგილობრივი და ქართველმა ვაჭარმა თავის ქვეყანაში ვერ აჯობა უცხო ტომის ვაჭარს. ფაქტი ის არის, რომ „ქართულ ქალაქებში ვერ შეიქმნა ეროვნული ვაჭართა კლასი. ჩვენში ვაჭრობა ვერ იქცა საჭირო წარმატებით მოწყობილ ეროვნულ მეურნეობად, ვერ შეიქმნა ქართველი ვაჭრის ტიპი. და ვაჭრულხელოსნური ფენები ვერ ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, თუმცა ცალკეულად ჯსებობდნენ ვაჭრები და სავაჭრო კოოპერაციებიც (იქვე).

ამ ფაქტებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ვაჭრობას არ შეუსრულებია და არც შეეძლო საქართველოში ისეთივე მნიშვნელოვანი როლის შესრულება, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, სადაც წვრილმა ხელოსნებმა და ვაჭარ-მრეწველებმა შემდეგ უშუალოდ წარმოშვეს ბურჟუაზიის წინა თაობა, რომელმაც ახალი საფეხური შექმნა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა.

საქართველოში ეროვნული სავაჭრო მეურნეობის სათანადო მოუწყობლობა ადრევე ყოფილა შენიშნული. კასტელის ცნობით, როდესაც ლევან დადიანმა იმერეთი დალაშქრა, კონტრიბუციის სახით ებრაელები და სომხები წაასხა სამეგრელოში დასასახლებლად, რომ ვაჭრობის საქმე მოეწყოთ. XVIII საუკუნის მიწურულს ალ. ამილახვრის „სახელმწიფოს მართებულობაში“ ვაჭრობის საჭიროების დასაბუთებიდანაც კარგად ჩანს თუ ჯერ კიდევ როგორ იყვნენ ხალხში ათვალწუნებული ვაჭრობის მოსაქმენი: „არა არს ეგრეთ განმამდიდრებელ და განმაძრიელებელ სახელმწიფოსა, ვითარ სიმრავლე ვაჭართა და ვაჭრობა მათი, რომელნი მოვლიან ყოველსა სოფელსა და შემოჰკრებენ ყოველგნით კეთილსა მამულსა თვისსა და დამჭირნოსა და ცხოვრებისათვის კაცთასა. ამისათვის ხამს ცდა გამრავლებისა მათისა და გახალისება მათი საქმეთა შინა მათთა და ნურცა ვინ შეურაცხჰყოფს სახელმწიფოსა შინა მათ, რომელნი შეინახვიან სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრეთ ჯარისა, შემმოსელ ერისა და დიდებად მეფისა“ (თავი „ვაჭართათ-ვის“). ცხადია, ეს სავსებით ეწინააღმ-დეგება ამპარტავნულ განწყობილებას, რომელიც ხალხურ ლექსში ასევე გამო-ხატული:

„ქართველს შეურცხვეს დავთარი,
სომეხსა ხმლისა წვერია“.

საქართველოში ვაჭრობის შეფერხე-ბული მდგომარეობა კარგად გვიჩვენებს, რომ რუსთაველი არ იყო დიდად იმპულ-სირებული სავაჭრო ყოფის ფართო სუ-რათების გამოსახატავად. ამისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმისაც, რომ ეპო-სი ჟანრულად ვერ იქცა განვითარებული ქალაქური ცხოვრების ამსახველ ტილოდ, მიუხედავად იმისა, რომ მისი გმირები ქალაქებსა და სასახლეებში ცხოვრობ-დნენ (ჩემი წიგნი, გვ. 101).

ამიტომაა რომ ვეფხისტყაოსნის სა-ზოგადოებაში დიდი ვაჭრის უსენის მკრთალი ფიგურა ჩრდილში დგას, აქ-ტიურად კი მისი ცოლი მოქმედებს, რაც, ცხადია, არ იძლევა ისეთი დასკვნის საფუძველს, თითქოს „თუ არ ვაჭრული საზოგადოება, ნესტანი თავს ვერ დაიხს-ნიდა“ (გვ. 115). უსენ-ფატმანის გამო-ჩენა სიუჟეტური ხვეულის პირობითო-ბაა და აქ მთავარი მაინც ისაა, რომ რუსთაველი პოემაში ერთი-ორი უგვარო პერსონაჟის შემოყვანით, არავითარ დათმობაზე არ მიდის მთელი კლასის მიმართ. რუსთაველი ხატავს თავისი პატრონყმური სახელმწიფო იდეალის შესაბამისად მტკიცე ოჯახური ურთი-ერთობის წესრიგს და ის თავის წრეში არ უშვებს მაგ., სამკუთხიანი ტიპის ღალატის სქემაზე აგებული ოჯახის არ-სებობას იმ ფორმით, რომლისთვისაც პოეტმა მხოლოდ ვაჭრის ოჯახი გაიმე-ტა: ეჭვიანი ქმარი, მოღალატე ცოლი, საყვარელი. ეს მოტივები უმთავრესად ფეოდალიზმის დანგრევის შემდგომი ეპოსის მომდევნო ჟანრის — რომანის ფორმაში ვითარდებიან.

ეჭვი არ არის, ოდიოზურ სიტუაცია-ში ყოფნა ფატმანსაცა და უსენსაც რუს-თაველმა მხოლოდ იმიტომ დააკისრა, რომ მათ პატრონყმური საზოგადოების სინამდვილეში ის როლი არა ჰქონდათ, რომელსაც ალ. ბარამიძე ვაჭრებს აკის-რებს, იმიტომაც, რომ ვეფხისტყაოსნის საზოგადოებისათვის უცხოა ვაჭრის სოციალური ინსტინქტი და მისი მორა-ლურ-ეთიკური იდეალები ანომალიას წარმოადგენენ.

ვეფხისტყაოსნის საზოგადოებაში ღმერ-თის ადგილის, რუსთაველის მსოფლმ-ხედველობისა და, საერთოდაც, ჩვენი წარსული ცხოვრებისათვის ქრისტიანო-ბის როლის გარკვევის ცდას რეცენზენ-ტი მათ გაიდეალებად მითვლის (გვ. 113). თუ ჩვენ ქრისტიანული კულტუ-რის ხალხი ვიყავით და მასთან მართ-ლმადიდებლები, რასაც იმისათვის ჰქო-ნდა მნიშვნელობა, რომ თავის დროზე საბერძნეთსა და ბიზანტიას დავუკავშირ-დით, ქართული სამეფოს დასასრულს კი რუსეთის გზა ავირჩიეთ, ეს რეალური ფაქტებია და მათ ახსნაში ქრისტიანო-ბის ისტორიული როლის აღნიშვნა; ობიექტური მოვლენებია და არა გაიდე-ალება.

რუსთაველის შემოქმედება ქრისტია-ნული ეთიკისა და მორალის ობიექტუ-რი გარემოცვის კვალს ატარებს, მაგრამ „როგორც მოაზროვნე, ქრ ტიანული თეოლოგიის დოგმებით არ იყაზღვრება და ვეფხისტყაოსნის ადამიანებიც არ არ-იან შებოჭილი ღმერთით“ (ჩემი წიგნი, გვ. 80). როგორც აკად. კ. კეკელიძემ შენიშნა, რუსთაველს „ქრისტიანობა არ უშლის ხელს დარჩეს თავისი დროის დიდ ჰუმანისტად და მოწინავე პროგრე-სულად მოაზროვნე ადამიანად“ (ქართუ-ლი ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 209). მაშასადამე, რუსთაველისათ-ვის ქრისტიანობა არ არის ეკლესიური ინსტიტუტის ის რიტუალური უაზრო-ბა, თეოლოგიური სქოლასტიკა და მი-თოლოგია, რომელიც, დღეს განათლებუ-ლი კაცობრიობის ათეისტური კრიტი-კის საგანია.

საკმარისია გადავიკითხოთ გამოკვლე-ვის 9-ე, 80-ე, 180-ე და 154-ე, 157-ე, 159-ე, 160-ე 163-ე 165-ე 166-ე 167-ე,

170-ე, 188-ე, 195-ე გვერდები, რომ ყოველი ობიექტური მკითხველი დარწმუნდეს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ჩემ გაგებაში ინტერპრეტირებული რუსთაველის ღმერთი და ქართული ქრისტიანობა და ეკლესია მათ გაიდეალებად თუ ქებად ჩამეთვალოს.

ჩემი ცდა უპირატესად იმის მტკიცებაა, რომ ვეფხისტყაოსანში „ადამიანური არსებობა ღმერთის გარემოცვით ძალდატანებული არ არის და რუსთაველი თავის გმირებს ღმერთის ძიებითა და პირობითობებით არ აწვალებს" (გვ. 154), რომ „რუსთაველი აუქმებს ღმერთის მისტიკას, ადამიანი გამოჰყავს რელიგიური ფსიქოზისაგან" (გვ. 163), რომ „რუსთაველმა ადამიანის საკითხი გადაწყვიტა არსებითად ღმერთის გარეშე" (გვ. 155).

რატომ უნდა ყოფილიყო პოეტისათვის აუცილებელი ღმერთის არჩევანი, თუ ის საზოგადოდ გულგრილი იყო ღვთაებისადმი და არ ცნობდა მის ავტორიტეტს? (გვ. 113). ამ კითხვას რეცენზენტი იგონებს, რომ შემდეგ დაასკვნას: „გ. იმედაშვილი წინააღმდეგობათა ხლართშია გაბმული". მაგრამ ამ კითხვის პასუხს მის მიერვე ციტირებული ჩემი მოსაზრება შეიცავს იმის შესახებ, რომ „თუ რელიგიურ მოძღვრებათა გარემოცვაში მყოფი პოეტისათვის ღმერთის არჩევანი მაინც აუცილებელი იყო, ყველა შესაძლებელ რელიგიათა სამყაროში ქართველი ადამიანისა და რუსთაველისათვის ყველაზე ახლობელი და გასაგები უნდა ყოფილიყო სიყვარულის იდეით მოსილი ქრისტიანული ღმერთი, რომელიც ადამიანს არ ბოჭავს, არ აშინებს და არ იმონებს" (ჩემი წიგნი გვ. 150).

ამიტომ გარკვევით შევნიშნავ: „რუსთაველს არაფერი ჰქონდა საერთო ეკლესიასთან" (გვ. 9) იმ გაგებით, რომ რელიგია, ამ შემთხვევაში ქრისტიანობა, მისთვის წარმოადგენს მხოლოდ ზნეობრივ დოქტრინას და მისი იდეოლოგიიდან იღებს მხოლოდ იმას, რაც ხელს არ უშლის პოეტის ჰუმანიზმის კონცეფციას. ეს იმას ნიშნავს, რომ რელიგიური ინდიფერენტიზმის მიუხედავად, რუსთაველს ღმერთი სჭირდება ადამიანისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ ვერავითარი გენიოსი XII-XIII საუკუნეებში ვერ დაწერდა ეპიკურ პოემას და ვერ გაიაზრებდა ადამიანს ისე, რომ არ დასჭირებოდა ღმერთი. ღმერთის სახის დახატვისას რუსთაველთან საეჭვო არაფერია: „კაცსა ღმერთი არ გასწირავს" (589,4), „ღმერთი მოწყალეობს" (914,3), „ნუ გეშის ღმერთი უხვია" (931,3), „ღმერთი გფარავს" (1046,4), „ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს" (1389,4), „ღმერთი კარგსა მოავლინებს" (1492,2).

ყოველივე ამის შემდეგ უსაფუძვლოა რეცენზენტის შენიშვნა: „ასეთ დიდ პრინციპულ საკითხზე", როგორიც არის ვეფხისტყაოსნის ღმერთის რაობა „გ. იმედაშვილი განცხადებით კმაყოფილდება" (გვ. 112). ვინ კმაყოფილდება განცხადებით, ეს კარგად ჩანს თუნდაც რეცენზენტის მართლაც იმ ლიტონი განცხადებიდან, თითქოს ვეფხისტყაოსანში ვაჭრობის პრობლემა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ღმერთისა. ფაქტი კი ის არის, რომ ღმერთი პოემაში 220-ჯერაა ნახსენები, ვაჭარი, დიდვაჭარი, ვაჭრობა, ვაჭრული, სავაჭრო, უვაჭრული — ყველა ერთად — მხოლოდ 34-ჯერ.

რეცენზენტი დიდ დანაშაულად მითვლის იმასაც, რომ ქრისტიანობას ვუწოდებ „ადამიანის რელიგიას", მაშინ, როდესაც მაჰმადიანობას „ღმერთის რელიგიას" (გვ. 113), რომ ნებას ვაძლევ თავს, პირდაპირ ვლანძღო მაჰმადიანობა, როგორც „ფანატიზმის და დოგმატიზმის ყველაზე უწიგნური და უადამიანო რელიგია".

როგორ გავიგოთ რელიგიური ფანატიზმი, და ისიც მაჰმადიანური ფანატიზმი, თუ მისი უწიგნურობა შედარებით ქრისტიანობასთან? ქრისტიანობა პრინციპში ადამიანის შემეცნებაა. ბიბლიური თეზა „შექმნა ღმერთმან კაცი ხატად თვისად" შეთვისებული ახალ აღთქმაშიც (მათე 19, 4, მარკოზ 10,6;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 კორინთელთა 11, 7; კოლასელთა 3, 10), რუსთაველმა გაიაზრა როგორც ღვთისაგან შექმნილი „სახე ყოვლისა ტანისა“ და „ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. „ხატად თვისად“ ადამიანის აღიარება, ადამიანისა და ღმერთის დაახლოება, ღმერთის გაადამიანურება იყო მთავარი მიღწევა ქრისტიანობისა, რასაც მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა ჰუმანისტური იდეალების ევოლუციაში“ (გვ. 179).

მაჰმადიანობა ძირითადად ალაჰის შემეცნებაა, რომელშიაც ღმერთის იდეა აუქმებს ადამიანის იდეას, რაც თავისთავად მისივე ფანატიზმის პირობას წარმოადგენს. და თუ მაჰმადიანობამ ქრისტიანობას რაიმეთი „აჯობა“, მხოლოდ შეუდარებელი ფანატიზმით. განა ისლამიზმის პრიმიტიული და კომპილაციური თეოლოგია ოდნავადაც შეედრება ქრისტიანიზმის მდიდარ თეოსოფიას?

ქართულ ცხოვრებაში მაჰმადიანობა არ იყო სარწმუნოებრივი თუ კულტურული ორიენტაციის პრობლემა და ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ძველ ქართულ მწერლობაში შეიქმნა ორიგინალური ანტიმაჰმადიანური ლიტერატურა, თუ ქრისტიანობა ჩვენთვის იყო აღსარების პრობლემა და ეროვნულ რელიგიად იქცა, რამაც მთლიანად ჩვენ კულტურას განსაკუთრებული კვალი დაატყო, მაჰმადიანობა ყოველთვის იყო უცხო, არასოდეს არა ყოფილა რწმენის, არჩევანის, რელიგიური თვითშეგნების საგანი და მასთან მხოლოდ პოლიტიკური გამოუსავლობა თუ ძალადობა გვაკავშირებდა.

ქართული რენესანსის საკითხებზე ჩემეული მსჯელობებიდან რეცენზენტს მოჰყავს თავბოლო მოწყვეტილი ციტატა: იმედაშვილის ფიქრით „რენესანსი ქრისტიანული სამყაროს მოვლენაა“ და აღშფოთებით შენიშნავს: „ეს მეტისმეტია“ (გვ. 117, 118). ამასთან იმ მოსაზრების გასამტკიცებლად, რომ ჰუმანიზმი და რენესანსი არ შეიძლება იყოს უპირატესად ქრისტიანული ქვეყნების კუთვნილება, იშველიებს კონრადის ავტორიტეტს, რომლის დაუმსახურებელი მოწიწების მაგალითს გვიჩვენებს. ეს მეცნიერი ხომ ჩინური რენესანსის თეზას ასაბუთებს და თავისი არგუმენტაციით ძლიერ შორსაა რუსთაველის შემეცნების რაიმე ასპექტისაგან რენესანსის ისტორიაში?

ჩემ დასაბუთებაში ჰუმანისტური იდეალების ჩამოყალიბებისათვის ქრისტიანული სიყვარულის ღმერთის მნიშვნელობაზე მსჯელობა გრძელდება ფრაზით: „ამ თვალსაზრისით რენესანსი ქრისტიანული სამყაროს მოვლენაა, რომლის შიგნითაც იდეათა ფორმირების ხანგრძლივ პროცესში ადამიანის ნებისა და აზრის უფლება გამოიკვეთა (გვ. 179, 180); და შემდგომ: „ცხადია, ადამიანის იდეა არ იყო მხოლოდ ქრისტიანობის დამსახურება, მისი არც დაცვისა და არც უარყოფის ფორმაში, მით უმეტეს, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ ღვთისმოსავობის დევიზით ასკეტიზმში ჩაჰკლა ადამიანურობა და ადამიანის თავისუფლების იდეა აქცია მისივე დათრგუნვად და დამონებად“ (იქვე), მაგრამ ქრისტიანობამ, ყველაზე ცხადად რელიგიათა შორის, ადამიანი გამოაცხადა უმაღლეს ქმნილებად ღმერთის შემდეგ და ეთიკური სრულყოფის იდეალებით გზა გაუკაფა მისი პიროვნების ევოლუციას. ამ გაგებით წარმოუდგენელია მუსლიმანური რენესანსი, რამდენადაც მისი ღმერთი ადამიანის შეგნებაში მკვიდრდება შიშით და შეზღუდვებით; მაჰმადიანობამ ყველგან, სადაც კი გავრცელდა, ღმერთის აბსოლუტით წარმოშვა დესპოტური საზოგადოება, პიროვნება დატოვა რელიგიურ მონებაში და ჩაჰკლა აზროვნება. იმიტომ იყო, რომ აღმოსავლეთმა ვერასოდეს ვერ დაამთავრა აზროვნება ვერც ერთი მსოფლმხედველობის სისტემაში და თითონ მაჰმადიანური ქვეყნებიც მუსლიმანობამ ჩამოარჩინა მსოფლიო ცივილიზაციის დონეს.

რეცენზენტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „გ. იმედაშვილი აღმაშფოთებელ ნიჰილიზმს იჩენს მთელი ე. წ. აღორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძინების პერიოდის ქართული მწერლობის მიმართ". ამ ბრალდებას იმით ასაბუთებს, თითქოს ე. წ. აღორძინების პოეზიაზე ვამბობდე, რომ ის მთლიანად: „მოსაწყენი ერთფეროვნებითა და დიდაქტიზმით მოსასმენი ამბავია, ან რითმისა და საზომის მთხზველთა ვარჯიში", და ბოლოს იმასაც ასკვნის, რომ „ამის თქმა სერაპიონ კედელაურის, არჩილ ბაგრატიონის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ბესიკის შემოქმედებაზე ან უვიცობაა, ან ცილისწამებაა" (გვ. 122).

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მსგავსი არაფერია ნათქვამი ან საგულისხმებელი ჩემ წიგნში,. სინამდვილეში ჩემი მსჯელობა პოეტური კულტურის დაცემის შესახებ ეხება ე. წ. აღორძინების ხანის სხვა პერიოდს (გვ. 408), რაც დავით გურამიშვილს, სულხან-საბა ორბელიანსა თუ ბესიკს არ გულისხმობს. პირიქით, მაგ., დავით გურამიშვილის განსაკუთრებულ როლზე ქართული პოეზიის ისტორიაში აღნიშნული მაქვს, რომ მან სწორად განჭვრიტა თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების ტკივილებში პოეტური გემოვნების დეკადანსი, გამოხატული თემატიკურ სქემატიზმსა და ფორმის ტრაფარეტულობაში და შეძლო თავის შემოქმედებაში პრაქტიკულად გადაეჭრა რუსთაველის შემდეგ ქართული პოეზიის წინაშე მდგარი ამოცანები. მიუხედავად რუსთაველისადმი უდიდესი მოწიწებისა, გურამიშვილმა თავი დააღწია მისი ლექსის ტყვეობას და ქართულ პოეტურ სიტყვას განსხვავებული ვერსიფიკაციული ჩარჩოები და ელერადობა მოუნახა, რითაც ქართული პოეზია განვითარების გზაზე შეაყენა (გვ. 428-429). აქედან ჩანს, რომ XVI-XVII საუკუნეების პოეტური სიტყვის კრიზისზე ჩემი მსჯელობის გადატანა XVIII საუკუნის ქართულ პოეტურ კულტურაზე უსაფუძვლოა და სრული გაუგებრობაა დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის ან ბესიკის ჩაყენება კედელაურის, თეიმურაზისა თუ არჩილის მწკრივში.

რომელ პერიოდზეა მსჯელობა? არ შეიძლება რაიმე ორაზროვნების დაშვება, მით უმეტეს, პირდაპირ მაქვს აღნიშნული: „რუსთაველის შაირის საზომის გაბატონება XVI-XVII საუკუნეთა მთელ ქართულ პოეზიაში, ერთფეროვანი გახადა ლექსი, ისევე როგორც მხატვრულ საშუალებათა სტერეოტიპულობამ გააღარიბა სტილი" (ჩემი წიგნი, გვ. 427), რომ „XVI-XVII საუკუნეებში ბოლომდე ვერ გაიგეს კლასიკური პოეზიის ვერც სტილი, ვერც შინაარსი. პოეზია იქცა სათავგადასავლო მოტივების გალექსვად, პოეტური შთაგონება ცრუ პათეტიკად, ამბისა და რითმის კეთებად, მხატვრული სახე ტრაფარეტულ მეტაფორა-ჰიპერბოლად" (გვ. 428). ამ ხანის პოეტების ლექსებში არის საზომები, რითმები, ამბები, მაგრამ არ არის პოეზია, რომელიც ღირსი იქნებოდა რუსთაველის მემკვიდრეობისა". ამის თქმას რეცენზენტი ნიჰილიზმად მითვლის... იმის საილუსტრაციოდ კი თუ მართლაც რა არის აღმაშფოთებელი ნიჰილიზმი, იძულებული ვარ, რეცენზენტს გავახსენო თუ თვითონ ალ. ბარამიძე რას წერდა მათზე: „თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში სატრფიალო მოტივი განყენებული შაბლონის შთაბეჭდილებას ტოვებს" (ბესიკი, 1962, გვ. 061), „თეიმურაზი ჩვეულებრივად იმეორებს უკვე შტამპად ქცეულ და გაქვავებულ მზამზარეულ გამოთქმებს, ეპითეტებს, მეტაფორებს" (თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 210), „რითმის მიზნით ძალიან ხშირად შეუწყნარებლად ამახინჯებს კიდეც სიტყვების წესიერ ფორმებს (იქვე, გვ. 210-211), „არა იშვიათად პოეტს იტაცებს უმგვანო ბარბარიზმები და უცხო ტერმინებსა და გამოთქმებს მოურიდებლად ერეკება ფრაზაში" (იქვე); „თეიმურაზმა თავისი მაჯამებით ხელი შეუწყო ლექსის აზრობრივ-შინაარსობრივი მხარის დაჩრდილვას, ლექსის შინაარსის გაბუნდოვანებას. თეიმურაზმა ზოგჯერ ერთმანეთისაგან გათიშა ლექსის ფორმა და შინაარსი, ფორმის საჩარგებლოდ და ში-

ნაარსის საზიანოდ" (გურამიშვილის ადგილის შესახებ ქართული პოეტური აზროვნების ისტორიაში, „ლიტერატურული გაზეთი", 1955, 14, № 41, გვ. 3).

ბესიკი „გაბატონებული საზოგადოებრივი გემოვნების ჭაობშია მოქცეული" (ბესიკი, 1932, გვ. 054). მის შემოქმედებას „არისტოკრატიული წრის იდეური სიღარიბე საზღვრავს" (იქვე, გვ. 056), „გაყინული პოეტური ფიგურალობა, გაყალბებული თქმები, გაბერილი რეზონერობა, გრძნობის სიყალბე, სიტყვის სიჩლუნგე" (გვ. 061). მისი სატრფიალო პოეზია საღ შინაარსისაგანაა დაცლილი" (იქვე, გვ. 57), „სატრფიალო მოტივი განყენებული შაბლონის შთაბეჭდილებას ტოვებს" (იქვე, გვ. 058), „საერთო ასპექტში ფუქსავატი ეროტიკის და ნებიერი ჰედონისტის შთაბეჭდილებას ტოვებს" (იქვე, გვ. 068), წარმოადგენს „ეროტიკულ-ისტერიკულ ბოდვას" (იქვე, გვ. 057), „ხასიათდება ცხოველი ეროტიკის ნიშნით და ქალის ძუძუების სრესას ისახავს უმაღლეს პოეტურ მიზნად" (იქვე, გვ. 056).

ყოველივე ამის შემდეგ არც ის უნდა გაგეკვირდეს, რომ ალ. ბარამიძემ ქართული სევდის დიდი პოეტი გურამიშვილი ასე შეურაცხყოს: „გურამიშვილი თავს იძვრენს... რომანტიკული ილუზიები, სამშობლოს სამსახური, ზნეობრივი იდეალები ნაფლეთებად იქცა გამოწვდილი მსუქანა და გემრიელი ლუკმის წინაშე. ამისათვის ტყუილად იკატუნებს თავს პოეტი..."

აი, ასე ახასიათებს ალ. ბარამიძე ქართული პოეზიის და, ამასთან, სრულებით არ ეუხერხულება, ჩემი ნიჰილიზმისაგან დაიცვას იგი. მაგრამ თავად მის მიერ ქართული პოეზიის ეს დაუნდობელი გაკილვა სავსე ცილისწამებით მხოლოდ ნიჰილიზმია თუ გაუგონარი მკრეხელობა? ერთი ცხადია, რომ ყოველივე ეს მოკლებულია ელემენტალურ ეთიკას და არა მგონია, რომ ციტირებული სტრიქონების ავტორობა ამჟამად ალ. ბარამიძისათვის დასანანი არ იყოს. მაგრამ რა ვუყოთ? დაბეჭდილი ველარ ამოიფხიკება, ვერ დაიმალება... სხვისი შეცდომების მძებნელი თვითონ უნდა იყოს სამაგალითოდ უმწიკვლო და მართალი. დიდი ხანია ნათქვამია: „რასა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?" (მათე, 7,3).

„მკვლევარი ვერ დაიქადნის ნაშრომის იდეური სიღრმითა და სიწმინდით" (გვ. 112), ამას ისე გაბედულად ასკვნის რეცენზენტი, თითქოს მისი ნაშრომები იდეური სიღრმითა და სიწმინდით იყვნენ ცნობილი და არა პირიქით. ჩანს, ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის იდეოლოგიური სიწმინდე. თვითონ წინამდებარე რეცენზიის ხასიათი და, საერთოდაც, ალ. ბარამიძის ცვალებადი შეხედულებანი და დამოკიდებულება ზაკითხებთან, მწერლებთან თუ მკვლევარებთან, თავისთავადაც ცხადს ჰყოფს თუ რა ღირებულება აქვთ მისთვის იდეური სიღრმისა და სიწმინდის ცნებებს და მე უბედურებად არ მიმაჩნია, რომ ჩვენ მათზე ერთნაირი წარმოდგენა არა გვაქვს, თუნდაც იმ მხრივ, რომ მას ადვილად ეხერხება იდეებისა და შეხედულებების შეცვლა.

ასევე უსაგნოა რეცენზენტის შენიშვნა: „გ. იმედაშვილი ვერ გამოდგება ქართველი ხალხის ცხოვრების ობიექტურ მეშატიანედ" (გვ. 114). ვინ იქნება ღირსი ერის ხსოვნაში ამ საპატიო სახელისა, ამას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, ეს მომავლის საქმეა. პირადად ამაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ, და არც იმას ეცდილობ, რომ ეს სახელი დროის „კვალობაზე" სხვების ნაშრომებში იდეოლოგიური შეცდომების მოძებნითა თუ მავანთა უსაფუძვლო ქებით მოვიპოვო, რის მაგალითი არა-ერთხელ უჩვენებია პატივცემულ რეცენზენტს იმის შესაბამისად თუ რა თანამდებობა, მდგომარეობა და გავლენა ჰქონდა ამა თუ იმ მწერალს, მკვლევარს და რა ღირებულება ექნებოდა დროების თვალში წამოჭრილ საკითხს...

თავის დროზე დიდი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ალ. ბარამიძემ რუსთაველის ერთადერთ სამართლიან მკვ-

ლევრად ფილიპე მახარაძე გამოაცხადა, რომლის მოსაზრებანი ვეფხისტყაოსანზე მხოლოდ იმით გამოირჩეოდნენ, რომ მათში უარყოფილი იყო ქართული პოემის დიდი ღირებულება — ქართველები ვეფხისტყაოსნის თაყვანისცემაში აჭარბებენ, საქართველოს წარსულს აზვიადებენო („კვალი", 1896, № 26, გვ. 464). ფ. მახარაძე „კადნიერ უვიცებს და ბრმა თაყვანისმცემლებს" უწოდებდა იმათ, რომელნიც რუსთაველის ბრძნულ აფორიზმებში ჰუმანიზმისა და პროგრესული შეხედულებების გამოხატულებას ხედავდნენ. ის დასცინოდა ქართველებს — „ყოველივე ჭეშმარიტების აღმოჩენას შოთა რუსთაველს და ქართველობას მიაწერენო" („კვალი", 1896, №25, გვ. 442). აბუჩად იგდებდა მოსე ჯანაშვილს, რომელიც „ილია ჭავჭავაძესაც რამდენიმე ბუნდოვან სიტყვების წარმოთქმისათვის ნესტან-დარეჯანის შესახებ მკვლევარს უწოდებს" (იქვე, VI, №27, გვ. 484-486).

ფ. მახარაძის, როგორც რუსთველოლოგის სამართლიან დავიწყებას ალ. ბარამიძე დიდ დანაშაულად უთვლიდა „რუსთველისტთა მრავალრიცხოვან ფალანგას" (ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო, გვ. 130-131) და სწუხდა, რომ მახარაძის გამოსვლა დარჩა „ხმად მღაღადებლად", მის მოწოდებას არავინ გამოეხმაურა; ეს ალ. ბარამიძემ იმის ნიშნად ჩათვალა, თითქოს „რუსთველოლოგია განაგრძობდა ერთი ადგილის ტკეპნას" (იქვე, გვ. 131).

მაგრამ ალ. ბარამიძემ ფ. მახარძეს თურმე მხოლოდ სიცოცხლეში აამა, მას შემდეგ კი, რაც მახარაძე გარდაიცვალა მის მოხსენიებას აღარავინ დამიფასებსო, მაშინვე დაივიწყა თავის მიერვე აღმოჩენილი და საგანგებოდ შექებული მკვლევარი და არც ერთხელ აღარ ახსენა თავის 528 გვერდიან შემაჯამებელ-მიმოხილვით, რამდენჯერმე გამოცემულ მონოგრაფიულ ნარკვევშიც კი „შოთა რუსთველი და მისი პოემა" (1966), რომელშიაც ხუთასამდე მკვლევარი და მწერალია დასახელებული.

მეორე მხრივ, აკად. ნ. მარის ყოფის დროს, მის ლანძღვას დამსახურებად ჩამითვლიანო, ალ. ბარამიძემ ყველაზე გამეტებით გასწირა. დაუნდობლად შეაჩვენა და შეურაცხყო ოდესღაც თავის მოძღვრად მიჩნეული მეცნიერი, რომლის შეხედულებებსაც მანამდე ლოცვანივით იმეორებდა. მარის ნაშრომებში მან ერთბაშად აღმოაჩინა „არა მარტო ცალკეული, უხეში შეცდომები, არამედ მძიმე შეცდომა მთელი სისტემა" (იხ. ნ. მარის შეცდომების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების გაშუქებაში, „ლიტერატურული ძიებანი", 1953, VIII, გვ. 35). ალ ბარამიძემ მათში დაინახა: „ბურჟუაზიული ობიექტივიზმის, ანტიმარქსისტული, ვულგარული სოციოლოგიზმისა და ვულგარული მატერიალიზმის მეთოდზე აგებული ნაშრომები" (იქვე, გვ. 36), ერთი მეორესთან შეუთავსებელი და ერთი მეორის გამომრიცხავი მოსაზრებები (იქვე), „აკვიატებული და ყალბი თეორიები" (იქვე, გვ. 38), მათი „საზიანო გავლენა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებაზე" (იქვე, გვ. 51), „აღმოსავლეთის წინაშე ქედმოხრის მავნე ტენდენციები" (იქვე), „მთელი ძველი ქართული ლიტერატურის თვითმყოფი დამოუკიდებელი ღირებულების ნიჰილისტური უარყოფა" (იქვე, გვ. 39), „რასაც უმსხვერპლა ვეფხისტყაოსნის ბედიც" (გვ. 38).

ღვაწლმოსილი მეცნიერის გაუპატივებაში ალ .ბარამიძე არ დაერიდა იმის თქმასაც, რომ „ნ. მარმა იკადრა მეცნიერისათვის სრულიად შეუფერებელი საქციელი" (გვ. 42), თითქოს მან „...უკანა რიცხვით მოიგონა კორექტურული შეცდომა" (გვ.43).

ალ. ბარამიძემ აკად. ნ. მარს არ აკმარა ლანძღვა და საჭიროდ სცნო მისი თითქოს დაუმსახურებლად მაქებართა დადანაშაულებაც: „ჩვენში მარს როგორც ქართული კულტურის მკვლევარს ხშირად ძალზე გაზვიადებულად და უკრიტიკოდ აფასებდნენ" (გვ. 47) და მეც მომინახა დანაშაული, —დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერად მიაჩნდაო; ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ახლა, პირიქით, მე მისაყვედურებს — მარის რუსთველოლოგიურ ღვაწლს ივიწყებსო (რეცენზია, გვ. 111). მართლა ვივიწყებ თუ არა აკად. ნ. მარის დიდ ღვაწლს ვეფხისტყაოსნის შესწავლაში, ეს ჩანს როგორც ჩემი ამ გამოკვლევიდან, ასევე 1941 წელს გამოცემული წიგნიდან — „რუსთველოლოგია, ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა", რომელშიაც მაქვს მთელი თავი: „მარის პერიოდი რუსთველოლოგიაში" (გვ. 94-128).

სარეცენზიო წიგნში რუსთველოლოგის კიდევ არაერთი საკითხის დასმა-გადაწყვეტა იქნება საკამათო, ორჭოფულად გასაგები. ასეთია ვეფხისტყაოსნის იდეური სარჩული, სოციალური გარემო, მხატვრული კონსტრუქცია და სხვა მისთ: როგორაა გადასაწყვეტი ვეფხისტყაოსნის ჟანრის პრობლემა მის ლირიკულ თუ ეპიკურ ფორმათა შერწყმაში, რასაც არ იზიარებს რეცენზენტი? (გვ. 120). მართლა ყოელად უსაფუძვლოა „ესე ამბავი სპარსულის" ჩემეული გაგება, როგორც რომანის ჟანრისა? (გვ. 120), როგორ უნდა გაეიგოთ ავთანდილის ვაჭრულ ტანისამოსში გამგზავრება? (გვ.115), საეჭვოა, რომ ვეფხისტყაოსანი ლირიკული ეპოსია? და სხვა მისთანანი. ეს საკითხები ცალკე მსჯელობის საგანია და დაძაბულ პოლემიკაში ვერ გადაწყდება.

რა ითქმის უცნაურ შენიშვნაზე, თითქოს „მოცალეობის, როგორც ტოლობის მნიშვნელობის იმედაშვილისეული გაგება დამარწმუნებლად არის დარღვეული ე. ხინთიბიძის მიერ" (გვ.120)?...

ლაპარაკია ვეფხისტყაოსნის 23, 2 ტაეპში „სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყრმე და მოცალეობა" სიტყვა „მოცალეობის" მნიშვნელობაზე. მას იგებდნენ როგორც მოცლილობას. ჩემის დასაბუთებით, ის ნიშნავს მიჯნურის ცალს, ტოლს, შესაფერისს, თანასწორს. ასეთ გაგებას ვეფხისტყაოსანში ადასტურებს 772-ე სტროფის მეოთხე ტაეპიც: „სიყვარული სიყვარულისა შეგიცალო, შეგიწონო" (ვეფხისტყაოსნის „მოცალეობა", კრებ. შოთა რუსთველს, 1966, გვ. 290-295). ეს დაკავშირებულია რუსთაველის სიყვარულის მთელ თეორიასთან, რის მიხედვითაც შეყვარებული ყველა შესაძლებელი ღირსებით შეყვარებულის ცალი, ტოლი, თანასწორი უნდა იყოს.

ე. ხინთიბიძის მტკიცებით, ძველ ქართულში „მოცალეობა" გონებრივი მოღვაწეობისათვის მიძღვნილ დროდაა გაგებული, როგორც არისტოტელეს ეთიკური კონცეფციის ცნება, — მოცალეობა, რომელსაც „პიროვნების ფიზიკურ-ზნეობრივ სიკეთეთა შორის „მთავარი ადგილი უჭირავს და ის, როგორც „შემეცნებისათვის განთავისუფლებული დრო, ანუ შემეცნებით მოღვაწეობაში გატარებული დრო არის ნეტარების უმაღლესი პროცესი", „ადამიანური ნეტარების უმაღლესი სახეობა" („ვეფხისტყაოსნის" ერთი ეთიკური ცნება, კრებ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 52, №1, 1968, გვ. 267). მაგრამ თუ შემეცნებით მოღვაწეობაში გატარებული დრო იქნება მიღებული რუსთაველის გმირთათვის, სადღა დარჩება ადგილი მიჯნურობისათვის? ესეც რომ დავუშვათ, მაშინ რაღად აბსენებდა რუსთაველი მიჯნურის აუცილებელ თვისებად ცალკე „სიბრძნეს"? განა „გონებრივ-შემეცნებითი მოღვაწეობა" იგივე სიბრძნის პროცესი არ არის? და პირიქით, თუ სიბრძნე უკვე აღინიშნა, რა შემეცნებით-გონებრივ პროცესებსა და მოღვაწეობაზე შეიძლება კიდევ ილაპარაკოს რუსთაველმა, რომელიც სათქმელს ერთხელ და მოკლედ ამბობს!..

„უკვე საკმარისი მასალა დაგროვდა იმისათვის, რომ გ. იმედაშვილმა გადასინჯოს თავისი შეხედულება მზის გაგების თაობაზე ვეფხისტყაოსანში საზოგადოდ, კერძოდ კი „მზიანისა ღამისას" მნიშვნელობაზე (გვ. 122). ამ საკითხზე ჩემი გამოკვლევის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ყურადღება უმთავრესად გამახვილებულია „მზიანი ღამის" თეოსოფიური სიმბოლიკის ახსნაზე, მაგრამ როგორც უნდა გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდეს ამ უცნაური შესიტყვების გაგება, ამით მაინც არ მოიხსნება მისი ასტრალური საფუძვლის პრობლემა, რამდენადაც ბუნებაში რეალურად არსებული ასტრალური მოვლენისაგან ეძლევა დასაბამი ამ თქმას, რომელსაც მხოლოდ შემდეგ შეუმუშავდა რელიგიასა და ფილოსოფიაში სხვადასხვა შინაარსის სიმბოლო. ამიტომ, იმის მიუხედავად, თუ როგორ იქნება ინტერპრეტირებული „მზიანი ღამის" მნიშვნელობა ფილოსოფიასა, რელიგიასა თუ პოეზიაში, მისი წყარო მაინც ასტრალურ მეტაფორათა სინამდვილეა (მზიანი ღამე ვეფხისტყაოსანში, კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1953, VIII, გვ. 141-152). ამ თვალსაზრისით, მ. გიგინეიშვილის ნაშრომმა ნათელი გახადა, რომ „მზიანი ღამე" ნონსენსი არ არის, როგორც ეს გ. ნადირაძეს და სხვებს ეგონათ (მანანა გიგინეიშვილი, „მზიანი ღამე" ვეფხისტყაოსანში და ქართული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, კრებ. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, 1968, გვ. 11). რაც შეეხება იმას, თითქოს „სამართლიანად არის მითითებული, რომ დაუღამებელს, წარუვალ ნათელს, „მზიან ღამეს" შორეული კავშირიც კი არა აქვს ფიზიკურ მოვლენასთან, „პოლარულ მზესთან" (იქვე, გვ. 10), ეს ჯერ არც დამტკიცებულია და არც ისე ნათელი, რომ უფრო ჩაღრმავებული კვლევა აღარა სჭირდებოდეს. მე ახლაც ვფიქრობ, რომ „მზიანი ღამის" ასტრალური საფუძველი და მისი რელიგიურ-ფილოსოფიური სიმბოლიკა ერთმანეთს არ უპირისპირდება, ისინი ერთმანეთს ადასტურებენ — ასტრალური მეტყველებიდან მეტაფორის გზით განვითარდა სიმბოლიკის ყველგვარი ასპექტის ინტერპრეტაცია.

რეცენზენტი ცდილობს, მკრეხელად გამომიყვანოს: „წარმოიდგინეთ გ. იმედაშვილი თვითონ რუსთაველსაც დებს ბრალს, ვითომც ტარიელის ქცევა თათბირზე და ხვარაზმშაჰის შვილის მკვლელობის ეპიზოდი ვერ არის (ან არ არის) მხატვრულად მოტივირებული, რომ აქ (ზოგჯერ სხვა შემთხვევაშიც) რუსთაველი „ჩვეული მხატვრული დამაჯერებლობით არ გვიხატავს ამბის ვითარებას" (რეცენზია, გვ. 119).

აქ გამოთქმა „არ არის დახატული" შეცვლილია გამოთქმით „ვერ არის დახატული", რითაც სავსებით სხვა შინაარსი ეძლევა ჩემ მტკიცებას. **ვერ დახატა.** ნიშნავს ვერ შესძლო, **არ დახატა** — საჭიროდ არ სცნო.

მსგავსი „დაბრალება" აქვს მიზნად რეცენზენტის შეხსენებას, რომ „გ. იმედაშვილის მონოგრაფიაში შესამჩნევია ძველ შეხედულებათა გამოძახილი და ტარიელის აუგად მოხსენიების რეციდივები: ვითომც ტარიელმა პასიურობა გამოიჩინა ნესტანის გათხოვების თაობაზე გამართულ თათბირის დროს და თითქოს „თათბირის შემდეგაც ტარიელის ქცევა ბოლომდე უაზრო" (გვ. 119). მიმაჩნია, რომ ტარიელი მართლაც პასიურად მოიქცა თათბირზე, — იმას ხომ თვითონვე ამბობს „ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მოკრთებოდა" (512, 4), აკი ნესტანიც უსაყვედურებს: „შენ ჯდომილხარ საკაზიროდ, შენი ჰრთულა ამის ნება" (525, 2).

ახლაც მიმაჩნია, რომ დაკარგული შეყვარებულის პოვნისათვის ტარიელს უკაცურ ადგილებში კი არ უნდა ეხეტიალა, ადამიანებისაგან გაქცეულს გამოქვაბულში კი არ უნდა ეცხოვრა, პირიქით, მათთან ახლოს ყოფნითა და მათი დახმარებით უნდა ცდილიყო მიზნის მიღწევას. ამ თვალსაზრისითაა ტარიელის ქცევა „უაზრო", რომელიც ყოველთვის არ ემორჩილება გონებას. სწორედ ამაშია რუსთაველის ცოდნა ადამიანისა, — ის ხატავს მიჯნურს, რომელსაც ყოველთვის გონებით რომ ემოქმედა, აბსტრაქტული გმირი იქნებოდა და არა ადამიანი. ამ გაგებით, ეს „უაზრობა" შედის მის ქცევაში, როგორც ემოციების გამოხატულება და აქ საკუთარ და დასაბრალებელი არაფერია.

გაგებისათვის ყველაფერია გასაგები — ეიმს მსჯელობაში არაფერია დასაბრალებელი, მით უმეტეს რუსთაველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისათვის, იმის სანიმუშოდ კი, თუ მართლაც რას მიშნავს ერის სათაყვანებელი პოეტისათვის ბრალის დადება, რეცენზენტს მოვაგონებ თუ ერთ დროს ვინ აცხადებდა საკუთარი არაორაზროვნად: „ვეფხისტყაოსანში ერთ ცხად შეუსაბამობასაც აქვს ადგილი". დაინტერესებულ მკითხველს ამის შესახებ ვრცლად შეუძლია ნახოს დედანში (ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო, გვ. 167). ისიც დაბრალება იყო, რომ რუსთაველი „არისტოკრატიის უმაღლესი წრის იდეოლოგია" (იქვე, გვ. 169), რომ რუსთაველი პედანტურ-ფანატიკურად იცავს ფატუმს, რომლის აღიარება რელიგიური ცრუმორწმუნეობის ერთ-ერთი უსაძაგლესი ფორმაა (იქვე, გვ. 152). გამოდიოდა, რომ რუსთაველი ცრუმორწმუნეობის უსაძაგლეს ფორმას იცავდა...

მოიპოვება წვრილმანი შენიშვნები, რომლებშიც რეცენზენტი ცდილობს ცნებების, ტერმინების, ტექსტების თუ სხვა მასალის უცოდინარობაშიაც დამადანაშაულოს. მაგ., გამოთქმა „ვეფხისტყაოსნით სულდგმულობს ქართველი ერი რვაასი წლის განმავლობაში" (ჩემი წიგნი, გვ. 69), რეცენზენტს შეცდომად მიაჩნია: „დაახლოებით რვაასი წლის წინათ უნდა დაბადებულიყო რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი კი უფრო გვიან შეიქმნა" (გვ. 122). მიღებულია, რომ როდესაც საუკუნეებითა და რვაასწლობითაა ანგარიში, იქ ეპოქის განსაზღვრისათვის ათეულ წლებს მნიშვნელობა არა აქვს. ვეფხისტყაოსანისადმი ეს გამოთქმა სწორი რომ არ იყოს, 1966 წელს რუსთაველის დღეებში როგორ აღინიშნებოდა, რომ „შოთა რუსთაველის გენიამ არ იცის დროისა და სივრცის საზღვრები. რვა საუკუნემ არათუ რაიმე დაუკარგა მის პოეტურ და ფილოსოფიურ ნააზრევს, არამედ, პირიქით, უფრო გააბრწყინა და გაადიდა" (სიტყვა საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრილობაზე, ჟურნ. „მნათობი", 1966, № 9 გვ. 7); როგორ აღნიშნავდა აკად. ავლიპ ზურაბაშვილი „მთელი რვაასი წლის მანძილზე ქართველი ერი ვეფხისტყაოსნით ხელმძღვანელობდა" (პერსონოლოგიის პრობლემები შოთა რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანში, 1970, გვ. 99), რომ „შოთა რუსთაველის გენიამ რვა საუკუნის წინათ ვეფხისტყაოსანში ჩააქსოვა ადამიანის შესანიშნავი სახეები..." (იქვე, გვ. 98). მით უმეტეს, სამოცზე მეტი წლის წინათ ილია ჭავჭავაძე ვერ იტყოდა „ვეფხისტყაოსანს ქართველი ერი შვიდასი-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის" (ქვათა ღაღადი..., 1899, გვ. 59). ვერც კიტა აბაშიძე შენიშნავდა: „რვა საუკუნის განმავლობაში რუსთაველმა ბევრი დევნა და შეურაცხყოფა ნახა" (ცხოვრება და ხელოვნება, „სახალხო გაზეთი", 1910, 28 ივლისი, № 63, გვ. 3). აქედან ცხადია, რომ ანბანური სიზუსტე უაზრობაა ეპოქების საუკუნეობრივ განსაზღვრაში, მაგრამ ასეთია რეცენზენტის ულმობელი პედანტიზმი — ის წვრილმანით უკეთ სულდგმულობს!..

ალ. ბარამიძეს ისე გამოჰყავს, თითქოს „თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკიდან „ვიმოწმებ" მხოლოდ განსვენებულ მწერალ პ. პავლენკოს და მის „საგაზეთო წერილს", რომელშიაც, ჩემი თქმით, „საფუძვლიანად ყოფილა დამტკიცებული, რომ ვეფხისტყაოსანი საშუალო საუკუნეთა პირველი რეალისტური ნაწარმოებია" და სხვა (გვ 112).

აქ რამდენიმე გაუგებრობაა: ა) მხოლოდ პავლენკოს არ ვიმოწმებ. ბ). მე მაქვს არა „საფუძვლიანად ყოფილა დამტკიცებული", არამედ „საფუძვლიანად მტკიცდება". გ) . აქ „მტკიცდება" არა ნიშნავს „დამტკიცებას" სიტყვიდან „მტკიცება" — დასაბუთება, არამედ განმტკიცება, სიტყვიდან „სიმტკიცე". განსხვავება დიდია. დ.) მე არაფერს არ ვაცხადებ უკვე დამტკიცებულად, არამედ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ლიტერატურულ კრიტიკაში თანდათან აღიარებას პოვებს, საფუძვლიანი ხდება. I. „საფუძვლიანად მტკიცდება" გულისხმობს არა პავლენკოს, არამედ

ეროვნული

მთელ ლიტერატურულ კრიტიკას. ვ. არც თვითონ პავლენკოს და არც არავის არაფრის დამტკიცება არ მიეწერება. ციტატა ასე იკითხება: „მსოფლიო ლიტერატურული მიმართებით ვეფხისტყაოსნის მაღალი შეფასება თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაშიც უკვე საფუძვლიანად მტკიცდება", საერთოდ მტკიცდება ის შეხედულება, რომ ვეფხისტყაოსნის ზოგადი საკაცობრიო იდეალები მას მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშად აქცევენ (გვ. 241-242). მთელი კონტექსტით ნათელია, რომ ეს მსჯელობა მიემართება არა პავლენკოს, არამედ საერთოდ „ლიტერატურულ კრიტიკას", მით უმეტეს, რომ იქვე შიშმარიოვსაც ვიმოწმებ.

„მონოგრაფიას ახასიათებს ორიგინალურობის დაჩემების ძლიერი ტენდენციაო" (გვ. 110). ყოველი გამოკვლევა ორიგინალური უნდა იყოს, საკუთარ ძიებათა განზოგადება და არა სხვის მიერ მოპოვებული შედეგების გადამეორება, მიმოხილვა, სხვის დებულებათა კრიტიკით მიღებული დასკვნები. ობიექტური მკითხველი დარწმუნდება, რომ ჩემ წიგნში რუსთაველზე გამოთქმული მოსაზრებანი კი არ იჩემებენ ორიგინალურობას, არამედ ორიგინალურ გადაწყვეტებს წარმოადგენენ, რომელთაც რეცენზენტი არ იზიარებს სწორედ იმიტომ, რომ ახალია, ტრაფარეტული არ არის, არ ჰგავს იმას, რაც მუდმივ მეორდება და სწორედ ესაა საკამათო. რას ნიშნავს—ნაკლებ იკვლევსო?! თუ ნაკლებ ვიკვლევ, დეკლარაციებით ვკმაყოფილდები, მაშინ რეცენზენტი ვის დებულებებს უარყოფს? თუ არ ვიკვლევ, — უცნაური დასკვნები საიდან გამომაქვს? მეთოდოლოგიური ხასიათის მძიმე შეცდომებს როგორღა ვუშვებ?

ჩემი მოსაზრება, რომ „ბიზანტიურიდან შესრულებულ თარგმანებს ოდნავადაც ვერ შეედრებიან სპარსული თუ სხვა ენებიდან გაკეთებული თარგმანები" (გვ. 119), რეცენზენტს მიაჩნია „მეთოდოლოგიურად არასწორ შეპირისპირებად" (გვ. 117), თან მისწორებს: „ბერძნულიდან (და არა ბიზანტიურიდან". რამდენი რამ არის აქ გაბუნდოვანებული, მით უმეტეს აკად. კეკელიძის ერთი შენიშვნის დამოწმება: „მგონია, სახარების ტექსტზედაც კი არ გაუწევიათ ძველი დროის ქართველებს იმდენი სარედაქციო მუშაობა, რამდენიც მეთვრამეტე საუკუნეში გასწიეს „ქილილა და დამანას" ტექსტზე, განსაკუთრებით ვახტანგ მეექვსემ და სულხან-საბა ორბელიანმა" (მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები, I, 1956, გვ.193).

ა) ბიზანტიუერი ენა რომ არ არსებობს, ეს ყველამ იცის, მაგრამ არსებობს ბიზანტიური ლიტერატურა, რასაც ვგულისხმობ გამოთქმაში „ბიზანტიურიდან შესრულებულ თარგმანებს". ეს უსაფუძვლო რომ იყოს, აკად. ს. ყაუხჩიშვილი არ დაუშვებდა სათაურს: „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი" (გეორგიკა, ტომი მეშვიდე, 1967, გვ. 3-69). ბ.) რა შუაშია მეთოდოლოგიურად არასწორი შეპირისპირება? — სასულიერო ლიტერატურის ძეგლები უფრო დიდი რაოდენობით შემოგვრჩა, ვიდრე საერო, — ბიზანტიურიდან უფრო მეტია ნათარგმნი, ვიდრე სპარსულიდან — აი, ეს მაქვს აღნიშნული. გ.) მსჯელობა რუსთაველის ეპოქას ეხება და არა XVIII საუკუნეს, როდესაც ითარგმნა „ქილილა და დამანა; დ. კ. კეკელიძის გამოთქმა ფიგურალურადაა გასაგები. თუ მას ანბანურად გავიგებთ, შეცდომას მივაწერდით დიდ მეცნიერს, რომელმაც ყველაზე კარგად იცოდა, რომ ქართული სახარების ტექსტზე, ვიდრე გიორგი მთაწმიდელის კანონიკური ტექსტი შეიქმნებოდა, საუკუნეობრივად მიმდინარეობდა სარედაქციო მუშაობა. ცხადია, ამ მუშაობას ოდნავადაც ვერ შეედრება ყველაფერი ის, რაც „ქილილა და დამანას" თარგმანზე ვახტანგ მეექვსემ და სულხან-საბა ორბელიანმა იშრომეს. სხვა არა იყოს რა, ქართულად სახარების ათამდე რედაქცია მოგვეპოვება, სწორედ ასეთი ინტენსიური მუშაობა იყო ნაგულისხმე-

ვი, როცა აღვნიშნავდი, რომ „ქართული ცოდნა-განათლებისათვის ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგს მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ბერძნულ-ბიზანტიური კულტურა წარმოადგენდა, რაც თვალსაჩინოა ინტენსიური ლიტერატურული ურთიერთობით“ (ჩემი „წიგნი, გვ. 119).

„გ. იმედაშვილი სრულიად უმართებულოდ ხმარობს ისეთ ისტორიულ-ლიტერატურულსა და კულტურულ ტერმინს, როგორიცაა კლასიციზმი, რუსთაველის ეპოქას, მეთორმეტე საუკუნეს იგი უწოდებს „ჩვენ კლასიციზმს“, ან „ლიტერატურულ კლასიციზმს“, თუმცა გვხვდება გამთქმა „კლასიკური მწერლობა“. — „მკვლევარი აქაც ურევს ორ სხვა და სხვა ცნებას“ (გვ. 118).

გამოთქმაში „ქართული კლასიციზმი“, „ჩვენი კლასიციზმი“ თავისთავადაც საგრძნობია, რომ „კლასიციზმი“ როგორც ტერმინი გამოყენებულია პირობითად მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისაგან განსხვავებით და, ამდენადვე, რომაულ-ბერძნული ტრადიციებიდან გამომდინარე, ფრანგულ-იტალიური ლიტერატურული კლასიციზმის, როგორც ხელოვნების გარკვეული თეორიის გაგების მთლიან ანალოგიას არ შეიცავს, მაგრამ ქართულისათვის გვაკლია ტერმინი, რითაც ჩვენი კულტურის ისტორიაში უნდა აღინიშნოს, სწორედ „კლასიკურისაგან“ განსასხვავებლად, XII-XIII საუკუნეთა ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლთა სრულყოფილების თანაზომიერება, რომელმაც წარმოშვა მხატვრული სტილის მიღწევა ვეფხისტყაოსანი.

„კლასიციზმის“ პირველადი მნიშვნელობისაგან განსხვავებით, ქართული თვალსაზრისით მისი გაფართოების საფუძველია ის, რომ თვითონ ეს ტერმინი გადატანითი შინაარსით იყო შემუშავებული XVI-XVIII საუკუნეთა ევროპული ხელოვნებისა და ლიტერატურის, უმთავრესად კი თეატრალური ხელოვნების, როგორც სტილისტურად ანტიკურობასთან დაკავშირებული გარკვეული მიმართულებისათვის, რომელიც შემდგომ რომანტიზმმა და რეალიზმმა შეცვალა. „კლასიკურისა“ და „კლასიციზმისათვის“ საერთო დარჩა ძირი Classicus-იდან მომდინარე — რჩეული, ზოგადი მნიშვნელობით უმაღლესი, მიღწეული ნიმუში ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოებისა. შეიძლება ეს გაგება არ იყოს გასაზიარებელი, მაგრამ აქ არაფერია არეული.

„გ. იმედაშვილის მონოგრაფია დაწერილია საერთოდ მძიმე, ალაგ-ალაგ ბუნდოვანი სტილით, ზოგჯერ აქვს ენის თვალსაზრისით ყოვლად შეუწყნარებელი გამოთქმები“ (გვ. 122). პატივცემული რეცენზენტი უნდა მორიდებოდა სხვისი სტილის განსჯას, — ქართული ენის არბიტრად როგორ გამოდგება კაცი, რომლის ნაწერები არასოდეს არ გამოირჩეოდნენ კარგი ქართულითა და სტილით და ვისი ნაწვალები „ქართულის“ ნიმუშები „ნიანგმაც“ კი გამოიყენა კურიოზულ მასალათა სტატიაში: „ნუ დაანაგვიანებთ ქართულ ენას“ (იქვე, 1955, № 16, გვ. 4-5), ხოლო ამაზე დიდი ხნით ადრეც, გამოჩენილი ქართველი მწერალი სერგო კლდიაშვილი 1932 წელს „ფედერაციას“ მიერ ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით გამოცემულ ბესიკის თხზულებათა გამო რეცენზიაში აღშფოთებული წერდა — ალ. ბარამიძე თავისი ნარკვევით ბესიკზე „ისეთი უხეირო სახით წარსდგა მკითხველის წინაშე... დილეტანტის, ან საშუალო მოსწავლის ნაშრომის შთაბეჭდილებას სტოვებს... ნარკვევის სამი მეოთხედი გაუგებარი რჩება...“ (ვინ ეპოტინება კლასიკოსებს, მკითხველის შენიშვნა, გაზ. „კომუნისტი“, 1932, 22.X. № 246, გვ. 4)... ბარამიძე ბესიკს „უსაყვედურებს „ფუყე“ სტილს, ამავე მიზეზით მუჯლუგუნს სთავაზობს დავით რექტორს, თვითონ კი სწერს იმ ენით, რომელიც მხოლოდ ესტრადის მსახიობებს გამოადგებათ ზაფხულის სიცხეში შეწუხებულ მოქალაქეთა გასაცინებლად...“ ცუდი ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულის სანიმუშოდ იქვე მოყვანილია ზოგი ადგილი...

„როგორც ლირიკულ ჟანრსაც შეფერის, სიყვარულის მოტივი სტატიკურ ხაზებში იხსნება, მაგრამ სტატიკური სინელე სრულიად არ ითქვიფება ერთფეროვნების უგემურ მორევში... მოტივირების ნიუანსური ვარიაციით სიყვარულის დინება დინამიკურ ტალღად იშლება ბესიკის პოეზიაში...“

სერგო კლდიაშვილი შენიშნავს რა ფუყეთ აზროვნებს ბარამიძეო და ასკვნის: „ბესიკის ამ გამოცემის მაგალითი იმას გვეუბნება, რომ კლასიკოსების გამოცემის საქმე საიმედო ხელში უნდა იქნეს და არა წერაში მოვარჯიშე ახალგაზრდების ხელში, რომლებსაც მწერლობასთან არაფერი აკავშირებთ“. ეს დატანჯული ქართული შემთხვევითი რომ არ ყოფილა ავტორისათვის, ამას მის სხვა ნაწერთა სტილიც კარგად გვიჩვენებს. მრავალთაგან ზოგიერთი ნიმუში გავიხსენოთ: „პოემის შესავალში ასახული მიჯნურობის თეორიული გააზრება უმაღლესი მხატვრული დამაჯერებლობით არის დამტკიცებული შინაარსეული თხრობის ფაქტოლოგიით“, (ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო, გვ. 156); „ფეოდალური რეჟიმის პირობებში ძმურ-კორპორაციული ინსტიტუტის არსებობა გამართლებულია სოციალური განფენების ფორმებით (გვ. 159). „მიჯნურულ ურთიერთობაში პატრონყმური ინსტიტუტების სოციალური ნალექებია ბუნებრივად შეჭრილი“ (გვ. 177); „ამ იდეურ კოლიზიაში იშლება სოციალურ ნაირობათა ნიშანი“ (გვ. 168); „ხოლო ამ ფონის ცხადი კონტურები უეჭველად უნდა ილექებოდეს ვეფხისტყაოსნის იდეურ ნაგებობათა მხატვრულ პლასტებში“ (გვ. 169).

ახალი პუბლიკაციიდან მხოლოდ ერთ ნიმუშს ვიკმარებ: „ბგერების განმაცვიფრებელი შეხამებით რუსთველი ზოგჯერ ახერხებს ზუსტად გადმოგვცეს ტექსტის შინაარსობლივ-აზრობლივი დინამიკა“ (ნარკვევები, IV; 1964, გვ. 53), თურმე რუსთაველი „ახერხებს“ ეს „ზოგჯერ“. ასეა შეურაცხყოფილი ქართული სიტყვის ნიმუშები და გამოსარკვევი რჩება თუ აზრისა და სტილის რომელ ფორმასა და დონეს მიეკუთვნებიან ეს „ბრძნულ-მსიტყველობანი“, რომლებშიაც ქართულის გაფუჭება მართლაც ყოველგვარ მოსალოდნელ სიმახინჯეს აჭარბებს და რასთანაც შედარებით ენის სიმძიმე თუ ბუნდოვანება მეტყველების ერთგვარ ღირსებადაც ჩაითვლება.

ყურადღებას იქცევს რეცენზენტის მოულოდნელი თავგანწირვა თითქოს მზად არის „თვითკრიტიკულის წესით“ აღიაროს, რომ „იმედაშვილის წიგნის შეცდომებისათვის ერთგვარი პასუხისმგებლობა ჩვენც გვეკისრება — მონოგრაფია გამოქვეყნებულია გამომცემლობა „მეცნიერებას“ მიერ ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ნიშნით“ (გვ. 221). ამაო თავდადებაა... რეცეზენტი ისეთი წიგნისადმი იჩენს ყოვლად უხიფათო თვითკრიტიკულ გამბედაობას, რომლის რედაქტორი არა ყოფილა და არც არავინ აკისრებს პასუხისმგებლობას. აჯობებდა, ისეთი წიგნების შეცდომებისათვის გამოეჩინა ეს პასუხისმგებლობა, რომელნიც მისი რედაქტორობით სწორედ „მეცნიერებას“ მიერ გამოიცნენ ამავე „ინსტიტუტის ნიშნით“ და მათი გამოცემა ნამდვილად დასანანი გახდა „მძიმე შეცდომებისათვის“!..

ამრიგად, ჩემი გამოკვლევის ირგვლივ პატივცემული აკად. ალ. ბარამიძის რეცენზიის ძირითადი შენიშვნების განხილვით სავსებით ნათელი გახდა, რომ მისი ტენდენციური კვალიფიკაციები, ბრალდებანი და დასკვნები არ გამომდინარეობენ სარეცენზიო წიგნში აღძრული საკითხების ობიექტური განხილვისაგან. თვით შენიშვნების ხასიათი ეჭვს არა სტოვებს, რომ რეცენზია პირადი დაძაბული განწყობითაა იმპულსირებული და უმთავრესად იმ საფუძველზე, რომ ჩემი გამოკვლევა ვეფხისტყაოსანსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქართული კულტურის საკითხებზე აკად. ალ. ბარამიძის სახელის ხშირ მოხსენიებაზე არ არის აგებული.

ამპარტავნებითა და ცინიზმით ავსილი რეცენზიის ავტორი, სხვის ნაშრომებში ყოველთვის ხალისით რომ ეძებს შეცდომებს, სხვას უწუნებს იდეურ სიღრმე-სიწმინდეს და ქართულ ენას, და მოურიდებლად მიმართავს გამოთქმებს „ვერ მოზომა", „ვერ იკვლევს", „ვერ გრძნობს", „ვერ გვიხსნის", „გადააჭარბა", „ტენდენციურია", „დამახინჯებულია", „დაუდევარია", „ცალმხრივია" და სხვა მისთანანი, განა თვითონ ამ რეცენზიაში არის რაიმე მოზომილი, გადაუჭარბებელი, ნორმალური კრიტიკის შესაფერი?

ეს გაბოროტებული რეცენზია კარგად გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტებით დაინტერესებულ მეცნიერს, რომელიც სხვისი ნაშრომის განმსჯელის როლში გამოდის, ხარისხსა და თანამდებობასთან ერთად სჭირდება თავკერძობის ყოველგვარ ცთუნებაზე მაღლა დგომა, რომ მეცნიერული აზრის მიღწევის საზღვრად და საზომად მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და ნიჭის შესაძლებლობანი არ ეჩვენებოდეს, არა სწამდეს მხოლოდ საკუთარი უცდომელობა, არა ხედავდეს მხოლოდ საკუთარ ღირსებებს, არამედ სხვისი ნაშრომის შეფასების უნარიც ჰქონდეს. აღტაცებული არ იყოს მხოლოდ საკუთარი აზრებით. არც ისაა სასახელო, რომ რომელიმე ლიტერატურულ პრობლემაზე მუშაობას მკვლევარი მონოპოლიის საგნად აქცევდეს. პრესას შურისძიების საშუალებად იყენებდეს და მეცნიერული ჭეშმარიტების გაგებას პირადი დამოკიდებულების მიხედვით წყვეტდეს.

რეცენზენტი მისაყვედურებს რომ ამ წიგნს ავაცილე მისი რედაქტორობა. სრული სიმართლეა. ამით ჩემი გამოკვლევა გადავარჩინე აზრობრივი სტილისტურ, ენობრივ პროფანაციას, უსაფუძვლოთ დაეჭვებულ კონტროლს, რადგან ვიცოდი, რომ ალ. ბარამიძეს ლიტერატურული რედაქცია უმთავრესად ესმოდა როგორც გაზვიადებული იდეოლოგიური მეთვალყურეობა, რაც წინამდებარე რეცენზიითაც უდავოდ დაამტკიცა და ისიც, რომ იგი ვერ იქნებოდა ამ წიგნის ობიექტური რედაქტორი. ამის საილუსტრაციოთ მოვიყვან ერთ შემთხვევას: 1957 წელს გამოცემული ჩემი წიგნის „რუსთველოლოგიური ლიტერატურის" რედაქტირებაში მისი წვლილი მხოლოდ შემდეგი ხასიათის გასწორებებში გამოიხატა: გამოთქმაში „ქართველი ერის კულტურა" მან სიტყვა „ერის", მისი აზრით, როგორც საშიში მნიშვნელობისა, შეცვალა სიტყვით „ხალხის" და ასე განმიმარტა — „აიგე ქართველი ერი არ არსებობს!... — რასაც არ დავეთანხმე, არც მთავლიტი დაეთანხმა და დარჩა „ქართველი ერი".

თუ ამ წიგნის მეორედ გამოცემა საჭირო იქნება, ცხადია, შევასწორებ ნებსით თუ უნებლიე შეცდომებს, ზოგ საკითხს უფრო ვრცლად წარმოვადგენ, შესაძლო განმეორებებს ამოვიღებ, უფრო მეტი გულისყურით მოვეკიდები აკად. ალ. ბარამიძის ისეთ ნაშრომებს, რომელნიც ვეფხისტყაოსნის შესწავლაში მუდმივად გასაზიარებელ მოსაზრებებს შეიცავენ, მაგრამ ახლავე ვიძლევი იმის პირობას, რომ არც მერე შევცვლი ეროვნულ კონცეფციას ვეფხისტყაოსნის გაგებაში და არ შევასწორებ ჩემ შეხედულებებს, რომელნიც ჩამოყალიბებული მაქვს საკუთარი კვლევის შედეგად იმ ორჭოფულად გამიზნული თარგით, რომელსაც რეცენზენტი მაწვდის, თუნდაც იმიტომაც რომ ამ კონიუნქტურულ თარგს თვითონ ალ. ბარამიძისთვისაც არ მოუტანია რაიმე სარგებლობა, რადგან მისთვის ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტა თუ მკვლევართა შეფასება დროების ცვალებად მოთხოვნებთანაა შეფარდებული, ისე, რომ ზოგჯერ თვით რუსთაველი, გურამიშვილი, ბესიკი თუ აკად. მარი სალანძღავად გასამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებელია, მათთან შედარებით ჩემისთანა ჩვეულებრივი მოკვდავის გაწირვა და გალანძღვა გასაკვირი აღარ უნდა იყოს. ეს მით უმეტეს არ არის მოულოდნელი, რომ ჩვენ კლასიკოსებს ალ. ბარამიძისათვის არაფერი დაუშავებიათ, მე კი მისი რისხვა ერთგვარად დამსახურებული მქონია, რაკი ჩემი გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე რეცენზენტის ნაშრომებისა და სახელის ხშირ მოხსენიებაზე არ ავაგე. ამასთან ერთად, თუ ჩემი რეცეზენტის შენიშვნებს მისებრივ ბოროტმსიტყველი სტილით არ გავეცი პასუხი, — დავინდე ქართული ენა, რუსთაველის დიადი სახელი და უდანაშაულო მკითხველის ყურადღება. იმედი კი მაქვს, რომ ჩემზე უფრო მკაცრი მატიანე ოდესმე დაუნდობელი მართლმსაჯულებით მოსაკითხს მოკითხავს და ნისაგებელს ღირსებისამებრ მიაგებს.

მკითხველისათვის სავსებით ცხადია, რომ აკად. ალ. ბარამიძის ამ გაბოროტებული რეცენზიის მიზანი ჩემი წიგნის ოფიციალური აკრძალვა იყო, რის შესახებაც ხმებს ავრცელებდა. ამის გამო „ლიტ. გაზეთში“ ჩემი წიგნის შესახებ დადებითი რეცენზიის ბეჭდვა შეაჩერეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსე ორტეგა ი გასეტი

ხელოვნების დეჰუმანიზაცია

დე, ნუ ბგონია დონა ბერტას ან ხერ მარტინოს

დანტე, ღვთაებრივი კომედია, სამოთხე
XIII, 139

ახალი ხელოვნების არაპოპულარობა

დიდი ფრანგი მოაზროვნის იუიოს მრავალ გენიალურ იდეას შორის, რომლებმაც, მართალია, სათანადო განვითარება ვერ ჰპოვეს, აღსანიშნავია მისი ცდა, სოციოლოგიური თვალსაზრისით შეესწავლა ხელოვნება. ერთის შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამნაირი მცდელობა უნაყოფოა. განიხილო ხელოვნება მისი სოციალური ზემოქმედების თვალსაზრისით, თითქოსდა დროის ფუჭი ფლანგვაა, რაღაცნაირად მსგავსი იმისა, რომ მისი ლანდის მიხედვით შეისწავლო ადამიანი. ხელოვნების სოციალური ასპექტი, ზერელე აღქმით, იმდენად გარეგნული და შემთხვევითი, ესთეტიკური არსებისათვის იმდენად უცხო რამ გახლავთ, რომ გაუგებარია, რანაირად შეიძლება ამით დაიწყო და სტილის არსს კი ჩასწვდე. იუიომ, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხა გამოეწურა თავისი გენიალური იდეიდან „სანუკვარი წვენი“. ხანმოკლე სიცოცხლემ და მოულოდნელმა ტრაგიკულმა აღსასრულმა საშუალება არ მისცა მის შთაგონებას დაღვინებულიყო, რათა ყოველივე ტრივიალურისა და ზედაპირულისაგან განთავისუფლებულს თამამად გაებედა არსისა და სიღრმისეულ სფეროში შეჭრა. შეიძლება ითქვას, რომ მისი წიგნიდან „ხელოვნება სოციოლოგიური თვალსაზრისით“, ჯერჯერობით რეალურია მხოლოდ სათაური, შინაარსი ჯერ კიდევ დასაწერია.

ხელოვნების სოციოლოგიის ქმედითი ძალა მე შევიგრძენი ანაზდეულად, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ უნდა დამეწერა გამოკვლევა ახალი მუსიკალური ეპოქის შესახებ, რომელსაც დასაბამი დაუდო დებიუსიმ. მე ვცდილობდი შეძლებისდაგვარი სიზუსტით განმესაზღვრა ახალი და ტრადიციული მუსიკის სტილისტური სხვადასხვაობა. ეს პირწმინდად ესთეტიკური პრობლემა იყო, და მაინც, მე მივხვდი, რომ მისი გადაჭრის უმოკლესი გზა არსებითად სოციოლოგიური ფენომენის, სახელდობრ, ახალი მუსიკის არაპოპულარობის შესწავლა გახლდათ.

დღეს მე მინდა ზოგადად, თითქოს წინასწარ მოვნიშნო ჩემი სათქმელი და ვიგულისხმო ხელოვნების ყველა ის დარგი, რომლებიც ევროპაში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ გარკვეულ ცხოველმყოფელობას: ახალი მუსიკა იქნება ეს თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ფერწერა, ახალი თეატრი თუ ახალი პოეზია. ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი და ენიგმურია ის ღრმა შინაგანი ერთობა, რომელსაც ყოველი ისტორიული ეპოქა ინარჩუნებს თავის ნებისმიერ გამოვლენაში. ერთნაირი შთაგონება, ერთი და იგივე სასიცოცხლო სტილი ფეთქავს ყველა ხელოვნებაში, ასე ძლიერ რომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ახალგაზრდა მუსიკოსი ანგარიშმიუცემლად ცდილობს ბგერებით მოახდინოს ზუსტად იმავე ესთეტიკურ ფასეულობათა რეპროდუცირება, რომელთა ხორცშესხმასაც მიელტვის მისივე თანამედროვე მხატვარიც, პოეტიც და დრამატურგიც. მხატვრული გრძნობის ეს საყოველთაო ერთობა ძალაუნებურად უნდა იწვევდეს ერთნაირ სოციალურ შედეგებს. და მართლაც, ახალი მუსიკის არაპოპულარობის შესატყვისია დანარჩენი მუზების არაპოპულარობაც. ყველა ახალი ხელოვნება არაპოპულარულია, მაგრამ შემთხვევით კი არა, თვით მისივე შინაგანი ბედისწერის ძალით.

შეიძლება შემომედავონ და მითხრან, რომ ყოველ ახლად მოვლენილ სტილს თავისი „კარანტინის პერიოდი" აქვს, და შემახსენონ „ერნანის" ირგვლივ ატეხილი ცხარე ბრძოლები, აგრეთვე სხვა განხეთქილებანი, რომანტიზმის გარიჟრაჟზე რომ იჩინეს თავი. მაგრამ არ გვაწყენს, ნათლად ვხედავდეთ განსხვავებას ორ ფენომენს — არაპოპულარულსა და არახალხურს შორის.

სტილი, რომელიც რაღაც ახალსა ნერგავს, გარკვეული დროის მანძილზე საერთოდ ვერ ასწრებს მისაღები გახდეს ხალხისთვის; ის არა მარტო არაპოპულარულია, არამედ — არახალხურიც. რომანტიზმის შემოჭრა, რაც შეიძლება ნიმუშად მოვიხმოთ, — როგორც სოციოლოგიური ფენომენი ძირეულად უპირისპირდება იმას, რადაც გვეელინება დღეს ხელოვნება. რომანტიზმმა ძალიან მალე შესძლო დაუფლებოდა „ხალხს", რომელიც ძველ კლასიკურ ხელოვნებას არასდროს არ თვლიდა თავისად. მტერი, რომელთანაც რომანტიზმს მოუხდა შებმა, სწორედ რჩეული უმცირესობა იყო, პოეზიის ბრძანებულებანი და „ძველმოდურ" ფორმებში ჩამყაყებული. მას შემდეგ, რაც წიგნის ბეჭდვა გამოიგონეს, რომანტიკოსთა ქმნილებები პირველად დაიბეჭდა დიდი ტირაჟით. რომანტიზმი ხალხური სტილი იყო par excellence*

დემოკრატიის პირმშო ბრბოის ნებიერი გახლდათ.

ახალ ხელოვნებას, პირიქით, საქმე აქვს მისდამი მტრულად განწყობილ მასასთან, და ასე იქნება მუდამ. ის არა-ხალხურია თვით თავისი არსით. მეტიც, ის ანტიხალხურია. მისი ნებისმიერი ქმნილება ავტომატურად იწვევს საზოგადოებაში კურიოზულ სოციოლოგიურ ეფექტს. პუბლიკა ორად იყოფა; ერთი ნაწილი, უფრო მცირე, კეთილმოსურნედაა განწყობილი; მეორე, გაცილებით უფრო დიდი, მტრული თვალით უყურებს მას. (ნუღარაფერს ვიტყვით „სნობების" ჟინიან ჯილაგზე). მაშასადამე, ხელოვნების ქმნილებები სოციალური ძალის მსგავსად მოქმედებენ, ძალისა, ორ ანტაგონისტურ ჯგუფს რომ ქმნის და ადამიანთა ორ მოქიშპე ბანაკად ჰყოფს ამორფულ მასას.

რა ნიშნით განირჩევა ერთმანეთისაგან ეს ორი კასტა? ხელოვნების ყოველი ქმნილება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: ზოგს მოსწონს, ზოგს კი არა; ზოგისთვის უფრო მეტად მოსაწონია, ზოგისთვის — უფრო ნაკლებად. ამნაირ გაყოფას არაორგანული ხასიათი აქვს, ის არაპრინციპულია, ჩვენი ინდივიდუალური გემოვნების ბრძა ჟინს შეუძლია ადგილი მიგვიჩინოს როგორც ერთთა, ისე მეორეთა შორის. მაგრამ ახალ ხელოვნებასთან მიმართებით ეს გამიჯვნა უფრო ღრმა დონეზე ხორციელდება, ვიდრე ინდივიდუალური გემოვნების თავნებობა გახლავთ. საქმე ის კი არაა, რომ საზოგადოების უმრავლესობას არ მოსწონს ახალი ქმნილება, ხოლო უმცირესობას — მოსწონს. საქმე ისაა, რომ უმრავლესობას, მასას, საერთოდ არ ესმის იგი. ებრუნებენ, „ერნანის"

* „უპირატესად" (ფრანგ.) — მთარგმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენას რომ ესწრებოდნენ, მშვენივრად ესმოდათ ჰიუგოს დრამა, და სწორედ იმიტომ არ მოსწონდათ, რომ ესმოდათ იგი. ესთეტიკური აღქმის გარკვეული ტიპის ერთგულნი უჩვეულო ზიზღს განიცდიდნენ ახალი მხატვრული ფასეულობების მიმართ, რომლებსაც მათ სთავაზობდა რომანტიკოსი.

„სოციოლოგიური თვალსაზრისით" ახალი ხელოვნებისათვის, როგორც ვატყობ, ნიშნეულია სწორედ ის, რომ ადამიანთა ორ კლასად ყოფს საზოგადოებას: ზოგს ესმის, ზოგს კი არ ესმის იგი. შეიძლება იფიქრო, რომ არსებობს კაცთა მოდგმის ორი სხვადასხვა სახეობა, რომელთაგანაც ერთს თითქოს მოეძებნება აღქმის ერთგვარი საგანგებო უნარი, მეორე კი მოკლებულია მას. ახალი ხელოვნება, როგორც ჩანს, საყოველთაო ხელოვნება როდია, ვთქვათ, რომანტიკული ხელოვნების მსგავსად: ის თავისებური ნიჭით დაჯილდოებული უმცირესობისკენაა ორიენტირებული. აქედან — მასის გაღიზიანება. როცა ვიღაცას არ მოსწონს ხელოვნების ნაწარმოები, და არ მოსწონს სწორედ იმიტომ, რომ გასაგებია, მაშინ ეს კაცი თავის „უპირატესობას" გრძნობს მის წინაშე და გაღიზიანებასაც აღარ განიცდის. მაგრამ როდესაც ნაწარმოები იმიტომ არ მოსწონს ვინმეს, რომ ბოლომდე გასაგები როდია, მაშინ ის თავს დამცირებულად გრძნობს, იდუმალი ეჭვის ჭია ღრღნის და მტკივნეულად განიცდის თავის უმწეობასა თუ არასრულფასოვნებას, რის კომპენსირებასაც ნაწარმოების მიმართ თავისი აღშფოთებით, გაშმაგებული თვითდამკვიდრების წყალობით ცდილობს. თავისი მოვლინებისთანავე ახალი ხელოვნება აიძულებს „კეთილ ბურჟუას" სწორედ ამნაირად შეიგრძნოს თავი: „კეთილი ბურჟუა", ხელოვნების იდუმალებათა წვდომა რომ არ ძალუძს, ბრმაა და ყრუა ნებისმიერი უანგარო მშვენიერების მიმართ. ამან კი არ შეიძლება უშედეგოდ ჩაიაროს ასეული წლების მანძილზე ბრბოის წინაშე ლაქუცისა და „ხალხის" განდიდების შემდეგ. ერთპიროვნულ მბრძანებლობა ჩვეულმა მასამ ამ ახალი ხელოვნებით შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, და ის თავისი ადამიანური „უფლებების" შელახვად მიიჩნია, რადგანაც ეს ხელოვნება პრივილეგირებულთა კუთვნილება, დახვეწილი ნერვული ორგანიზაციისა და არისტოკრატიული ინსტინქტის ხელოვნებაა. ყველგან, სადაც კი თავს იჩენენ ახალი მუზები, მასა გააფთრებით სდევნის მათ.

საუკუნენახევრის განმავლობაში „ხალხი", მასა პრეტენზიას აცხადებდა იმაზე, რომ „მთელი საზოგადოება" წარმოედგინა. სტრავინსკის მუსიკა და პირანდელოს დრამა იმნაირ სოციალურ ეფექტს ახდენენ, რაც გვაიძულებს ღავუფიქრდეთ ამას და ვცადოთ გავიგოთ, მაინც რა არის „ხალხი", ხომ არ გვევლინება იგი სოციალური სტრუქტურის მარტოოდენ ერთ ელემენტად, ისტორიული პროცესის ინერტულ მასალად, ყოფიერების მეორეხარისხოვან კომპონენტად. თავის მხრივ, ახალი ხელოვნება ხელს უწყობს იმას, რომ „უკეთესებმა" შეიცნონ თავიანთი თავი, მიეჩვიონ უსახო ბრბოში ერთმანეთის ცნობას და შეიგნონ თავიანთი დანიშნულება: წარმოადგენდნენ უმცირესობას და ებრძოდნენ უმრავლესობას.

ახლოვდება დრო, როცა საზოგადოება, პოლიტიკიდან ხელოვნებამდე, ხელახლა დაიწყებს ჩამოყალიბებას, როგორც ჯერ არს, ორ რანგად თუ ორ ორდენად: „ჩინებულთა" და „უჩინოთა" ორდენად. ამ ახალი, მხსნელად მოვლენილი გაყოფის მეოხებით ევროპის ყველა სატკივარი მოშუშდება, ყველა იარა განიკურნება. გაურკვეველი მთლიანობა, ამორფული, ქაოტური, შინაგან წესრიგს მოკლებული ერთიანობა ყოველგვარი წარმმართველი საწყისის გარეშე, — ის, რაც ამ უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში არსებობდა, — აღარ შეიძლება კვლავაც არსებობდეს. თანამედროვე ცხოვრების ზედაპირქვეშ იმალება უღრმესი, აღმაშფოთებელი უსამართლობა: ადამიანთა რეალური თანასწორობის ყალბი პოსტულატი.

ადამიანებთან ურთიერთობისას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვრწმუნდებით საპირისპირო აზრის სისწორეში, ვინაიდან ყოველი ნაბიჯი სავალალო და სამწუხარო მარცხია.

როდესაც ადამიანთა უთანასწორობის საკითხს აყენებს პოლიტიკა, გამძვინვარებული ვნებების შემყურეს ძალაუნებურად აღგეძვრის აზრი, რომ ამ საკითხის დაყენებისათვის ხელსაყრელი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. საბედნიეროდ, ეპოქის სულის ერთობა, რაზედაც ზემოთ მოგახსენებდით, საშუალებას გვაძლევს ჩვენი დროის ახალ ხელოვნებაში მშვიდად, მთელი სიცხადით მოვახდინოთ იგივე სიმპტომების კონსტატაცია და ნათლად განვჭვრიტოთ მორალური რეფორმის წინასწარ მაუწყებელი იგივე ნიშნები, რომლებიც პოლიტიკაში მდაბალი ვნებებითა თუ ქვენა გრძნობებითაა ამღვრეული.

ევანგელისტი* წერს: Nolite fieri sicut equus et mulus quibus non est intellectus" — „ნუ ემგვანებით უტვინო ჯორსა თუ ცხენს". მასა ტლინკებს ყრის და არ ესმის. ვცადოთ პირიქით მოვიქცეთ. გამოვყოთ ახლად ფეხადგმული ხელოვნებიდან მისი არსებითი პრინციპი და ვნახოთ, რა სიღრმისეული აზრითაა იგი არაპოპულარული.

მხატვრული ხელოვნება

თუ ახალი ხელოვნება ყველასათვის გასაგები არ არის, ეს იმიტომ, რომ მისი საშუალებანი ზოგადადამიანურნი არ არიან. ხელოვნება ყველასათვის კი არა, მხოლოდ ადამიანთა ძალზე მცირერიცხოვანი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი. ეს ადამიანები, შესაძლოა, სხვებზე უფრო უმნიშვნელონიც არიან, მაგრამ აშკარად არ ჰგვანან დანარჩენებს.

უწინარეს ყოვლისა, არის ერთი რამ, რისი დაზუსტებაც ზედმეტი არ იქნებოდა. რას უწოდებს ადამიანთა უმრავლესობა ესთეტიკურ ტკბობას? რა ხდება ადამიანის სულში, როცა ხელოვნების ნაწარმოები, ვთქვათ, თეატრალური წარმოდგენა „მოსწონს"? პასუხი ეჭვს არ იწვევს: ადამიანებს მოსწონთ დრამა, თუკი ამ უკანასკნელმა შესძლო მოეხიბლა ისინი კაცთა ბედ-იღბლის ასახვით. ისინი გულშეძრულნი რჩებიან გმირთა სიყვარულით, სიძულვილით, სვედავსილობითა თუ სიხარულით. მაყურებლები თვითონვე მონაწილეობენ მოვლენებში, თითქოს ეს მოვლენები ნამდვილნი იყვნენ და მართლაც ხდებოდნენ ცხოვრებაში. მაყურებლის აზრით, პიესა „კარგია", თუ მან მოახერხა ცხოვრებისეული სიმართლის, წარმოსახულ გმირთა რეალურობის ილუზია გამოეწვია. ლირიკაში მკითხველი დაეძებს ადამიანურ სიყვარულს და სევდას, რომლებიც თითქოს პოეტის სტრიქონებში არიან ჩაწნულნი. ფერწერაში მაყურებელს მხოლოდ ის სურათები იზიდავს, ქალებსა თუ კაცებს რომ გამოხატავენ, რომლებთან ურთიერთობაც, გარკვეული აზრით, საინტერესო იქნებოდა მისთვის. პეიზაჟი მას „მომხიბლავი" მოეჩვენება, თუ ის, საერთოდ, სასიამოვნოა, როგორც სასეირნო ადგილი.

ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის ესთეტიკური ტკბობა, არსებითად, არ განსხვავდება იმ განცდებისგან, რომლებიც განუყრელად თან ახლავს მათ ყოველდღიურ ყოფას. განსხვავება მხოლოდ უმნიშვნელო, მეორეხარისხოვან წვრილმანებშია: ეს ესთეტიკური განცდა არც ისე უტილიტარისტულია, უფრო მეტად გაჯერებული გახლავთ და არავითარ მძიმე შედეგს არ იწვევს. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, საგანი, ობიექტი, რომლისკენაც მიმართულია ხელოვნება და, ამასთან, მისი დანარჩენი ატრიბუტებიც, — ადამიანთა უმრავლესობისათვის იგივეა, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში: ადამიანები და მათი ვნებები. ამიტომ ხელოვნებას ისინი უწოდებენ იმ საშუალებათა ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა მათი კონტაქტი ყოველივე იმასთან, რაც საინტერესოა ჩვენს ცხო-

* ავტორისეული ლაფსუსია: ეს სიტყვები ევანგელისტს კი არა, ფსალმისტს ეკუთვნის (ფსალმუნი XXXI, 9) — მთარგმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრებაში. ამნაირ მაყურებლებს შეუძლიათ მხოლოდ იმდენად დაუშვან წმინდა მხატვრული ფორმები, ირრეალურობა თუ ფანტაზია, რამდენადაც ეს ფორმები არ არღვევენ ადამიანთა სახეებისა თუ კაცთა ბედ-იღბლის მათთვის ჩვეულ აღქმას. როგორც კი ეს პირწმინდად ესთეტიკური ელემენტები მოჭარბებას იწყებენ და პუბლიკა ვეღარა სცნობს ხუანისა თუ მარიამის მისთვის ჩვეულ თავგადასავალს, თავგზა ებნევა და აღარ იცის, რა უყოს პიესას, წიგნსა თუ სურათს. გასაგებია, რატომაც: მისთვის საერთოდ უცხოა საგნებისადმი ყველა სხვაგვარი დამოკიდებულება, პრაქტიკული, ესე იგი, იმნაირი დამოკიდებულების გარდა, რომელიც გვაიძულებს განვიცდიდეთ და აქტიურად ვერეოდეთ საგანთა სამყაროში. ნაწარმოები, რომელიც ამნაირი ჩარევისათვის არ აღგვძრავს, გულგრილსა გვტოვებს.

ამ საკითხში სრული სიცხადეა საჭირო. პირდაპირ ვიტყვი, რომ გახარებდეს ან გაღელვებდეს ადამიანთა ბედ-იღბალი, რაზედაც მოგვითხრობს ხელოვნების ქმნილება, — ეს ჭეშმარიტად მხატვრული ტკბობისაგან რაღაც არსებითად განსხვავებული გახლავთ. მეტიც, ხელოვნების ნაწარმოებში მხოლოდ ადამიანური ყოფით დაინტერესება პრინციპულად შეუთავსებელია ნამდვილ ესთეტიკურ ტკბობასთან.

საქმე, არსებითად, ოპტიკურ პრობლემას ეხება. საგანი რომ დავინახოთ, საგანგებოდ უნდა მოვმართოთ ჩვენი მხედველობითი აპარატი. თუკი ჩვენი სამზერი მოწყობილობა არაადექვატურია საგნის მიმართ, მაშინ საერთოდ ვერ დავინახავთ, ან ბუნდოვნად თუ გავარჩევთ მას. დაე, მკითხველმა წარმოიდგინოს, რომ ახლა ჩვენ ფანჯრიდან გავცქერით ბაღს. ჩვენი თვალი იმდენად უნდა მიესადაგოს ამ აქტს, რომ მხედველობითმა სხივმა მინაში გააღწიოს, შიგ არ ჩარჩეს და ყვავილებსა თუ ფოთლებზე შეჩერდეს. რაკიღა ჩვენი საგანი ბაღია და მხედველობის სხივიც მისკენაა მიმართული, შზერით ისე განვწინით მინას, რომ ვერც კი ვამჩნევთ, მას. მაგრამ თუ თავს ძალას დავატანთ, შეგვიძლია ბაღს მოვწყვიტოთ თვალი და მინაზე გადავიტანოთ მზერა. მხედველობის არიდან გაქრება ბაღი და, ბუნებრივია, რაც მისგან დარჩება, ეს იქნება ბუნდოვანი ფერადი ლაქა, რომელიც თითქოს მინას ამჩნევია. მაშასადამე, ხედავდე ბაღს და ხედავდე ფანჯრის მინას, ეს ორი ურთიერთშეუთავსებელი აღქმა გახლავთ: ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ და მხედველობის სხვადასხვანაირ აკომოდაციას მოითხოვენ.

მაშასადამე, ვისაც ხელოვნების ნაწარმოებში ხუანისა თუ მარიამის, ან ტრისტანისა თუ იზოლდას ბედი აღელვებს, და სწორედ ამას უსადაგებს თავის სულიერ აღქმას, ვერასოდეს დაინახავს საკუთრივ მხატვრულ ნაწარმოებს. ტრისტანის მწუხარება მხოლოდ ტრისტანის მწუხარებაა და, მაშასადამე, მხოლოდ იმდენად შეიძლება გვაღელვებდეს, რამდენადაც რეალობად აღვიქვამთ მას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ იმდენადაა ხელოვნების ნაწარმოები, რამდენადაც არარეალურია. მარტოოდენ ამ პირობით თუ შეიძლება დავტკბეთ კარლოს V-ის ტიციანისეული პორტრეტით, სადაც ის ცხენზე ამხედრებულია გამოსახული: ჩვენ არ უნდა ვუყურებდეთ კარლოს V-ს, როგორც ნამდვილ, ცოცხალ პიროვნებას, — ნაცვლად ამისა, ჩვენ უნდა ვხედავდეთ მხოლოდ პორტრეტს, ირრეალურ სახეს, გამოგონებას. პორტრეტზე გამოსახული კაცი და თვით პორტრეტი ორი სრულიად სხვადასხვა რამ გახლავთ: ჩვენ ან ერთი უნდა გვაინტერესებდეს და ან მეორე. პირველ შემთხვევაში ჩვენ კარლოს V-სთან „ერთად ვცოცხლობთ"; მეორეში საკუთრივ ხელოვნების ნაწარმოებს „ვჭვრეტთ".

მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას არ შეუძლია იმნაირად მომართოს თავისი მზერა, რომ თვალწინ ბაღი ედგას და მინას, ესე იგი, იმ გამჭვირვალებას ხედავდეს, რომელიც ხელოვნების ნაწარმოების არსად გვევლინება: ნაცვლად ამისა, ადამიანები ისე ჩაივლიან მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით, —ან ისე გაიელიან თვით მასშიეე, — რომ წამითაც არ შეჩერდებიან, რადგანაც ამჯობინებენ მთელი თავიანთი ენებით ჩაებღაუჭონ ხელოვნების ნაწარმოებში მთრთოლავ ადამიანურ რეალობას. თუ მათ ეურჩევთ, თავი ანებონ ნადავლს და ხელოვნების ნაწარმოებზე გადაიტანონ ყურადღება, პასუხად გვეტყვიან, რომ ვერაფერს ვერ ხედავენ იქ, და მართლაც ვერ ხედავენ მათთვის ესოდენ ჩვეულ ადამიანურ მასალას, რადგანაც მათ წინაშეა წმინდა მხატვრულობა, წმინდა ძალმოსილება.

XIX საუკუნის განმავლობაში მხატვრები ძალზე „უსუფთაოდ" მუშაობდნენ. მათ მინიმუმამდე დაჰყავდათ პირწმინდად ესთეტიკური ელემენტები და ცდილობდნენ თავიანთი ქმნილებები თითქმის მთლიანად ადამიანური ყოფის ასახვაზე დაეფუძნებინათ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გასული საუკუნის ხელოვნება, ასე თუ ისე, რეალისტური იყო. რეალისტები იყვნენ ბეთჰოვენი და ვაგნერი. შატობრიანი ისეთივე რეალისტია, როგორიც ზოლა. რომანტიზმი და ნატურალიზმი, თუ მათ დღევანდელი დღის სიმაღლიდან დავხედავთ, ერთმანეთს უახლოვდებიან და საერთო რეალისტურ ფესვებს აელენენ.

ამნაირი ქმნილებები მხოლოდ ნაწილობრივ გვეელინებიან ხელოვნების ნაწარმოებებად, მხატვრულ საგნებად. მათი კითხვით, სმენითა თუ ჭვრეტით რომ დატკბე, სულაც არ არის აუცილებელი მგრძნობიარე იყო არაცხადისა და მჭვირვალის მიმართ, რასაც გულისხმობს მხატვრული აღქმა. საკმარისია გქონდეს ჩვეულებრივი ადამიანური აღქმის უნარი და საშუალება მისცე მოყვასის ტანჯვას თუ სიხარულს, გამოძახილი ჰპოვონ შენს სულში. აქედან გასაგებია, თუ რატომ იყო XIX საუკუნის ხელოვნება ესოდენ პოპულარული: მას იმნაირი პროპორციით გაბავებულს სთავაზობდნენ მასას, რომ უკვე ხელოვნება კი აღარ იყო, არამედ — ცხოვრების ნაწილი. გავიხსენოთ, რომ ყველა ეპოქაში, როცა არსებობდა ორი სხვადასხვა ტიპის ხელოვნება — ერთი უმცირესობისათვის, მეორე კი უმრავლესობისათვის, ეს უკანასკნელი ყოველთვის რეალისტური იყო.*

ძოდით, ნუ ვიდავებთ იმაზე, შესაძლებელია თუ არა წმინდა ხელოვნება. ალბათ, არა; მაგრამ აზრის მსვლელობა, რომელიც ამნაირ უარყოფამდე მიგვიყვანს, ძალზე გაჭიანურებული და რთული იქნება ამიტომ უმჯობესია თავი ვანებოთ ამ თემას, მით უმეტეს, რომ ის, არსებითად, არც უკავშირდება ჩვენს სათქმელს. წმინდა ხელოვნება შეუძლებელიც რომ იყოს, ეჭვს გარეშეა, რომ დიახაც შესაძლებელია მისი გაწმენდის ბუნებრივი ტენდენცია. ეს ტენდენცია „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური" ელემენტების თანდათანობით გამოძევებამდე მიგვიყვანს. ელემენტებისა, რომლებიც ჭარბობდნენ რომანტიკულსა და ნატურალისტურ მხატვრულ პროდუქციაში. ამ პროცესის მსვლელობაში დადგება ისეთი მომენტი, როცა ნაწარმოების „ადამიანური" შინაარსი იმდენად მწირი გახდება, რომ შეიძლება ვეღარც კი შევნიშნოთ. მაშინ ჩვენს წინაშე იქნება საგანი, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს მხოლოდ მათ მიერ, ვინც მხატვრული აღმქმელობის განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული. ეს იქნება ხელოვნება ხელოვანთათვის, და არა მასისათვის; ეს იქნება ხელოვნება კასტისა, და არა დემოსისა.

აი, რატომ ყოფს ახალი ხელოვნება პუბლიკას ორ კლასად, რომელთაგანაც ერთს ესმის, მეორეს კი არ ესმის იგი; ერთის მხრივ — მხატვრებად, მეორეს მხრივ კი — არამხატვრებად. ახალი ხელოვნება პირწმინდად მხატვრული ხელოვნებაა.

მე არ ვაპირებ ცაში ავიყვანო ქება-

---

* როგორც მაგალითად, შუა საუკუნეებში, იმ საზოგადოების ბინარული სტრუქტურის შესაბამისად, ორ სოციალურ ფენად რომ იყოფოდა — წარჩინებულებად და პლებეებად, არსებობდა ეთიერშობილი ხელოვნება, რომელიც „პირობითი", იდეალისტური, „ეგზე ეგო", მხატვრული იყო, მაშინ როდესაც ხალხური ხელოვნება რეალისტურ და სატირულ ხელოვნებად გვეელინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებით ხელოვნების ეს ახალი მიმართულება და, მით უმეტეს, დაეგმო ის საშუალებები, რომლებსაც გასული საუკუნე იყენებდა. შემოვიფარგლები მხოლოდ იმით, რომ აღვნიშნავ მათ თავისებურებებს, როგორც იქცევა ზოოლოგი ერთმანეთისაგან შორი-შორ მდგომი ფაუნის ორი სახეობის განხილვისას. ახალი ხელოვნება უნივერსალური ფაქტორია. აგერ უკვე ოცი წელი იქნება, რაც უკანასკნელი ორი თაობის ყველაზე ალღოიანმა ახალგაზრდა წარმომადგენლებმა პარიზსა თუ ბერლინში, ლონდონსა თუ ნიუ იორკში, რომსა თუ მადრიდში მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ოდნავადაც აღარ აინტერესებთ ტრადიციული ხელოვნება, მეტიც, ის აშკარა ზიზღსა ჰგვრის მათ. ამ ახალგაზრდებს შეიძლება ორნაირად მოექცე: ან უნდა დახვრიტო, ანდა ეცადო გაუგო მათ. მე უყოყმანოდ ავირჩიე მეორე შესაძლებლობა, და სულ მალე შევნიშნე, რომ მათში ისახება ხელოვნების ახლებური გაგება, ახალი ძლიერული გრძნობა, რომლისთვისაც ნიშნეულია სრული სიწმინდე, სიმკაცრე და რაციონალურობა. ეს გრძნობა, რომელსაც ვერასდიდებით ვერ მიიჩნევ ახირებად, ხელოვნების მთელი უწინდელი განვითარების გარდუვალ და ნაყოფიერ შედეგად გვეჩვენება. რაღაცნაირი ჟინიანობა, უსაფუძვლობა და, საბოლოო ანგარიშით, უაზრობა, პირიქით, სწორედ ისაა, რომ ცდილობდე წინ აღუდგე ამ ახალ სტილს და ჯიუტად ებღაუჭებოდე უკვე დრომოჭმულ, უმწეო და უნაყოფო ფორმებს. ხელოვნებაში, ისევე როგორც მორალში, ის, რაც ჯერ, არს, ჩვენს თვითნებობაზე როდია დამოკიდებული; ისღა დაგვრჩენია, დავემორჩილოთ იმ იმპერატივს, რასაც თავს გვახვევს ეპოქა. დაემორჩილო დროის მბრძანებლურ კარნახს, — ინდივიდს მხოლოდ ეს ერთადერთი საშუალება რჩება საიმისოდ, რომ გასძლოს; მარცხი გარდუვალია, თუ ის თავისას არ მოიშლის და ჯიუტად ეცდება შექმნას კიდევ ერთი ვაგნერისებური ოპერა, ან ნატურალისტური რომანი.

ხელოვნებაში ყოველგვარი განმეორება უაზროა. ისტორიულად აღმოცენებულ ნებისმიერ სტილს შეუძლია შექმნას ნაირგვარ ფორმათა გარკვეული რაოდენობა ერთი ზოგადი ტიპის ფარგლებში. მაგრამ გადის დრო და ოდესღაც ცხოველმყოფელი წყარო იწრიტება. ასე დაემართა, მაგალითად, რომანტიკულ-ნატურალისტურ რომანს და დრამას. მიამიტური შეცდომაა ვივარაუდოთ, თითქოს ჩვენს დროში ორივე ამ ჟანრის უნაყოფობა ტალანტთა ნაკლებობით იყოს გამოწვეული. არა, შეიქმნა იმნაირი სიტუაცია, რომ ამ ჟანრების წიაღში ნებისმიერი შესაძლო კომბინაცია ამოიწურა. ამიტომ დიდ წარმატებად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ამნაირი სიმწირის გვერდით თავს იჩენს სრულიად ახალი აღქმა, ახალგაზრდა ტალანტების გაფურჩქვნას რომ უწყობს ხელს.

ახალი სტილის ანალიზისას შეიძლება შევნიშნოთ მასში ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ტენდენცია: 1. ხელოვნების დეჰუმანიზაციის ტენდენცია; 2. ცოცხალი ფორმებისაგან თავის დაღწევის ტენდენცია; 3. იმისკენ სწრაფვა, რომ ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოები იყოს; 4. ხელოვნების, როგორც მარტოოდენ თამაშის გაგებისაკენ სწრაფვა; 5. მისწრაფება მძაფრი ირონიისაკენ; 6. ყოველგვარი სიყალბის თავიდან აცილების ტენდენცია და, ამასთან დაკავშირებით, დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობა; და ბოლოს, 7. ხელოვნებისათვის, ახალგაზრდა ხელოვანთა აზრით, აშკარად უცხოა ტრანსცენდენცია.

მოკლედ მოვხაზოთ ახალი ხელოვნების ყველა ეს ნიშან-თვისება.

ცოტაოდენი ფენომენოლოგია

კვდება სახელგანთქმული კაცი. სასთუმალთან ცოლი უზის. ექიმი მაჯას უსინჯავს სულთმობრძავს. ოთახის სიღრმეში მომაკვდავის ორი ნაცნობია — ჟურნალისტი, რომელიც ამ სასიკვდილო სარეცელთან სამსახურებრივმა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალეობამ მოიყვანა, და მხატვარი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა აქ. ცოლი, ექიმი, ჟურნალისტი და მხატვარი ერთსა და იმავე მოვლენას ესწრებიან. მაგრამ ამ ერთსა და იმავე მოვლენას — ადამიანის სულთმობრძაობას — თვითეული მათგანი თავისებური თვალთახედვით აღიქვამს, ხედვის ყველა ეს წერტილი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ალბათ არც კი მოეძებნებათ რამე საერთო. განსხვავება იმას შორის, თუ როგორ აღიქვამენ ამ ამბავს მწუხარებისაგან ცნობამიხდილი ქალი და მხატვარი, გულგრილად რომ აკვირდება ამ სცენას, იმდენად დიდია, რომ ისინი, შეიძლება ითქვას, ორი სხვადასხვა სცენის მოწმენი არიან.

მაშასადამე, როგორც ირკვევა, სხვადასხვა თვალსაზრისით განხილული ერთი და იგივე რეალობა შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებულ მრავალ რეალობად დაქუცმაცდეს. ძალაუნებურად უნდა ვიკითხოთ: ამ მრავალრიცხოვან რეალობათაგან მაინც რომელია ნამდვილი, ჭეშმარიტი? ნებისმიერი ჩვენი მსჯელობა თვითნებური იქნება. უპირატესობა, რომელსაც ამა თუ იმ რეალობას მივანიჭებთ, შეიძლება მხოლოდ სუბიექტურ გემოვნებაზე იყოს დაფუძნებული. ყველა ეს რეალობა ერთმანეთის ტოლფასი გახლავთ, თვითეული მათგანი ჭეშმარიტია, შესაბამისი თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია: მოვახდინოთ თვალსაზრისთა კლასიფიცირება და მათ შორის ამოვარჩიოთ ის, რომელიც უფრო ახლობელი გვეჩვენება. ამ გზით მივაღწევთ გაგებას, რომელიც, მართალია, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას არ აღგვითქვამს, მაგრამ პრაქტიკულად მაინც ხელსაყრელია და სინამდვილის მომაწესრიგებელი.

ყველაზე სანდო საშუალება, რომლითაც შეიძლება ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ იმ ოთხი ადამიანის სხვადასხვა თვალსაზრისი, სიკვდილის სცენას რომ ესწრებიან, ის გახლავთ, რომ ერთმანეთს შევუპირისპიროთ ისინი ერთი და იმავე ნიშნის მიხედვით, სახელდობრ, განვიხილოთ ის სულიერი დისტანცია, რომელიც დევს თვითეულ მათგანსა და ოთხივესათვის საერთო მოვლენას — მომაკვდავის სულთმობრძაობას შორის. მომაკვდავის მეუღლისათვის ეს დისტანცია მინიმალურია, ის ოთქმის არ არსებობს. საშწუხარო მოვლენას ისე დაუფლეთია ქალის გული, ისე მოუცავს მთელი მისი არსება, რომ ის მოლიანად ერწყმის ამ მოვლენას. ხატოვნად რომ ვთქვათ, ცოლი ერთვება სცენაში და მის ნაწილად იქცევა. მაყურებლის თვალით რომ აღვიქვათ ეს სცენა, აუცილებელია დავშორდეთ მას, აუცილებელია, რომ ის გულისშემძერელად აღარ მოქმედებდეს ჩვენზე. ცოლი ამ სცენას მოწმესავით როდი ესწრება, ის თვით მასშია, ის კი არა ჭვრეტს, რაც ხდება, არამედ მასშივე ცოცხლობს.

ექიმი უკვე ოდნავ შორსაა. მისთვის ეს პროფესიული შემთხვევა გახლავთ. ის არ განიცდის ამ სიტუაციას იმ მტანჯველი და ცნობისმიმხდელი მწუხარებით, რომელიც ავსებს საბრალო ქალის გულს. მაგრამ პროფესია ვალდებულებს, მთელი სერიოზულობით მოეკიდოს იმას, რაც ხდება. მას გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია და, შესაძლოა, სწორედ ამ ვითარებაზეა დამოკიდებული მისი პრესტიჟიც.

ამიტომ, მართალია, უფრო ნაკლებ უანგაროდ და ინტიმურად, ისიც მონაწილეობს ამ სცენაში, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მასზე, თავის დრამატულ განვითარებაში ითრევს და ექიმის გულს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მის პროფესიულ მხარეს მაინც ეხება. ისიც თავისებურად განიცდის ამ საშწუხარო ამბავს, თუმცაღა მისი განცდა თვით გულიდან კი არა, იმ გრძნობათა პერიფერიიდან იღებს დასაბამს, უშუალოდ რომ უკავშირდებიან მის პროფესიონალიზმს.

ახლა, თუ რეპორტიორის ადგილას დავდგებით, ჩვენ დავინახავთ, რომ უკვე ძალიან დავშორდით საშწუხარო სიტუაციას. დიახ, ჩვენ იმდენად დავცილდით სიკვდილის სცენას, რომ ჩვენმა გრძნობებმა ყოველგვარი კონტაქტი დაკარგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან. ჟურნალისტი, ისევე, როგორც ექიმი, აქ სამსახურებრივმა მოვალეობამ მოიყვანა, და არა უშუალო თანაგრძნობამ, ან ჰუმანურმა ზრახვამ. მაგრამ თუ თავისი პროფესია აიძულებს ექიმს, უშუალოდ ერეოდეს იმაში, რაც ხდება, ჟურნალისტის პროფესია, პირიქით, ჩაურევლობას ავალებს რეპორტიორს: ის მარტოოდენ დაკვირვებით უნდა შემოიფარგლოს. რაც ხდება, ეს მისთვის, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ უბრალო სცენაა, განყენებული სანახაობა, რომელიც შემდეგ თავისი გაზეთის ფურცლებზე უნდა აღწეროს. მისი გრძნობები არ მონაწილეობენ იმაში, რაც ხდება, სული შეძრული არ არის მწუხარე სცენით, ის აშკარად მის გარეთაა, მაგრამ მაინც აკვირდება და თან იმაზე ფიქრი აწუხებს, თუ როგორ აღწეროს ყოველივე ეს თავის მკითხველებს; მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: რანაირად დააინტერესოს, ან ააღელვოს ისინი და შეძლებისდაგვარად მიაღწიოს იმას, რომ გული აუჩუყოს, ააცრემლოს და ერთი წამით მაინც მომაკვდავის ნათესავებად აქციოს ხელისმომწერნი, მას ახსოვს ჯერ კიდევ სკოლაში დაზეპირებული ჰორაციუსის რეცეპტი: „Si vis me flere, dolendum est primum ipsi tibi.“*

ჰორაციუსის მიმდევარი რეპორტიორი ცდილობს თავის სულში გამოიწვიოს ამ მოვლენის შესაფერისი მწუხარება, რათა შემდეგ თავის სტატიაში ჩააქსოვოს იგი. აშრიგად, თუმცა ის არ „ცოცხლობს“ სცენით, მაგრამ თავს „ისე გვაჩვენებს“, ვითომცდა მისით ცოცხლობდეს.

და ბოლოს, ყველაფრის მიმართ გულგრილ მხატვარს მხოლოდ ერთი საზრუნაეი აქვს: როგორმე შეიჭყიტოს „კულისებში“; რაც სცენაზე ხდება, მას არ ეხება; როგორც იტყვიან, „სხვაგან ჰქრის მისი გონება“. მხატვრის პოზიცია პირწმინდად კონტემპლაციურია, მეტიც შეიძლება ითქვას, რომ ის მთელი სავსებით არცა ჭვრეტს მოვლენის დრამატულ განვითარებას, მოვლენისა, რომლის შინაგანი აზრიც მისი აღქმის მიღმა რჩება. ის ყურადღებას აქცევს მხოლოდ გარეგნულ მხარეს — შუქ-ჩრდილის თამაშს, ქრომატულ ნიუანსებს. მხატვრის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენისაგან მაქსიმალურ დაშორებასა და გრძნობების მინიმალურ მონაწილეობასთან ამავე მოვლენაში.

ესოდენ ვრცელი ანალიზი აუცილებელია და გამართლებული, თუ მოვახერხეთ გარკვეული სიცხადით დაგვედგინა სულიერ დისტანციათა სკალა ჩვენსა და რეალობას შორის. ამ სკალაზე რომელიმე მოვლენის ჩვენთან სიახლოვის ხარისხი ამავე მოვლენით ჩვენი გრძნობების აღძვრის ხარისხს შეესაბამება, ხოლო მისგან ჩვენი დაშორების ხარისხი, პირიქით, რეალური მოვლენისაგან ჩვენი დამოუკიდებლობის ხარისხზე მიგვანიშნებს; ამ ჩვენი თავისუფლების განმტკიცების წყალობით, რეალობის ობიექტივაციას ვახდენთ და წმინდა ჭვრეტის საგნად ვაქცევთ მას. სკალას ერთ-ერთ უკიდურეს წერტილზე რომ ვდგავართ, რეალური სინამდვილის გარკვეულ მოვლენებთან — ადამიანებთან, საგნებსა თუ სიტუაციებთანა გვაქვს საქმე; ისინი „ცოცხალ“ რეალობად გვევლინებიან; და პირიქით, მეორე უკიდურეს წერტილზე დგომისას, საშუალება გვეძლევა ისე აღვიქვამდეთ ყველაფერს, როგორც „ჭვრეტით საწვდომ“ რეალობას.

აქ ჩვენ უნდა გაგიზიაროთ ერთი შენიშვნა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ესთეტიკისთვის, და რომლის გარეშეც გაგვიჭირდება როგორც ძველი, ისე ახალი ხელოვნების არსში წვდომა. რეალობის სხვადასხვა ასპექტთა შორის, ხედვის სხვადასხვა წერტილს რომ შეესაბამებიან, არსებობს ერთი ასპექტი, რომელიც დასაბამს აძლევს ყველა დანარჩენს და თვითეულ მათგანში იგულისხმება. ესაა „ცოცხალი“ რეალობის ასპექტი. რომ არ იყოს არავინ, ვინც ნამდვილად მთელის არსებით, მწუხარე-

* „თუ გსურს ცრემლი მომგვარო თვალზე, ჩემამდე შენ გმართებს გლოვა“ (ლათ.), პოეზიის ხელოვნება, 102. — მთარგმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან შეშლილი, განიცდიდა მომაკვდავის აგონიას, ანდა, უარეს შემთხვევაში, ამ აგონიით შეცბუნებული არ იყოს თვითონ ექიმიც, მკითხველები ვერ აღიქვამდნენ ამ მოვლენის აღმწერი ჟურნალისტის პათეტიკურ ჟესტებს, ხოლო მაყურებლები — სურათს, რომელზედაც მხატვარმა გამოხატა სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე და მგლოვიარე ფიგურებით გარშემორტყმული კაცი; ეს მოვლენა მათთვის საერთოდ გაუგებარი დარჩებოდა.

იგივე ითქმის ნებისმიერ სხვა ობიექტზედაც, კაცი იქნება ეს თუ საგანი. ვაშლის პირველადი ფორმა ის ფორმაა, რომელიც ვაშლს აქვს იმ მომენტში, როცა ჩაკბეჩას უპირებენ. ყველა დანარჩენ ფორმაში (სულერთია, რომელ ფორმას ვიგულისხმებთ: იმას, რომელიც 1600 წელს მიანიჭა მას მხატვარმა, ბაროკოს სტილით რომ შექმნა ვაშლისა და ორნამენტის კომბინაცია; იმას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ სეზანის ნატურმორტში, თუ მარტივ მეტაფორას, სადაც ვაშლი ქალწულის ღაწვთანაა შედარებული) მეტ-ნაკლები სისრულით ინახება ეს პირველადი ხატება. „ცოცხალი" ფორმებისაგან განძარცვული ფერწერა თუ პოეზია სრულიად გაუგებარი იქნებოდა, ესე იგი, არარაობად იქცეოდა, ისევე როგორც ვერაფერს გვეტყოდა სტრიქონი, სადაც ყოველი სიტყვა მოკლებული იქნებოდა თავის ჩვეულ მნიშვნელობას.

ეს ნიშნავს, რომ რეალობთა სკალაზე თავისებური პირველობა მიეკუთვნება „ცოცხალ" რეალობას, რომელიც გვაეალდებულებს ეფასებდეთ მას, როგორც „თვით რეალობას" უპირატესად. მხატვრის საქციელი, გულგრილად რომ აკვირდება სიკვდილის სცენას, „არა-ადამიანური" ჩანს. ამიტომ ეოქვათ, რომ ხედვის „ადამიანური" წერტილი ის წერტილია; საიდანაც ჩვენ „განვიცდით" სიტუაციებს, ადამიანებსა და საგნებს. ცხადია, რომ „ადამიანური", ჰუმანიზირებული გვეჩვენება ყველა რეალობა — ქალი, პეიზაჟი, ბედი — როცა ისინი წარმოგვიდგებიან იმ პერსპექტივაში, რომელშიაც ისინი, ჩვეულებრივ, „განიცდებიან".

აი, მაგალითი, რომლის მნიშვნელობასაც მკითხველი მოგვიანებით ჩასწვდება. გარდა საგნებისა, სამყარო ჩვენი იდეებისგანაც შედგება. ამ იდეებს ჩვენ „ადამიანურად" ვიყენებთ, როცა მათი მეშვეობით ვიაზრებთ საგნებს; ასე მაგალითად, ნაპოლეონზე ფიქრისას ჩვენ ვგულისხმობთ დიდ ადამიანს, რომელსაც ეს სახელი ერქვა; ესაა და ეს. პირიქით, თეორეტიკოსი ფსიქოლოგი, ხედვის არაბუნებრივ, „არა-ადამიანურ" წერტილს რომ ირჩევს, აზრით განყენდება, განერიდება ნაპოლეონს და, თავისი შინაგანი სამყაროს მიმართ მიქცეული, ცდილობს გააანალიზოს საკუთრივ „ნაპოლეონის" იდეა, რომელიც არის მასში. მაშასადამე, საქმე ეხება მზერის მიმართულებას, იმ მიმართულების საპირისპიროს, რომელსაც ავტომატურად ვესადაგებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქ იდეა ინსტრუმენტი კი აღარ არის, რომლის მეშვეობითაც ვიაზრებთ საგანს, არამედ თვითონვე იქცევა ჩვენი აზროვნების საგნად და მიზნად. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რა მოულოდნელად იყენებს ამ მიქცევას „არა-ადამიანურისაკენ" სახალი ხელოვნება.

იდეება ხელოვნების დეკუმანიზაცია

ახალი ხელოვნება თავბრუდამხვევი სისწრაფით დაიყო სხვადასხვა მიმართულებათა თუ მიმდინარეობათა სიმრავლედ. არა არის რა იმაზე ადვილი, რომ შეხიშნო სხვადასხვაობა ცალკეულ ქმნილებებს შორის. მაგრამ სხვაობისა და სპეციფიკის ამნაირი აქცენტირება არაფერს არ მოგვცემს, თუ თავდაპირველად არ განვსაზღვრეთ ის ზოგადი, რასაც სხვადასხვანაირად, ზოგჯერ კი ურთიერთსაპირისპიროდაც ამტკიცებს თვითეული მათგანი. ჯერ კიდევ არისტოტელე გვასწავლიდა, რომ საგნები განსხვავდებიან იმით, რითაც ერთმანეთს ჰგვანან, იმით, რაც საერთოა მათთვის. რაკიღა ყველა სხეულს აქვს ფერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვამჩნევთ, რომ ზოგიერთი მათგანი ფერით განსხვავდება დანარჩენთაგან. კაცმა რომ თქვას, სახეობები გვარის სპეციფიკაა, და ჩვენ მხოლოდ მაშინ ვასხვავებთ მათ, როცა შეგვიძლია ცვალებად ფორმათა მრავალფეროვნებაში ამოვიცნოთ მათი საერთო ფესვი.

ახალი ხელოვნების ცალკეული მიმართულებანი ნაკლებად მაინტერესებენ და, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, კიდევ უფრო ნაკლებად მაინტერესებს ცალკე აღებული ესა თუ ის ნაწარმოები. თუმცა სულაც არ არის სავალდებულო, ვინმეს აინტერესებდეს ახალი მხატვრული პროდუქციის ჩემეული შეფასება. ავტორები, რომელთა მთელი პათოსიც ამა თუ იმ ნაწარმოების მოწონებით ან დაწუნებით იფარგლება, საერთოდ არ უნდა იღებდნენ ხელში კალამს. როგორც ამბობდა კლარინი ზოგიერთ დანავსულ დრამატურგზე, უმჯობესია, რაიმე სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი, ან ოჯახს მაინც მოეკიდონო — აჰ, უკვე?.. მაშინ მეორეს მოეკიდონ.

აი, რა არის არსებითი: სამყაროში არსებობს ახალი ესთეტიკური გრძნობის უდავო ფაქტი.* დღევანდელი მიმართულებებისა და ინდივიდუალური ქმნილებების მთელი სიმრავლის მიუხედავად, ეს გრძნობა განასახიერებს იმ ზოგად, გვარეობით საწყისს, რომელიც მათი სათავეა. ინტერესს მოკლებული არ იქნება გავერკვეთ ამ მოვლენაში.

როცა ახალი ხელოვნების ზოგადგვარეობითი და ყველაზე მეტად სპეციფიკური ნიშნის განსაზღვრას ვცდილობ, მე ვხედავ ხელოვნების დეჰუმანიზაციის ტენდენციას. წინა ქვეთავი ხელს გვიწყობს ამ ფორმულის დაზუსტებაში.

ორი სურათის შეპირისპირებისას, რომელთაგანაც ერთი ახლებურად ერითაა შესრულებული, ხოლო მეორე 1860 წლით თარიღდება, ყველაზე ადვილია, როგორც ერთ, ისე მეორე სურათზე გამოხატული საგნების — ვთქვათ, კაცის, შენობისა თუ მთის — შედარებას მივმართოთ. სულ მალე ცხადი გახდება, რომ 1860 წელს მხატვრის უპირველესი საზრუნავი შემდეგი იყო: როგორმე მიეღწია იმისთვის, რომ საგნებს მის სურათზე იგივე სახე და იერი შეენარჩუნებინათ, რაც სურათის გარეთა აქვთ, სადაც ისინი „ცოცხალი", ანუ „ადამიანური" რეალობის ნაწილს შეადგენენ. შესაძლოა, 1860 წელს მხატვარი სხვა ესთეტიკური პრობლემების წინაშეც გვაყენებდა; მაგრამ აქ არსებითია ერთი: ის ყოველთვის იწყებდა იმით, რომ ამნაირი მსგავსება უზრუნველეყო. ადამიანი, სახლი თუ მთა აქ ერთი შეხედვითვე იცნობა: ისინი ჩვენი ძველი ნაცნობები არიან. თანამედროვე სურათზე კი მათი ცნობა, პირიქით, გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს; მაყურებელს ჰგონია, რომ მხატვარმა, როგორც ჩანს, ვერ შესძლო მიეღწია მსგავსებისათვის. ძველი სურათიც შეიძლება ცუდად დახატული იყოს, ეს იგი, მასზე გამოსახულ საგნებსა და სინამდვილეში არსებულ იმავე საგნებს შორის აშკარად იგრძნობოდეს მკვეთრი სხვაობა, და მაინც, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს დისტანცია ობიექტსა და სურათს შორის, დისტანცია, რომელიც გვიდასტურებს ტრადიციონალისტი მხატვრის შეცდომებს, — ეს შეცდომები რეალობისაკენ სწრაფვის გზაზე მაინც იმ შეცდომის ტოლფასნი არიან, რის გამოც სერვანტესის ორბანეხა იძულებული იყო ამ სიტყვებით მოეხდინა თავისი მაყურებლების ორიენტირება: „ეს — მამალიაო". ახალი სურათის მინედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: მხატვარი არც შეცდომას უშვებს და არც შემთხვევით გადაიხრება „ნატურიდან", „ცოცხალი", ანუ „ადამიანური" რეალობიდან და მისდამი მსგავსებიდან; არა, მისი გადახვევები მოწმობენ, რომ მან

* ეს ახალი აღმქმელობა ნიშნეულია არა მარტო ხელოვნების შემოქმედთათვის, არამედ პუბლიკისთვისაც. თუ ზემოთ ითქვა, რომ ახალი ხელოვნება მხატვართა და მათთვისვე გასაგები ხელოვნებაა, ცხადია, საქმე მარტო იმათ კი არ ეხება, ვინც ამ ხელოვნებას ქმნის, არამედ იმათაც, ვისაც წმინდა მხატვრულ ფასეულობათა აღქმის უნარი შესწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აირჩია იმ ორიენტაციის საპირისპირო მიმართულება, რომელსაც ობიექტის „ჰუმანიზირებამდე“ მივყავართ.

ნაცვლად იმისა, რომ შეძლებისდაგვარად მიუახლოვდეს რეალობას, ხელოვანი, პირიქით, მის წინააღმდეგ ილაშქრებს: ცდილობს შემუსროს რეალობის ადამიანური ასპექტი, მოახდინოს მისი დეჰუმანიზაცია. ჩვენ შეგვეძლო აზრით შევთვისებოდით და შევსისხლხორცებოდით იმას, რაც ტარდიციულ სურათებზეა გამოხატული. ვინ მოსთვლის, რამდენი ინგლისელი ეტრფოდა „ჯოკონდას“. მაგრამ თანამედროვე სურათებზე გამოსახული საგნების შეთვისება კი შეუძლებელია: „ცოცხალი“ რეალობისაგან რომ განძარცვა ისინი, მხატვარმა დაანგრია ყველა ხიდი, დაწვა ყველა ხომალდი, რომლებსაც შეეძლოთ ჩვენთვის ჩვეულ სამყაროში გადავეყვანეთ. ამიერიდან ის ცდილობს პირქუშსა და ჩვენთვის გაუგებარ სამყაროში გამოგვამწყვდიოს, გვაიძულებს საქმე გვქონდეს იმ საგნებთან, რომლებსაც შეუძლებელია „ადამიანურად“ მოექცე. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, სახელდახელოდ გამოვჩხრიკოთ, ან იმპროვიზირებულად გამოვიგონოთ მათთან ურთიერთობის ახალი, საგანთა შორის ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან ძირეულად განსხვავებული ფორმა. ეს ახალი, გამოგონილი ცხოვრება უშუალო ცხოვრების გაუქმებას გულისხმობს, და სწორედ ესაა მხატვრული გაგება და მხატვრული ტკბობა. ის მოკლებული არ არის გრძნობებს და ვნებებს, მაგრამ ეს გრძნობები და ვნებები, რა თქმა უნდა, სულ სხვა ფსიქიკურ ფლორას ეკუთვნის, და არა იმას, რომელიც ნიშნეულია ჩვენი პირველქმნილი „ადამიანური“ ცხოვრების ლანდშაფტებისთვის. ესენი მეორეული ემოციებია: ულტრა-ობიექტები* აღვიძებენ მათ მხატვარში, რომელიც ჩვენში ცხოვრობს. ყველა ეს გრძნობა სპეციფიკურად ესთეტიკური გრძნობაა.

ზოგი, ალბათ, იმასაც იტყვის, რომ ამნაირ შედეგს ყველაზე ადვილად შეიძლება მიაღწიო ყოველგვარი „ადამიანური“ ფორმისაგან — კაცის, სახლისა თუ მთისაგან — სრული აბსტრაჰირებითა და იმნაირი გამოსახულების შექმნით, რომელიც არაფერს არა ჰგავს, არაფერს არ მოგვაგონებს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არარაციონალურია.* ვინ იცის, იქნებ ორნამენტის ყველაზე აბსტრაქტულ ხაზში ფარულად ფეთქავს გარკვეულ „ბუნებრივ“ ფორმათა ბუნდოვანი მოგონება. და მეორეც, რაც ყველაზე არსებითია, — ხელოვნება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, „არაადამიანურია“, არა მარტო იმიტომ, რომ „ადამიანურ“ რეალიებს არ შეიცავს, არამედ იმიტომაც, რომ პრინციპულად დეჰუმანიზაციის მიმართაა ორიენტირებული. „ადამიანურობას რომ გაურბის, მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი როდია ტერმინი „ad quem“.** რამდენადაც ტერმინი „a quo“,*** ის ადამიანური ასპექტი, რომელსაც ოვითონვე ანგრევს. საქმე ის კი არაა, რომ დახატო რაღაც ისეთი, რაც სრულებით არა ჰგავს ადამიანს, არამედ ის, რომ დახატო ადამიანი, რაც შეიძლება ნაკლებად რომ ემგვანებოდა ადამიანს; სახლი, რომელიც შეინარჩუნებდა მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელს საიმისოდ, რომ საშულება გვქონოდა დავსწრებოდით მის მეტამორფოზს; კონუსი, რომელიც სასწაულებრივად მოგვევლინებოდა იქიდან, რაც უწინ მთის მწვერვალი იყო, ისევე, როგორც გველი ძვრება ძველი ტყავიდან, ახალი მხატვრისათვის ესთეტიკური სიხარული ადამიანურობის ამ ტრიუმფალური ძლევიდან იღებს დასაბამს; ამიტომაც მან უნდა შესძლოს გაშარჯ-

* ულტრაიზმი, ალბათ, ყველაზე შესაფერისი სახელია აღმქმელობის ახალი ტიპის აღსანიშნავად („ულტრაიზმი“ ეწოდება ავანგარდისტულ მიმდინარეობას ესპანურ პოეზიაში, აღმოცენებულს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. — მთარგმნ.).

* ამ უკიდურესობის სულისკვეთებით ჩატარებულ იქნა ერთი ცდა: იგულისხმება პიკასოს ზოგიერთი ნამუშევარი; მაგრამ მათ ჭკვის საწყალი წარუმატებლობა ბევდათ წილად.

** კისთვის (ლათ.) — მთარგმნ.

*** რისგან, რითი (ლათ.) — მთარგმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების კონკრეტიზება და ყველა ცალკეულ შემთხვევაში წარმოგვიდგინოს მოეუდული მსხვერპლი.

ბრბოს ჰგონია, რომ ადვილია მოსწყდე რეალობას, მაშინ როდესაც სინამდვილეში ამაზე ძნელი არა არის რა. ადვილია იმის წარმოთქმა ან დახატვა, რაც სრულიად უაზროა, აბსურდული, არაფრის მთქმელი: საკმარისია ყოველგვარი კავშირის გარეშე წავილულლულოთ ორიოდე სიტყვა,* ან ალალბედზე გავავლოთ რამდენიმე ხაზი. მაგრამ შექმნა რაღაც ისეთი, რასაც „ნატურის" ასლად ვერ მივიჩნევდით, მაგრამ გარკვეული შინაარსის შემცველი კი იქნებოდა, — ეს ნიჭიერების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს.

„რეალობა" ჩასაფრებულია და გამუდმებით უთვალთვალებს მხატვარს, რომ გაქცევის საშუალება არ მისცეს. მაინც რამდენი ცბიერება სჭირდება გენიალურ გაქცევას! უნდა იყო „ოდისევსი პირუკუ" — ოდისევსი, რომელიც თავს აღწევს თავის განუყრელ პენელოპეს და სახიფათო რიფებს შორის გამალებით მიცურავს, რათა კირკეს ჯადოქრული ხიბლის ტყვედ იქცეს. თუ მხატვარმა დრო იხელთა და, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა დასხლტომოდა მუდმივ მეთვალყურეს, — დე, ნუ შეურაცხგვყოფს მისი ამაყი პოზა, წმიდა გიორგის ძუნწი ჟესტი მის ფერხთით განრთხმული გველეშაპის თავზე!

მოწოდება გაგებისაკენ

ძველი ხელოვნების ქმნილებებში, გასულ საუკუნეში რომ ანიჭებდნენ უპირატესობას, ყოველთვის მოცემულია „ცოცხალი" რეალობის ბირთვი, და სწორედ ის გვევლინება ესთეტიკური საგნის სუბსტანციად. მხოლოდ ეს რეალობა აინტერესებს ხელოვნებას. ბრბოს ლის მთელი ქმედითობაც „ცოცხალი" სინამდვილის მიმართ ზოგჯერ იმით ამოიწურება, რომ დახვეწოს ეს „ადამიანური" ბირთვი, გარეგნული პენი თუ ბრწყინვალება შემატოს, მოკლედ რომ ეთქვათ, შეამკოს იგი. ადამიანთა უმრავლესობას ხელოვნების ნაწარმოების ამნაირი წყობა ყველაზე უფრო ბუნებრივ და ერთადერთ შესაძლო წყობად მიაჩნია. ხელოვნება ცხოვრების ასახვაა, ინდივიდუალურობის პრიზმიდან დანახული ნატურა — „ადამიანურობის" განსახიერება და ა. შ. და ა. შ. მაგრამ სიტუაცია იმნაირია, რომ ახალგაზრდა მხატვრები არანაკლები თავდაჯერებით იცავენ საპირისპირო შეხედულებას. რატომ უნდა იყვნენ დღეს ბებრები უცილობლად უფრო მართალნი, თუკი ხვალინდელი დღე უმალ ახალგაზრდების სიმართლეს დაამტკიცებს, ვიდრე ბებრებისას? უწინარეს ყოვლისა, არც ყვირილი მოგვცემს რასმე და არც აღშფოთება. „Dove si grida, non è vera scienza",* —ამბობდა ლეონარდო და ვინჩი. „Neque lugere, neque indignari, sed intelligere",** — გვირჩევდა სპინოზა. ჩვენში ყველაზე ღრმად ფესვგადგმული და თითქოს ეჭვშეუვალი შეხედულებანი ყველაზე საეჭვონი არიან. ისინი გვბოჭავენ, გასაქანს არ გვაძლევენ და თავიანთ ვიწრო ჩარჩოში გვამწყვდევენ ჩვენ. უბადრუკია სიცოცხლე, რომელშიაც არ ბობოქრობენ და თავიანთი საზღვრების გაფართოებას არ მიელტვიან მძაფრი ენებები. სიცოცხლე არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სიცოცხლის ხარბი წყურვილი. ჯიუტი სწრაფვა იმისაკენ, რომ ჩვეულებრივისა და ყოველდღიურის სულისშემხუთველ სივიწროვეში გამოვიმწყვდიოთ თავი, ყოველთვის სისუსტეა, სასიცოცხლო ძალთა დაწრეტა. ეს საზღვრები ბიოლოგიური ზღვარია, ჩვენი

* დადაისტთა ექსპერიმენტები. ახალი ხელოვნების ამნაირი ექსტრავაგანტური და წარუმატებელი ცდები, გარკვეული ლოგიკის ძალით, თვით მისივე ბუნებიდან გამომდინარეობენ. ეს გვიჩვენებს ex abundantia, რომ საქმე ეხება ერთიანსა და გაცნობიერებულ პროცესს. — ex abundantia — სიუხვის, სიჭარბის გამო (ლათ.) — მთარგმნ.

* სადაც ყვირიან, იქ არ არის ნამდვილი მეცნიერება (იტალ.). — მთარგმნ.

** არა გლოვა, არა აღშფოთება, არამედ გაგება (ლათ.). — მთარგმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობის ცოცხალი ნაწილი; ვიდრე იმის უნარი შეგვწევს, რომ სიუხვით და სისავსით დავტკბეთ, ჰორიზონტი გადაადგილდება, თანდათანობით ფართოვდება და ლამის ჩვენი სუნთქვის ტაქტზე ირწევა. პირიქით, როცა ჰორიზონტი ხევდება, ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს ცხოვრებას ხავსი მოედო და სიბერემ კარზე მოგვიკაკუნა.

თავისთავად სულაც არ იგულისხმება, რომ ხელოვნების ნაწარმოები, როგორც ჰგონიათ აკადემისტებს, აუცილებლად უნდა შეიცავდეს „ადამიანურ" ბირთვს. უწინარეს ყოვლისა, ამას ხელოვნება მხოლოდ კოსმეტიკაზე დაჰყავს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ „ცოცხალი" რეალობის აღქმა და მხატვრული ფორმის აღქმა ერთმანეთთან პრინციპულად შეუთავსებელნი არიან, რადგანაც აღქმის ჩვენეული აპარატის სხვადასხვანაირ მომართვას მოითხოვენ. ხელოვნება, რომელიც თავს მოგვახვევდა ამნაირ ორმაგ ხედვას, ყველას თვალებს დაგვიელმებდა. XIX საუკუნე მეტისმეტად ელამი გახდა; ამიტომაც მისი მხატვრული შემოქმედება, რომელიც ძალზე შორსაა იმისაგან, რომ ხელოვნების ნორმალური ტიპი წარმოგვიდგინოს, გემოვნების ისტორიაში, ალბათ, უდიდეს ანომალიად გვევლინება. ხელოვნების ყველა დიდი ეპოქა გაურბოდა იმას, რომ „ადამიანური" ნაწარმოების სიმძიმის ცენტრად ექცია, და ის იმპერატივი განსაკუთრებული რეალიზმისა, გასულ საუკუნეში რომ მართავდა აღქმას, ესთეტიკის ისტორიაში უმაგალითო სიმახინჯედ წარმოგვიჩნდება. გარეგნულად ესოდენ ექსტრავაგანტური ახალი შთაგონება ხელახლა ცდილობს მოსინჯოს, ყოველ შემთხვევაში, ერთ პუნქტში მაინც, ხელოვნების რეალური გზა, რომელსაც „სტილისაკენ ნებელობისმიერი სწრაფვა" ეწოდება. ამრიგად, სტილიზება რეალურობის დეფორმაციას, დერეალიზებას ნიშნავს. სტილიზაცია დეჰუმანიზაციას გულისხმობს. და პირიქით, არ არსებობს დეჰუმანიზაციის სხვა საშუალება, სტილიზაციის გარდა. მაშინ როდესაც რეალიზმი მოუწოდებს ხელოვანს, მორჩილად მისდევდეს ბუნებრივ ფორმას და, ამრიგად, არ ჰქონდეს სტილი, ამიტომ სურბარანის თაყვანისმცემელი, რომელმაც არ იცის, რა თქვას, გაიძახის, მის სურათებში ხასიათი იგრძნობაო, ზუსტად ასევე, სტილი კი არა, ხასიათია ნიშნეული ლუკასა თუ სოროლიასთვის, დიკენსისა თუ გალდოსისათვის. სამაგიეროდ XVIII საუკუნეს, რომელსაც ესოდენ ნაკლებად მოეძებნებოდა ხასიათი, მთლიანად განწონის სტილი.

ხელოვნების დეჰუმანიზაცია გრძელდება

ახალგაზრდა მხატვრებმა „ტაბუ" დაადეს ყოველგვარ მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავდა „ადამიანურობა" დაემყნო ხელოვნების ძირზე. „ადამიანურობა", ელემენტთა კომპლექსი, რომელთაგანაც შედგება ჩვენთვის ჩვეული სამყარო, სამი სხვადასხვა დონის ჰიერარქიას გულისხმობს. უმაღლესი დონე — პიროვნებათა რანგია, შემდეგ — ცოცხალი არსებებისა და, ბოლოს, — არაორგანული საგნებისა. ამისდა კვალად, ახალი ხელოვნების ვეტო იმ ენერგიით ხორციელდება, რომელიც პროპორციულია საგნის ჰიერარქიული დონისა. პიროვნული, როგორც ყველაზე ადამიანური, ყველაზე უფრო გადაჭრით უარიყოფა ახალი ხელოვნების მიერ. ამას განსაკუთრებით ნათლად გვიმოწმებს მუსიკა და პოეზია.

ბეთჰოვენიდან ვაგნერამდე მუსიკის ძირითადი თემა პირადი გრძნობების გამოხატვა გახლდათ. ლირიკოსი ხელოვანი მუსიკის ცადაზიდულ კოშკებს აგებდა იმ მიზნით, რომ ისინი თავისი ცხოვრების აღწერილობით დაესახლებინა. მუსიკა, მეტად თუ ნაკლებად, აღსარება იყო. ამიტომ ესთეტიკურ ტკბობას დაწმენდილობა აკლდა. ჯერ კიდევ ნიცშე ამბობდა, რომ მუსიკაში ვნებები თავიანთივე თავით ტკბებიან. ვაგნერს „ტრისტანში" გადააქვს თავისი რომანი ვეზენდოკთან, და თუ ჩვენ გვინდა მისი ქმნილებით დავტკბეთ, სხვა საშუალება არა გვაქვს. გარდა ამისა, რომ ცოტა ხნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ადულტერის მონაწილეებად წარმოვიდგინოთ თავი. ეს მუსიკა მომნუსხველად მოქმედებს ჩვენზე, და მისი ხიბლით ტკბობა რომ შევძლოთ, უნდა ვიტიროთ, ან ჭმუნვას მივეცეთ, ვნების სიხმილით მოთენილნი თუ მიბნედილნი. მთელი მუსიკა ბეთჰოვენიდან ვაგნერამდე წმინდა წყლის მელოდრამაა.

ეს უპატიოსნო საქციელია, იტყოდა დღევანდელი ხელოვანი. ეს ნიშნავს ბოროტად ისარგებლო კეთილშობილური ადამიანური სისუსტით, რისი წყალობითაც მთელ ჩვენს არსებას განწონის მოყვასის ჭმუნვა თუ სიხარული. მაგრამ განწონის ეს უნარი სულიერების ნიშნით როდია აღბეჭდილი; არა, ეს მექანიკური გამოძახილია, მსგავსად იმისა, როგორც დანის წვერით მინის კაწვრა მექანიკურად იწვევს ჩვენში გულისგამაწვრილებლად უსიამოვნო, კონვულსიურ შეგრძნებას. ეს მხოლოდ ავტომატური ეფექტია, მეტი არაფერი. უნდა ვიცოდეთ, რომ ღიტინით გამოწვეული სიცილი სხვაა და ნამდვილი მხიარულება — სხვა. რომანტიკოსი ფეტვის მარცვლებით ნადირობს, — ის ბოროტად სარგებლობს ჩიტის გულმოდგინებით, რათა თავისი ბგერების საფანტი მიაყაროს. ხელოვნება არ შეიძლება ფსიქიკურ განწყობაზე იყოს დაფუძნებული,—ეს ინსტინქტური, არაცნობიერი ელემენტია, ხელოვნება კი სრული სიცხადე, გონიერების შუადღე უნდა იყოს. სიცილი და ცრემლები, ესთეტიკური თვალსაზრისით, სიცრუეა, თითლიბაზობა, მშვენიერების გამოხატულებამ ღიმილისა თუ სევდის საზღვარი არ უნდა გადალახოს; მაგრამ აჯობებს, თუ ამ საზღვრამდე საერთოდ არ მივა. „Toute maîtrise jette froid".* (მალარმე).

ახალგაზრდა ხელოვანის ამნაირი მსჯელობა საკმაოდ საფუძვლიანი მეჩვენება. ესთეტიკური ტკბობა რაციონალური უნდა იყოს. ბრმა ტკბობა ისევე არსებობს, როგორც თვალხილული. ლოთის სიხარული ბრმაა; მართალია, — გორც ყველაფერს, მის სიხარულსაც თავისი მიზეზი აქვს, კერძოდ, ალკოჰოლი, მგ[illegible]რამ სიხარულის საბაბი კი არ გააჩნია. ხარობს ისიც, ვინც ლატარია მოიგო, მაგრამ სხვანაირად ხარობს, — რაღაც გარკვეულს შეჰხარის. ლოთის სიხარული თავდაცობილია, თავის თავშივე ჩაკეტილი, ესაა სიხარული, ღმერთმა იცის, საიდან და რა გზით მოთრეული; ის, როგორც იტყვიან „უსაფუძვლოა". ლატარიის მომგები კი, პირიქით, სწორედ იმიტომ ხარობს, რომ შეგნებული აქვს, რას უნდა უმადლოდეს თავის სიხარულს: მისი სიხარული გამართლებულია; მან იცის, რა ახარებს, —ეს თვალხილული სიხარულია, ის თავისი მოტივირებით ცოცხლობს. ასე გგონია, რომ ის საგნიდან ეფინება ადამიანს*.

ყველაფერი რაც იმისკენ მიილტვის, რომ მექანისტური კი არა, სულიერი იყოს, გონივრულსა და მკაფიოდ გამოკვეთილ ხასიათს უნდა ფლობდეს. რომანტიკული ქმნილება ჩვენში იწვევს სიამოვნებას, რომელსაც, შესაძლოა, კავშირი არც ჰქონდეს მის არსთან. რაა საერთო მუსიკალურ მშვენიერებასა, რომელიც თითქოს ჩემს გარეთ უნდა იყოს, იქ, სადაც იბადებიან ბგერები, და იმ მსუბუქ სევდასა თუ სალმობას შორის, რაც მან, შესაძლოა, ჩემში გამოიწვიოს, და რითაც იბნიდება რომანტიკულად განწყობილი პუბლიკა? ხომ არ არის აქ იდეალური quid pro quo?** ნაცვლად იმისა, რომ მუსიკით დატკბეს, სუბიექტი თავისი თავითა ტკბება. ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ აღმგზნები საშუალება იყო, ის ალკოჰოლი, რომელმაც სია-

* ყოველგვარი ოსტატობა სიცივეს აფრქვევს (ფრანგ.) — მთარგმნ.

* მაშასადამე, მიზეზობრიობა და მოტივაცია ორი სრულიად სხვადასხვა რამ გახლავთ. ჩვენი ცნობიერების მდგომარეობათა მიზეზებს ამ მსჯელობის საგანთან კავშირი არა აქვთ: მათ მეცნიერება იკვლევს. პირიქით, გრძნობების, ნებელობისმიერი აქტებისა და რწმენის მოტივები უშუალოდ უკავშირდებიან ესთეტიკურ სიამოვნებას: ეს ცნობიერის სფეროა.

** რა რისთვის (ლათ.) — მთარგმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნების გრძნობა გამოიწვია. და ასე იქნება ყოველთვის, ვიდრე ხელოვნება უპირატესად ცხოვრებისეულ რეალობათა დემონსტრირებაზე დაიყვანება. ეს რეალობები გარდუვალად გვეხვევიან თავს და თანაგრძნობის პროვიცირებას იწვევენ, რაც ხელს გვიშლის ობიექტური სიწმინდით აღვიქვამდეთ მათ.

ხედვა სიშორესთან, დისტანციასთან დაკავშირებული აქტია. ყოველ ხელოვნებას თავისი საპროექციო აპარატი აქვს, რომელიც გვაშორებს და გარდაქმნის საგანს. მაგიურ ეკრანზე ჩვენ მათ აღვიქვამთ როგორც უსასრულობაში დანთქმულ და ჩვენთვის მიუწვდომელ ვარსკვლავიერ სამყაროთა წარმომადგენლებს. ხოლო როცა ამნაირი დერეალიზაცია საკმარისი არ არის, რაღაც საბედისწერო ძალით გვეუფლება ორჭოფობა და გაურკვევლობა; ჩვენ აღარ ვიცით, რანაირად უნდა აღვიქვამდეთ საგნებს: განვიცდიდეთ თუ ვჭვრეტდეთ მათ.

ცვილის ფიგურებს რომ ვუყურებთ, რაღაცნაირი შინაგანი მოუსვენრობა გვიპყრობს. ამის მიზეზია ის მტანჯველი ორაზროვნება, რომელიც მათგანვე იღებს დასაბამს და ხელს გვიშლის იმაში, რომ ამ ფიგურების თანდასწრებით მშვიდად და აუმღვრევლად ვიყოთ. როდესაც ვცდილობთ ცოცხალ არსებებად აღვიქვამდეთ მათ, ისინი მანეკენის მკვდრული იერით გვაშტერდებიან და დაგვცინიან, ხოლო თუ მათ ვუყურებთ როგორც ფიგურებს, ისინი თითქოს რისხვას გვაფრქვევენ, აღშფოთებისაგან სუნთქვაშეკრულნი. შეუძლებელია რეალურ საგნებამდე დავიყვანოთ ისინი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ზიზღი გვიპყრობს დაქირავებული გვამების ამ ერთგვარ სახესხვაობათა მიმართ. ცვილის ფიგურები წმინდა წყლის მელოდრამაა.

მე მგონია, ახალ მხატვრულ აღქმასაც ზიზღის გრძნობა ამოძრავებს ხელოვნებაში „ადამიანურის" გამოვლენის მიმართ, გრძნობა, რომელიც ძალიანა ჰგავს იმას, რასაც ადამიანი განიცდის ცვილის ფიგურების წინაშე. ამნაირი აღქმის საპირისპიროდ, ცვილის ფიგურების პირქუშ-მორი ყოველთვის აღაფრთოვანებდა ბრბოს. ამასთან დაკავშირებით გვეებადება ერთი თავხედური კითხვა. თუმცა იმედი კი არა გვაქვს, რომ მას ახლავე გავცემთ პასუხს: რას ნიშნავს ეს ზიზღი ხელოვნებაში „ადამიანურის" გამოვლენის მიმართ? ესაა ზიზღი „ადამიანურის" მიმართ ცხოვრებაში, ზიზღი თვით სინამდვილისადმი, თუ პირიქით: პატივისცემა ცხოვრების მიმართ და გაღიზიანება იმის გამო, რომ მას ხელოვნებაში ურევენ, დიახ, ისეთ მეორეხარისხოვან რაღაცაში, როგორიც ხელოვნება გახლავთ. მაგრამ რას ნიშნავს, „მეორეხარისხოვანი" როლი მივაწეროთ ხელოვნებას, — ღვთაებრივ ხელოვნებას, ცივილიზაციის დიდებას, კულტურის სიამაყეს და ა. შ.? აკი მოგახსენეთ, მკითხველო, რომ ეს მეტისმეტად თავხედური კითხვაა, და ჯერჯერობით უპასუხოდ უნდა დავტოვოთ იგი.

ვაგნერის მუსიკაში შელოდრამა უსაზღვრო ეგზალტაციას აღწევს. და როგორც ყოველთვის, ფორმა, განვითარების უმაღლეს წერტილს რომ მიაღწევს, თავის საპირისპიროში გადადის. თვით ვაგნერის ქმნილებებში ადამიანის ხმა უკვე აღარ არის ყურადღების ცენტრი და კოსმიურობაში ინთქმება. მაგრამ ამ გზაზე გარდუვალი იყო კიდევ უფრო რადიკალური რეფორმა: აუცილებელი იყო მუსიკიდან პიროვნული განცდების განდევნა, მისი გაწმენდა და ობიექტურობის ნიმუშად ქცევა. ამ მისიის ასრულება დებიუსის ხვდა წილად. მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი აუმღვრევლად, ნეტარებით თრობისა თუ ქვითინის გარეშე გვესმინა მუსიკა. ყველა პროგრამული ცვლილება, რაც განიცადა მუსიკამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, დებიუსის გენიალური ძალისხმევით დაპყრობილი ამ ზესაფყარიულა სამყაროდან ამოიზარდა. ეს გარდაქმნა სუბიექტურისა — ობიექტურად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის წინაშე ხუნდება და ფერმკრთალდება ყველა შემდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომი დიფერენციაცია*. დებიუსიმ მოახ-დინა მუსიკის დეჰუმანიზაცია, და ამი-ტომ მისი სახელით იწყება მუსიკალუ-რი ხელოვნების ახალი ერა.

იგივე მოხდა ლირიკაშიც. საჭირო იყო პოეზიის განთავისუფლება, რომე-ლიც ადამიანური მასალის სიმძიმის ქვეშ მოკაკვული და დაკუტებული, ძლი-ვსღა დალასლასებდა დედამიწაზე, ან ხე-ებსა თუ სახურავებს ეხლებოდა, რო-გორც დაზიანებული საჰაერო ბურთი. აქ განმათავისუფლებლად მოგვეევლინა მალარმე, რომელმაც პოეზიას დაუბრუნა ფრენის უნარი და ზეაღმტაცი ძალა. შე-საძლოა, თვითონ მალარმემ ვერც შეს-ძლო იმის განხორციელება, რასაც მი-ელტვოდა, მაგრამ ის იყო ახალი საცდე-ლი გაფრენებისა და ეთერულ ძიებათა პილოტი, რომელმაც გასცა გადამწყვეტი მანევრისათვის მზადყოფნის ბრძანება: გადმოეყარათ ბალასტი.

გავიხსენოთ, როგორი იყო რომანტი-კული საუკუნის თემა. პოეტი შეძლების-დაგვარი დახვეწილობით გვიზიარებდა თავის პირად გრძნობებს „კეთილი ბურ-ჟუას“ გრძნობებს რომ მოგაგონებდათ, თავის საშინელ გასაჭირსა თუ მცირეო-დენ სიმძიმილს, გვიმხელდა თავისი ჭმუნვის მიზეზს, თავის პოლიტიკურ-სა თუ სარწმუნოებრივ სიმპათიებს, ხოლო თუ ის ინგლისელი იყო — თავის ოცნებებსაც ჩიბუხის პლაკუნისას. პოე-ტი ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობდა გული აეჩუყებინა ჩვენთვის თავისი ყო-ველდღიური არსებობით. მართალია, დრო და დრო მოვლენილი გენიოსი შე-საძლებელს ხდიდა, რომ „ადამიანური“ ბირთვის ირგვლივ გაბრწყინებულიყო უფრო ნატიფად ორგანიზებული მატერი-ისაგან შემდგარი ფოტოსფერო, — ასე-თი იყო, მაგალითად, ბოდლერი. მაგრამ ამნაირი შარავანდედი შემთხვევით თუ იჩენდა თავს. პოეტს არასდიდებით არ ეთმობოდა ადამიანი.

— მერედა, ეს ახალგაზრდობას საძრა-ხისად მიაჩნია?—აღშფოთებით იკითხავს, ალბათ, მავანი, ახალგაზრდა რომ აღარ ეთქმის, — კი მაგრამ, მაინც რა ნებავს? იქნებ ის, რომ პოეტი ღლაპი, იხთიო-ზავრი ან დოდეკაედრი იყოს?

არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით; მაგრამ, ჩემის აზრთ, ახალი თაობის პოეტი, როცა ის ლექსს წერს, ცდილობს მხო-ლოდ პოეტი იყოს. ქვემოთ ჩვენ ვნა-ხავთ, რანაირად ახდენს მთელი ახალი ხელოვნება, ახალ მეცნიერებასთან, პო-ლიტიკასა და ახალ ცხოვრებასთან ერ-თად, მკაფიოდ დაუდგენელი საზღვრე-ბის ლიკვიდირებას. იმისკენ სწრაფვა, რომ საზღვრები საგანთა შორის მკაცრ-ად განსაზღვრული იყოს, აზრობრივი სიფაქიზის ნიშანი გახლავთ. ცხოვრება — ერთია, პოეზია კი — მეორე, — ასე ფიქრობენ ამჟამად, ან, ყოველ შემთხ-ვევაში, გრძნობენ. ერთმანეთში ნუ ავუ-რევთ ამ ორ სხვადასხვა რამეს. პოეტი იწყება იქ, სადაც მთავრდება ადამიანი. ერთის ბედი თავისი „ადამიანური“ გზით სიარულია, მეორის მისია — არარსებუ-ლის შექმნა. ესაა მელექსის ხელობის გამართლება. იმ რეალობას, რომელიც უკვე არსებობს თავისთავად, პოეტი ახ-ალ, ირრეალურ კონტინენტს უმატებს და ამრიგად ამდიდრებს და აფართოებს სამყაროს. სიტყვა „ავტორი“ წარმოსდ-გება „auctor“-ისაგან, რაც ნიშნავს „გამფართოებელს“. ასე უწოდებდნენ რომაელები მხედართმთაჭარს, ახალ სამ-ფლობელოებს რომ ჰმატებდა თავის სამშობლოს.

გასულ საუკუნეში მალარმე იყო პირ-ველი კაცი, რომელმაც მოისურვა პოე-ტი ყოფილიყო; მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მან „უარყო ბუნებრივი მასა-ლა“ და პატარ-პატარა ლირიკულ ლექ-სებსა თხზავდა, „ადამიანური“ ფლორი-სა და ფაუნისაგან განსხვავებულს. ეს პოეზია არ საჭიროებს იმას, რომ „ნაგ-რძნობი“ იქნეს, რადგანაც მასში არა არის რა „ადამიანური“ და, მაშასადა-

* უფრო დეტალურ ანალიზს იმისას, თუ რას ნიშნავს დებიუსი რომანტიკული მუსიკის ფონ-ზე, შეიძლება გაეცნოთ ჩემს ესსეში „Musica-lia“, გადმობეჭდილს ჟურნალიდან „El Espec-tador“, T. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, არც გულისშემძვრელი. თუ საქმე ეხება ქალს, მარტოოდენ „არანაირს", ხოლო თუ ის ამბობს, „საათმა დაჰკრაო", ამ საათს თქვენ ვერ იპოვით ციფერბლატზე. ამ უარყოფათა შედეგად მალარმე ლექსებიდან აძევებს ყველაფერს, რაც ცხოვრების თანახმიერია, და იმდენად არამიწიერ მხატვრულ სახეებს გვთავაზობს, რომ მათი უბრალო ჭვრეტაც კი თავისთავადაა უდიდესი ნეტარება. ამ სახეებს შორის რა ქნას თავისი საბრალო „ადამიანური" სახით იმან, ვინც პოეტის მოვალეობა იტვირთა? მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ: აიძულოს ეს სახე, გაქრეს, განქარდეს, წმინდა და უსახელო ხმად იქცეს. მსუბუქად რომ არწევს და უნანავებს ჰაერში მორიალე სიტყვებს, ლირიკული ჩანაფიქრის ამ ნამდვილ პერსონაჟებს. ეს წმინდა, უსახელო ხმა, ლექსის ჭეშმარიტი აკუსტიკური სუბსტრატი, იმ პოეტის ხმაა, რომელსაც უნარი შესწევს თავისი „ადამიანური" მასალისაგან განთავისუფლდეს.

ყოველი მხრიდან ჩვენ ვუახლოვდებით ერთსა და იმავეს — ადამიანისაგან გაქცევას. არსებობს დეჰუმანიზაციის მრავალი საშუალება. შესაძლოა, დღეს სულ სხვა საშუალებები ჭარბობდნენ, იმათგან განსხვავებულნი, რომელთაც იყენებდა მალარმე, და მე არც ვხუჭავ თვალს იმაზე, რომ მალარმეს ქმნილებებში მაინც გვხვდება რომანტიკული გადახრები თუ რეციდივები, მაგრამ ისევე, როგორც მთელი თანადროული მუსიკა დებიუსით დაიწყო, მთელი ახალი პოეზიაც მალარმეს მიერ ნაჩვენები მიმართულებით ვითარდება. ორივე სახელი, ჩემის აზრით, ნამდვილი ნიშანსვეტია, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ კერძო წვრილმანებს და ვეცდებით ახალი სტილის მთავარი ხაზი განვსაზღვროთ.

ჩვენი თანამედროვე, რომელიც ოცდათისა არ გამხდარა, ძალზე ძნელია დაინტერესო წიგნებით, სადაც ხელოვნების სახით გადმოცემულია იდეები და მოთხრობილია ვიღაც ქალისა თუ კაცის ყოფა-ცხოვრება. ყოველივე ამას სოციოლოგიისა თუ ფსიქოლოგიის სული უდის, და ვინ იცის, იქნებ კიდეეაც მოეხიბლათ ყმაწვილი კაცი. ავტორები არავითარ პრეტენზიას რომ არ აცხადებდნენ ხელოვნებაზე და სოციოლოგიისა თუ ფსიქოლოგიის სახელით ლაპარაკობდნენ. მაგრამ ხელოვნება ყმაწვილი კაცისათვის სულ სხვა რამეა.

დღევანდელი პოეზია მეტაფორების უმაღლესი ალგებრაა.

„ტაბუ" და მეტაფორა

მეტაფორა, ალბათ, ყველაზე მდიდარია ადამიანის გასკარგულებაში არსებულ ვირტუალურ შესაძლებლობათა შორის. მისი ქმედითობა ჯადოქრობას უახლოვდება და შესაქმის დროინდელ იარაღს მოგვაგონებს, რომელიც ღმერთს თავისი ერთ-ერთი ქმნილების შიგნაში ჩარჩა, როგორც დაბნეული ქირურგი ტოვებს ხოლმე თავის ინსტრუმენტს პაციენტის სხეულში.

ყველა დანარჩენი შესაძლებლობა რეალობის, ანუ იმის შიგნით გვაშყოფებს, რაც უკვე არის. ჩვენ სხვა არა შეგვიძლია რა, გარდა იმისა, რომ ერთიშეორეს მივუმატოთ ან გამოვაკლოთ ისინი; მხოლოდ მეტაფორა გვიადვილებს ამ დახშული წრიდან გამოსვლას და წარმოსახული რიფებითა თუ ფეერიული კუნძულებით ერთმანეთისაგან ჰყოფს რეალობის სხვადასხვა სფეროს.

ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია ადამიანში ერთი საგნის მეორით შეცვლის ეს აზრობრივი მოთხოვნილება, რაც იმდენად საგნის დაუფლებას კი არ ესახავს მიზნად, რამდენადაც მის მიჩქმალვას. მეტაფორა სხვა საგნით ნიღბავს და მოხერხებულად მალავს საგანს. მას საერთოდ არ ექნებოდა აზრი, უკან რომ არ ედგეს ინსტინქტი, რომელიც აქეზებს ადამიანს, გაურბოდეს ყოველივე რეალურს*.

* უფრო დაწვრილებით მეტაფორის შესახებ იხ. ჩემი ესსე „ორი დიდი მეტაფორა", გამოქვეყნებული ჟურნალში „El Especiador", T. V. 1925

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ამას წინათ ერთმა ფსიქოლოგმა მოინდომა იმის გარკვევა, თუ საიდან იღებს დასაბამს მეტაფორა, თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ის თურმე ნაწილობრივ „ტაბუს“ არსშია ფესვგადგმული*. იყო დრო, როცა შიში ადამიანის შთაგონების წყარო და მისი მოქმედების მთავარი სტიმული გახლდათ. იმხანად ადამიანი გაურბოდა გარკვეულ რეალობებთან კონტაქტს, თუმცა ეს გარდუვალი იყო. ამა თუ იმ ადგილას ყველაზე მეტად გავრცელებული ცხოველი, რომლითაც ადამიანი ირჩენდა თავს, საკრალურ სტატუსს იძენდა. აქედან დასაბამს იღებდა წარმოდგენა, რომლის თანახმადაც არ შეიძლებოდა ხელით შეხებოდა მას. საკითხავია, რა გზას ირჩევდა ამ შემთხვევაში ინდიელი ლილუოტი შიმშილის მოსაკლავად? ჩაცუცქდებოდა და ხელებს მუხლებქვეშ ამოიდებდა. ამრიგად, ჭამა ნებადართული იყო, რადგანაც მუხლებქვეშ ამოდებული ხელები — მეტაფორულად — იგივე ფეხებია. აი, სხეულებრივი პოზის ერთგვარი ტროპი, პირველადი მეტაფორა, სიტყვიერი ხატების წინამორბედი, რომელსაც საფუძვლად უდევს იმისკენ სწრაფვა, რომ ფაქტიურ რეალობას გაექცეს.

და რაკი სიტყვა პირველყოფილი ადამიანისათვის იგივეა, რაც საგანი, მხოლოდ სახელდებული, ამიტომ აუცილებელია თავი აარიდონ იმ საგნის დასახელებას, რომელსაც „ტაბუ“ ადევს. აი, რატომაა, რომ ამ საგანს სხვა საგნის სახელს არქმევენ და, ამრიგად, პირველს შენიღბული და ირიბი ფორმით იხსენიებენ. ასე მაგალითად, პოლინეზიელს, რომელსაც ეკრძალება სახელით მოიხსენიოს რაღაც ისეთი, რაც მეფეს ეკუთვნის, ან ეხება, თავისი მბრძანებლის ჩირაღდნებით გაჩახჩახებული ქოხსასახლის დანახვისას, მხოლოდ ამის თქმის უფლება აქვს: „სინათლე ბრწყინავს ღრუბლებში“. აი, მეტაფორული გადახვევის ნიმუში.

მეტაფორული საშუალებები, რომლებიც თავიანთი ბუნებით ტაბუისტურნი არიან, შეიძლება სულ სხვადასხვა მიზნით იქნენ გამოყენებულნი. ერთი ამ საშუალებათაგანი, რომელსაც უწინ ხშირად მიმართავდა პოეზია, რეალური საგნის გასაკეთილშობილებლად იხმარებოდა. მხატვრულ სახეს დეკორაციული მიზნით იყენებდნენ, რათა ოქროთი მოევარაყებინათ ნებისმიერი საგანი. საინტერესო იქნებოდა გამოგვეკვლია შემდეგი ფენომენი: ახალ პოეტურ შემოქმედებაში, სადაც მეტაფორა მისი სუბსტანციაა, და არა ორნამენტი, შეინიშნება უცნაური სიჭარბე გამაბიაბრუებელი სახეებისა, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ ამაღლებდნენ და აკეთილშობილებდნენ მწირ რეალობას, პირიქით, ამდაბლებენ და აბუჩად იგდებენ მას. ამას წინათ ერთი ახალგაზრდა პოეტის ლექსში წავიკითხე, რომ ელვა დურგლის ადლია, და რომ გაზაფხულმა ცოცხად აქცია ხეები, რათა ნაგვით სავსე ზეცა დაგავოს. ლირიკული იარაღი ბუნებრივი საგნების წინააღმდეგ იწყებს შემობრუნებას, რათა მოწყლას და შემუსროს ისინი.

სუპრარეალიზმი და ინფრარეალიზმი

მეტაფორა, შესაძლოა, დეჰუმანიზაციის ყველაზე რადიკალური საშუალებაც იყოს, მაგრამ ის ერთადერთი რიდია. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი საშუალება არსებობს, და ისინი თავიანთი ეფექტით განსხვავდებიან.

ერთი ამნაირი ელემენტარული საშუალება ჩვეულებრივი პერსპექტივის მარტივ შეცვლაში მდგომარეობა. ადამიანური თვალსაზრისით, საგნებისათვის ნიშნეულია გარკვეული წესრიგი და ჰიერარქია. ზოგიერთი საგანი უფრო მნიშვნელოვანი გვგონია, ზოგიერთი—ნაკლებ მნიშვნელოვანი, ზოგი კი — ყოვლად უბადრუკი. დეჰუმანიზაციის მძაფრი სურვილის დასაკმაყოფილებლად სულაც

* იხ. Werner H., Die Ursprünge der Metapher, 1919.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაა აუცილებელი საგანთა საწყისი ფორმის დამახინჯება. საკმარისია შევაბრუნოთ ჰიერარქიული წესრიგი და იმნაირი ხელოვნება შევქმნათ, სადაც წინა პლანზე გადმოინაცვლებენ უწვრილმანესი ყოფითი დეტალები, რომლებსაც მონუმენტურობა მიენიჭებათ.

ესაა კვანძი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს ახალი ხელოვნების გარეგნულად ესოდენ განსხვავებულ მიმართულებებს. რეალობისაგან გაქცევისა თუ გასხლტომის იმავე პრინციპს მეტაფორის სუპრარეალიზმთან ერთად ისიც აკმაყოფილებს, რასაც შეიძლება „ინფრარეალიზმი“ ეწოდოს. პოეტური „ამაღლება“ შეიძლება ბუნებრივი პერსპექტივის „დონეზე დაბლა დაწევით“ იქნეს შეცვლილი. რეალიზმის დაძლევა ყველაზე უკეთ იმით შეიძლება, რომ უკიდურესობამდე მივიყვანოთ ივი, მაგალითად, ავიღოთ ლუპა და იქიდან გავხედოთ ცხოვრებას მიკროსკოპულ პლანში, როგორც იქცეოდნენ პრუსტი, რამონ დელა სერნა, ჯოისი.

რამონს შეუძლია მთელი წიგნი მიუძღვნას ქალის მკერდს (ვიღაცამ მას უწოდა „ახალი კოლუმბი, ერთი ნახევარსფეროდან მეორისაკენ რომ მიცურავს“), ცირკს, განთიადს, ან რასტროსა თუ პუერტა დელ სოლს. ახლებური მიდგომა მხოლოდ ისაა, რომ ეკზისტენციალისტური დრამის პრესონაჟებად აქციო ჩვენი ცნობიერების პერიფერიული სფეროები. ამ თვალსაზრისით, ჟიროდუ, მორანი და სხვანი და სხვანი ერთი და იმავე ლირიკული ხერხების სხვადასხვა ვარიაციებს იყენებენ.

სწორედ ამიტომ ორივე მათგანი პრუსტის გულმხურვალე თაყვანისმცემელი იყო, და ამავე მიზეზით აიხსნება ისიც, რომ ახალ თაობას ესოდენ დიდ სიამოვნებას ანიჭებს პრუსტის კითხვა, თუმცა ეს მწერალი სულ სხვა ეპოქას ეკუთვნის. შეიძლება ყველაზე მთავარი, რაც მისი წიგნების მრავალხმიანობას აღქმის ახალ ტიპთან აახლოებს, პერსპექტივის შეცვლა, ხედვის წერტილის გადანაცვლებაა, წერტილისა, საიდანაც ვაკვირდებით ფსიქოლოგიურ ურთიერთობებსა და ადამიანურ ბედისწერებს, ძველ მონუმენტურ ფორმებს, რომლებიც შეადგენდნენ რომანის შინაარსს, — ისევე, როგორც არაადამიანურად გამახვილებული ყურადღება გრძნობების, სოციალური ურთიერთობებისა თუ ხასიათების მიმართ.

180°-ით შემობრუნება

მეტაფორა, მისი გასუბსტანციურების კვალდაკვალ, პოეტური ქმედების გმირად იქცევა. არსებითად, ეს ნიშნავს, რომ ესთეტიკური გრძნობა ძირეულად შეიცვალა: ის 180°-ით შემოტრიალდა. უწინ მეტაფორა ფარავდა რეალობას, როგორც მაქმანი თუ მოსასხამი. ახლა, პირიქით, მეტაფორა ცდილობს განთავისუფლდეს თავისი არაპოეტური, ანუ რეალური საბურვლისაგან. საქმე ეხება მეტაფორის რეალიზებას, ანუ res poetica*-დ მის ქცევას. მაგრამ ესთეტიკური პროცესის ეს ინვერსია მარტოოდენ მეტაფორასთან როდია დაკავშირებული; ის თავს იჩენს ყველა მიმართულებასა და ყველა გამომსახველობით საშუალებაში, ასე რომ, შეიძლება ვამტკიცოთ: როგორც ტენდენცია, ის ახლა მთელი თანადროული ხელოვნების გენერალურ ხაზად გვევლინება.**

ჩვენი ცნობიერების კავშირი საგნებთან იმაში მდგომარეობს, რომ ვიაზრებთ ამ უკანასკნელთ და გარკვეულ წარმოდგენას ვიქმნით მათზე. ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ რეალობას კი არა ვფლობთ, არამედ მხოლოდ იდეებს ამ რეალობის შესახებ, რომელთა ჩამოყალიბებაც ასე თუ ისე შევძელით. ჩვენი იდეები თითქოს სათვალთვალო პუნქტია, საიდანაც ვაკვირდებით მთელ სამყაროს. გოეთემ მოსწრებულად შენიშნა, ყოველი ახალი ცნება თითქოს ჩვენს მიერ შეძენილი

---

* პოეტური საგანი (ლათ.) — მთარგმნ.

** სამწუხაროა იქნებოდა, თუ ყოველი გვერდის ბოლოს დაგვჭირდებოდა იმის გიმეორება, რომ ახალი ხელოვნების ნებისმიერი ნიშანი, რომელსაც მე გამოვყოფ როგორც არსებითს, კი არ უნდა აბსოლუტირდებოდეს, არამედ განიხილებოდეს როგორც ტენდენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ორგანოაო. ჩვენ საგნის იდეის მეშვეობით ვხედავთ ამ საგანს, თუმცა აზრობრივი ქმედითობის ბუნებრივ პროცესში ვერც ვამჩნევთ ამას, ზუსტად ისევე, როგორც ხედვის პროცესში თვალი ვერ ხედავს თავის თავს. სხვა სიტყვებით, აზროვნება იმისკენ სწრაფვას ნიშნავს, რომ იდეების მეშვეობით მოიცვა რეალობა; „აზრის სტიქიური მოძრაობა ცნებიდან გარე სამყაროსკენაა მიმართული.

მაგრამ იდეასა და საგანს შორის ყოველთვის გადაულახავი უფსკრული ძევს. რეალობა ყოველთვის გაცილებით უფრო ჭარბია ცნებასთან შედარებით, რომელიც ცდილობს თავისი ვიწრო ჩარჩოთი შემოზღუდოს იგი. საგანი ყოველთვის მეტია ცნებაზე და სულაც არა ჰგავს მას. ეს უკანასკნელი მხოლოდ უბადრუკი სქემაა, ხარაჩო, რომლის მეშვეობითაც რეალობის მიწვდომას ვცდილობთ. და მაინც, ჩვენთვის ბუნებით ნიშნეულია გვწამდეს, რომ რეალობა სწორედ ისაა, რასაც ჩვენ მასზე ვფიქრობთ. ამიტომაც რეალურ საგანსა და მის შესაბამის ცნებას ერთმანეთში ვურევთ და მიამიტურად გვგონია, რომ ცნება იგივე საგანია. მოკლედ, „რეალიზმის" ჩვენს ცხოვრებისეულ ინსტინქტს რეალობის იდეალიზაციისაკენ მივყავართ. ესაა თანდაყოლილი მიდრეკილება „ადამიანურობისაკენ".

და, აი, თუ ჩვენ, ნაცვლად იმისა, რომ ამ მიმართულებით ვიაროთ, ზურგს შევაქცევთ სავარაუდო რეალობას, იმად მივიჩნევთ იდეებს, რანიც სინამდვილეში არიან, ესე იგი, უბრალო სუბიექტურ სქემებად, და თავიანთ ნამდვილ რაობას — მოუქნელობას და სიმყიფეს, მაგრამ, ამასთანავე, წმინდა და გამჭვირვალე კონტურებსაც შევუნარჩუნებთ მათ, მოკლედ, თუ მიზნად დავისახავთ გულდასმით მოვახდინოთ იდეების სუბსტანტიზირება, და საგნებად დავსახოთ ისინი, ამით ჩვენ განვახორციელებთ მათ დეჰუმანიზაციას და საგანთა მიმართ იგივეობისაგან გავათავისუფლებთ, რადგანაც იდეები, არსებითად, ირრეალურნი არიან. რეალურ საგნებად მათი მიჩნევა მათსავე „იდეალიზირებას", გამდიდრებასა და მიამიტურ ფალსიფიცირებას ნიშნავს. აქ ჩვენ ცნობიერებიდან სამყაროსაკენ კი არ მივდივართ, უმალ, პირიქით; ჩვენ ვცდილობთ **სიცოცხლე შთავბეროთ** სქემებს, გავაობიექტუროთ ეს შინაგანი და სუბიექტური კონსტრუქციები.

ტრადიციონალისტი მხატვარი, პორტრეტის ხატვისას, იმის პრეტენზიას აცხადებს, რომ ტილოზე გადასატანი სახის რეალობაშია დანთქმული, მაშინ როდესაც სინამდვილეში ის ტილოზე აღბეჭდავს მხოლოდ ცალკეული ნაკვთების სქემატურ ერთობლიობას, ნაკვთებისა, რომლებსაც მისი ცნობიერება თვითნებურად ირჩევს იმ უსასრულობიდან, რადაც გვევლინება რეალური ადამიანი. კი მაგრამ, მხატვარს რომ ეცადა, ადამიანის დახატვის ნაცვლად, დაეხატა თავისი წარმოდგენა ამ ადამიანზე, თავისი იდეა, თავისი სქემა? მაშინ სურათი თვით სიმართლე იქნებოდა, და მხატვარი თავიდან აიცილებდა გარდუვალ მარცხს. სურათი, რომელიც უარს იტყოდა რეალობასთან შეჯიბრზე, იმად იქცეოდა, რაც არის სინამდვილეში, ესე იგი, ირრეალობად.

ექსპრესიონიზმი, კუბიზმი და ა. შ. სხვადასხვა მასშტაბურობით ცდილობდნენ გადაეჭრათ ეს ამოცანა და ამრიგად ქმნიდნენ ხელოვნებაში რადიკალურ მიმართულებას. საგნების გამოხატულებიდან იდეების გამოხატვაზე გადავიდნენ. მხატვარი დაიბრმავა გარე სამყაროს, და მან შიგნით ჩაიბრუნა გუგა, სუბიექტური ლანდშაფტის ჭვრეტად.

თავისი მასალის სიმყიფისა და სიფხვიერის, დაუმუშავებლობისა და გაურანდავობის მიუხედავად, პირანდელოს პიესა „ექვსი პერსონაჟი ძიებაში", შესაძლოა, ერთადერთი წარმოდგენა იყო ამ უკანასკნელ ხანს, რომელმაც ჩააფიქრა დრამატურგიის ესთეტიკის ყოველი თაყვანისმცემელი. ეს პიესა ბრწყინვალე მაგალითია ესთეტიკური გრძნობის იმ ინვერსიისა, რის აღწერასაც აქ ვცდილობ. ტრადიციული თეატრი გვთავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზობს, პიროვნებებს ვხედავდეთ მის პერსონაჟებში, ხოლო მათ გრძნობებს „ადამიანური“ დრამის გამოხატულებად აღვიქვამდეთ. პირანდელო კი, პირიქით, ახერხებს დაგვაინტერესოს საკუთრივ თავისი პერსონაჟებით, როგორც იდეებითა თუ წმინდა სქემებით.

შეიძლება ისიც კი ვამტკიცოთ, რომ ესაა „იდეების“ პირველი „დრამა“, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. პიესები, რომლებსაც უწინ ეს სახელი ერქვათ, იდეების კი არა, ფსევდო-პიროვნებების დრამებად გვევლინებოდნენ. „ექვს პერსონაჟში“ ყოფითი დრამა, მოქმედ პირებს შორის რომ თამაშდება, მხოლოდ საბაბია, ამიტომაც აღიქმება არადამაჯერებლად. სამაგიეროდ ჩვენს წინაშეა საკუთრივ იდეების ჭეშმარიტი დრამა. დრამა სუბიექტური აჩრდილებისა, ავტორის ცნობიერებაში რომ ცოცხლობენ. აქ უკიდურესად ნათელია დეჰუმანიზაციის მცდელობა, და მისი განხორციელების შესაძლებლობა ეჭვშეუვალადაა დამტკიცებული. ამასთანავე, აშკარა ხდება, რომ პუბლიკას ძალიან უჭირს თავისი მზერა მიუსადაგოს ამ შეცვლილ პერსპექტივას. პუბლიკა ცდილობს მიაკვლიოს „ადამიანურ“ დრამას, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები გამუდმებით აუფასურებს, უკანა პლანზე სწევს, ირონიული თვალთახედვით აბიაბრუებს, და რომლის ადგილზეც, ესე იგი, პირველ პლანზე, თვით თეატრალურ ფიქციას აყენებს. საზოგადოება აღშფოთებულია, ჰგონია, რომ ატყუებენ, მას არ შეუძლია დატკბეს ხელოვნების ამ მომხიბლავი თვალთმაქცობით, რომელიც მით უფრო საოცარია, რაც უფრო ნათლად ვლინდება მისი თვალთმაქცური ქსოვილი.

ხატმბრძოლობა

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ ახალი სტილის პლასტიკურმა ხელოვნებამ იმთავითვე გამოავლინა აშკარა ზიზღი „ცოცხალი“ ფორმებისა თუ „ცოცხალ არსებათა“ ფორმების მიმართ. ეს სავსებით ცხადი გახდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ჩვენი დროისა და იმ ეპოქის ხელოვნებას, როცა გოთიკურ კანონს ისე გაურბოდნენ, როგორც კოშმარს, და მისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ ფერწერა და სკულპტურა, რომლებმაც რენესანსული საერო ხელოვნების ესოდენ უხვი მოსავალი მოგვცეს. უსაზღვროა იმდროინდელი ფუნჯისა თუ საჭრეთლის ნეტარება და ეგზალტაცია, კვალდაკვალ რომ მიჰყვებიან ცხოველურსა თუ მცენარეულ ნიმუშებს, მათი ჩვილი და უნაზესი ხორცის სისავსეს, რომელშიაც ძალუმად ფეთქავს სიცოცხლე. სულერთია, რომელ ცოცხალ არსებებთან ექნებათ საქმე, მთავარია, მათში იგრძნობოდეს სიცოცხლის პულსაცია. სურათიდან თუ სკულპტურიდან ორგანული ფორმა ორნამენტზედაც ვრცელდება. ესაა დრო სიუხვის რქისა, სისხლსავსე ცხოვრების ბობოქარ ნაკადთა ეპოქა, თავის წვნიან და მწიფე ნაყოფთა სიუხვით წალეკვას რომ უქადის ქვეყნიერებას.

ფენომენი გართულდება, თუ გავიხსენებთ, რომ ისტორიას ახსოვს საბვითი გეომეტრიზმის ამნაირი მძვინვარება. უკვე პრეისტორიული ხელოვნების ევოლუციაში ჩვენ ვამჩნევთ, რომ მხატვრული აღქმა ცოცხალ ფორმათა ძიებით იწყება და იმით მთავრდება, რომ ლაბის შიშითა და ზიზღით აღვსილი გაურბის მათ, რათა აბსტრაქტულ ნიშნებს — გასულიერებულ თუ კოსმიურ ხატებათა ამ უკანასკნელ თავშესაფარს შეეფაროს. გველი სტილიზირდება როგორც შეანდროსი, მზე — როგორც სვასტიკა. დროდადრო ზიზღი ცოცხალი ფორმებისადმი მძაფრ სიძულვილად იქცევა და საზოგადოებრივ კონფლიქტებს იწვევს. ასე მოხდა აღმოსავლეთ ქრისტიანული ხატთმბრძოლობის ამბოხებისას ხატების წინააღმდეგ, თუ სემიტური აკრძალვისას, რომელშაც ყადაღა დაადო ცხოველთა გამოსახვას. ამ ინსტინქტს, ძირეულად რომ უპირისპირდება ალტამირას მღვიმის მომხატველი ხალხის ინსტინქტს, არა მარტო ძის რელიგიურ საფუძველში. არაშედ იმნაირ ესთეტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერებაშიცა აქვს ფესვი გადგმული, რომელმაც შემდგომ აშკარა გავლენა მოახდინა ბიზანტიურ ხელოვნებაზე.

ძალზე საინტერესო იქნებოდა გულდასმით გამოგვეკვლია ხატთმბრძოლობის მოულოდნელი ფეთქებადი გამოვლინებანი, ერთიმეორის მიყოლებით რომ იჩენენ თავს რელიგიასა თუ ხელოვნებაში. ახალ ხელოვნებაში აშკარად მოქმედებს ეს უცნაური ხატთმბრძოლური ცნობიერება. მის ფორმულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პორფირიოსის მცნება, რომელიც გაიზიარა მანიქეველობამ და რომლის წინააღმდეგაც გადაჭრით ილაშქრებდა წმიდა ავგუსტინე: „Omne corpus fugiendum est"*. ცხადია, რომ აქ ცოცხალი ხორცი იგულისხმება. სასეირო ინვერსია ბერძნული კულტურისა, რომელიც თავისი გაფურჩქვნის მწვერვალზე ესოდენ კეთილმოწყალე იყო „ცოცხალი" ფორმების მიმართ!

წარსულის უარყოფითი გავლენა

წინამდებარე ესსეს მიზანი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ის გახლავთ, რომ აღწეროს ახალი ხელოვნება მისი ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით. მაგრამ თვით ეს მიზანი მკითხველის უფრო სერიოზულ ცნობისმოყვარეობას გულისხმობს, რომლის დაკმაყოფილებაც აქ, ალბათ, შეუძლებელია, — ეს ფურცლები მას მარტო დატოვებენ თავის საკუთარ ფიქრებთან. მე მხედველობაში მაქვს შემდეგი:

სადღაც აღვნიშნე,** რომ ხელოვნება და წმინდა მეცნიერება (სწორედ იმიტომ, რომ ისინი სულიერი მოღვაწეობის ყველაზე უფრო თავისუფალ სფეროებად გვევლინებიან და ყველაზე ნაკლებ სწორხაზოვნად ექვემდებარებიან ნებისმიერი ეპოქის სოციალურ პირობებს) თავიანთი არსით იმნაირნი არიან, რომ მათი მიხედვით ყველაზე უკეთესად იძლება ვიმსჯელოთ ადამის კოლექტიური ტიპის ცვლილებათა შესახებ. როდესაც იცვლება ცხოვრების ძირითადი მიმართულება, ადამიანი მხატვრულ შემოქმედებაში, შემოქმედებით ემანაციაში, დაუყოვნებლივ იწყებს თავისი ახალი განწყობილების გამოხატვას. მოღვაწეობის ორივე სფეროს — ხელოვნებისა და მეცნიერების — სინატიფე ერთსაც და მეორესაც უკიდურესად მგრძნობიარეს ხდის სიოს ყოველი ახალი დაბერვის მიმართ. მსგავსად იმისა, როგორც სოფელში, დილაობით პარმაღზე გამოსულნი შევცქერით საკვამურებიდან ამოსულ კვამლს, რათა განვსაზღვროთ, საით ქრის ქარი, ახალი თაობების ხელოვნებასა და მეცნიერებასაც შეიძლება იმავე მეტეოროლოგიური ცნობისმოყვარეობით ვუყურეთ.

მაგრამ საამისოდ აუცილებელია წინასწარ განვსაზღვროთ ახალი მოვლენა და მხოლოდ შემდეგ დავსვათ კითხვა: რის სიმპტომად და წინასწარმაუწყებლად გვევლინება მსოფლაღქმის ახალი უნივერსალური სტილი? პასუხი მოითხოვდა გულდასმით გამოგვეკვლია იმ განსაცვიფრებელი შემობრუნების მიზეზები, რასაც დღეს ვხედავთ ხელოვნებაში, მაგრამ ეს მეტისმეტად ძნელი ამოცანაა, და აქ მისი გადაჭრის ადგილი არ არის. საიდან იღებს დასაბამს „დეჰუმანიზაციის" ეს მძაფრი წყურვილი, რას ნიშნავს ეს უჩვეულო ზიზღი „ცოცხალი ფორმების" მიმართ? ალბათ, ეს ისტორიული მოვლენა, ყველა სხვა მოვლენის მსგავსად, უსასრულოდ განტოტილი ფესვების მთელი წნულიდანაა ამოზრდილი, ფესვებისა, რომელთა კელევასაც უფრო დახვეწილი საშუალებები დასჭირდებოდა.

მაგრამ რანაირიც არ უნდა იყოს ყველა დანარჩენი მიზეზი, ეჭვშეუვალი ფაქტია ერთი, უკიდურესად ცხადი და მკაფიოდ გამოკვეთილი მიზეზის არსებობა, თუმცა ეს უკანასკნელი არც პირველობას იჩემებს და არც უზენაესობას.

ხელოვნებაში ძნელია გადაჭარბებით

---

* ბორცისაგან გაქცევა გმართებს (ლათ.) — მთარგმნ.

** იგულისხმება ორტეგა ი გასეტის ნაშრომი „ჩვენი დროის თემა". — მთარგმნ.

შეაფასო წარსულის გავლენა მომავალზე. ხელოვანის სულში ყოველთვის ხდება გარკვეული აღრევა, ანუ ერთგვარი ქიმიური რეაქცია მისი საკუთარი აღქმის თავისებურებასა და უკვე არსებული ხელოვნების სპეციფიკურ ხასიათს შორის. ხელოვანი არასოდეს არ რჩება მარტო სამყაროს პირისპირ. მხატვრული ტრადიცია — შუამავლის სახით — ყოველთვის ერევა სამყაროსთან მის ურთიერთობაში. კი მაგრამ, როგორი იქნება რეაქცია უშუალო გრძნობასა და წარსულის მშვენიერ ფორმებს შორის? ის შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ხელოვანმა შეიძლება იგრძნოს თავისი სიახლოვე წარსულთან და მის ნაშიერად, მის მემკვიდრედ, მის სრულმყოფელად წარმოიდგინოს თავი, ან, ასე თუ ისე, უნებური, გაურკვეველი ზიზღი აღეძრას ტრადიციონალისტი, საყოველთაოდ აღიარებული და ტონის მიმცემი მხატვრების მიმართ. და თუ პირველ შემთხვევაში მას დიდ სიამოვნებას განაცდევინებს ძველ პირობითობათა ჩარჩოში ჩაკეტვა და ამავე პირობითობათა მიერ საკრალიზებული ზოგიერთი ჟესტის გამეორება, მეორე შემთხვევაში ის შექმნის უკვე აღიარებულ ქმნილებათაგან მკვეთრად განსხვავებულ ნაწარმოებებს, და თანაც, თავის თანამოძმეზე არანაკლებ სიამოვნებას მიიღებს, თავის ქმნილებას აგრესიულ, გაბატონებული ნორმების წინააღმდეგ მიმართულ ხასიათს რომ მიანიჭებს.

ამ გარემოებას რატომღაც ივიწყებენ ხოლმე, როცა საქმე ეხება წარსულის გავლენას დღევანდელ დღეზე. ჩვეულებრივ, ერთი რომელიმე ეპოქის ნაწარმოებში ადვილად შეიძლება შევნიშნოთ იმისკენ სწრაფვა, რომ, ასე თუ ისე, წინა ეპოქის ქმნილებას ჰგავდეს. პირიქით, გაცილებით უფრო ძნელია შევნიშნოთ წარსულის უარყოფითი გავლენა და მივხვდეთ, რომ ახალი სტილის ფორმირება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ხელოვანის მიერ ტრადიციულ სტილთა უარყოფით, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს თვითონ ხელოვანს.

ხელოვნების ტრაექტორია რომანტიზმიდან ჩვენს დროამდე გაუგებარი დარჩება, თუ ანგარიშს არ გავუწევთ — როგორც ესთეტიკური ტკბობის ფაქტორს — ამ ნეგატიურ განწყობილებას, ამ აგრესიულობას ძველი ხელოვნების მიმართ და მის აბუჩად აგდებას. ბოდლერს მოსწონდა შავი ვენერა, სწორედ იმიტომ, რომ კლასიკური ვენერა თეთრია. მას შემდეგ ყველა ის სტილი, თანმიმდევრულად რომ ენაცვლებოდა ერთიმეორეს, განუწყვეტლივ ზრდიდა უარყოფით და მკრეხელურ ინგრედიენტთა დოზას; ამ ავხორცულ ზრდაშიც მოინიშნება ერთგვარი ტრადიცია, და, აი, აბლა ახალი ხელოვნების პროფილი თითქმის მთლიანად ჩამოყალიბდა ძველის უარყოფის საფუძველზე. გასაგებია, როგორ ხდება ეს ყოველთვის, როცა ხელოვნება მრავალსაუკუნოვან უწყვეტ ევოლუციას განიცდის, თავისი განვითარების გზაზე ყოველგვარი წყვეტილობისა თუ ისტორიული კატასტროფების გარეშე. ბისი ნაყოფიერება უასასრულოდ ხვავრიელი ხდება და მასიური ტრადიცია ძირშივე ახშობს ახალ შთაგონებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლად მოვლენილ ხელოვანსა და სამყაროს შორის სულ უფრო და უფრო მეტი ტრადიციული სტილი გროვდება, რაც არღვევს უშუალო და ცოცხალ კომუნიკაციას მათ შორის. მაშასადამე, ორში ერთია: ან ტრადიცია, ბოლოს და ბოლოს, მოაშთობს ცოცხალ შემოქმედებით პოტენციას, ან-და აწმყოზე წარსულის დამთრგუნველი ზემოქმედება უნდა შეწყდეს. და მაშინ დადგება ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაშიაც ახალი ხელოვნება ნელ-ნელა განიკურნება წარსულის დამღუპველი გავლენისაგან. ასე დაემართა ევროპულ სულს, სადაც მერმისისაკენ იმპულსურმა ლტოლვამ იმძლავრა უკურნებელ აღმოსავლურ ტრადიციონალიზმსა და **პასეიზმზე***.

---

* პასეიზმი (ფრანგული სიტყვიდან „passé" — „წარსული") — ნამყოსკენ სწრაფვა, ჰმუსვა წარსულის გამო. — მთარგმნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტესი ნაწილი იმისა, რასაც აქ „დეჰუმანიზაცია“ და „ცოცხალი ფორმებისადმი“ ზიზღი ეწოდება, რეალურ საგანთა ტრადიციული ინტერპრეტაციის მიმართ სწორედ ამ უარყოფითი დამოკიდებულებისაგან იღებს დასაბამს. იერიშის სიმძაფრე უშუალოდ დამოკიდებულია ისტორიულ დისტანციაზე. ამიტომ თანამედროვე ხელოვანთათვის ყველაზე მეტად მიუღებელია სწორედ გასული საუკუნის სტილი, თუმცაღა ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გარკვეულად უპირისპირდება უფრო ადრეულ ეპოქათა სტილს, და პირიქით, ახალი აღმქმელობა საეჭო სიმპათიას იჩენს დროსა და სივრცეში გაცილებით უფრო შორეული ხელოვნების — პირველყოფილი ხელოვნებისა და ბარბაროსული ეგზოტიკის მიმართ. არსებითად, ახალ ესთეტიკურ ცნობიერებას იმდენად ამ ხელოვნების ქმნილებები კი არ ანიჭებენ სიამოვნებას, რამდენადაც მათი **მიამიტობა**, ესე იგი, ტრადიციის უქონლობა, ტრადიციისა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

თუ ახლა ჩვენ მივუბრუნდებით კითხვას, ცხოვრებისადმი რანაირი დამოკიდებულების ნიშნად უნდა მიგვაჩნდეს ეს თავდასხმები წარსულზე, მოულოდნელად აღმოჩნდებით ძალზე დრამატული პრობლემის წინაშე. რადგანაც წარსულის ხელოვნებაზე თავდასხმა თვით ხელოვნების წინააღმდეგ ამბოხსა ნიშნავს: რადგანაც, აბა, რა არის ხელოვნება ყოველივე იმის გარეშე, რაც კი აქამდე შექმნილა?

კი მაგრამ, ნუთუ წმინდა ხელოვნებისადმი სიყვარულის ნიღაბქვეშ იმალება ხელოვნებით გულმოყირჭება, სიძულვილი ხელოვნების მიმართ? როგორ დავიჯეროთ ეს? ხელოვნებისადმი სიძულვილმა შეიძლება თავი იჩინოს მხოლოდ იქ, სადაც იბადება სიძულვილი მეცნიერების, სახელმწიფოს, საერთოდ, მთელი კულტურის მიმართ. ხომ არ აღიძვრის ევროპელთა გულში გონებამიუწვდომელ გაბოროტება თავიანთი საკუთარი ისტორიული არსისადმი, ერთგვარი odium professionis*, რომელიც ეუფლება ბერმონაზონს, ხანგრძლივი სამონასტრო ცხოვრებით გულმოყირჭებული უჩვეულო ზიზღს რომ განიცდის დისციპლინის, სწორედ იმ წესის მიმართ, რაც მისი ცხოვრების აზრს შეადგენდა?**

აი, სათანადო მომენტი საიმისოდ, რომ კალამმა კეთილგონივრულად შეწყვიტოს თავისი ეული სრიალი და წეროების ყარყარა ყელავით მორკალული კითხვის ნიშნების მწკრივს შეუერთდეს.

ირონიული ბედი

როგორც ზემოთ ითქვა, ახალი სტილისათვის, მისი უზოგადესი სახით, ნიშნეულია ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური ელემენტების გაძევება და მარტოოდენ პირწმინდად მხატვრული მასალის შენარჩუნება. ეს თითქოს თავისთავად გულისხმობს უჩვეულო ენთუზიაზმს ხელოვნების მიმართ. მაგრამ თუ ამ ფაქტს მეორე მხრიდანაც შევხედავთ და სხვა რაკურსით განვიხილავთ, განცვიფრებულნი დავრჩებით სწორედ საპირისპირო მოვლენით: ესაა ზიზღი ხელოვნების მიმართ, ან მისი უგულებელყოფა. წინააღმდეგობა აშკარაა და ძალზე არსებითია ყურადღება გავამახვილოთ

* პროფესიის, ხელობის სიძულვილი (ლათ.) — მთარგმნ.

** საინტერესო იქნებოდა გაგვეანალიზებინა ის ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც გუშინდელი ხელოვნება უარყოფით გავლენას აზდენს ხვალინდელ ხელოვნებაზე. უწინარეს ყოვლისა, ესაა ადვილად გასაგები რამ, სახელდობრ, დაღლილობა. სტილის უბრალო გამეორება ღლის და აჩლუნგებს აღქმას. ველფლინმა „ხელოვნების ისტორიის ძირითად პრინციპებში“ სხვადასხვა მაგალითზე დაყრდნობით გვიჩვენა, რა ძალით აიძულებდა დაღლილობა ხელოვნებას, ემოძრავა და სახე ეცვალა. იგივე ითქმის მწერლობაზედაც. ციცერონისათვის „ლათინურად ლაპარაკი“ ჯერ კიდევ ქიერდა როგორც „latine loqui“; მაგრამ V საუკუნეში სიდონიუს აპოლინარიუსს უკვე ახალი მოთხოვნილება უჩნდება — იხმაროს გამოთქმა: „latiniter insusurrare“ — „ლათინურით ჩურჩული“. მას აქეთ, მრავალი საუკუნის მანძილზე, ერთი და იგივე ძალიან დიდხანს გამოითქმოდა ერთი და იმავე ფორმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასზე. ბოლოს და ბოლოს, იძულებულნი ვხდებით ვაღიაროთ, რომ ახალი ხელოვნება ფრიად ორაზროვანი მოვლენაა, და ეს, კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის საოცარი, რადგანაც ორაზროვანია უკანასკნელი წლების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. საკმარისია გავაანალიზოთ ევროპული პოლიტიკური რეალიები, რათა მათშიაც იგივე ორაზროვნება აღმოვაჩინოთ.

მაგრამ წინააღმდეგობა ერთი და იმავე საგნის მიმართ სიყვარულსა და სიძულვილს შორის, ცოტა არ იყოს, მცირდება თანამედროვე მხატვრული პროდუქციის უფრო გულდასმით განხილვისას.

პირველი შედეგი, რასაც იწვევს ხელოვნების მიქცევა საკუთარი თავის მიმართ, მის მიერ ყოველგვარი პათეტიკის უარყოფაა. „ადამიანურობით" დახუნძლულ ხელოვნებაში ასახვა ჰპოვა ცხოვრებისადმი სპეციფიკურად „სერიოზულმა" დამოკიდებულებამ. ხელოვნება სერიოზული, თითქმის წმიდათა-წმიდა რამ გახლდათ. ზოგჯერ ის, შოპენჰაუერისა და ვაგნერის სახელით, მეტის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმის პრეტენზიას მაინც აცხადებდა, რომ კაცთა მოდგმის მხსნელად დაესახა თავი! შეუძლებელია არ განგვაცვიფროს იმ ფაქტმა, რომ ახალი შთაგონება თავისი ხასიათით თითქმის ყოველთვის უცილობლად კომიკურია. ის სწორედ ამ სიმზე უკრავს, სწორედ ამ ტონალობით ჟღერს. დღევანდელ ხელოვნებას მთლიანად განწონის კომიზმი, რომელიც თითქოს უსასრულოდ ვრცელდება აშკარა კლოუნადიდან თვალის ოდნავ შესამჩნევ ირონიულ ჩაპაჭუნებამდე, მაგრამ გაქრობით კი არასოდეს არ ქრება. არა, აქ ნაწარმოების შინაარსი როდია კომიკური, — მაშინ ჩვენ კვლავ მივუბრუნდებოდით „ადამიანური" სტილის ფორმებსა და კატეგორიებს, — საქმე ისაა, რომ, შინაარსისაგან დამოუკიდებლად, თვით ხელოვნება იქცევა თამაშად. ხოლო საკუთრივ თამაშისა თუ ფიქციისაკენ სწრაფვა, რორც შეგახსენეთ, შესაძლოა მხოლოდ [illegible]ასიარული გუნ[illegible]ნწყობილებისას

იძრას სულში. ხელოვნებისაკენ სწორედ

იმიტომ მიისწრაფიან, რომ ის განიხილება როგორც ფარსი. სერიოზულ ხალხს, რომელსაც ნაკლებად შეესწევს თანადროული აღმქმელობის უნარი, სწორედ ეს გარემოება უძნელებს ახალი ნაწარმოებების გაგებას. ამ ხალხს ჰგონია, რომ ახალი ფერწერა და მუსიკა წმინდა „ფარსია", ამ სიტყვის უარესი გაგებით, და ამიტომაც ვერ წარმოუდგენია, რომ ვიღაცა შეიძლება სწორედ ფარსში ხედავდეს ხელოვნების მთავარ მისიას და მის კეთილშობილურ დანიშნულებას. ხელოვნება მართლაც „ფარსი" იქნებოდა, ამ სიტყვის უარესი გაგებით, თანამედროვე მხატვარი წარსულის „სერიოზულ" ხელოვნებასთან მეტოქეობას რომ მიელტვოდეს, და კუბისტური ტილო მიზნად ისახავდეს ისეთივე თითქმის რელიგიური და პათეტიკური აღფრთოვანება გამოიწვიოს, როგორსაც ძველანჯელოს ქანდაკება იწვევს. მაგრამ თანამედროვე მხატვარი გვთავაზობს, ხელოვნებას აღვიქვამდეთ როგორც თამაშს და, არსებითად, როგორც თვითდაცინვას. სწორედ აქაა ახალი შთაგონების კომიზმის წყარო. ნაცვლად იმისა, რომ ვიღაცას აბიაბრუებდეს (კოშედია არ არსებობს მსხვერპლის გარეშე) ახალი ხელოვნება საცინად იგდებს თვით ხელოვნებას.

თუ ღმერთი გწამთ, ნუ გაცხარდებით ამის წაკითხვისას, თუკი გსურთ რაღაცაში კიდევ გაერკვეთ. არსად ხელოვნება ისე აშკარად არ აელენს თავის ბაგურ ნიჭს, როგორც ამ თვითდაცინვაში, რადგანაც სწორედ ამ თვითდაცინვების ჟესტით ინარჩუნებს იგი თავის რაობას და, რაღაც განსაცვიფრებელი დიალექტიკის ძალით, მისი უარყოფა, იმავდროულად, მის თვითშენახვად და მისსავ ტრიუმფად გადაიქცევა.

ძალიან შეეჭვება, რომ თანამედროვე ყმაწვილი კაცი შეიძლება დააინტერესოს ლექსმა, ფუნჯის მოსმამ თუ ბგერამ, რომლებიც იმ ირონიულ რეფლექსიას [illegible] შეიცავენ.

[illegible]ა უნდა, ეს იდეა თუ თეორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ისე ახალია. XIX საუკუნის დამდეგს გერმანელ რომანტიკოსთა ჯგუფმა, შლეგელების მეთაურობით, ირონია უმაღლეს ესთეტიკურ კატეგორიად გამოაცხადა, სწორედ იმ მიზეზის ძალით, ხელოვნების ახალ მიმართულებას რომ თანხვდება. რეალობის რეპროდუცირებით შემოფარგვლას, მის განუსჯელ გაორმაგებას არავითარი აზრი არა აქვს. ხელოვნების მისია ირრეალურ ჰორიზონტთა შექმნაა. ამის მისაღწევად კი მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: ჩვენი რეალობის უარყოფა, მისი დაძლევა, მასზე ამაღლება. იყო მხატვარი, იმასა ნიშნავს, რომ სერიოზულად არ აღიქვამდე სერიოზულ ხალხს, როგორიცა ვართ ჩვენ, როცა მხატვრები არა ვართ.

როგორც ჩანს, ახალი ხელოვნების ეს დანიშნულება, იყოს უცილობლად ირონიული, გულისგამაწვრილებლად ერთფეროვან იერს ანიჭებს მას, რასაც შეუძლია სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს თვით ყოვლისმთმენი დამფასებელიც. მაგრამ იგივე იერი გარკვეულწილად არბილებს იმ სხვაობას სიყვარულსა და სიძულვილს შორის, რაზედაც ზემოთ მოგახსენებდით. რადგან თუ სიძულვილი ხელოვნებაში ცოცხლობს როგორც სერიოზულობა, სიყვარული ხელოვნებაში, რომელმაც თავის ტრიუმფს მიაღწია, ფარსად გვევლინება, ფარსად, რომელიც ზეიმობს ყველაფერზე, მათ შორის, თავის თავზედაც, მსგავსად იმისა, როგორც სარკეთა სისტემაში, უსასრულოდ რომ ირეკლავენ ერთიმეორეს, არაფერი არ არის საბოლოო და დასრულებული, — ყველაფერი კრთის, ციმციმებს და წმინდა მოჩვენებითობის ეფექტსა ქმნის.

ხელოვნების არატრანსცენდენტურობა

ყოველივე ეს ახალი ხელოვნების ყველაზე რელიეფურ, ყველაზე არსებით ნიშანში, ახალი ესთეტიკური აღქმის უცნაურ თვისებაში კონცენტრირდება, თვისებაში, რომელიც გულდასმით გააზრებას მოითხოვს. ეს საკითხი ფორმად საჭოჭმანო საკითხი გახლავთ, რადგანაც, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, ძალზე ძნელია მისი ზუსტი ფორმულირება.

ახალი თაობისათვის ხელოვნება ყოველგვარ ტრანსცენდენტურობას მოკლებული ფენომენია. ეს ფრაზაც დავწერე და შიმშა ამიტანა იმ ურიცხვი მნიშვნელობის გამო, რასაც შეიცავს იგი. რადგანაც საქმე იმას კი არ ეხება, რომ თანამედროვე ადამიანს ხელოვნება არას მაქნისად და ნაკლებ არსებითად ეჩვენება, ვიდრე მის წინაპარს, არამედ იმას, რომ თვითონ მხატვარი აღიქვამს თავის ხელოვნებას როგორც ყოველგვარი ტრანსცენდენტური აზრისაგან განძარცულ ფენომენს. ნურც იმას ვიფიქრებთ, თითქოს მხატვარს ნაკლებად აინტერესებდეს თავისი საქმე და თავისი ქმნილება: არა, ისინი აინტერესებენ მას, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სერიოზული აზრი არ გააჩნიათ, და აინტერესებენ იმ ზომით, რა ზომითაც მოკლებულნი არიან ამნაირ აზრს. გაგვიჭირდება ამის გაგება, თუ ერთმანეთს არ შევუპირისპირებთ ხელოვნების ახლანდელსა და ოცდაათი წლის წინანდელ, ისევე როგორც მთელი გასული საუკუნის მანძილზე არსებულ მდგომარეობას. პოეზიას და მუსიკას იმხანად უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდათ: მათგან მოელოდნენ, სულ მცირე, კაცთა მოდგმის ხსნასა და აღორძინებას რელიგიის ნანგრევებზე და მეცნიერების ულმობელი რელატივიზმის ფონზე. ხელოვნება ტრანსცენდენტური იყო ორმაგი აზრით: თავისი თემით, რომელიც, ჩვეულებრივ, მოიცავდა ადამიანური ცხოვრების ყველაზე სერიოზულ პრობლემებს, და თავისთავადაც, როგორც ნიჭი, როგორც უნარი, ღირსებას რომ ჰმატებდა და ამართლებდა კიდეც კაცთა მოდგმას. უნდა გენახათ საზეიმო პოზა, რომელსაც იღებდა ბრბოის წინაშე დიდი პოეტი თუ გენიალური მუსიკოსი, — ეს იყო წინასწარმეტყველის, რელიგიის დამაარსებლის პოზა თუ სამყაროს ბედისათვის პასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწის გოროზი იერი!

ჩემის აზრით, თანამედროვე ხელოვანს აძრწუნებს პერსპექტივა, ესოდენ მაღალი მისიისთვის იყოს ცხებული, და აქედან გამომდინარე აუცილებლობა, თავის შემოქმედებაში ეხებოდეს იმას, რამაც შეიძლება ამნაირი აზრები გამოიწვიოს. პირიქით, მისთვის რაღაც საკუთრივ მხატვრული იწყება მაშინ, როცა ამჩნევს, რომ ჰაერში სერიოზულობს სუნი აღარ ტრიალებს და საგნები ქარაფშუტული სიმსუბუქით ებმებიან ფერხულში. ეს საყოველთაო პირუეტი მისთვის ნამდვილი ნიშანია იმისა, რომ მუზები არსებობენ. თუკი საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნება ადამიანის მხსნელად გვევლინება, მხოლოდ იმ აზრით, რომ ხელოვნება ცხოვრების სერიოზულობისაგან იხსნის და ბალღური სიანცისათვის აღვიძებს მას. ხელოვნების სიმბოლოდ კვლავ იქცევა პანის ფლეიტა, ტყის პირას, მწვანე მდელოზე რომ აცეკვებს ციკნებს.

მთელი ახალი ხელოვნება გასაგები გახდება და გარკვეულ მნიშვნელობას შეიძენს, თუ მას განვმარტავთ როგორც მცდელობას, ყმაწვილური სიხალისის სულისკვეთება აღადგინოს ამ მიხრწნილ სამყაროში. ყველა სხვა სტილი ხელაღებით აცხადებდა იმის პრეტენზიას, რომ უშუალოდ უკავშირდებოდა ბობოქარ სოციალურსა თუ პოლიტიკურ მოძრაობებს და ღრმა ფილოსოფიურსა თუ რელიგიურ მიმდინარეობებს, ახალი სტილი კი, პირიქით, იმედოვნებს, რომ მას სპორტულ თამაშობათა თუ გასართობ სანახაობათა სადღესასწაულო ატმოსფეროს დაუახლოვებენ. ესენი მონათესავე მოვლენები არიან, თავიანთი არსით ერთმანეთთან ახლოს მდგარნი.

ამ მოკლე ხანში ჩვენ ვნახეთ, როგორ აზავთდა გაზეთების ფურცლებზე 'სპორტულ სანახაობათა ტალღა, რომელმაც ჩაძირა სერიოზულობის თითქმის ყველა ხომალდი. (მოწინავე სტატიებს საცაა დაინთქმებიან თავიანთი სათაურების ღრმააზროვნებაში, ზედაპირზე ლად დაქრიან რეგატის იახტები. სხეულის კულტი ყოველთის ახალგაზრდობის ნიშანია. რადგანაც სხეული მოქნილი და მშვენიერია მხოლოდ სიჭაბუკეში, მაშინ როდესაც სულის კულტი სიბერისაკენ მიდრეკილ ნებას გვიმჟღავნებს, რადგანაც სული თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს მაშინ, როცა სხეული დასუსტებასა და დაძაბუნებას იწყებს. სპორტის ტრიუმფი თვალნათლივ მოწმობს სიჭაბუკის ფასეულობათა გამარჯვებას სიბერის ფასეულობებზე. რაღაც ამგვარი ხდება კინემატოგრაფშიც, ამ სხეულებრივ ხელოვნებაში par excellence.

ჩემს ყმაწვილკაცობაში ხანში შესულთა სოლიდური მანერები ჯერ კიდევ დიდი პრესტიჟით სარგებლობდნენ. ჭაბუკს უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა მოეტოვებინა უკან სიჭაბუკე და ყოველნაირად ჰბაძავდა მიხრწნილი ბერიკაცის დუნე სიარულს თუ უნიათო მიხრა-მოხრას. დღეს პატარა გოგო-ბიჭების საზრუნავი ისაა, რომ გაიხანგრძლივონ თავიანთი ბავშვობა, ჭაბუკები კი ცდილობენ დიდხანს შეინარჩუნონ სიჭაბუკე და ხაზგასმით წარმოაჩინონ იგი. ერთი რამ მაინც უეჭველია: ევროპა ბავშვობის ეპოქაში შედის.

ამნაირმა პროცესმა არ უნდა გაგვაკვირვოს. ისტორია დიად ცხოვრებისეულ რიტმთა თანახმიერად მოძრაობს, ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს მასში მეორეხარიხოვან და კერძო მიზეზთა მოქმედება კი არ იწვევს, არამედ სტიქიურ ფაქტორთა, კოსმიური წესრიგის დასაბამიერ ძალთა გავლენა. მეტიც, ცოცხალ არსებათათვის ნიშნეული ძირითადი და თითქოს პოლარული სხვაობანი, სქესი და ასაკი, თავიანთი მძლავრი ზემოქმედების ნიშნით აღბეჭდავენ დროთა პროფილს. მართლაც, ადვილი შესამჩნევია, რომ ისტორია, ქანქარის მსგავსად, რიტმულად ქანაობს ორ პოლუსს შორის, ერთ პერიოდში მამაკაცური საწყისი ჭარბობს, მეორეში კი — ქალური, დროდადრო ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავთ ჭაბუკური სულის ზეობას, დროდადრო კი მძლავრობს სიმწიფის და სიბერის სული.

ევროპული ყოფიერების ყოველი სფეროს დღევანდელი განვითარება თითქოს წინასწარ გვაუწყებს, რომ იწყება მამაკაცური საწყისისა და სიჭაბუკის ზეობის ერა. ქალმა და ბერიკაცმა ავანსცენა დროებით უნდა დაუთმონ ჭაბუკს, და საკვირველი არა არის რა იმაში, რომ დასავლური სამყარო დროთა ვითარებაში თითქოს სიდარბაისლეს კარგავს.

ახალი ხელოვნების ყველა თავისებურება მის არატრასცენდენტურობაზე დაიყვანება, ხოლო ეს უკანასკნელი სხვა რამით კი არა, ხელოვნებისათვის იმ აუცილებელი პირობითაა განსაზღვრული, რომ ადგილი შეიცვალოს ადამიანურ საზრუნავთა თუ ინტერესთა ჰიერარქიაში. ეს ინტერესები შეიძლება წარმოვიდგინოთ კონცენტრული წრეების სახით, რომელთა რადიუსებითაც იზომება დისტანცია ჩვენი ცხოვრების ცენტრამდე, სადაც თავმოყრილნი არიან ჩვენი უზენაესი მისწრაფებანი. ნებისმიერი რანგის — სასიცოცხლო თუ კულტურული — ფასეულობანი თავიანთ ორბიტებზე ბრუნავენ და მეტ-ნაკლებად მიიზიდებიან სისტემის გრავიტაციული ცენტრით. მე ვიტყოდი, რომ ხელოვნებამ, რომელიც უწინ — ისევე, როგორც მეცნიერება და პოლიტიკა — ჩვენი პიროვნების ცენტრის უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა, ახლა პერიფერიისაკენ გადაინაცვლა. მას არ დაუკარგავს არცერთი გარეგნული ნიშანთაგანი, მაგრამ საგრძნობლად დაშორდა ცენტრს, მეორეული და გაცილებით უფრო მსუბუქი გახდა.

წმინდა ხელოვნებისაკენ სწრაფვა სულაც არ გვევლინება, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, ქედმაღლობად; პირიქით, ესაა უდიდესი მოკრძალება. ადამიანური პათეტიკისაგან განთავისუფლებული ხელოვნება ყოველგვარი ტრანსცენდენტურობისაგან განიძარცვა, დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებად, ყოველგვარი სხვა პრეტენზიის გარეშე.

დასკვნა

„ო, ათასნაირად სახელდებულო ისიდა, ო, ისიდა, ათი ათას სახელზე დებულო!" — შეჰღაღადებდნენ ეგვიპტელები თავიანთ ქალღმერთს. ყოველგვარი რეალობა, გარკვეული აზრით, ამნაირია. ურიცხვია მისი კომპონენტები, მისი ნიშნები. მეტისმეტი სითამამე ხომ არ არის, სახელთა ურიცხვი სიმრავლიდან ამოვარჩიოთ ზოგიერთი და მხოლოდ მათი მიხედვით განვსაზღვროთ თუნდაც ყველაზე მარტივი საგანი? ბედნიერი შემთხვევითობა იქნებოდა, ჩვენს მიერ ამორჩეული ზოგიერთი ნიშანი მართლაც არსებითი რომ გამომდგარიყო. ამის ალბათობა განსაკუთრებით მცირეა, როცა საქმე ეხება ახლად მოვლენილ რეალობას, რომელიც ეს-ესაა იწყებს თავის გზას.

ეგეც არ იყოს, ადვილი შესაძლებელია, რომ ჩემი ცდა ახალი ხელოვნების არსებით ნიშანთა აღწერისა თავიდან ბოლომდე მცდარი აღმოჩნდეს. ახლა, როცა ვამთავრებ ამ ესსეს, ჩემში კვლავ იღვიძებს ინტერესი საკითხის მიმართ და იმის იმედიც, რომ პირველ ცდას უთუოდ მოჰყვება სხვა, უფრო საფუძვლიანი ცდები.

მაგრამ მე მხოლოდ გავაღრმავებდი შეცდომას, თუ ვეცდებოდი მის გამოსწორებას და ამ მიზნით გადაჭარბებულ მნიშვნელობას მივანიჭებდი ამა თუ იმ კერძო მომენტს სურათის საერთო ფონზე. მხატვრები ხშირად უშვებენ ამნაირ შეცდომას; თავიანთ ხელოვნებაზე მსჯელობისას, ისინი საკმაოდ შორდებიან საკითხს, რათა უფრო ხალვათად და თავისუფლად ალიქვან საგნები. მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია: ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოსაა ის ფორმულა, რომელიც, თავისი უზოგადესი და დასრულებული სახით, მართებულია მრავალი კერძო შემთხვევისათვის, და, როგორც საქსოვი დაზგა, ერთი მოძრაობით აერთებს ათას ძაფს.

მრისხანება და ენთუზიაზმი კი არ მამოძრავებდა, არამედ მხოლოდ გაგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სიხარული. მე ვცდილობდი ჩავწვდომოდი ახალ მხატვრულ ტენდენციათა აზრს, ხოლო ეს, რა თქმა უნდა, აპრიორულად გულისხმობს სულის კეთილმოსურნე განწყობილებას. თუმცა განა შეიძლება სხვანაირი განწყობით მიადგე თემას და უსულგულო ფიტულად არ აქციო იგი?

შეიძლება მითხრან: ახალ ხელოვნებას დღემდე არ შეუქმნია რამე ისეთი, მისი გაგება თავის მტვრევად რომ ღირდესო. კეთილი და პატიოსანი; დაახლოებით მეც ასე ვფიქრობ. ახალი ნაწარმოებებიდან მე ვცდილობდი გამომეცალკევებინა მათი ინტენცია, როგორც ყველაზე ფასეული, რაც არის მათში, და, მართალი გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებდა მისი რეალიზაცია. ვინ იცის, რა შეიძლება ამოიზარდოს ამ ახლად მოვლენილი სტილიდან! სასწაულია თვით ისიც, რასაც ახლა ასე გაშმაგებით მიჰყვეს ხელი: რაღაცის შექმნა არაფრისაგან! იმედია, მომავალში უფრო ნაკლები პრეტენზია ექნებათ და გაცილებით მეტს მიაღწევენ.

მაგრამ რანაირიც არ უნდა ყოფილიყოს ახალი პოზიციის უკიდურესობანი, ის, ჩემი აზრით, ერთ რამეს მაინც ეჭვშეუვალად მოწმობს: წარსულისაკენ მიბრუნების შეუძლებლობას. ახალი მხატვრების შემოქმედების მისამართით გამოთქმული ყველა შენიშვნა შეიძლება სამართლიანი იყოს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ახალი ხელოვნების საგმობად. შენიშვნებისთვის შეიძლებოდა რაღაც დაერთოთ: კეთილ-ენებებინათ და ხელოვნებისათვის ეჩვენებინათ ახალი გზა, რომელზედაც ის აღარ გააგრძელებდა დეჰუმანიზაციის ტენდენციას, მაგრამ, ამასთანავე, აღარც გატკეპნილი ბილიკებით ივლიდა.

ადვილია ამტკიცო, ხელოვნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ტრადიციული კალაპოტით მიედინებაო. მაგრამ ეს გაცვეთილი ფრაზა არაფერს არ აძლევს ხელოვანს, რომელიც ხელში ჩაბღუჯული ფუნჯით თუ კალმით კონკრეტულ შთამაგონებელ იმპულსს ელის.

ესპანურიდან თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ.**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43, საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 21.05.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.08.92 წ., ქაღალდის ზომა: 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.03. შეკვეთა 340. ტირაჟი 8.600

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

ინდექსი 76286

ეროვნული ბიბლიოთეკა

б 205/66

ჩვენი
ანონსი

კოეზია

ჯარჯი ფხოველი
მაია ბეგაშვილი
რამინ საჯაია
უოლტ უიტმენი
(თარგმანი)

პროზა

ზურაბ ჭუბაბრია
მერაბ აბაშიძე
გიგა თუთბერიძე
ვახტანგ კომახიძე
ვლადიმერ ნაბოკოვი
(ლოლიტა)

ინტერვიუ
თამაზ ჭილაძესთან

წერილები

რევაზ სირაძე
ანდრო ბუაჩიძე
რემრონ დიუგე
(„ძოსკოვი და წაძებული საქართველო".
გაგრძელება.)